საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩას...

№5(684) ...–9 თებერვა... 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



გვ. 74

ვის გამო წაართვა ოჯახსა და მეგობრებს საკუთარი ცხოვრების 99 პროცენტი დათო ფორჩხიძემ და რას არ უპროტესტებს მას მეუღლე

როგორ გააქართველა უკრაინელი მეუღლე ლექს-სენმა და რამ დაარბილა მისი ხისტი ხასიათი

გვ. 14

გვ. 22

როგორ ახერხებენ დათო იმედაშვილის ყოფილი ცოლები და ანნა იმედაშვილი კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას და ვის გამო გახდა ის „სახლური ტიპი“



გვ. 47

რა წარმატებას მიაღწია მასტერის მობილურით გადაღებულმა კლიპმა და რა დაუმტკიცა მან ხალხს ამ რევოლუციური პროექტით



გვ. 18

ვინ „დაჩხა“ მარიამ საჯაია ნაჯახით და რატომ დაინტერესდა მისით ცნობილი ამერიკელი სენატორი



გვ. 70

რატომ ჩაშალა კანის ფესტივალზე დაგეგმილი ჩვენება ფატუნა ბუშიჰედმა და როგორი იყო მისი ტელეკარიერა 5 წლის ასაკში



ვინ ეპატიჟება გიორგი მელიქიშვილს ამერიკაში ქართული ხალხური სიმღერების გასარეკად და როგორ უხსნიან მას რუსი ფანი გოგონები „სიყვარულებს“

გვ. 71

# გილოცავთ დავითობას!


გვ. 12
როგორ უნდა მიაწოდოთ შვილს სქესობრივ ცხოვრებაზე სწორი ინფორმაცია და არის თუ არა შიშის საფუძველი მისთვის ამ თემებზე სიმართლის დამალვა


გვ. 8
როგორ გაყიდა რუსეთმა მილოშევიჩი, რატომ დანაწევრდა ერთი სლავი ერი რამდენიმე სხვადასხვა ეთნოსად და რატომ გაღვივდა თავიდან სვანებისა და მეგრელების „არაქართველობის" იდეა


Print Office
დაბეჭდე ყველა ფერი ყველაფერზე
გთავაზობთ სრულ მაღალხარისხიან ბეჭდვას ოპერატიულად
ჩვენი სერვისებია:
დიზაინერული მომსახურება
ბრენდირება
ციფრული ბეჭდვა
ოფსეტური ბეჭდვა
ბეჭდვა ნებისმიერ მყარ ზედაპირზე
2014
ადგილზე მიტანით
პროდუქციის რაოდენობა განუსაზღვრელია
ალ. ყაზბეგის 43
0177, თბილისი
(032)239 23 03
557 14 32 32
/printoffice.ge
www.printoffice.ge


HAIRLINE INTERNATIONAL
პროფესიონალები ზრუნავენ თქვენს გარეგნობაზე...
სამედიცინო ცენტრი "ჰეალაინი"
www.hairline.ge
გთავაზობთ:
- სახის და ტუჩის კონტურული პლასტიკა
- ბოტოქსი
- ბიორევიტალიზაცია
- მეზონიდლინგი
- პლაზმოლიფტინგი
- მეზოთერაპია
- აპარატურული კოსმეტოლოგია
- ქიმიური პილინგი
დეა პაპასკირი
პლასტიკური ქირურგი
მედიცინის დოქტორი
2 30 00 30
ქავთარაძის ქ. 16 ( DKC - სამკურნალო კომბინატი )

**ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ბიზნესმენ ავთანდილ იაშვილს 6 თებერვალს 60 წელი უსრულდება. ეს ის თარიღია, როცა ადამიანის განვლილ გზას თვალს გაადევლებენ და მისი ნამოღვაწარი საქმეებით შეაფასებენ მისსავე ღვაწლს. ბატონი ავთოს შემთხვევაში ყველაფერი ცალსახად ხელისგულზეა: მისი დამსახურება ქართული კავშირგაბმულობის განვითარებაში, გაწეული დიდი ქველმოქმედება და ქართული ბიზნესის წინსვლაში შეტანილი არცთუ მცირედი წვლილი. თავად ბატონი ავთოს ინტერვიუზე დაყოლიება რთულია, ის ამ საკითხშიც მოკრძალებულია და საკუთარ თავზე საუბარი არ უყვარს. სამაგიეროდ, მისი 60 წლის ლამაზ თარიღს მისივე ოჯახის წევრები, ქალიშვილი და შვილიშვილები ულოცავენ. დღეს გიამბობთ, თუ როგორია იგი შვილიშვილებთან ურთიერთობებში, რაზე აძლევს მათ შენიშვნებს, რას ითხოვს მათგან და რას გაიხსენებენ ისინი მზრუნველი მამისა და ბაბუის შესახებ.**

# პროფესიონალი, ქველმოქმედი და ღირსეული მამა

## ავთანდილ იაშვილი-60

**ავთანდილ იაშვილი** ***(მინი-დოსიე):*** ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი. საერთაშორისო კავშირგაბმულობის აკადემიის აკადემიკოსი. მრავალგზის გახლდათ მიწვეული სახელმწიფო დაცვების კომისიის თავჯდომარედ საქართველოს ტექნიკურ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. კომპანია „ელექტროკავშირის“ დაფუძნების დღიდან მისი გენერალური დირექტორია. 1996 წლიდან – შპს „ახალი ქსელების“ გენერალური დირექტორი. 1997-1999 წლებში, კომპანია „ჯეოსელის“ შექმნისას გახლდათ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე. დღესდღეობით შპს „სისტემნეტსა“ და შპს „ფობნეტში“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა. ასევე, ფლობს მნიშვნელოვან ბიზნესდივიდენდებსა და წილებს შპს „ახალ ქსელებსა“ და შპს „ახტელში“. მის მიერ დასაქმებულ მოქალაქეთა რიცხვი 2 000-ს აღწევს. აღნიშნულ კომპანიებში თანამშრომლები მას ახასიათებენ როგორც ყურადღებიან ხელმძღვანელსა და გულისხმიერ პიროვნებას.

რაც შეეხება ქველმოქმედებას, თავად ბატონ ავთოს არც ამის აფიშირება უყვარს, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, მნიშვნელოვანი მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა საქველმოქმედო საქმიანობაში. მის სახელს უკავშირდება ვანის რაიონში შობის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის აგება. ასევე საქველმოქმედო შემწეობა აქვს გაღებული ვანის რაიონის საკათედრო ტაძრის აშენებისას; თანამონაწილეობა მიიღო მუსკომედიის თეატრის აღდგენაში; მისი დაფინანსებით გამოიცა პატრიარქის წერილების მეორე სახელმძღვანელო და ასე შემდეგ და, ეს მხოლოდ მისი სახელით გაწეული შემწეობებია. ცალკეა ის საქველმოქმედო კამპანია, რომელიც მისი კომპანიების სახელით განხორციელდა. ნიშანდობლივია და ბატონი ავთოს თავმდაბლობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მას აღნიშნული ქველმოქმედების აფიშირება არ უყვარს. გარდა ამისა, არის მზრუნველი მამა და ბაბუა.



**ირინა იაშვილი** ***(ქალიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტის სრული პროფესორი):*** როდესაც მამას შესახებ კითხვებს მისვამენ, შემიძლია, დაუღალავად ვისაუბრო მასზე. არსებობს მამა-შვილის ურთიერთობა, მაგრამ, ჩვენ შორის განსაკუთრებული სიყვარული და პატივისცემაა. მამა ყოველთვის და ყველაფერში მისაბაძია ჩემთვის. გამოირჩევა საოცარი შრომისმოყვარეობით. თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ მოღვაწეობა ნულიდან დაიწყო და დაუღალავი შრომითა და რუდუნებით შექმნა თავისი დღევანდელი ბიზნესწარმატებები. ის ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვანია და, სწორედ ამიტომაც, მის გარემოცვაში, მეგობრებსა და სამსახურში, განსაკუთრებული სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს.



ჩემთვის ყოველთვის მისაბაძი იყო ავთოს დამოკიდებულება მშობლების და თავისი მშობლიური კუთხის მიმართ, რაც ტრადიციად იქცა არა მარტო ჩემთვის, არამედ, ჩემი შვილებისთვისაც. მაგალითად, აღდგომის დღესასწაულზე გვაქვს ოჯახური ტრადიცია – ყველანი ვიკრიბებით ვანში და ჩვენთვის დიდი რიტუალია ბებიასა და ბაბუას საფლავზე გასვლა. მთელი შეგნებით ვცდილობ, რომ გავხდე მამასნაირი შვილი. იმედი მაქვს, გავამართლებ. მამა ყოველთვის ძალიან მომთხოვნი იყო სწავლასთან მიმართებაში. ალბათ, რომ არა მამა, მე ასეთი კვალიფიკაციის სპეციალისტი ვერ გავხდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესსაქმიანობით მუდმივად დატვირთული იყო, ყოველთვის აკონტროლებდა ჩემი სწავლის პროცესს დიდ ბრიტანეთშიც კი. განათლებას თუ არ ჩავთვლით (რაშიც სიმკაცრით გამოირჩევა), სხვა შემთხვევაში, ის ოჯახში საოცრად თბილი, მოსიყვარულე და მზრუნველი ადამიანია. მე მინდა, რომ 60 წლის იუბილეზე მას ვუსურვო ჯანმრთელობა, მიზნებისა და გეგმების შესრულება როგორც პირადად მისი, ისე ქვეყნის საკეთილდღეოდაც.



**გიორგი** ***(უფროსი შვილიშვილი):*** ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ბაბუას აზრი. მისი მიზანია, გავხდე ჩემი გვარის სასახელო გამგრძელებელი. ამჟამად ვსწავლობ ინგლისში და დარწმუნებული ვარ, ბაბუას 70 წლის იუბილესთვის, მასავით ცნობილი და წარმატებული ადამიანი ვიქნები. ამჯერად კი მას მხნეობას, ჯანმრთელობასა და წარმატებებს ვუსურვებ!

**დათი** ***(უმცროსი შვილიშვილი):*** ვგიჟდები ბაბუაჩემზე და, ვიცი, რომ ვასახელებ მას, მიუხედავად იმისა, რომ მუდმივი უთანხმოება გვაქვს გაკვეთილებთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ ჩემთვის უკვე დიდი პასუხისმგებლობაა ის, რომ ბაბუაჩემი ასეთი პიროვნებაა. გილოცავ ბაბუ!

***P.S. ჟურნალი „თბილისელები“ უერთდება ოჯახის მილოცვას და ბატონ ავთანდილ იაშვილს დიდხანს სიცოცხლეს, წარმატებასა და წინსვლას უსურვებს!***

**ეკა ნაკაიძე**

# ამბოხი მზეზე

## რაღაც ჩრდილოკორეული

მიუხედავად იმისა, რომ **ყველას თავისი პეიზაჟი აქვს, ანუ, თავი გასჭირვებია,** ფაქტია, რომ **მჯობნის მჯობი არ დაილევა**. ჰოდა, **რაკი არ დაილევა, სულ ახლახან ჩრდილოეთ კორეის ახალი ამბების სააგენტომ გვაცნობა**, რომ **ჩრდილოეთ კორეას, პირველად დედამიწის ისტორიაში, მზეზე ადამიანი დაუსვამს!**

**მზეზე ასტრონავტი ჰუნგ ილ გონგი დამჯდარა,** რომელსაც **21 იანვრის ღამის 3 საათზე დაუტოვებია დედამიწა და 4-საათიანი დამღლელი ფრენის შემდეგ მზეზე დაშვებულა.**

აქედან გამომდინარე, **კორეელებს სწამთ, რომ „ჩრდილოეთ კორეამ დაამარცხა ყველა ქვეყანა და დაასწრო მათ მზეზე დაშვება.“** იმავე სააგენტოს ცნობით, **ჰუნგ ილ გონგს**, როგორც გმირს, ისე დახვედრიან, რომელიც **დედამიწაზე (ღამის 3 საათზე მზეზე გაფრენილი), დილის 9 საათზე დაბრუნებულა** და ქვეყნის ლიდერსაც შეხვედრია (როგორც ჩანს, მზეზე არსებული ვითარების პირადად მოსახსენებლად. ცნობისთვის: **ჩრდილოეთ კორეის ლიდერი მზეზე დაშვებული ასტრონავტის ალალი ბიძაა**.



ჩვენ არ ვიცით, **დაიჯერა თუ არა გულის სიღრმეში ჩრდილოეთ კორეის მოსახლეობამ, რომ მზეზე დაშვება შესაძლებელია**, ზედაც, **იქიდან უვნებლად დაბრუნება**, თუმცა, **თუ „ორი გვამის“ თემაზე ჩვენი ყოფილი მმართველების** საპასუხო **პათოსს გავიხსენებთ: ეს ის არ არის, რაც თქვენ გეგონათო**, სავარაუდოდ, **არის მათში რაღაც ჩრდილოკორეული**.

# კავკასიურად შეუთავსებელი

## ანუ, „დავაქორწინეთ, მაშ?!”

სავარაუდოდ, რაკი **რფ-ის მიერ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის აკრძალვამ ის შედეგი გამოიღო, რომ რამდენიმე დასავლელმა პოლიტიკოსმა უარი თქვა სოჭის ოლიმპიადაზე დასწრებაზე**, გასულ კვირას **სოჭის მერმა სრულიად ცივილიზებულ სამყაროს ამცნო**, რომ, თუმცა **განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ფაქტი კავკასიურ ტრადიციას ვერ უთავსდება**, მაგრამ, **ძალიან უყვართ**, ამიტომაც, **დიდი სიხარულით მიიღებენ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებადაც და იქ დასასწრებადაც**. ერთი ისაა, რომ **სოჭის მერის ამ გულის ამაჩუყებელ განცხადებას** (კავკასიელობისა და შეუთავსებლობის) **ცივი წყალი ბორის ნემცოვმა გადაასხა,** რომელმაც იმავე საზოგადოებას **ამცნო, რომ სოჭში მრავლადაა ჰომოსექსუალთა ბარები**.



როგორც უნდა იყოს, გაირკვა, რომ **სოჭის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალში რუსული ჯგუფი „ტატუც“ მიიღებს მონაწილეობას**. როგორც თავად რუსული მედია იუწყება, **თუმცა უზომო პოპულარობას მიაღწიეს,** ჯგუფისადმი **დამოკიდებულება არაერთგვაროვანი იყო** და, სწორედ **იმის გამო, რომ მათი იმიჯი ჰომოსექსუალურ მიმართულებას ემყარებოდა**, რამაც მათ **წარმატება მოუტანა** (მიუხედავად იმისა, რომ მათ **სასცენო ორიენტაციას რეალურთან დიდი კავშირი მაინცდამაინც არ ჰქონია**).

შესაბამისად, მთლად რთული მისახვედრი არ არის, **რამ გაახსენათ სოჭის ოლიმპიადის მესვეურებს ჯგუფი „ტატუ“.** ხოლო, თუ გავითვალისწინებთ, რომ **რფ-ს ხელისუფლებას რამდენიმე ფრონტი აქვს გახსნილი**: აქეთ – **უკრაინა**, იქით – **დაანონსებული ტერაქტები**, რასაც **ლაიტმოტივად გასდევს დასავლეთის პროტესტი ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციის გამო,** ვშიშობ, სიტუაციის განმუხტვის მიზნით, **პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი არ დაქორწინდნენ**, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც!

# უნახავები

ისე მოხდა, რომ **ჩვენს რეალობაში პოლიტიკური მოღვაწეობა ბიზნესის ერთგვარ ფორმად იქცა**, შესაძლოა, **საბჭოთა წარსულის გათვალისწინებითაც** და, **რომ** დაგვცლოდა (ესე იგი, **არ „გავწითლებულიყავით“), იქნებ, ჩვენც შევთამაშებოდით განვითარებული სამყაროსავით თანასწორობა-დემოკრატიის ვარსკვლავებს,** ანუ, **უფლებადაცულები და მაძღრები არა მხოლოდ ზემოთ, ქვემოთაც ყოფილიყვნენ.**

ასეა თუ ისე, **ჩვენი პოლიტცხოვრება კვლავ „მე, ბება, ილიკო და ილარიონის“ სცენარით ვითარდება**:

„– მე მგონი, **ისტორიულზე აჯობებს, ისტორიკოსები რაიოკომის მდივნები გამოდიან!** – თქვა ილარიონმა.

**– იურისტობა ჯობია!** – თქვა ილიკომ, – ხომ ხედავ, **ჩვენი მოსამართლე, დასახლდა კაცი. ჩვენს სოფელში რომ ჩამოვიდა, ცალცალი კალოში ეცვა, ახლა ტყავის პალტოში და რეზინის ჩექმებშია გამოწყობილი...”**

## ანუ, „ჩემი მანქანა შენსას სჯობია“

ჰოდა, **რაკი ამგვარად სამწუხაროდ ვითარდება**, სავსებით ბუნებრივია, რომ **ახლები ძველების მიერ გაკვალულ გზას დააკვდნენ** (ცხოვრება კარგია, კარგად ცხოვრება – უკეთესი) და **ლამის შეჯიბრი გამართეს: „ჩემი მანქანა შენსას სჯობია, არა, ჩემი სჯობს შენს“,** გადაწყდა, რომ **სახელმწიფო სტრუქტურებისთვის განკუთვნილი სამსახურებრივი ავტომანქანებისთვის გარკვეული ნორმები დაწესდება** (მთავარი ნორმა მაინც ისაა, **რაზე ძვირი არ უნდა ღირდეს ჩინოვნიკის ავტო**).

მართალია, ჯერჯერობით **უცნობია, რა თანხა დაწესდება „ჭერად”** და, ისიც **ცხადია, რომ ასეთი ნორმები აქამდეც უნდა დაწესებულიყო**, მაგრამ, თუ **ჩინოვნიკთა ძვირად ღირებული ავტომანქანებისადმი მიძალებას გავიხსენებთ**, ჩნდება ეჭვი, რომ **იქ, ზემოთ, რატომღაც, ძირითადად, უნახავები ხვდებიან**.


ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ზაზა ახობაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე ალექსანდრა ნაკაიძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაალ ცინაძე

რედაქციის მისამართია:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




განყოფილებები

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეზუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე
დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52; 599 10-15-20 239-23-52
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 239-23-53
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# „ნაციონალური“ ვნებები

## ანუ, „გასატრუპია“

გასულ კვირას **ამ ჩვენმა მთავრობამ ჩვენსავე უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კანონპროექტი წარადგინა**. მისი **ავტორი პრობაციისა და სასჯელაღსრულების სამინისტროა**. ის (კანონპროექტი) **საკმაოდ მოცულობითია** და **დღეს მოქმედ კანონში** პატიმრობის შესახებ **არაერთი ცვლილების შეტანას გულისხმობს**, სხვათა შორის, **უფრო მეტ პოზიტიურს, ვიდრე ნეგატიურს**.



ასე განსაჯეთ და, **საკნები უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი განათებითაც, გათბობითაც** და, თუ **ბუნებრივი ვენტილაციით არა, ხელოვნურითაც, ან, ორივეთი ერთად**, დღეში **ერთსაათიანი სუფთა ჰაერზე სეირნობის ჩათვლით**; განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, **ინტერნეტიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს**, რა თქმა უნდა, **ჟურნალ-გაზეთებ-რადიო-ტელევიზორის ჩათვლით** (ფაქტობრივად, ციხე კი არა – სამოთხეა, რასაკვირველია, ჩვენი შეძლების მოსახლეობის მქონე ქვეყნისთვის).

მეორე მხრივ, **მრავალფეროვნდება იმ სპეციალურ საშუალებათა ჩამონათვალი, რისი გამოყენების უფლებაც** (თუ ცვლილებები დამტკიცდა) **იარსებებს მსჯავრდებულ-ბრალდებულთა წინააღმდეგ**. მათ შორის, ყველაზე დიდი **„ნაციონალური“ ვნებათაღელვა წიწაკის გაზისა და ხელკეტის გამოყენების ფაქტმა გამოიწვია** და, რაც მთავარია, საპარლამენტო უმცირესობაში. **„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ამთავითვე აცხადებენ**, რომ **ამ არაჰუმანურ კანონპროექტს მხარს არ დაუჭერენ!**

სახელდობრ, ბ-ნმა **ვაშაძემ გვამცნო, რომ ისინი მხარს არ დაუჭერენ პატიმრების წინააღმდეგ წიწაკის გაზისა და ხელკეტების გამოყენებას**! ხოლო, თუ გავიხსენებთ ბ-ნი **ვაშაძისა და მისი თანამოაზრეების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდის ქართულ ციხეებს** (განსაკუთრებით, ხელკეტის ადგილსა და როლს პატიმრებთან მიმართებაში), ზედაც, **„ორი გვამის“ ისტორიას დავამატებთ**, მართლაც, ჩნდება ეჭვი, რომ **წიწაკის გაზით თვალების დაწვას, განა პირდაპირ „გატრუპვა“ არ ჯობია?!** როგორც ოკუპანტები იტყოდნენ: **„ჟესტოკო, ნო, გუმანნო“.**



# „ნაციონალური“ ლექსიკონი

## „ყველა დასახვრეტია“

რაკი ისე მოხდა, რომ **ამ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ისმინებოდა და იწერებოდა,** როგორც **ფარულად, ისე აშკარად**, გასულ კვირას ეგრეთ წოდებული **მუხროვანის ამბოხის პროცესში გადაღებული კადრებიც გამომზეურდა** (რომლებსაც, მოქმედი პირების ქცევით თუ ვიმსჯელებთ, არქივისთვის იღებდნენ) და **იმდროინდელი შს მინისტრის უხერხული ფრაზაც მოვისმინეთ** ორი **გვამის საჭიროების შესახებ**, რასაც, მინისტრისავე **დაპირებით, დიდი პრემია მოჰყვებოდა**.

ამის **საპასუხოდ, მართალია, მოვლენები შექსპირის ტრაგედიის სტილში განვითარდა**, ოღონდ, **განა ვინმემ ნახევარი სამეფო შემოგვაძლია,** სულ რაღაც **ერთ ცხენში,** არამედ, **ფრაზის ავტორი ატირდა,** თუმცა, **მთლად ისეც არა** – „და **მე ავტირდი, ვით მეფე ლირი, ლირი, ყველასგან მიტოვებული“.**

მთლად ასეც ვერა, რადგან, **„ნაციონალური მოძრაობა“ გენმდივნის გარშემო დაირაზმა** და, თუმცა **ნათლად ისმის** ბ-ნი **მერაბიშვილის ფრაზა, ჩვეულებისამებრ, განგვიმარტეს, თუ რა იგულისხმებოდა ისეთ კონკრეტულ გამონათქვამში**, როგორიცაა **„ორი გვამი მჭირდება“** – როგორც **გვარწმუნებენ, ყველაფერი, გარდა გვამებისა.**

სახელდობრ, ბ-ნი გივი **თარგამაძის ვერსიით, „ორი გვამი მჭირდება“ ნიშნავს, რომ საჭიროა ორი ადამიანის დაკავება** და, თუ ისინი გაუწევენ წინააღმდეგობას, ამას ძალოვანების მხრიდან ადეკვატური მოქმედება უნდა მოჰყვეს.

ამ ვერსიას იზიარებს ბ-ნი ნუგზარ **წიკლაურიც** (მომყავს ციტატა მისი მტკიცებიდან): **„საუბარი იმაზე, თითქოს ვინმემ გასცა წინასწარ ბრძანება, რომ უპირობოდ მომხდარიყო ამ ადამიანების ლიკვიდაცია, არის უსინდისო ტყუილი** (ანუ, საკუთარ ყურებს ნუ უჯერებთ, ჩვენ დაგვიჯერეთო).“

ბ-ნი გოგა **ხაჩიძის განმარტებაზე აღარ შევჩერდები, იმდენად,** რბილად რომ ვთქვათ, **კონტექსტიდან ამოვარდნილია**. თუმცა, **ყველაზე ორიგინალური მაინც** თბილისის აწ უკვე **უფლებაშეჩერებული მერის ვერსიაა**, რომელმაც ყოველივე ბ-ნი **მერაბიშვილისა და ქართული გრამატიკის ერთმანეთთან მწყრალად ყოფნას დააბრალა**. სახელდობრ, ბ-ნმა **უგულავამ აქეთ დაგვამუნათა, ვინც იცნობს ვანო მერაბიშვილს, იცის როგორ უჭირს მეტყველებაო** (ეტყობა, წერა უფრო ეხერხება).

ხოლო, **თუკი** ბ-ნ **ლევან ღვინჯილიას დავესესხებით** („თარგამაძის ენაზე: „ორი გვამი მჭირდება“ ნიშნავს, რომ „საჭიროა ორი ადამიანის დაკავება“... **ამ ლოგიკით, „ადამიანის დაკავება“ და „გვამი მჭირდება“ ყოფილა სინონიმები**“), გამოდის, რომ ბ-ნ **მერაბიშვილს, სანამ ქართული გრამატიკის ნორმებთან მწყრალად ყოფილა, ახალი ნორმები შეუქმნია**.

# კოორდინატორის შიშები

## საიდანაც ქარი ქროდა

თუმცა **ევროპა შეშფოთებულია** (ეგრე არ დარჩნენ!) **იქით – უკრაინაში მომხდარის გამო, აქეთ – მავთულხლართების გაბმა-გამობმით** და, **ამის გათვალისწინებით, გვპირდება, რომ ასოცირების პარაფირებულ შეთანხმებაზე აგვისტომდე მოგვაწერინებს ხელს**, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გერმანია-რუსეთის საზოგადოებათაშორისო თანამშრომლობის კოორდინატორმა განაცხადა, რომ **„ევროკავშირი არასწორად მოიქცა, როდესაც რუსეთთან შესაძლო კონფლიქტები არ გააანალიზა და ეგრეთ წოდებული აღმოსავლეთ პარტნიორობა შესთავაზა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა უკრაინა.“**



ხოლო, რაკი ვიცით, **რომ, ვამბობთ უკრაინას, ვგულისხმობთ საქართველოს,** ბუნებრივია, **ამ განცხადებამ ჩვენც შეგვაშფოთა,** მით უფრო, ბ-ნ **კოორდინატორს არ დაუმალავს**, რომ **„თუკი არსებობს შეუთავსებლობა რუსეთის საბაჟო კავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობას შორის**, ჩვენ **უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება** რაც შეიძლება მალე, ვინაიდან, ეს სიტუაცია არა მხოლოდ უკრაინას ეხება.“

იქვე **კოორდინატორი რიტორიკულ კითხვასაც სვამს**: „მოლდოვამ და საქართველომ დაიწყეს მოლაპარაკებები და ამ ზაფხულს ხელს მოაწერენ შეთანხმებას ასოცირების შესახებ. და, **როგორ მოიქცევა რუსეთი, თუკი ეს მოხდება?!“**

ერთი სიტყვით, გერმანელი **დიპლომატ-კოორდინატორი დარწმუნებულია**, რომ ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს **აღმოსავლეთ პარტნიორობასა და რუსეთის საბაჟო კავშირს შორის დაძაბულობის განეიტრალება.**

ცხადია, რომ **გერნოტ ერლერი** (კოორდინატორი) **საკუთარი ინიციატივით არ გამოთქვამდა ამგვარ აზრებს**, თუმცა, რაკი **არც ის ვიცით, როგორ აპირებს ევროკავშირი აღმოსავლეთ პარტნიორობის გეგმის საბაჟო კავშირთან ჰარმონიზებას,** იმედი ვიქონიოთ, რომ, **ჩვეულებისამებრ, წაკლული ქათმის როლში არ ამოგვაჩენს.**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**

ნდობის ტელეფონი
ინფიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია



საბჭოთა კავშირის შექმნის მომენტში უკრაინა გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა, იმიტომ რომ, დღევანდელი დასავლეთ უკრაინა სტალინმა 1929 წელს მიიერთა

**ვიქტორ იანუკოვიჩის გადაწყვეტილებამ, როდესაც ბოლო წუთს არჩევანი საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ გააკეთა, არეულობა არა მხოლოდ კიევში გამოიწვია. ევრომაიდნის ვნებათაღელვა მთელ უკრაინას გადასწვდა და ყირიმის ავტონომიის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო უკრაინის შემადგენლობიდან გასვლითაც დაიმუქრა, თუკი პრეზიდენტი იანუკოვიჩი ამბოხებულების მოთხოვნას დაემორჩილება და რიგგარეშე არჩევნებში ოპოზიცია გაიმარჯვებს. თანდათან ევროკავშირიც გააქტიურდა, თუმცა რფ-ც მოკრძალებულად მოქმედებს, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ სოჭის ოლიმპიადის ეშხით. რუსეთ-უკრაინის დაპირისპირების ისტორიასა და დეტალებზე, ასევე, პერსპექტივაზე პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან ვისაუბრებთ.**

# არის თუ არა უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ცოცხალი სცენარი საქართველოსთვის და შეძლებს თუ არა რუსეთი უკრაინის გაყოფას

**– გავიხსენოთ, საბჭოთა კავშირის შექმნის მომენტში რას მოიცავდა ის ტერიტორია, რომელსაც მაშინ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ეწოდა და რა საზღვრებშიც შემდეგ გაერომ აღიარა უკრაინა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა?**

– ისტორიულად ეს იყო რუსეთის ტერიტორია, მათ შორის, ეკატერინეს მიერ დაპყრობილი ყირიმის სახანო თავის დროზე იყო ლიტვის დიდი სამთავროს ნაწილი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის პერიოდს: მინდა, გითხრათ, რომ 1934 წლამდე უკრაინის დედაქალაქი იყო ხარკოვი. შემდეგ 1956 წელს, პერეიასლავსკაია რადას შეკრების 300 წლისთავთან დაკავშირებით, როდესაც ბოგდან ხმელნიცკიმ რუსეთთან მიერთების გზა აირჩია, ხრუშჩოვმა უკრაინას აჩუქა ყირიმი, რაც დღესაც ვერ მოუნელებია რუსულ შოვინისტ ძალებს. ამას ანეკდოტებიც მიეძღვნა მაშინ. უკრაინელი სტუდენტები ხუმრობდნენ, ცოცხალი არავინ დარჩა, ადამიანი ვერ ცოცხლობს 300 წელს, დოკუმენტიც არ არსებობს, ყვავს ვკითხოთ, რა მოხდაო და ყვავმა უპასუხა; ჭორებია, მსგავსი არაფერი ყოფილა, ბოგდან ხმელნიცკი რუსეთის აგენტი იყოო. იმ დოკუმენტის ლეგიტიმურობას, რომელიც ამ მოვლენას ეხება, თვითონ რუსი ისტორიკოსებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ. საბჭოთა კავშირის შექმნის მომენტში უკრაინა გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა, იმიტომ რომ, დღევანდელი დასავლეთ უკრაინა სტალინმა 1929 წელს მიიერთა. 20-იანი წლების დასაწყისში, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ომის დროს, პოლონეთმა ზოგი ტერიტორია წაილო, რომლებიც შემდეგ სტალინმა დაიბრუნა და შექმნა უკრაინის სოციალისტური რესპუბლიკა, ოღონდ ყირიმის გარეშე.

**– ყველასთვის ცნობილია კიევის რუსეთის ისტორია, თუმცა მას შემდეგ ის ტერიტორია არა ერთი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იყო. რატომ აღმოჩნდა რუსი და უკრაინელი ასე დაპირისპირებული ერთმანეთთან?**

– საბჭოთა კავშირში ჩვენ და უკრაინელები გამორჩეულადი ნაციონალური მენტალობით, ბალტიისპირეთი სულ სხვა მოვლენა იყო და მათზე არაფერს ვამბობ. ამიტომ უკრაინა ბუნებრივად იყო ჩვენი გულშემატკივარი და საბჭოთა დროს უკრაინელები ყოველთვის სიმპათიით იყვნენ ჩვენ მიმართ განწყობილნი. როგორც შეეძლოთ, გვეხმარებოდნენ. მაშინ, მოგეხსენებათ, ფეხბურთი იყო პოლიტიკა: 1964 წელს თბილისის „დინამო" სწორედ უკრაინელების დახმარებით გახდა მსოფლიოს ჩემპიონი. კიევის „დინამო" ეთამაშებოდა მოსკოვის „ტორპედოს". კიევის „დინამოსთვის" ეს არ იყო პრინციპული თამაში, მაგრამ მოგების შემთხვევაში „ტორპედო" ხდებოდა ჩემპიონი და თბილისის „დინამოს" შანსი აღარ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯი „ტორპედოს" მხარეს იყო, კიევის „დინამომ" გააკეთა ყველაფერი, რომ მატჩი ფრედ დაემთავრებინა, მეკარემ ორი პენალტი აიღო. ამის გამო „ტორპედომ" და თბილისის „დინამომ" ერთი და იმავე ოდენობის ქულები დააგროვეს. გაიმართა გადათამაშება ტაშკენტში და თბილისის „დინამო" გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში. ეს მაშინ ეროვნული ზეიმი იყო, უკრაინელებზე ვლოცულობდით.

ერთ ისტორიას გიამბობთ, რაც ნათლად გამოხატავს უკრაინულ ნაციონალიზმს: საბჭოთა კავშირის 50 თუ 60 წლისთავი იყო, მაშინ მეცნიერებათა აკადემიაში ვმსახურობდი. ჩამოვიდა უკრაინის დელეგაცია ცეკას პირველი მდივნის, შელესტის ხელმძღვანელობით. ფუნიკულიორზე გაუმართეს ბანკეტი, „გეპეის" რექტორი ბუაჩიძე იყო თამადა. ბუაჩიძემ პირველი სადღეგრძელო უფროსი ძმის, რუსი ხალხის წარმოსთქვა. ეს სტანდარტული სადღეგრძელო იყო მაშინ. ადგა შელესტი და ამბობს: მე არ ვიცი, როგორ არის ქართულ ზღაპრებში, მაგრამ უკრაინულ ზღაპრებში უფროსი ძმა ყოველთვის სულელიაო. უკრაინის დელეგაციამ ტაშით დაანგრია ყველაფერი. ჩვენს დელეგაციას ნირი წაუხდა. ბუაჩიძეს დანა პირს არ უხსნიდა. მეორე დღეს მთელი თბილისი ამაზე ლაპარაკობდა. ერთი წლის შემდეგ შელესტს ნაციონალიზმი დასწამეს, პარტიიდან გარიცხეს და მოხსნეს.

**– რაღა დასწამეს?!**

– ასეთი განწყობა მუდმივად ჰქონდათ უკრაინელებს. თვით კუჩმაც კი, საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირმა, რაკეტსამშენებლო ქარხნის დირექტორმა, „კაგებეს" კადრი რომ არ ყოფილიყო, იქ ხომ არ დანიშნავდნენ, წიგნი დაწერა: „უკრაინა რუსეთი არ არის" და შემდეგ რუსეთს გაზს ჰპარავდა. ასე რომ, უკრაინაში ყოველთვის ანტირუსული განწყობა იყო, განსაკუთრებით დასავლეთ უკრაინაში. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხომ ვითომ ჩვენი მეგობრები იყვნენ ბალტიისპირელები და სხვები, მაგრამ მხოლოდ უკრაინელები დაგვიდგნენ გვერდში ომის დროს. „უნაუსოს" ბიჭები ჩამოვიდნენ და რამდენიმე დაიღუპა კიდეც. მათ სისხლი დაღვარეს და სიცოცხლე შემოგვწირეს, ამიტომ ჩვენ უკრაინასთან ვალში ვართ. მე მესმის, მთავრობა, პრემიერ-მინისტრი თავშეკავებული უნდა იყოს, პრეზიდენტს საერთოდ არავინ არაფერს ეკითხება, მაგრამ პარლამენტარების მიკვირს, რომლებიც ფრთხილ პოზაში დგანან და უკრაინელებს სიმშვიდისკენ მოუწოდებენ. იანუკოვიჩიც ამასვე მოუწოდებს მათ. რითაც არ უნდა დამთავრდეს ეს მოვლენები, უკრაინა აღარასდროს იქნება ისეთი, როგორიც 2 თვის წინათ იყო.

**– გაყოფა რეალური სცენარი გგონიათ?**

– უკრაინას საქართველოსგან განსხვავებული სიტუაცია აქვს, თუმცა ზუსტად ასე იწყებოდა აფხაზეთი. უკრაინაში ერთი ავტონომიური რესპუბლიკაა.

**– რომლის საკანონმდებლო ორგანომ უკვე თქვა, თუ ხელისუფლება შეიცვლება, ჩვენ**




**თბილისის ტურიზმის აკადემია**

აგრძელებს მიღებას გიდის, ინტერნეტტექნოლოგის, კორესპონდენტისა და მუსიკოს-რეპეტიტორის პროგრამებზე.

თბილისის დამოუკიდებელ სასწავლო უნივერსიტეტში გრძელდება ჩარიცხვა გადმოყვანის წესით.

საგანმანათლებლო დაწესებულებები ახორციელებენ მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებზე მიღებას შემდეგ საგნებში: ფილოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ზოგადი უნარები.

**საბუთების მიღება გრძელდება. სწავლა დაიწყება 24 თებერვალს მისამართზე: თბილისი, კოსტავას ქ. N 47 (ფილარმონიის ქვემოთ);**

**სასწავლებლის ხელმძღვანელი, პროფესორი ამირან მექვაბიშვილი**

**ტელ: 599-18-89-24, 2-93-66-03, 599-14-60-26, 2-99-96-26, 593-34-28-81, 593-26-45-46.**


ჟურნალი „თბილისელები" სამძიმარს უცხადებს ნათია კუპრაშვილს დის

**ცისანა ქუთათელაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**გავალთ უკრაინის შემადგენლობიდანო. როგორც ეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელობამ თქვა ჩვენი რეფერენდუმის საპასუხოდ 90-იან წლებში.**

– მე მახსოვს არძინბას დროინდელი უზენაესი საბჭო: თუ საქართველო წავა დამოუკიდებლობისკენ, ნატოსკენ და ევროპისკენ, ჩვენ გამოვალთ საქართველოდანო. უბრალოდ აქ დეტალია გადამწყვეტი: მოსკოვისთვის ძალიან ცუდ დროს დაიწყო ეს მოვლენები.

**– სოჭის ოლიმპიადას გულისხმობთ.**

– პუტინი, ეჭვი არ მეპარება, ორ აგურს ირტყამს თავში და იმ დღეს სწყევლის, როდესაც ასეულობით მილიონი დოლარი დახარჯა, რომ ოლიმპიადა სოჭში ჩატარებულიყო. ახლა ხელფეხშეკრულია. რა ქნას? ჩაერიოს აშკარად, როგორც საქართველოში ჩაერია? მაშინ ეს დაუჯდება ბოიკოტად. ევროჩინოვნიკებს, მილიარდიან მოგებას რომ ელოდებიან, მოლოდინი ჩაეშლებათ. ასევე, ჩაიშლება ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი. მართალია, კიევი დღეს გავსებულია რუსეთის აგენტებით, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სპეცრაზმელებით და, თუ დადგა „იქსი“ საათი, ისინი ჩაერვიან, მაგრამ ესეც ძვირად დაუჯდება რუსეთს.

**– სხვათა შორის, ანდრეი ეფიცანცევმა იწინასწარმეტყველა, რომ პარტია „რეგიონებიდან“ დაიწყებოდა წევრთა გადინება და მართლაც ასე მოხდა.**

– დიახ, უკვე დაიწყო ეს პროცესი. თვითონ აღმოსავლეთ უკრაინაშიც კი უკრაინული მოსახლეობა ორჯერ მეტია, ვიდრე რუსული, ეთნიკური რუსები სჭარბობენ ყირიმში, სევასტოპოლში, სიმფეროპოლში...

**– ყირიმი არის ის, რაც ჰაერივით სჭირდება რუსეთის შავი ზღვის ფლოტს.**

– ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ ყირიმი გამოეყოფა უკრაინას, სევასტოპოლს მაშინვე საჩუქრად გადასცემს რუსეთს. აქ უკვე წამყვან მოთამაშედ გამოდის ევროპა.

**– თუმცა პასიურია მაინც.**

– თანდათანობით აქტიურდება, ევროჩინოვნიკები შოკში იყვნენ იანუკოვიჩის მოქმედებით, როდესაც მან ხელმოწერამდე ერთი კვირით ადრე თქვა უარი ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე. ამით ისარგებლა ალიევმა და, როგორც იტყვიან, „პოდ შუმოკ“ მანაც უარი თქვა და ეს ხახვივით შერჩა.

**– ალიევს იანუკოვიჩივით მკვეთრად არ უთქვამს. მან განაცხადა, არც საბაჟო კავშირში მინდა გაწევრიანება და არც ევროკავშირის ასოცირებული წევრობა, მაგრამ ორივესთან ვითანამშრომლებო.**

– არ გამოვა, ხელი მოაწერო ევროკავშირთან ასოცირებას და აქვე, გიუმრიში, რუსეთის ბაზა გქონდეს, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა. დღესაც მიმდინარეობს უკრაინაში ადმინისტრაციული შენობების დაკავება, რაც იმ ძალის დემონსტრირებაა, მომიტინგეების უკან რომ დგას. მაგრამ, მეორე მხრივ, ევროპა ცოტა წარბებს იჭმუხნის, რადგან ეს ევროპელებისთვის მაინცდამაინც მისაღები ფორმა არ არის. იანუკოვიჩი თითქოს დათმობაზე წავიდა და მთავრობის დაკოპლექტება შესთავაზა ოპოზიციის ლიდერებს, მათაც კინაღამ სულმა წასძლიათ, მაგრამ ვერ დათანხმდნენ, იმიტომ რომ, მომიტინგეებში ეს აღშფოთებას გამოიწვევდა და ის სამეული დარჩებოდა არმიის გარეშე. მხარეების შერიგება უკვე შეუძლებელია და პროცესი მიდის გამძაფრებისკენ. ითხოვენ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს. მაგრამ წარმოუდგენელია, რუსეთმა უბრძოლველად დათმოს.

**– ბუნებრივია, თუ უკრაინა არ ეყოლა საბაჟო კავშირში, ყაზახეთით და სომხეთით შორს ვერ წავა.**

– თუ უკრაინა ვერ შეათრია საბაჟო კავშირში და შემდეგ – ევრაზიის კავშირში, მოკვდება საბაჟო კავშირისა და ევრაზიის კავშირის იდეა. მით უმეტეს, როგორც ჩანს, ნაზარბაევი მთლად აღფრთოვანებული არც არის ევრაზიის კავშირის კონსტიტუციით. კონსტიტუციის თავისი ვარიანტი შეიმუშავა და აშკარაა, ყაზახეთის სუვერენიტეტის ერთ ციცქნასაც არ დაუთმობს რუსეთს. თუ უკრაინა მაინც შევიდა საბაჟო კავშირში, უკრაინაში სულ სხვა რეალობა დატრიალდება. დასავლეთ უკრაინელები, განსაკუთრებით, ხოხოლები, ძალიან ჯიუტი ხალხია, ისინი ტარას ბულბას შთამომავლები არიან, ნამდვილი და

> **პუტინი, ეჭვი არ მეპარება, ორ აგურს ირტყამს თავში და იმ დღეს სწყევლის, როდესაც ასეულობით მილიონი დოლარი დახარჯა, რომ ოლიმპიადა სოჭში ჩატარებულიყო, მაგრამ ახლა ხელფეხშეკრულია**

არა დეკორაციული კაზაკების. აი, ახლა იკვრება კვანძი და ოლიმპიადის შემდეგ გამოჩნდება, ეს გორდიას კვანძი ალექსანდრე დიდის ხმლით გაიჭრება თუ ნელ-ნელა გაიხსნება. ამიტომ ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია. ახლა იწყება პროცესი და ბევრ რამეზეა მისი განვითარება დამოკიდებული. მათ შორის, იმაზე, ეყოფა თუ არა იანუკოვიჩს ნერვები, რომ არ გადადგეს და იმოქმედოს პრინციპით, რაც გინდა დაემართოს უკრაინას, ოღონდ მე შევინარჩუნო სკამი.

**– რაც შევარდნაძემ არ გააკეთა.**

– მას ეყო ნერვები და კიდევ სხვა ფაქტორებმაც იმუშავა. მათ შორის, კომუნისტურმა ჩვევამ, რომ ვიღაცას უნდა ემსახურო. მას ტყუილად კი არ შეარქვეს „თეთრი მელა“ , იცოდა, რა ძალა იდგა სააკაშვილის უკან და ამიტომ...

**– საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო?**

– დიახ, თუმცა მოატყუეს, რაღაცეებს შეჰპირდნენ და არაფერი მისცეს, ამიტომ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს წინ.

**– თითქოს საქართველოში მოვლენათა შესაძლო განვითარების სცენარს ვუყურებთ უკრაინის სახით. ოლიმპიადის შემდეგ ისინი ეყოლება მისახედი რუსეთს, მაგრამ შემდეგ რის მოსწრებას მოახერხებს ჩვენთან ვითარების ასარევად?**

– წინ მთელი ზაფხულია. მაგრამ ჩემთვის საგანგაშოა, ისე არ მოხდეს, საიდანაც არ ველით, იქიდან დაგვიდონ კვანტი.

**– რას გულისხმობთ?**

– დამაფიქრებელია ფილიპ ლეფორის განცხადება, რომელიც მან ცხინვალში გააკეთა, რომ ოსები უკვე დამოუკიდებლები არიან, შემდეგ იყო აფხაზეთში და მათგან მიიღო მადლობები. დამაფიქრებელია, რადგან ვერავინ დამაჯერებს, რომ ლეფორი უცებ უმართავი გახდა და საკუთარ აზრს, როგორც უნდა, ისე გამოთქვამს. რასაკვირველია, ლეფორის უკან ევროჩინოვნიკთა გავლენიანი ძალები დგას.

**– ექვობთ, რომ შესაძლოა, ევროპამ აღიაროს ჩვენი სეპარატისტული რეგიონები?**

– არა, მაგრამ შესაძლოა, ევროპელებმა რბილად გამოიყენონ ძალა, რომ გვაღიარებინონ.

**– ევროკავშირში მიღების სანაცვლოდ?**

– დიახ. ევროპელებისთვის მთავარია, იყოს ერთი კონფლიქტით ნაკლები, ამიტომ თუ საქართველოში მოვა რომელიმე მთავრობა, რომელსაც ღმერთი გაუწყრება და აღიარებს, პირველი ტაშის დამკვრელი იქნება ბრიუსელი და ვაშინგტონი და საჩუქრებსაც მიიღებს საქართველო, ოღონდ კონფლიქტი აღარ იყოს. იმასაც არ იდარდებენ, რომ იმ შემთხვევაში, რუსეთის ბაზები აქ სამუდამოდ დარჩება. მე ისიც მადარდებს, რომ ქართული დიპლომატია სათანადო დონეზე არ იჩენს პრინციპულობას. არა ლეფორის, არამედ ლეფორის უფროსებთან უნდა დააყენოს დიპლომატიური არხებით საკითხი ქართულმა დიპლომატიამ და უნდა მოხდეს არა მხოლოდ ლეფორის ამ განცხადების, არამედ, საერთოდ, ლეფორის მოღვაწეობის დეზავუირება. ვინაიდან ლეფორი მიდის, მის ადგილას მოვა ახალი და იმ ახლისთვის გაკვეთილი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია, რათა სიზმარშიც ვერ წარმოიდგინოს, რომ შესაძლებელია, ოსებს უთხრას, დამოუკიდებლები ხართო და მადლობას უხდიდნენ სოხუმსა და ცხინვალში. სოხუმში და ცხინვალში მადლობა უნდა გადაუხადონ რუსებს, ჩვენს მტრებს, მაგრამ არა ჩვენს მეგობრებს. როდესაც ჩვენს მეგობარს უხდიან მადლობას, ეს დამაფიქრებელია ჩვენთვის.

**ნინო ხაჩიძე**


თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

## შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი“

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**

**მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი“ 2 364485, www.cancer.ge**

**თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ სერბეთი დაიყო და მისი ნაწილი – კოსოვო – აწ უკვე ევროკავშირის ქვეყნების მიერ აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მაგრამ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არც თავად ევროკავშირია დაზღვეული სეპარატისტული ვნებათაღელვისგან. ეს პრობლემა თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანას აწუხებს, თუმცა, ყველაზე მკაფიოდ ის დიდ ბრიტანეთსა და ესპანეთშია წარმოდგენილი: იქით – შოტლანდია, აქეთ – ბასკეთი და კატალონია ითხოვენ დამოუკიდებლობას. დაშლის თუ არა სეპარატიზმი ევროკავშირის ქვეყნებს და რა გაკვეთილის მიღება შეუძლია აქედან საქართველოს? – თემას „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან ერთად განვიხილავთ.**

# როგორ გაყიდა რუსეთმა მილოშევიჩი, რატომ დანაწევრდა ერთი სლავი ერი რამდენიმე სხვადასხვა ეთნოსად და რატომ გაღვივდა თავიდან სვანებისა და მეგრელების „არაქართველობის“ იდეა

**– სეპარატიზმის პრობლემა ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანას აწუხებს მეტნაკლებად, თუმცა, მაინც დაუჭირეს მხარი სერბეთის დანაწევრებას. რისი იმედით?**

– არსებობს ამ პრობლემის შექმნის ბუნებრივი საფუძველი და ხელოვნურად შექმნილი ბარიერები, რომლებიც წარმოიქმნა ან მეორე მსოფლიო ომის, ან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და, ეს საკითხები უნდა განვასხვაოთ ერთმანეთისგან. იმავე ბრიტანეთში ინგლის-შოტლანდიის დაპირისპირებას ათასწლოვანი ისტორია აქვს და, შესაბამისად, იმას, რაც დღეს იქ ხდება, ისეთი მაღალი დონის ავტონომიურობაა, რომ სეპარატიზმს ვერ დავარქმევთ.

ასევე, ხანგრძლივი ისტორია აქვს ესპანეთში არსებულ დაპირისპირებასაც. ესპანეთის რეგიონები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები. უფრო მეტიც, მთელი საუკუნეების განმავლობაში მათ შორის მიდიოდა დაუფარავი ბრძოლა. მაგრამ, ჩვენთვის საინტერესოა ის მომენტი, რომ, რაც უნდა შეფუთონ რეგიონალიზმი, ეს მაინც საფრთხის შემცველია და, ესპანეთის მაგალითმა, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა დააფიქროს საქართველოში ადამიანების ის ნაწილი, რომლებიც რეგიონალიზმს უჭერენ მხარს.

**– შევახსენოთ მკითხველს: ესპანეთის რეგიონებს, რომლებსაც დამოუკიდებლობა უნდათ, აქვთ საკანონმდებლო ორგანოები, თავიანთი ბიუჯეტი და ასე შემდეგ.**

– რა თქმა უნდა. მეტიც, თუკი ბასკებსა და კატალონიელებს თავი სხვა ეროვნებებად მიაჩნიათ, პრობლემა შეიქმნა მათ შორისაც, ვინც თავს ესპანელად მიიჩნევს. როდესაც უფლებამოსილებებზე მიდგა საქმე, ეროვნება არაფერ შუაში აღარ არის სეპარატიზმთან. ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორი გახდა ეკონომიკა. როდესაც ბასკეთში შემოსავლების დიდი ნაწილი დაუტოვეს ბასკეთს და ბასკეთი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული მხარეა ესპანეთში, ისევე, როგორც კატალონია, ანდალუზიამაც მოითხოვა, ჩემს ხარჯზე რატომ უნდა გამდიდრდეს სხვა, მეც მინდა ფული. ანუ, ფული და კარგი ცხოვრება გახდა სეპარატიზმის საფუძველი ესპანეთში.



**საფრანგეთი, მაგალითად, საერთოდ არ აღიარებს უმცირესობებს. იყო ასეთი შემთხვევა: როდესაც ვიცავდით ჩვენს ინტერესებს, გვითხრეს, რადგან აღიარეთ უმცირესობა, კეთილი ინებეთ და დაიცავით მათი უფლებებიო**

სეპარატიზმის მესამე კატეგორიას მიეკუთვნება სერბეთის მაგალითი, როდესაც მათ თავის დროზე რუსეთის შეჩიჩხინებით ანტიდასავლური პოზიცია დაიკავეს. მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი სერბეთს ყველანაირ პირობას უქმნიდა, ოღონდ ამ დაპირისპირებაში რუსეთის მხარეზე არ ყოფილიყო, სერბეთმა არ მიიღო ეს შეთავაზებები: გავლენას ჰპირდებოდნენ ბოსნია-ჰერცოგოვინაზე, საერთოდ არ იდგა კოსოვოს გამოყოფის საკითხი, მონტენეგროზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო; ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა მხოლოდ და მხოლოდ ხორვატიის გამოყოფას.

**– და, შეიძლებოდა, ის სანაპირო ზოლი, რომელიც შემდეგ დაიბრუნეს ხორვატებმა, სერბეთისთვის დაეტოვებინათ.**

– რა თქმა უნდა, მაგრამ, მილოშევიჩი დაუპირისპირდა დასავლეთს და შემდეგ ის რუსებმა გაყიდეს.

**– მაინც ფიქრობთ, რომ სერბეთი რუსეთმა გაყიდა?**

– ამას რუსი პოლიტიკოსებიც აღიარებენ. რუსეთმა მიიღო საკმაოდ დიდი ტრანში და, ფაქტობრივად, დასავლეთს მისცა უფლება, დაესაჯა მილოშევიჩი. მაგრამ, ბუნებრივია, მილოშევიჩის დასჯას მოჰყვა სერბი ხალხის დასჯა. სეპარატიზმის დანარჩენი გამოვლინებების დარეგულირება, რაც არის ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, მეტ-ნაკლებად შესაძლებელია უმცირესობის უფლებების დაცვით ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე. ევროკავშირი კი ისეთი ინტეგრაციის გზით მიდის ამჟამად, იმდენად წაშლილია საზღვრები ქვეყნებს შორის, რომ, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი უმცირესობა რომელ ქვეყანაში იცხოვრებს. ერთიანი საკანონმდებლო სივრცეა, ერთიანი ბაზარია, ერთიანი ვალუტაა, მთავარია, შეინარჩუნო შენი თვითმყოფადობა და უკვე დიდი მნიშვნელობა არ აქვს ამ დეზინტეგრაციულ პროცესებს ევროპისთვის. მით უმეტეს, რომ ამის უკან არ დგას გარე ძალები, მაგრამ, საქართველოს შემთხვევა სულ სხვაა.

**– სანამ საქართველოზე გადმოვინაცვლებთ. დასავლეთმა კოსოვო გამოაცალა სერბეთს, რითაც შექმნა პრეცედენტი, რის საპასუხოდ რუსეთმა ჩვენი სეპარატისტული რეგიონები აღიარა, რაზეც დასავლეთი შეშფოთებულია; ყარაბაღში ევროპელებს არ უშვებენ, მაგრამ, იმავე ესპანეთთან მიმართებაში, რა ბერკეტები აქვთ, რომ არ დაიშალოს ესპანეთი, თუ, გამორიცხულია იმ ტიპის დაპირისპირება, როგორიც უკრაინაშია?**

– გამოირიცხება, იმიტომ რომ, ეს არც კატალონიას აძლევს ხელს და არც მადრიდს. იქნება სამართლებრივი დავა პარლამენტში, სასამართლოში. პროცესი დროში გაიწელება და, საბოლოოდ, იმ კონდიციამდე მივა ევროპა, როდესაც აზრს დაკარგავს იმავე მადრიდის მიერ კატალონიის ესპანეთში დარჩენის მოთხოვნა. სულერთი გახდება დარჩენაც და გამოყოფაც. იმდენად გაიზარდა ცხოვრების დონე ევროპაში, რომ, იმის გამო, გამოეყოს თუ არა კატალონია ესპანეთს, დისკომფორტს არ შეიქმნის არც ერთი მხარე. იქ არ იქნება ომი და დაპირისპირება, საკითხები გადაიჭრება ცივილიზებულად. მაგალითად, კანადასა და ავსტრალიაში რეფერენდუმებით გადაწყვიტა მოსახლეობამ, რომ ნომინალურად ბრიტანეთის დედოფალი ყოფილიყო ამ სახელმწიფოების მეთაური. ისეთ დონეზეა მათი განვითარება, რომ ასეთი რამ დისკომფორტს არ უქმნით. წარმოგიდგენიათ, რომ ჩვენს ხელმძღვანელად რომელიღაც სხვა ქვეყნის მეფე ვაღიაროთ?! ამიტომ, იქ სეპარატიზმის თემა ფორმალურია: სად უნდა წავიდეს შოტლანდია?! ბრიტანეთში ცხოვრების დონე ევროკავშირზეც კი მაღალია. უბრალოდ, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა უნდათ, ამდენად, იქ განსაკუთრებული არაფერი მოხდება.

პრობლემაა სერბეთის თემა, როდესაც ერთმანეთს ეჯახება ცივილიზაციები, პოლიტიკური კონიუნქტურები. პრობლემაა ბალკანეთის დანარჩენი ტერიტორია, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პროცესები, რადგან, ისინი ხელოვნურად განხორციელდა, შემოიხაზეს დასავლეთმა და სტალინმა: ეს ჩემია, ეს შენია.

**– და შუაში ჩაიწყვეს ბუფერები.**

– ბუფერები და ნაღმები. ჩვენ მათი ეს გამოცდილება გვიჭირდება ჩვენი პრობლემების მოსაგვარებლად, რომ არ დავაბიჯოთ ფეხი იმ ნაღმებს და არ ავფეთქდეთ, რათა, როდესაც ევროკავშირის ზონა გადმოიწევს საქართველოში, არ აღმოჩნდეს ისე, რომ სეპარატიზმი სერიოზულ პრობლემად გვექცეს სამართლებრივადაც და რეალურადაც. არ არის გამორიცხული, რომ, არ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც კატალონიისა და ანდალუზიის მსგავსად არ იმოქმედებენ.

**– უკვე გამოჩნდა, მაგალითად, იურა ღვინჯილია, რომელმაც პირადად მე მითხრა, რომ ვარ სამეგრელოს დამპყრობელი ქართველი და მეგრელებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება.**

– ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს პროცესი სამ საუკუნეს მოითვლის?! მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე და დაიწყო ეროვნული სახლმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი მთელ მსოფლიოში, ჩვენთანაც დაიწყო ჩვენს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებთა სხვადასხვა ეთნოსად წარმოჩენის მცდელობა. ჩვენ ვისაუბრეთ იუგოსლავიაზე: ზუსტად იმ პერიოდში დაიწყო ის პროცესები იქ, რაც დაიწყეს საქართველოში და იქ მოხერხდა ერთი სლავი ერის სხვადასხვა ეთნოსად ჩამოყალიბება. იმის გამო, რომ სხვადასხვა პოლიტიკურ და რელიგიურ სისტემაში მოხვდა, ხორვატი სხვად ჩამოყალიბდა, სერბი – სხვად, ბოსნიელი – სხვად. ქართული გენეტიკა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ძვრა ვერ უყვეს, თორემ, 300 წელია, მეგრელებსა და სვანებს ეუბნებიან, ქართველები არ ხართო. აჭარა 300 წელი იყო თურქეთის შემადგენლობაში, მაგრამ, ძალიან სწრაფად და ბუნებრივად დაუბრუნდა თავის დედასამშობლოს. ანუ, საქართველოში ამან შედეგი ვერ მოიტანა. მეტიც, დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოც კი ქართული სახელმწიფოებრიობის მატარებელი იყო. არ არსებობს ფაქტი, როდესაც რომელიმე ამ სამეფო-სამთავროს ეთქვას, რომ ის ქართული არ არის. თვით ლევან მეორე დადიანი, რომელმაც ქუთაისი აიღო და გელათი ააოხრა, პრეტენზიას აცხადებდა, რომ ყველაზე კარგი ქართული სახელმწიფო ჰქონდა და თავის წერილებს ასე აწერდა: „იზ სტრანი ივერიი“. აფხაზეთს არასდროს მიუღწევია იმ ნიშნულამდე, რომ ის ოდესმე ყოფილიყო არაქართული სახელმწიფო. ის მოწყვეტილი იყო საქართველოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ოკუპანტი ქვეყნის ჯარები იდგა იმ ტერიტორიაზე.

**– მეორე მხრივ, გაჯერებულია ინტერნეტი რუსულენოვანი ინფორმაციით, რომელიც ამტკიცებს, რომ ქართველებს არაფერი ესაქმებოდათ აფხაზეთში, რომ ცხინვალის რეგიონი – ეს არის ოსების ძირძველი მიწა და ამ საინფორმაციო ველში იზრდებიან მათი თაობები.**

– არ აქვს მნიშვნელობა, რას გააკეთებენ ისინი შიდა მოხმარებისთვის. მათმა ელიტამ კარგად იცის, რაც არის რეალურად. პრობლემა ჩვენშია: იმის ნაცვლად, რომ მსოფლიოს აფხაზეთსა და ცხინვალზე ველაპარაკებოდეთ, საქართველოს რეგიონებად დანაწევრებას ვთავაზობთ. პრობლემა ჩვენშია, როდესაც ვცდილობთ რეგიონული ენების ქარტიის აქტუალიზაციას.

# რა შემოსავალი მოუტანა არასამთავრობო სექტორში საქმიანობამ პაატა ზაქარეიშვილის პირველ მოადგილეს, ქეთევან ციხელაშვილს

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი 1978 წელსაა დაბადებული. განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო (დაამთავრა 1999 წელს) და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტია. 1998-1999 წლებში გაიარა სამოქალაქო განათლების პროექტის (CEP) კურსები. 2000 წელს ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში მოუპოვებია საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კვლევების მაგისტრის ხარისხი. მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ „2006 წლიდან ქ-ნი ქეთევან ციხელაშვილი არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი“.

მისი სამუშაო ბიოგრაფია 1996 წელს იწყება გაეროს ახალგაზრდული ორგანიზაციის საქართველოს განყოფილების პროექტების ასისტენტად. 1998-1999 წლებში კი უკვე საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. იმავდროულად, 1998 წელს იყო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო ორგანიზაციის დირექტორის თანაშემწე. 2000-2001 წლებში იყო რედაქტორის თანაშემწე ელექტრონულ ჟურნალ Transition Online-ში. 2002 წელს კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის პროგრამის მენეჯერად დაინიშნა და 2004 წლამდე იმავე ორგანიზაციაში უფროს ანალიტიკოსადაც დაწინაურდა. 2001-2002 წლებში იყო ჰამბურგის უნივერსიტეტის ეუთოს კვლევის ცენტრის მკვლევარი. 2002 წელს – „ნატოს“ საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკისა და თავდაცვის სამმართველოს მკვლევარი-თანაშემწე. 2004-2006 წლებში მუშაობდა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში სახელმწიფო მინისტრის თანაშემწედ და საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროს სპეციალისტად, ხოლო 2007-2009 წლებში – ევროპის სტაბილურობის ინიციატივის ანალიტიკოსია საქართველოში. 2008 წლიდან დღემდე ილიას უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს ევროპათმცოდნეობაში. 2006 წლის დეკემბრიდან 2012 წლის ოქტომბრამდე ლიბერალური აკადემია „თბილისის” დირექტორის თანამდებობა ეკავა. 2012 წლის იანვარში აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარედ დაინიშნა, სადაც 2012 წლის ოქტომბრამდე იმუშავა. მას შემდეგ სახმინისტრის პირველი მოადგილეა. საჯარო სამსახურის ბიუროს საიტზე ქეთევან ციხელაშვილის სულ ორი დეკლარაცია იძებნება. პირველი მან 2012 წლის დეკემბერში შეავსო, როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პირველმა მოადგილემ (ეს ამ უწყების ადრინდელი სახელწოდებაა). ოჯახის წევრად მიუთითა და – 1980 წელს დაბადებული ანა ციხელაშვილი.



უძრავ-მოძრავ ქონებას მხოლოდ ქეთევან ციხელაშვილი ფლობს: მისი საკუთრებაა საცხოვრებელი ბინა თბილისში, საირმის ქუჩაზე (77 კვადრატული მეტრი ფართობის); საცხოვრებელი სახლი ქუთაისში, ფარნავაზ მეფის გამზირზე (222 კვადრატული მეტრი ფართობის), იმავე მისამართზე მდებარე მიწის ნაკვეთი (452 კვადრატული მეტრი ფართობის) და 16-პროცენტიანი წილი მიწის ნაკვეთისა თბილისში, საირმის ქუჩაზე (მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია 570 კვადრატული მეტრი). ასევე, ჰყავს 2008 წლის მსუბუქი ავტომანქანა Hyundai Tucson.

ქეთევან ციხელაშვილს „თი ბი სი ბანკში“ გახსნილ ორ ანაბარზე, შესაბამისად, ერიცხება: 4 402 ლარი და 65 825 აშშ დოლარი.

2011 წლის განმავლობაში ქეთევან ციხელაშვილმა, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვეულმა ლექტორმა 1 050 ლარი აიღო, როგორც ლიბერალური აკადემიის დირექტორმა კი – 53 553 ლარი. ამავე აკადემიაში მუშაობდა ანა ციხელაშვილიც, რომლის წლიურმა ხელფასმაც ადმინისტრაციული მენეჯერის თანამდებობაზე 21 984 ლარი შეადგინა.

2013 წელს შევსებულ დეკლარაციაში ქონების ოდენობა უცვლელია, ანაბრებზე რიცხულმა თანხამ მოიმატა, სავარაუდოდ, პროცენტის შესაბამისად. რაც შეეხება შემოსავლებს: 2012 წლის განმავლობაში ქეთევან ციხელაშვილმა, როგორც ლიბერალური აკადემიის დირექტორმა 10 თვის განმავლობაში 38 485 ლარი აიღო, ხოლო, როგორც სახმინისტრის პირველმა მოადგილემ, ორ თვეში, 12 120 ლარი. ანა ციხელაშვილს სამუშაო ადგილი არ გამოუცვლია და მის წლიურ ანაზღაურებას 14 688 ლარი შეუდგენია.

**ნინო ხაჩიძე**

---

ეს ძალიან კარგი ქარტიაა და ევროსაბჭომ ის შეიმუშავა, რომ გადაერჩინათ გაქრობის პირას მყოფი ეთნოსების ენები და არა იმისთვის, რომ გადაერჩინათ ენები, რომლებსაც სახელმწიფო ენების სტატუსი აქვთ სადღაც, გვერდით სახელმწიფოში. ჩვენთან კი ხელოვნურად იქმნება ეს პრობლემა.

**– როგორც ვიცი, სახელმწიფო თვითონ ადგენს, რომელი ენა უნდა იყოს რეგიონული და, ჩვენს შემთხვევაში, ეს, შეიძლება, იყოს ქურთული.**

– რა თქმა უნდა. საფრანგეთი, მაგალითად, საერთოდ არ აღიარებს უმცირესობებს.

**– ჩვენ რომ ისე გავაპროტესტოთ ერთსქესიანი ქორწინებები, როგორც ფრანგები აპროტესტებენ, მარსზე გაგვასახლებენ.**

– დიახ. იყო ასეთი შემთხვევა: როდესაც ვიცავდით ჩვენს ინტერესებს, გვითხრეს, რადგან აღიარეთ უმცირესობა, კეთილი ინებეთ და დაიცავით მათი უფლებებიო. ესე იგი, ჩვენ თვითონ ვქმნით პრობლემებს. ვამბობთ, საქართველოში ამდენი და ამდენი უმცირესობაა. არა, ბატონო, საქართველოში ერთადერთი უმცირესობა არის აფხაზები, დანარჩენი ყველა არის დიასპორა, დიასპორას პატივი უნდა ვცეთ და შევუქმნათ განვითარების საშუალება. ან, რატომ ვერ ამოვარდა ჩვენი პოლიტიკური ელიტის ლექსიკიდან ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“?!

**– ბუნებრივად დგება საკითხი: თუ ოსეთია, რა ესაქმება მაშინ საქართველოში.**

– დაერქმევა ოსეთი?! ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ ეს ეთნიკური ოსის მიერ ათვისებული ტერიტორიაა და მათ ეკუთვნით. საოკუპაციო ზოლი რომ გამყოფ ზოლად შეცვალეს, მოტივით, ტერმინებს მნიშვნელობა არ აქვსო, თუ ტერმინებს მნიშვნელობა არ აქვს, რატომ ცვლიან?! სახელწოდება – შერიგებისა და მოქალაქეთა თანასწორობის სამინისტრო – რას მიუთითებს? ისეთი მდგომარეობაა საქართველოში, იმდენად ველურ ხალხთან გვაქვს საქმე, რომ თანასწორობის სამინისტრო სჭირდება ამის გამოსწორებას?! ეს ყოველივე გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებას თვითონ არ აქვს გარკვეული, რა უნდა. ერთი მაგალითი მინდა, გავიხსენო: როდესაც საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების საკითხი დადგა, რადგან შევარდნაძე-ჟვანიას ჰქონდათ სურვილი, სომხეთსა და აზერბაიჯანზე ადრე შესულიყვნენ ევროსაბჭოში და პირველად – ამიერკავკასიაში, სერიოზულად არ იმუშავეს დოკუმენტზე და აიღეს ვალდებულება თურქი მესხების საქართველოში ჩამოსახლების შესახებ. როდესაც პარლამენტში მოვიდა სარატიფიკაციო დოკუმენტი, ან ამ მუხლით უნდა გაგვეკეთებინა რატიფიცირება, ან უარი უნდა გვეთქვა საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებაზე. არადა, რამდენიმე თვეში სომხეთიც გაწევრიანდა ევროსაბჭოში, მაგრამ, ეს ვალდებულება არ აუღია. ამჟამად პარაფირებულია ევროკავშირთან ასოცირების დოკუმენტი და ჩვენ არ ვიცით, რა წერია მასში. ვიცნობ რა ამ ხელისუფლებების შინაგან ბუნებას, მაქვს გონივრული ეჭვი, რომ მსგავსი ნაღმები, შეიძლება, იყოს ამ დოკუმენტში. რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, თარგმნა?! ყველაზე დიდი, 10 000 ლარია საჭირო, რომ დაინტერესებულმა ადამიანებმა წაიკითხონ ოფიციალური თარგმანი.

**– ტალიავინის კომისიამ დასკვნა 2009 წლის ბოლოს გამოაქვეყნა, მაგრამ, თარგმანს ახლა აკეთებენ.**

– სწორედ ეს არის პრობლემა. რატომ გვიმალავენ, რას მოეწერა ხელი ვილნიუსში და, ხომ არ არის ისეთი პუნქტები, რომლებიც პრობლემას შექმნის?! ხომ არ აიღეს რამე ზედმეტი ვალდებულება?! მით უმეტეს, რომ გვაქვს უკრაინის მწარე გამოცდილება – ხელმოწერამდე ერთი კვირით ადრე ატყდა ალიაქოთი. ერთი კვირით ადრე განაცხადა იანუკოვიჩმა, რომ ხელს ვერ მოაწერდა, რადგან იქ საშიში მუხლები იყო ჩადებული. რატომ ჩადო?! მეშინია, არ განმეორდეს საქართველოში ეს ისტორია და კვლავ არ დაიწყოს საუბარი იმაზე, რომ გვთხოვენ აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის, ერთსქესიანი ქორწინების აღიარებას, რასაც არავინ ითხოვს ჩვენგან, თუ ჩვენ თვითონ არ შევთავაზეთ და, თუ შევთავაზებთ, რატომ არ ჩაგვიწერენ?! სწორედ ამიტომ არის საფრთხის შემცველი, თუნდაც, აი, ეს რეგიონალიზმის კანონი. შემოდის ტერმინი – „სამხარეო საბჭო.” ხომ წარმოგიდგენიათ, გურიის სამხარეო საბჭოში რა ინტერესები შეიძლება, დადგეს? ან ჯავახეთის სამხარეო საბჭოში?!

**– მეტსაც გეტყვით: გურიის სამხარეო საბჭოში, შესაძლოა, უფრო მეტი ინტერესი დადგეს, ვიდრე ჯავახეთის სამხარეო საბჭოში.**

– საქმეც ესაა. გამოჩნდება ვინმე მხნე ვაჟკაცი, რომელიც გურულთა ინტერესების დაცვაში მოითხოვს რიონამდე ტერიტორიას. ჭკუანაკლულებს რა დალევს?! ვიღაც სხვა სხვა რამეს მოითხოვს. ეს საფრთხეები მოდის ხელისუფლებისგან: არ ვიცით, რა წერია პარაფირებულ დოკუმენტში; არ ვიცით, რა შედეგი შეიძლება, მოიტანოს სამხარეო ცენტრების შექმნამ. არ ვიცით, რა პერსპექტივა გვაქვს და როგორ წარმოგვიდგენია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს საშუალებას აძლევს მოწინააღმდეგეს, რომ სხვადასხვა მანიპულაციით ანტიქართული საქმეების განვითარებას შეუწყოს ხელი.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

დარეკვა შეგიძლიათ ნებისმიერი ქსელიდან



ზარი ფასიანია

# რა 10 სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება ექნებათ, ახალი კანონპროექტით, ხელბორკილის, დამაწყნარებელი პერანგისა და ცეცხლსასროლი იარაღის გარდა, პატიმრების მიმართ

*22 იანვარს საქართველოს პარლამენტში განსახილველად კანონპროექტი შევიდა, რომლის ავტორიც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროა და, ამდენად, მიზნად ისახავს ცვლილებების შეტანას პატიმრობის კოდექსში. ცვლილებები არცთუ მცირეა, თუმცა, საზოგადოების ვნებათაღელვა კანონპროექტის იმ ნაწილმა გამოიწვია, რომელიც პატიმრების მიმართ გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების რაოდენობას ზრდის; მეორე მხრივ, ცვლილებების პაკეტი საკმაოდ მოცულობითია და ის, მათ შორის, ეხება პატიმრების პირობების გაუმჯობესებას.*

*ასე, მაგალითად, „საცხოვრებელი ფართობის ნორმა ერთ მსჯავრდებულზე ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვადრატულ მეტრზე ნაკლები. ერთ ბრალდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა პატიმრობის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 3 კვადრატულ მეტრზე ნაკლები. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. აგრეთვე, უნდა იყოს უზრუნველყოფილი გათბობით და ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციით.“*



**ბრალდებულის/ მსჯავრდებულის საცხოვრებელი უნდა იყოს უზრუნველყოფილი გათბობით და ბუნებრივი ან ხელოვნური ვენტილაციით**

*„ადმინისტრაციას ეკრძალება, შეაჩეროს ან შეამოწმოს კორესპონდენცია, რომლის ადრესტი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, დამცველი, პროკურორი.“*

*ფართოვდება იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებთან შეხვედრის უფლებაც ენიჭება მსჯავრდებულს ან ბრალდებულს წერილობითი თხოვნის საფუძველზე. ასევე, დეპარტამენტის თავმჯდომარის თანხმობით, შეიძლება, ხანმოკლე პაემანი მიეცეს იმ პირებთანაც, რომლებიც არ არიან ნახსენებნი ჩამონათვალში.*

*„ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს პრესის გაცნობისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების შესაძლებლობა. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, როგორც წესი, ხდება რადიო და ტელეტრანსლაცია, გარდა რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა; ასევე, პატიმრებისთვის შესაძლებელია ინტერნეტით სარგებლობა.“*

*გარდა სამარტოო საკანში მოთავსებულისა, ბრალდებულს/მსჯავრდებულს, შესაძლებელია, მიეცეს რადიოტრანსლაციის მოსმენისა და ტელეტრანსლაციის ნახვის უფლება სამუშაოსგან თავისუფალ დროს. ადმინისტრაციის თანხმობით, შესაძლებელია, ჰქონდეს პირადი რადიომიმღები ან ტელევიზორი. ტექნიკა შეუძლია, შეიძინოს საკუთარი ხარჯით ან მიიღოს ამანათის სახით.*

*როგორც მოგახსენეთ, საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება სპეციალურ საშუალებათა ჩამონათვალის გაზრდამ მიიპყრო, ამ თემაზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პოზიციას საიას საპარლამენტო მდივანი* თათული თოდუა *გაგვაცნობს.*

**– როგორ აფასებთ ცვლილებების იმ ნაწილს, რომელიც პატიმრების მიმართ გამოსაყენებელი სპეციალური საშუალებების გამრავალფეროვნებას ეხება და აქამდე რა ტიპის და რამდენი სპეციალური საშუალების გამოყენება იყო დაშვებული კანონით?**

– სპეციალური საშულებების გამოყენება პენიტენციურ სისტემაში უსაფრთხოების ღონისძიებების ნაწილია, რომლებიც მიმართულია მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისკენ. პატიმრობის კოდექსის დღეს მოქმედი რედაქციით, მხოლოდ სამი საშუალების გამოყენებაა ნებადართული. ესენია: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი და ცეცხლსასროლი იარაღი. კანონპროექტით, მათი რაოდენობა 13-მდე იზრდება და ემატება: დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი. კანონპროექტის მიხედვით, თითოეული ამ საშუალების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში.

**– მკაფიოდაა განსაზღვრული კონკრეტული სიტუაციები, როდესაც ნებადართული იქნება ამ საშუალებების გამოყენება?**

– აღნიშნული შემთხვევები დიფერენცირებულია კონკრეტული სპეციალური საშუალების საშიშროების გათვალისწინებით. მაგალითად, სასამსახურო ძაღლის გამოყენება შესაძლებელია პატიმრის გაქცევისას, აკრძალული ნივთების აღმოსაჩენად, გაყვანა-გადაყვანისას და თავდასხმის მოსაგერიებლად. ცრემლსადენი გაზის, აკუსტიკური საშუალებისა და არალეტალური იარაღის გამოყენება შესაძლებელია პატიმრის მიერ გარშემო მყოფთა მიმართ, დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად, წესრიგის მასობრივი არეულობის, ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად, იმ დაკავებული ობიექტის დატოვების მიზნით, სადაც თავს აფარებს პატიმარი.

**ქალებთან და არასრულწლოვანებთან მიმართებაში არის დათქმები და მათ წინააღმდეგ ყველა სპეციალური საშუალების გამოყენება არ არის შესაძლებელი**

**– მინისტრმა სუბარმა ოპონენტებისთვის განმარტა, რომ სპეციალურ საშუალებათა ეს კონკრეტული ჩამონათვალი მათ აიღეს ევროკავშირის ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობისგან, ანუ, ევროკავშირის ნორმებთან წინააღმდეგობაში არ მოდის ეს ცვლილება?**

– სპეციალური საშუალებების წარმოდგენილი ჩამონათვალი არ მოდის წინააღმდეგობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან. ასეთი რეგულირება უცხო არ არის საქართველოს სინამდვილეშიც. მაგალითად, „პოლიციის შესახებ კანონით“ დღეს პოლიციისათვის უფრო მეტი სპეციალური საშუალებაა განსაზღვრული, ვიდრე ზემოთ მითითებული კანონპროექტი ითვალისწინებს პატიმრების მიმართ. ამდენად, თუკი საერთაშორისო სტანდარტებთან წინააღმდეგობა არ ფიქსირდება, სახელმწიფოს დისკრეციაა, განსაზღვროს, თუ რომელი ტიპის საშუალებები დასჭირდება ციხეში წარმოქმნილ სხვადასხვა კრიზისულ სიტუაციასთან გასამკლავებლად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული ჩამონათვალი სხვადასხვა სიტუაციის მიხედვით სპეციალურ საშუალებათა პროპორციული შერჩევის შესაძლებლობას იძლეოდეს და მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ძალის გადაჭარბებულად გამოყენების რისკი.

**– კონკრეტულად თქვენს ორგანიზაციას რა შენიშვნები აქვს ამ მიმართულებით?**

– საიას მოსაზრებით, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური საშუალებების ჩამონათვალის გვერდით, საკანონმდებლო დონეზე ჩაიდინოს გარანტიათა მთელი კომპლექსი, რათა პრაქტიკაში მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი მათი სწორი გამოყენება. ამ ეტაპზე ჩვენი ყურადღება სწორედ ამგვარი მექანიზმების შექმნისკენაა მიმართული. სპეციალური საშუალებების გამოყენება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, მართალია, არ მოდის წინააღმდეგობაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან, მაგრამ, ეს სტანდარტები აწესებს მთელ რიგ დათქმებსა და შეზღუდვებს, რასაც სპეციალური საშუალებების გამოყენება უნდა დაექვემდებაროს. ამ დროისათვის, კანონპროექტით გათვალისწინებულია გარკვეული სახის ბერკეტები თვითნებობისაგან დასაცავად, მაგრამ, საიას მოსაზრებით, აღნიშნული გარანტიები არ არის სრულყოფილი და საჭიროებს დახვეწას. კანონპროექტში, უკვე არსებულ მექანიზმებთან ერთად, რომლებიც მიზნად ისახავს სპეციალური საშუალებების ბოროტად და თვითნებურად გამოყენების პრევენციას, უნდა დაემატოს სხვა გარანტიებიც, კერძოდ, მნიშვნელოვანი და აუცილებელია, კანონში პირდაპირ მიეთითოს, რომ სპეციალური საშუალებების გამოყენება წინასწარ შეთანხმდეს მაღალი დონის პასუხისმგებელ პირებთან, სადაც ეს შესაძლებელია; მათ გამოყენებას წინ უძღოდეს პატიმართა გაფრთხილება მათი გამოყენების შესახებ; ნათლად უნდა განისაზღვროს, თუ ვინ არიან სპეციალური საშუალებების გამოყენებაზე უფლებამოსილი პირები; მნიშვნელოვანია, სპეციალური საშუალებების ზუსტი ტექნიკური მახასიათებლები წინასწარ იყოს განსაზღვრული მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტით; კანონპროექტის მიხედვით, სპეციალურ საშუალებებთან დაკავშირებული დამატების ამოქმედება მისი გამოქვეყნებისთანავეა გათვალისწინებული. მიგვაჩნია, რომ ამ მიდგომაზე უარი უნდა ითქვას. მნიშვნელოვანია, რომ მის ამოქმედებამდე, პირველ ყოვლისა, შემუშავდეს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები, მაგალითად, მინისტრის ბრძანება სპეციალურ საშუალებათა შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესისა და პირობების შესახებ, რომლის მისაღებადაც კანონის ამოქმედებიდან სამთვიანი ვადაა განსაზღვრული.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სპეციალურ საშუალებებთან დაკავშირებული ახალი ნორმების ამოქმედებამდე მაღალი ხარისხის ტრენინგები იქნეს უზრუნველყოფილი სისტემის თანამშრომლებისათვის, სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასჯელაღსრულების სისტემის პრობლემურობისა და წარსული გამოცდილების გათვალისწინ-

# ალექსიშვილის კლინიკა

## ხერხემლისა და სახსრების დაავადებების მკურნალობა უსწრაფესი ეფექტით

**ნერვის ანთება, რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, დისკოზი (დისკის თიაქარი) სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები), პოდაგრა, სქოლიოზი – აი, იმ დაავადებების არასრული სია, რომლებსაც ექიმი მანანა ალექსიშვილი უსწრაფესი ეფექტით მკურნალობს. მას მკურნალობის საკუთარი, უნიკალური მეთოდი აქვს, რომლითაც მინიმალურ ვადებში იღებს საოცარ შედეგს და უამრავ იმედგადაწურულ ავადმყოფს უბრუნებს სიცოცხლის ხალისს.**

**ციცო პატარია** *(54 წლის, მარტვილი, დიასახლისი).* **დიაგნოზი** – ეპიკონდილიტი: – ორი თვე მტკიოდა იდაყვის სახსარი. ხელის გამართვა და მოხრა მიჭირდა, ვერ ვმუშაობდი. არ ვიცი, როდის დამეწყო ეს ყველაფერი. ჩავიტარე მკურნალობა, წავისვი აფთიაქის მალამოები, მაგრამ, შედეგი არ მქონდა. ალექსიშვილის კლინიკაში ეს ტკივილები ორ დღეში მომეხსნა. შედეგით განცვიფრებული ვარ. დიდი მადლობა მანანა ექიმს!

**მურმან ბეჟუაშვილი** *(44 წლის, მძღოლი).* **დიაგნოზი** – დისკოგენური იშიორადიკულიტი: – დიდი ხანია, მძღოლად ვმუშაობ. სიმძიმეების აწევაც მიწევს, რის გამოც დამიზიანდა ხერხემალი. სულ მტკიოდა წელი, ტკივილი ფეხშიც კი გადასცემდა. შარშან წელის მეოთხე დისკის თიაქრის ოპერაცია გავიკეთე. ცოტა ხანი შეღავათი მქონდა, მაგრამ, მერე ისევ დამეწყო ტკივილები. ამ კლინიკის შესახებ ქართული გაზეთებიდან შევიტყვე, მოვაკითხე აქაურობას და, ისეთი შედეგები მივიღე, მე თვითონ გაოცებული ვარ. ერთ დღეში ვიგრძენი შეღავათი, ერთ კვირაში კი სრულიად მომეხსნა წელისა და ფეხის ტკივილი, ასევე, ფეხის დაბუჟებამაც გამიარა. გაიხარეთ, ჩემო ექიმებო! ღმერთმა დაგლოცოთ!



**ქეთევან დარასელია** *(39 წლის, რუსთავი).* **დიაგნოზი** – კისრის ოსტეოქონდროზი: – ძალიან დიდხანს მტკიოდა კისერი, მაგრამ, ყურადღებას არ ვაქცევდი. თავიდან თავისით გამივლიდა ხოლმე, მერე კი გამაყუჩებლები ჩავრთე ექიმის რჩევით. ბოლო პერიოდში ესეც აღარ მშველოდა, უფრო მეტიც, ტკივილმა მხარში და ხელში გადაინაცვლა. პიანისტი ვარ და მუშაობის გაგრძელება ველარ შევძელი. ქალბატონ მანანასთან მეზობელმა მომასწავლა – მას ძალიან დაეხმარა რთული დიაგნოზის დროს. ამ კლინიკაში მიღებული შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ტკივილი მეხუთე დღეს მომეხსნა, მკურნალობას კვლავ ვაგრძელებ და ჩემს საქმესაც დავუბრუნდი, ღმერთმა დაგლოცოთ, მანანა და სოსო ექიმო!

# ბუასილი მარტივად იკურნება

**ტრისტან მოდებაძე** *(52 წლის, თბილისი):* ჩემი დიაგნოზი არის ჰემოროიდული დაავადების მესამე ხარისხი, ანალური ნაპრალი. გადაწყვეტილი იყო ოპერაცია, როცა აქ მომასწავლეს. ვიფიქრე, მაინც ვცდი-მეთქი. ისე ყველაფერი კარგი აგიხდეთ: აღარც ტკივილი მაქვს, სისხლდენაც შეწყდა, დაპატარავდა კვანძები. კუჭის შეკრულობა მქონდა და ისიც მომიწესრიგდა. ოპერაციას ხომ, გადავურჩი და გადავურჩი. მადლობა ჩემს ექიმებს!

**მაკა შუბითიძე** *(38 წლის, თბილისი):* სამი თვის წინ, გრიპის გამო, საკმაოდ ბევრი ანტიბიოტიკი მივიღე, რამაც ამირია კუჭის მოქმედება. დამიდგინეს დისბაქტერიოზი. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია ბუასილი. აქ რომ მოვედი, მქონდა საშინელი ტკივილები, წვა, ქავილი, კვანძები. წავილე მალამოები და ძალიან კარგი შედეგი მივიღე პირველივე კურსზე – ტკივილიც მომეხსნა, ქავილიც, კვანძებმა მკვეთრად იკლო, კუჭის მოქმედებაც მომიწესრიგდა. ულრმესი მადლობა მანანა ექიმსა და მის ვაჟს – სოსო ექიმს. ღმერთმა გაგახაროთ!

***მისამართი: მეტრო „ნაძალადევთან“, ცოტნე დადიანის ქუჩა №87 (ყოფილი რკინიგზის პოლიკლინიკა); კაბინეტი №18; №19. მიღება 12-დან 17 საათამდე, წინასწარი ჩაწერით. ტელეფონები: 599-10-06-36; 599-57-16-99.***

**თამუნა ნიჟარაძე**

ებით, ახალი ნორმების შემოღებამ, შესაძლოა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სერიოზული რისკები შექმნას.

**– ისედაც დასაშვები ყოფილა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება განსაკუთრებულ შემთხვევებში პატიმრების მიმართ და ეს ნიშნავს ლეტალურ შედეგს დიდი ალბათობით. წიწაკის გაზი, ვითომ, უფრო მავნებელია, ვიდრე სიკვდილი?**

– ჩვენ ზოგადად არ ვაკრიტიკებთ სპეციალურ საშუალებათა ჩამონათვალის ასეთი სახით განსაზღვრას, ვინაიდან, ეს ჩამონათვალი არ მოიცავს არც ერთ ისეთ სპეციალურ საშუალებას, რაც აკრძალულია საერთაშორისო სტანდარტებით, თუმცა, გვაქვს მოსაზრებები მათი გამოყენების წესებთან დაკავშირებით, რათა ეს წესები დაზუსტდეს მაქსიმალურად, რომ მათი რეალურად გამოყენებისას ზიანი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. მეტიც, უკვე მოგახსენეთ, რომ ეს ჩამონათვალი ქართული რეალობისთვის არ არის უცხო და, პოლიციის შესახებ კანონით, უფრო მეტი სპეციალური საშუალებაა განსაზღვრული თვითონ პოლიციისთვის – პოლიციას აქვს უფლება, გამოიყენოს ასეთი ტიპის საშუალებები, როდესაც ამის აუცილებლობა დგება და სხვანაირად დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა არ არის შესაძლებელი. ჩვენი მოსაზრებით, ციხეში შესაძლებელია წარმოიქმნას სხვადასხვა კრიზისული სიტუაცია და სახელმწიფოს აქვს ჩარევის უფლება.

**– ხომ არის მითითებული, როდის და რა ვითარებაშია შესაძლებელი ამა თუ იმ სპეციალური საშუალების გამოყენება?**

– რა თქმა უნდა, მითითებულია კონკრეტული სიტუაციები, როდესაც შესაძლებელია სპეციალურ საშუალებათა გამოყენება, რომლებიც უნდა იყოს წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული, რომ მათი გამოყენება უნდა შეწყდეს საფრთხის აღმოფხვრისთანავე. ქალებთან და არასრულწლოვანებთან მიმართებაში არის დათქმები და მათ წინააღმდეგ ყველა სპეციალური საშუალების გამოყენება არ არის შესაძლებელი. ასევე, გათვალისწინებულია, რომ ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელობამ სამედიცინო პერსონალთან ერთად უნდა შეამოწმოს პატიმრები და შეადგინოს შესაბამისი აქტი მათთვის მიყენებული დაზიანების შესახებ; ასევე, აღმოუჩინოს შესაბამისი დახმარება და ასე შემდეგ. ასეთი დათქმები არის, თუმცა, მიგვაჩნია, რომ მათი გაძლიერება აუცილებელია.

**– ცვლილებები გულისხმობს პატიმრების პირობების გაუმჯობესებასაც: თითო მსჯავრდებულისთვის არანაკლებ 4 კვადრატული მეტრისა, თითო ბრალდებულისთვის – 3 კვადრატული მეტრი, ფანჯარა, ვენტილაცია, გათბობა.**

– ჯერ კანონპროქტი ბოლომდე არ შეგვისწავლია. რაც შეეხება კონკრეტულ შეკითხვას საცხოვრებელ ფართთან დაკავშირებით, მართლაც, განსაზღვრულია მსჯავრდებულისთვის არანაკლებ 4 კვადრატული მეტრი ფართობი, რასაც, დიდი ხანია, ვითხოვდით და კარგი ჩანაწერია, მაგრამ, ბრალდებულებთან მიმართებაში მხოლოდ 3 კვადრატული მეტრია მითითებული; ჩვენი მოთხოვნაა, გაიზარდოს 4 კვადრატულ მეტრამდე და, შესაბამისად, დაუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

**– არის ამის საშუალება? ანუ, ამდენი ფართობია ციხეში?**

– როდესაც სხვადასხვა უფლების საჭიროებაზე მივუთითებთ შესაბამის ორგანოებს, ძალიან ხშირად გვესმის პასუხად, რომ სახელმწიფოს ამის საშუალება ამ წუთას არ გააჩნია, თუმცა, ამას ჩვენ არ აღვიქვამთ ძალიან მნიშვნელოვან არგუმენტად, ვინაიდან, თუ სახელმწიფო აღიარებს, რომ ამ კონკრეტული მომენტისთვის მას არ შეუძლია ამ პირობების შექმნა, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული გეგმა, თუ რას გააკეთებს გრძელვადიან პერსპექტივაში საიმისოდ, რომ სიტუაცია გააუმჯობესოს და გამოასწოროს. არსებობს გარდამავალი დებულებების მექანიზმი, რომლებშიც შესაძლებელია იმის მითითება, რომ ეს კონკრეტული ნორმა ძალაში შევა რამდენიმე თვის თუ წლის შემდეგ, როდესაც სახელმწიფო მოსამზადებელ სამუშაოებს ჩაატარებს. ასეთი ტიპის ჩანაწერი არ არის კანონპროექტში, რაც არ მიგვაჩნია სწორ მიდგომად და, ვფიქრობთ, სახელმწიფომ თავისი დამოკიდებულება უნდა გამოხატოს, რომ იმუშავებს იმისთვის, რათა შესაბამისი ინფრასტრუქტურა გამართოს.

**– ახალი ციხეები უნდა აშენდეს?**

– სახელმწიფომ უნდა გააკეთოს დემონსტრირება, რომ მისთვის ეს პრიორიტეტულია და გარკვეული გრძელვადიანი გეგმებიც აქვს ამასთან დაკავშირებით.

**– ჩვენ ვიცით, რომ პატიმრების სარეკორდო რაოდენობა გვყავდა; პატიმრების სიკვდილიანობის მაჩვენებელიც ვერ უძლებდა კრიტიკას, პატიმრების უფლებების დაცვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ისეთ ისტორიებს ყვებიან ყოფილი პატიმრები. ამ ფონზე ცოტა გადაჭარბებულად მეჩვენა საჭიროების შემთხვევაში წიწაკის გაზზე ასეთი რეაქცია. თქვენ რას უკავშირებთ, ძველი შიში აქვს გამოყოლილი საზოგადოებას?**

– ცოტა დროა გასული და, ამიტომ, თავიდან, შესაძლებელია, უფრო მწვავე რეაქცია ჰქონდეს საზოგადოებას, თუმცა, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა და სხვადასხვა აზრის გაცნობის შემდეგ, ეს რეაქცია, შესაძლოა, შეიცვალოს. ამ თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენს საზოგადოებას ძალიან აღელვებს, თუ რა ხდება ციხეებში და როგორ უმჯობესდება ვითარება. რა თქმა უნდა, პრინციპულად უყურებს ყველა საეჭვო ნაბიჯს და წარსული გამოცდილებაც განაპირობებს ასეთ იჭვნეულ დამოკიდებულებას. ამდენად, ასეთი რეაქცია არ იყო მოულოდნელი.

**ნინო ხაჩიძე**

# როგორ უნდა მიაწოდოთ შვილს სქესობრივ ცხოვრებაზე სწორი ინფორმაცია და არის თუ არა შიშის საფუძველი, მისთვის ამ თემებზე სიმართლის დამალვა

*რატომღაც, როცა თემა სექსუალურ საკითხებს ეხება, ყველა თავს არიდებს და ჰგონიათ, რომ ეს სირცხვილია. არადა, ნებისმიერ ქვეყანაში მსგავს თემებზე საუბარი, არა მარტო სავალდებულო, არამედ საჭიროა. მით უმეტეს, თუ სექსუალურ თემებთან დაკავშირებით, ინფორმაციასა თუ რჩევა-დარიგებას სპეციალისტი იძლევა. დარწმუნებული ვარ, ბევრმა არ იცის, როგორ მიუდგეს შვილს, რომ სქესობრივ ცხოვრებაზე სწორი ინფორმაცია ბავშვობიდან მიაწოდოს: არის თუ არა შიშის საფუძველი, მისთვის, ერთი შეხედვით, აკრძალული ნივთების მოხმარება; გადადის თუ არა გენეტიკურად ჰომოსექსუალიზმი, რა როლს თამაშობს კლიმატი ადამიანის პოტენციაზე და ასე შემდეგ. სწორედ ამ თემებზე საუბარი ვთხოვეთ, სექსოლოგიური კლინიკა „ლიგის" დირექტორს, პროფესორს, ბატონ **არჩილ ბაქრაძეს**, რომელმაც ნამდვილად საგულისყურო და გასათვალისწინებელი ინფორმაცია მოგვაწოდა.*



სქესობრივი აქტი, მაშინ არის უფრო სასიამოვნო და ვნებიანი, როცა მის მისაღწევად, ანუ პარტნიორის დასათანხმებლად იბრძვი კაცი

**– ბატონო არჩილ, ამბობენ, ადამიანის სწორ სქესობრივ აღზრდაზე, მშობელმა ბავშვობიდანვე უნდა იზრუნოსო და მაინც, რა არის სწორი სქესობრივი აღზრდის პრინციპი?**

– დიახ, შვილის სწორი სქესობრივი აღზრდა, მშობელმა ბავშვობიდან უნდა დაიწყოს. გაითვალისწინეთ, რომ აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ფსიქოსექსუალურ ჩამოყალიბებაში. ჩვენთან, სამწუხაროდ, ეს ძალიან დაბალ დონეზეა. სქესობრივი აღზრდის პრინციპია, რომ არ შეიძლება ტყუილის თქმა. უნდა გამონახოთ ისეთი სიტყვები, რომლითაც ბავშვს გასაგებ ენაზე აუხსნით სქესობრივ ცხოვრებაზე იმას, რითაც დაინტერესდება და რაზეც კითხვას დაგისვამთ. მთავარია, ის არ მოვატყუოთ და ამით არ მივცეთ მცდარი ინფორმაცია იმაზე, რასაც შემდგომში მაინც გაიგებს. როცა დედა ორსულადაა, მას ხშირად ეკითხება მცირეწლოვანი შვილი, საიდან მოხვდა მის მუცელში არსება, რომელიც სულ მალე უნდა დაიბადოს. ასეთ დროს დედები ათასგვარ სისულელეს იგონებენ. თუ ბავშვი გეკითხება, როგორ მოხვდა მუცელში ჩემი და ან ძმაო, ესე იგი, იმდენი ესმის, რომ მუცელში უბრალოდ არ ხვდებიან. ისე უნდა უპასუხოთ შვილებს მსგავს კითხვებზე, რომ ლოგიკა არ დაარღვიოთ. თუ ბავშვი გეკითხებათ მსგავს რამეს და სისულელეს ეუბნებით, ის სულ მალე, გაიგებს სიმართლეს, თქვენ კი აღარ დაგიჯერებთ. ამით, შეილახება თქვენი, როგორც მშობლის, ავტორიტეტი. ასე რომ, ტყუილი, არანაირად არ შეიძლება, ასეთ საკითხზე საუბრის დროს. ამ დროს ბავშვიც იბნევა, ვერ ხვდება რაშია საქმე და რაც უფრო ასაკი ემატება, მით მეტად კომპლექსდება.

**– ესე იგი, როდესაც ბავშვი ინტერესდება სექსუალური თემებით, მას მშობელმა უნდა მიაწოდოს ამის შესახებ ინფორმაცია, თუ არ სურს, მის შვილს შემდგომში კომპლექსები ჩამოუყალიბდეს?**

– დიახ, ყოველთვის, როცა ბავშვი იწყებს სექსუალური თემებით დაინტერესებას, თქვენ თავი არ უნდა მოარიდოთ, რადგან ის, ხვალ თავის რომელიმე მეგობარს შეეკითხება და ის მიაწვდის ისეთ ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა, შემდგომში მისი კომპლექსების მიზეზი გახდეს. ანუ, თქვენ, მშობლები ყველაზე კარგი „განმანათლებელი" ხართ ამ სფეროში.

**– თუ მშობელიც დაკომპლექსებულია და უჭირს ამ თემებზე შვილთან, თუნდაც დელიკატურად საუბარი?**

– თუ არ იცით, რა უპასუხოთ შვილს სექსთან დაკავშირებულ შეკითხვაზე, მაშინ უბრალოდ უთხარით, რომ ახლა არ გცალიათ და მოგვიანებით დაელაპარაკებით. ანუ, ჯობია, ფსიქიკა ტყუილით არ დაუზიანოთ.

**– ბევრის აზრია, რომ სქესობრივი აღზრდა სულაც არ არის საჭირო. გაიზრდება და თავად მიხვდება ამას, ჩვენი წინაპრებიც ხომ ასე იყვნენო.**

– ეს მიდგომა არასწორია. დააკვირდით ელემენტარულს. მაგალითად, ბიჭუნა ტირის, დედა კი ეუბნება: ნუ ტირი, გოგო ხომ არ ხარო. ესეც არასწორი სქესობრივი აღზრდაა. მთავარი ის კი არ არის, მაინცადამაინც გენიტალიებზე ისაუბრო, როცა თემა სექსს ეხება, არამედ, სქესობრივი აღზრდა არის, ბავშვის სქესისთვის დამახასიათებელი ქცევის სტიმულირება. სხვათა შორის, აღზრდაში დაშვებული შეცდომაა სწორედ, სქესობრივი გადახრების მიზეზი. თუმცა, ამაში დიდ როლს მიდრეკილებებიც თამაშობს. ჰომოსექსუალიზმი, მონათმფლობელობის, სოციალიზმის, კაპიტალიზმის დროსაც იყო და მიუხედავად ფორმაციისა, ის არ არის დამოკიდებული სოციუმზე. თუმცა, არსებობს სოციალური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანში ჩადებულის გამოვლენას. იქ, სადაც ემოციური ელემენტებია და განცდის გამოხატვის საშუალება, უფრო მეტად გამოვლინდება და მძაფრდება ჰომოსექსუალიზმისადმი მიდრეკილება.

**თუ ბავშვი გეკითხება, როგორ მოხვდა მუცელში ჩემი და ან ძმაო, ესე იგი, იმდენი ესმის, რომ მუცელში უბრალოდ არ ხვდებიან**

**– შესაძლებელია, რომ ადამიანში ჰომოსექსუალიზმი გენეტიკურად იყოს ჩადებული, ანუ ის გადადის წინაპრიდან შთამომავალზე?**

– დიახ, უმეტეს შემთხვევაში. თუმცა, ბავშვებზე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად მისი გენეტიკური სქესისთვის დამახასიათებელი ქცევის შეჩვევა და იმავდროულად, სქესობრივი აღზრდაც მოქმედებს. თუ ბავშვში ჩადებულია სექსუალური ქცევის გადახრა, მისი გამოვლინება გვიან ასაკში მოხდება. თუ არ არის მსგავსი რამ ჩადებული, კიდევ უფრო გამყარდება მისი სექსუალური ორიენტაცია. ასე რომ, თუ ადამიანში ჩადებულია ჰომოსექსუალიზმის გენი, ის ადრე თუ გვიან, მაინც გამოვლინდება. არის შემთხვევები, როცა, მსგავსი რამ მამაკაცმა 60 წლის ასაკში აღმოაჩინა. თუ დედა ამჩნევს, რომ ბავშვი ორიენტირებულია მისი სქესისთვის არადამახასიათებელ ნივთებსა და საქმიანობაზე, ასეთ დროს შესაბამის სპეციალისტთან გასაუბრება აუცილებელია. მთავარია, კარგად დააკვირდეთ შვილს და არ ატეხოთ განგაში მის მომავალ სექსუალურ ორიენტაციაზე. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი რამ არ ესმით სქესობრივ აღზრდასა და განათლებაზე. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვიღაცის ქცევა აქილიკო ან დასცინო სხვას.

**– გამიგია, რომ ცხელ ქვეყნებში მცხოვრები ადამიანები, პოტენციურად, უფრო ძლიერები არიან. აზრი იმის შესახებ, რომ იმ ქვეყნის კლიმატი, სადაც ადამიანი ცხოვრობს, აყალიბებს მის პოტენციურ შესაძლებლობებს, სიმართლეს შეესაბამება?**

– სანამ, ამ კითხვაზე გაგცემთ პასუხს, გეტყვით, რომ სქესობრივი თანაცხოვრების დროს, პარტნიორ ქალსაც დიდი როლი აკისრია, მაგრამ ლიდერი ყოველთვის მამაკაცია. რაც შეეხება საცხოვრებელ გარემოს და ქვეყნის კლიმატს, ეს ფაქტორები, რასაკვირველია, აისახება და მოქმედებს ადამიანის სექსუალურ პოტენციაზე. ის, რომ ცხელ ქვეყნებში ცეცხლოვანი პოტენციის მქონე მამაკაცები არიან, ამაზე ვერ დაგეთანხმებით. მუდამ სიცხის გამო ისინი, ზედმეტად თხლად ჩაცმული ქალების გარემოცვაში არიან და მათთვის სექსი შოკის მომგვრელი, თავისთავად, ვერ იქნება. სქესობრივი აქტი, მაშინ არის უფრო სასიამოვნო და ვნებიანი, როცა მის მისაღწევად, ანუ პარტნიორის დასათანხმებლად იბრძვი კაცი. თუმცა ის, რომ ქვეყნის კლიმატი, გარემო ადამიანის სექსუალურობაზე გავლენას ახდენს, ეს ფაქტია. საქართველოს კლიმატი კი ამ მხრივ, ნამდვილად დადებითად მოქმედებს და ამაში ეჭვი არავის ეპარება. აბა, გადახედეთ ქართველ მამაკაცებს უცხოეთში როგორი პოპულარულები არიან. ეს კი, ჩვენი ზღვის, ტყისა და მთების დამსახურებაა, ამას კი პლუს ის სექსუალური კულტურა და აღზრდა, რომელიც ადამიანში ბავშვობიდანაა ჩადებული. სხვაგვარად, ვერ იქნება.

**ნონა დათეშიძე**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები"
*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს*
*ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*
„მაცნე" – 214-39-06;
„პლანეტა" – 251-75-21;
„ელვასერვისი" – 238-80-02;
„ინფოსერვისი" – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია" – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია" – 294-32-32

# კომპანია „წყალი მარგებელი" ქართველი მძლეოსნების პლატინის სპონსორი გახდა

***სს „წყალი მარგებელსა" და საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციას შორის ხელი მოეწერა ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015-ის" და „ევროპის მძლეოსნობის 2014-ის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის" პლატინის სპონსორობის ხელშეკრულებას. დოკუმენტს ხელი მოაწერეს: მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა ალექსი ახვლედიანმა და „წყალი მარგებელის" დირექტორმა ავთანდილ სვიმონიშვილმა. პრესკონფერენციის მიმდინარეობისას კომპანიისა და ფედერაციის წარმომადგენლებმა მომავალი თანამშრომლობის შესახებ ისაუბრეს.***

**ალექსი ახვლედიანი** ***(მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი):*** მოგეხსენებათ რაოდენ მნიშვნელოვანია ბიზნესის ჩართვა სპორტში ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით, საქართველოში. ჩვენ, სპორტულმა სამყარომ, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ქართულ ბიზნესს ისეთი პროდუქტი შევთავაზოთ, რომელიც მათ ბიზნესსაც წარმატებას მოუტონს და ქართულ სპორტსაც. დღევანდელი დღე, ამ ორი კომპონენტის შერწყმის ბრწყინვალე დასტურია. მინდა, მადლობა გადავუხადო კომპანია „ნაბეღლავს" გამოჩენილი აქტიურობისა და დახმარებისთვის, რომელიც დარწმუნებული ვარ, მეტად წაადგება სპორტული ღონისძიების ჩატარებას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია.

**ავთანდილ სვიმონიშვილი** ***(კომპანია „წყალი მარგებელის" დირექტორი):*** ჩვენი კომპანიისთვის დიდი პატივია ასეთი მასშტაბური ღონისძიების მხარდაჭერა და ასეთი ტიპის საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობა. ჩვენი აზრით, ეს არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის სპორტის განვითარებას, არამედ ზოგადად, ქვეყნის წინსვლასა და მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, რასაც „წყალი მარგებელი", როგორც ქართული კომპანია, აუცილებლად გვერდში დაუდგება.




დაარსების დღიდან (და ეს იყო 1997 წელს), ჩვენი კომპანია და მისი ბრენდები – „ნაბეღლავი" და „ბახმარო" ჯანსაღ ცხოვრებას უწევს მაქსიმალურად პოპულარიზაციას და ეს მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია ჩვენი გადაწყვეტილებისა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა ახალგაზრდებში, მომავალ თაობაში. ამიტომაც, მადლობას ვუხდით მონაწილეებს, რომ მოგვცეს ასეთი მშვენიერი შესაძლებლობა, მხარი დავუჭიროთ კარგ საქმეს.

მატერიალურ დახმარებასთან ერთად, ჩვენი კომპანია, მთელი ეს პერიოდი – დღეიდან 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალის ჩატარებამდე გავუწევთ პრომოუშენს, როგორც 2014 წლის მძლეოსნობის ჩემპიონატს, ასევე მომავალი წლის ოლიმპიურ თამაშებს. მუდმივად ვაგრძნობინებთ ორგანიზატორებს, რომ ჩვენი სახით, საიმედო პარტნიორი აირჩიეს.

2014 წლის გუნდური ჩემპიონატის მე-3 ლიგის ჩატარების უფლება საქართველომ 2013 წლის ოქტომბერში, ტალინში გამართულ ევროპის ასოციაციის კონგრესზე მოიპოვა. ჩემპიონატში 15 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, ხოლო თითოეულ გუნდს 50 სპორტსმენი და 13 მწვრთნელი წარმოადგენს. შეჯიბრება ტრადიციულად, ყოველ წელს ივნისში იწყება და 2 დღე გრძელდება. 2014 წლის 21-22 ივნისს კი ჩემპიონატს თბილისი უმასპინძლებს.




**მარიკა ხიდურელი**

**მიუხედავად იმისა, რომ ლექს-სენი გარკვეული პერიოდის განმავლობაში არც პრესის ფურცლებზე და არც ტელევიზიით არ ჩანდა, ანუ მას მასმედიასთან ურთიერთობაში ტაიმაუტი ჰქონდა აღებული, ის ამ ხნის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა, რასაც მოწმობს მისი ახალი ალბომი – „სიგნალი". მასში ლექს-სენის ლექსებზე დაწერილი 19 სიმღერაა შესული და მათ შორის, რამდენიმე დუეტიც. ერთ დროს ყველაზე პოპულარულ რეპერს, რომლის დანახვაც საზოგადოების დიდ ნაწილში დღესაც დადებით ემოციებს იწვევს, საკმაოდ ბევრი გეგმა აქვს.**

# როგორ გააქართველა საბოლოოდ უკრაინელი მეუღლე ლექს-სენმა და რამ დაარბილა მისი ხისტი ხასიათი

**ლექს-სენი**: შეგნებულად გადავწყვიტე, ასე მოვქცეულიყავი – არ გამოვჩენილიყავი, რადგან ძალიან დავიღალე. თან, იყო რაღაცეები, რაზეც აქამდე არ ვსაუბრობდი. საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, იმდენად დიდი იყო ჩემი პოპულარობის ხარისხი, რომ დიდი ხნის მერეც არ მასვენებდნენ. ერთი პერიოდი გაქვს ამით ტკბობის სურვილი, მაგრამ შემდეგ, ძალიან დამღლელი და აუტანელი ხდება, განსაკუთრებით თუ არ  გასვენებენ. ამიტომაც, შეგნებულად გადავწყვიტე, ასე მოვქცეულიყავი. მე სხვანაირი პიარისტი ვარ – „დუმილი ოქროა," ამ ვარიანტს უფრო ვაწვები. სხვებს უყვარდათ სკანდალები ჩემი მიმართულებით, მე – არა და არც ვაძლევდი იმის საშუალებას, რომ ჩავეთრიე, რადგან, მაშინ ეს მათი გამარჯვება იქნებოდა. ინტრიგებიც ბევრი იყო – რამდენი უმეცარია ამქვეყნად! როდესაც შენ რაღაც მანევრს აკეთებ, კარგად იცი, რატომ და რისთვის აკეთებ. ჭკვიანი ადამიანი ამას ისედაც მიხვდება, ისევე როგორც – ჭკვიანი საზოგადოება, ჭკვიანი ჟურნალისტი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მხრივ პრობლემაა. მათიც მესმის, უბრალოდ, არსებობს პიროვნული ღირებულებები, რომელიც არ უნდა დაკარგო. თუმცა, სამწუხაროდ, დღეს პიროვნული ეთიკა აღარ არსებობს, სულ მოსპეს. ამიტომ ვიფიქრე: ჯობია, ყველა „დავაპაუზო-მეთქი" და ეს ჩემთვის ძალიან სასარგებლო გამოდგა, დავისვენე.

**– დიდი ხანი გავიდა, თუმცა, ხალხი შენს მიმართ მაინც დადებითად არის განწყობილი. ბევრს აინტერესებს რას საქმიანობს ლექს-სენი.**

– სასიამოვნოა, როცა ადამიანებს აინტერესებთ შენი ამბები, მოდიან, გიყურებენ. თუმცა, ეს განსაკუთრებით მას შემდეგ მიკვირდა, როცა საკუთარი თავი დავაჯერე, არავინ მინდა და არ უნდა გამოვჩნდე-მეთქი. მაგრამ ის, რომ ადამიანს უყვარხარ, გაფასებს, ეს ძალიან დასაფასებელია და მე ამ მხრივ არასდროს დამიხევია უკან. ამ ამბავში „ზადნი" არ მაქვს. ვინც მე პატივს მცემს, მაფასებს, დღემდე მადლიერი ვარ მათი, რადგან მხოლოდ ხალხის დამსახურებაა, რომ თვითმყოფადი გავხდი. სხვათა შორის მანქანაზე დაბურული მინები რომ მოხსნეს, ეს ცუდია, რადგან ხშირად ხდებოდა კონფლიქტების მიზეზი. ვიღაც გიყურებს, ხელს გიქნევს, გაგინებს, რადგან საქართველოში ასეა: თუ ცუდ მანქანაში ზიხარ, ამბობენ – აუ, ნახე ცუდ მანქანაში ზის ეს დებილი. თუ კარგ მანქანაში ზიხარ – აუ, კარგ მანქანაში ზის ეს დებილი. მაგრამ ამისთვის უკვე შევიმუშავე სპეციალური, დამცავი მექანიზმი. რაც მთავარია, გიჟი უნდა იყო, რომ რეაგირება მოახდინო. ეს კომპლექსია, რომელიც ტრადიციებიდან მოდის, ბუდობს ხალხში. კომპლექსური საზოგადოება საკუთარ თავთან შენს იდენტიფიცირებას ახდენს და ფიქრობს: რით არის ჩემზე მეტიო. იმას კი ვერ ხვდება, რომ, მაშინ ხარ უფრო დიდი და ძლიერი, როცა პირიქით, ასეთი ადამიანის მიმართ პატივისცემა გიჩნდება. სამაგიეროდ, ბოლო დროს ისეთი ადამიანები დავიმეგობრე სოციალური ქსელების დახმარებით, ვისთანაც ურთიერთობა მსიამოვნებს. ვსაუბრობთ რაღაც ღირებულზე, აინტერესებთ ჩემი შემოქმედება, ახალ სიმღერას კრიტიკულად აფასებენ, ჯანსაღი წარმოდგენა და ინტერესები აქვთ.  ასეთები ჩემს თვალში მაღლდებიან, ამიტომ ეს მხარე განვავითარე – საინტერესო ადამიანებთან უფრო მეტი კონტაქტი დავამყარე, ვიდრე ადრე მქონდა. კითხვებს მისვამენ ბევრ რამეზე, მათ შორის პირად ცხოვრებაზეც, მიყვებიან თავიანთ ისტორიებს. მუსიკალურ ამბავში ჩემ ქება-დიდებას არ მოვყვები, ეს ჩემი მხრიდან ამპარტავნება იქნება. ამიტომ, სულ ვეუბნები: ნუ მაქებთ, ამაზე არ ვილაპარაკოთ, სხვა თემებზე ვისაუბროთ-მეთქი.



ვიფიქრე: ჯობია, ყველა „დავაპაუზო"-მეთქი და ეს ჩემთვის ძალიან სასარგებლო გამოდგა, დავისვენე

**– მგონი, ფსიქოლოგობაც შეითავსე.**

– პრინციპში, ბოლო პერიოდში შევითავსე. მეც ბევრ რამეს ვსწავლობ მათგან. 10 წელი გავიდა, მაინტერესებს, რა უნდა ჩვენს ახალ თაობას.

**– საკმაოდ აქტიური იყავი, ძალიან პოპულარული და მერე უცებ ყველაფერი შეიცვალა – თითქმის არსად აღარ ჩანდი და გარკვეულწილად, ცხოვრების სტილიც შეგეცვალა. ხომ არ იყო რთული ამასთან შეგუება?**

– არა, ეს სპეციალურად, დაგეგმილად გავაკეთე. შევაფასე სიტუაცია: რისი კრიზისია ქვეყანაში, რა არის საჭირო. ბედნიერი ვიქნები, მაშინ, როცა საერთოდ არ ვისაუბრებ პოლიტიკაზე და ზოგადად, ხმამაღლა ვამბობ: მე პირველი ვარ, ვინც ამას ხელი შეუწყო. ასევე, პირველი ვარ, რომელიც პოლიტიკას დაუკავშირდა. შეიძლება, ეს ჩემი შეცდომაა, რადგან ბევრმა სწორად ვერ გაიგო, მაგრამ ამასაც ხმამაღლა ვამბობ, რადგან მე ყოველთვის ჩემს საქმეს ვემსახურებოდი. ხომ იცი, გზის მკვლევველი მხოლოდ ერთიაო – ეს მახასიათებდა. აღარ იყო ჭაობში ჩათრევის მომენტი, პირიქით, განყენებულად, კრისტალურად უნდა გამოსულიყავი და ამ დროს ქაოსის შექმნა არ იყო საჭირო. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ჟურნალისტებს ავუკრძალე ჩემთან კონტაქტი, თორემ ჩემი საქმისთვის არ მიღალატია, არ გავჩერებულვარ. პირიქით, ახალი ალბომი გამოვუშვი, ვმუშაობდი, სხვა ფაზა განვავითარე, რომელიც ბევრმა ვერ დაინახა: ახალი სიმღერები, ახალი კლიპი, მოკლედ, მე სულ ვმუშაობ.

**– სამწუხაროდ, არ მინახავს შენი კლიპი და არ მომისმენია ახალი სიმღერები.**

– ეს კიდევ ცალკე ტელევიზიების პრობლემაა – „შავი სიის" პრობლემა.

**– ამ გადასახედიდან როგორ ფიქრობ, სწორად მოიქეცი, როცა შენი საქმიანობა, გარკვეულწილად, პოლიტიკას დაუკავშირე?**

– მოდი, ცოტა შორიდან დავიწყებ. საბედნიეროდ, როცა საქმიანობა დავიწყე, მაშინ შოუბიზნესში რაღაცეების კეთების საშუალება გვქონდა. მიუხედავად იმისა, მაშინ ხალხს ისე არ ულხინდა, როგორც დღეს, ეს სფერო მუშაობდა და დამოუკიდებელი იყო. ადამიანებს ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობები გვქონდა: ვიღაცა ვიღაცის პროდიუსერი იყო, ვიღაც თავისით აკეთებდა რაღაცას, საზოგადოება ამას ხედავდა, ამით ვცხოვრობდით. როდესაც ამ ყველაფერმა შეიძინა წონა, ჰქონდა რეიტინგი, პოლიტიკამ დაინახა, რომ მას ეს ბერკეტი საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის სჭირდებოდა. როცა შენი კონკრეტული, ერთჯერადი მიზნისთვის ადამიანს უფრო მეტ თანხას სთავაზობ, ვიდრე შეუძლია რომელიღაცა ქალაქში ჩატარებული კონცერტიდან აიღოს, რა თქმა უნდა, ის თანხმდება. საქართველოში ვცხოვრობთ და როცა ამ საქმეში ხარ ჩართული, არ

(გაგრძელება მე-16 გვერდზე)



## მილოცვა

ჭეშმარიტმა ქართველმა მამულიშვილმა, **ედიშერ ახობაძემ,** ორი წელი ამერიკაში, კალიფორნიაში გაატარა. წარმატებული ახალგაზრდა მშობლიური მიწის სიყვარულმა და ტრადიციული ქართული ოჯახის შექმნის სურვილმა სამშობლოში დააბრუნა, სადაც მან ცხოვრება არაჩვეულებრივ, სათნო **ნათია კვერკველიას** დაუკავშირა.

ბედნიერმა წყვილმა შეუღლება თბილისში, ტრადიციული ქართული ქორწილით აღნიშნა, რის შემდეგაც ისინი კვლავ ამერიკაში დაბრუნების სამზადისს შეუდგნენ.

გამრავლებას, წინსვლას, სიკეთესა და დიდ ბედნიერებას გისურვებთ, ახალგაზრდებო! სიყვარული იყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი!

**თქვენი კეთილისმსურველები**

# 2013 წლის საუკეთესო სამეულში შესული საერთაშორისო ტუროპერატორი „პეგას ტურისტიკი" უკვე საქართველოშია

*კომპანია „პეგას ტურისტიკი" 1994 წელს რუსულ ბაზარზე შეიქმნა და მისი 100-პროცენტიანი წილის მფლობელი თურქი ბიზნესმენია. ბოლო 19 წლის განმავლობაში „პეგას ტურისტიკი" 23 მიმართულებით ახორციელებს რეისებს, აქვს საკუთარი ინფრასტრუქტურა და სერვისები. ის, როგორც მომწოდებელი კომპანია, ქმნის პროდუქტს და შეკრულ ტურპაკეტს აწვდის ქართულ ტურისტულ სააგენტოებს, რომლებიც შემდეგ, თავის მხრივ, ავრცელებენ ტურებს. „პეგას ტურისტიკის" პროდუქტი შედგება შემდეგი ელემენტებისგან: ავიაბილეთი, სასტუმროში განთავსება, ტრანსფერი, სამოგზაურო დაზღვევა და სავიზო მომსახურება. მისი უპირატესობა დანარჩენ სააგენტოებთან ისაა, რომ აქვს საკუთარი ავიაკომპანია Nordwind Airlines, 26-ზე მეტი საჰაერო ხომალდითა და სასტუმროთა ქსელით; თურქეთში PGS და ეგვიპტეში Dessole-ს ქსელის სასტუმროები. ასევე, ტუნისი, ტაილანდი, ინდოეთი, ესპანეთი – ეს ის ბაზრებია, რომლებიც კომპანიას განსაკუთრებით კარგად აქვს ათვისებული.*

*„პეგას ტურისტიკის" მომხმარებელს ყველა ქვეყანაში ხვდება კომპანიის წარმომადგენელი მეგზური, რომელიც მთელი დასვენების განმავლობაში ეხმარება ტურისტს, თავისუფლად იმოძრაოს უცხო ქვეყანაში ან იყიდოს ექსკურსიები. ყველა ქვეყანაში, როდესაც ასეთ მომსახურებას ყიდულობთ, ტრანსპორტიც და ექსკურსიაც ლიცენზირებული უნდა იყოს. ასე რომ, თუ თქვენი მოგზაურობის სიმშვიდეს „პეგას ტურისტიკს" ანდობთ, გაუთვალისწინებელი შემთხვევებისა და გარკვეული საფრთხისგან გარანტირებულად დაცული იქნებით.*

*კითხვებს „პეგას ტურისტიკის" საქართველოს ბაზარზე გამოჩენასთან დაკავშირებით, Touristik Georgia-ს გაყიდვების სამსახურის უფროსმა სალომე ბერაიამ უპასუხა.*






**– რატომ დაინტერესდა ისეთი საერთაშორისო კომპანია, როგორიც არის PEGAS Touristik, ქართული ბაზრით და რა მიმართულებით გეგმავს ის საქართველოში მუშაობას?**

– „პეგასის" მიზანია, საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, აქციოს ტურიზმის ჰაბად. „პეგასი" ქართულ ბაზარზე ნერგავს ტურიზმის ახალ მეთოდებს.

**– თქვენი მსგავსი კომპანია თუა წარმოდგენილი ქართულ ბაზარზე?**

– საქართველოში, გვყავს ადგილობრივი კომპანიები, რომლებიც ეწევიან ტუროპერატორის ბიზნესს.

**– საქართველოში რომელ ტურისტულ კომპანიებთან თანამშრომლობთ?**

– საქართველოს თითქმის ყველა ტურისტულ სააგენტოსთან. ჩვენი აუცილებელი პირობაა, რომ ტურები ტურისტულმა სააგენტოებმა იმავე ფასში გაყიდონ, რაც ჩვენს ვებ-გვერდზეა განთავსებული. აქვე აღვნიშნავ, რომ გვაქვს გაყიდვების ძალიან გამარტივებული ონლაინ სისტემა, სადაც თვითონ ტურისტს შეუძლია, დაათვალიეროს სასურველი სასტურმო, გაეცნოს ფასებს და უკვე მომზადებული ინფორმაციით მიმართოს ტურისტულ სააგენტოს.

სისტემაში მუშაობა საკმაოდ იოლია. სრულიად დილეტანტი ტურისტიც კი, რომელსაც არასდროს არსად უმოგზაურია, მარტივად გაართმევს თავს ჯავშნის მოდულს.

გარდა ამისა, კომპანიას აქვს ძალიან საინტეესო პროექტი: პირველად საქართველოში, 2013 წლის დეკემბერში გამოვაქვეყნეთ ზაფხულის ტურები – დეკემბრის თვეში დაიგეგმა მთლიანი ზაფხულის პროგრამა ანტალიის მიმართულებით. ჩვენ ვცდილობთ, ქართველი მომხმარებელი მივაჩვიოთ ადრეული ჯავშნის კულტურას. რეისი უკვე შეკვეთილია და ფრენები შესრულდება 5 მაისიდან, ავიაკომპანია „თურქეთის ავიახაზებით". საქართველოში პირველი პრეცედენტია, როდესაც მაისში იწყება ჩარტერული რეისები. მაისის თვე არის აბსოლუტურად ხელსაყრელი პერიოდი დასვენებისთვის.

**– ანუ, ადრე დაჯავშნა მინიმუმ ორჯერ აიაფებს ტურისტულ პაკეტს?**

– ადრეული ჯავშნის განხორციელების შემთხვევაში, ტურისტი სარგებლობს სულ მცირე 30-პროცენტიანი ფასდაკლებით.

**– რამდენი ხნით ადრე უნდა დაჯავშნო, რომ შემცირებლი ფასით ისარგებლო?**

– დაჯავშნა უკვე შესაძლებელია. რაც უფრო ადრე დაჯავშნით, მით უფრო დაბალ ფასად შეიძენთ ტურ-პაკეტს. ადრეული დაჯავშნის წესები შემდეგნაირია: სასტუმროდან დასტურის მოსვლის შემდეგ სამი დღის განმავლობაში ვიხდით მთლიანი ღირებულების 50 პროცენტს, გაფრენამდე ათი დღით ადრე კი – თანხის მეორე ნახევარს.

**– ამჟამად ჩარტერი რამდენ ქვეყანაში გაქვთ?**

– „პეგასს" ჩარტერი თბილისიდან აქვს სამ ქვეყანაში, კერძოდ: დუბაიში, თურქეთსა და ეგვიპტეში. ეგვიპტეში შარმ-ელ-შეიხში დავფრინავთ. მაისის მიწურულს, შარმ-ელ-შეიხის სეზონის ამოწურვის შემდეგ, გადავდივართ ეგვიპტის მეორე მიმართულებაზე – ჰურგადაზე.

**– ყველაზე დიდი მოთხოვნილება რომელ მიმართულებაზეა?**

– სამივე მიმართულებაზე დიდი მოთხოვნაა, მაგრამ, თუ სტატისტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, ანტალიაში ყველა რეისი 100 პროცენტით დატვირთულია, არც ერთი ჩავარდნა არ ყოფილა. რაც შეეხება დუბაის, მასზეც ძალიან დიდია მოთხოვნა, თუმცა, დუბაი სასტუმროების ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე, სპეციფიკური მიმართულებაა. ხოლო, რაც შეეხება ეგვიპტეს, იქ განვითარებული მოვლენების გამო, მოთხოვნამ მცირედით იკლო, რამაც ფასების ვარდნაც გამოიწვია, თუმცა, მიუხედავად ამისა, რეისები სრული დატვირთვით ხორციელდება.

**– ეგვიპტის ტურების ფასი საიდან სადამდე მერყეობს?**

– ბოლო მონაცემების მიხედვით, ერთ ადამიანზე ფასი 329 დოლარით განისაზღვრება 3- ვარსკვლავიან სასტუმროში. არის უფრო მაღალი ფასებიც და ეს უკვე დამოკიდებულია სასტუმროს კატეგორიასა და მომსახურებაზე. რაც შეეხება ეგვიპტის სასტურმოთა ქსელ Dessole-ს, აქ ფასები 450 დოლარიდან 650 დოლარის ჩათვლით მერყეობს – ეს ფასი გახლავთ სრული პაკეტის ფასი.



***P.S.* *ვისაც გსურთ ცივ ზამთარში მზიანი, კომფორტული, ხარისხიანი დასვენება სასურველ ფასად, გირჩევთ, დრო აღარ დაკარგოთ და მიმართოთ „პეგას ტურისტიკს"***
***www.pegast.ge***

**თეო კვეზერელი**

# ადვოკატი გირჩევთ



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა, მეზობლად ჩაითვალოს იმ მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, რომლის ნაკვეთიც თუმცა უშუალოდ არ ესაზღვრება ჩემს ნაკვეთს, მაგრამ, მდებარეობს შორიახლოს. ზოგადად, სამართლებრივად რა კრიტერიუმებით განისაზღვრება მეზობელი?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, ზოგადად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, მეზობლად მიიჩნევა ყველა ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება, საიდანაც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ორმხრივი ზემოქმედება.

კითხვა: **ჩემს მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთზე ხორციელდება ისეთი სახის სამშენებლო სამუშაოები, რაც აშკარად უცვლის ჩემს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთს ფასსაც და დანიშნულებასაც, რადგან, მშენებლობის დასრულების შემდეგ, ჩემს ნაკვეთს ველარ გამოვიყენებ იმ დანიშნულებით, რისთვისაც შევიძინე და შეძენის მომენტისთვის შემეძლო, გამომეყენებინა. გთხოვთ, მაცნობოთ, შემიძლია თუ არა, მოვითხოვო მეზობელ ნაკვეთში მიმდინარე მშენებლობის შეჩერება და როგორ უნდა მოვიქცე?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ, ზოგადად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია, მოითხოვოს მეზობელ ნაკვეთებზე ისეთი ნაგებობების აშენების ან ექსპლუატაციის აკრძალვა, რომლებიც დაუშვებლად ხელყოფენ ნაკვეთით სარგებლობის უფლებას და ეს იმთავითვე აშკარაა.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ რა უფლება-მოვალეობები გააჩნიათ უშუალო მეზობლებს ან მეზობლად მდებარე მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ერთმანეთის მიმართ?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, მეზობელი მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრენი ვალდებულნი, არიან პატივი სცენ ერთმანეთს. გარდა ამისა, მეზობლებს აქვთ ერთმანეთის მიმართ სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულებაც. კერძოდ, მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრეს არ შეუძლია, აკრძალოს მეზობელი ნაკვეთიდან თავის ნაკვეთზე გაზის, ორთქლის, სუნის, ჭვარტლის, კვამლის, ხმაურის, სითბოს, რყევების ან სხვა მსგავს მოვლენათა ზემოქმედებანი, თუკი ეს ხელს არ უშლის მესაკუთრეს თავისი ნაკვეთით სარგებლობაში ან უმნიშვნელოდ ხელყოფს მის უფლებას. იგივე წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ზემოქმედება არსებითია, მაგრამ, ის გამოწვეულია სხვა ნაკვეთით ან სხვა უძრავი ქონებით ჩვეულებრივი სარგებლობით და არ შეიძლება მისი აღკვეთა ისეთი ღონისძიებებით, რომლებიც ამ სახის მოსარგებლეთათვის ნორმალურ სამეურნეო საქმიანობად მიიჩნევა. ამასთან, თუ მესაკუთრე მოვალეა, ითმინოს ასეთი ზემოქმედება, მას შეუძლია, ზემოქმედების გამომწვევი ნაკვეთის მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ფულადი კომპენსაცია იმ შემთხვევაში, როცა ზემოქმედება აღემატება მოცემულ ადგილას ჩვეულებრივად მიჩნეულ სარგებლობას და ეკონომიკურად დასაშვებ ფარგლებს.

კითხვა: **გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა უფლება, მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს მოვთხოვო მისი მიწის ნაკვეთზე გზის გატარება, თუკი ჩემს ნაკვეთს ბუნებრივად არ აქვს არავითარი კომუნიკაციის სხვა საშუალება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ, თუ მიწის ნაკვეთს არ აქვს ჯეროვანი გამოყენებისთვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრონის, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ, მესაკუთრეს შეუძლია, მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად, მაგრამ, იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთებზეც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება, ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

# როგორ გააქართველა საბოლოოდ უკრაინელი მეუღლე ლექს-სენმა და რამ დაარბილა მისი ხისტი ხასიათი

(მე-14 გვერდიდან)

არის გამორიცხული, სულმა წაგძლიოს. თუმცა, ეს სულაც არ არის ცუდი, რადგან შენ იმ დროს ფიქრობ, რომ ამას იმსახურებ. მოკლედ, მოხდა პიროვნებების, შემსრულებლების გადანაწილება. ვინც უფრო წონადი იყო, ის უფრო მაღალ დონეებზე სჭირდებოდათ, ვინც ნაკლებად – ნაკლებ დონეებზე და ასე შემდეგ. მოკლედ, გინდოდა თუ არ გინდოდა, პოლიტიკა მაინც მოგეწება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ შენც იგივე მსოფლმხედველობა გქონდა. მაგრამ, ადამიანი როცა შემოქმედია, ჰონორარზე მუშაობს, ბუნებრივია, მის სიმღერაში ვინც მეტს გადაიხდის, იმასთან იმღერებს. თუმცა, მე არ ვამბობ, რომ ვიღაც აგენტებთან უნდა იმღერო. შემდეგ საზოგადოება ორად გაიყო: სხვადასხვა შეფასებები მოყვა. მაგრამ ეს სქემა საბოლოოდ მოიშალა, რადგან პოლიტიკას სჭირდებოდი, სათავისოდ გამოგიყენა. მე მათ ვეუბნებოდი, რომ ეს ასე არ შეიძლება, ამით მე დამღუპავთ, რადგან თვეში 31 უფასო კონცერტს რომ გამართავ, მე კი მომცემ ფულს, მაგრამ ამ სფეროს მოსპობ, მან კი დამოუკიდებლად უნდა იმუშაოს-მეთქი. ჯობია, 2 ლარი გადაიხადონ ბილეთში და ხალხი მიეჩვიოს ფულის გადახდას. მაგრამ, ის ამ შემთხვევაში არ ზრუნავდა შენზე, როგორც პიროვნებაზე, შემოქმედზე, თავის ქვეყნის მოქალაქეზე. ამიტომაც, ჩვენი გაიგივება პოლიტიკასთან არასწორი იყო. ეს ყველაფერი დრომ, სიტუაციამ მოიტანა, გავლენის სფეროების გადანაწილებაც მოხდა და ხალხის დანაწევრებაც: ეს იმის ჯგუფად მიიჩნეოდა, ეს ამის ჯგუფად. საზოგადოებაშიც ასე გამოიყო: ის ამისიანია, იმასა და ამას შორის აგრესიაა. ეს ყველაფერი კი გამოიწვია პოლიტიკის ჩართვამ შოუ-ბიზნესში. მათ გამოიყენეს სათავისოდ, მაგრამ ჩვენ გვეყო ჭკუა და ვთქვით: ეს უნდა დამთავრდეს. ამიტომ, ჩვენი არც მეგობრობა გაგრძელდება, თან ასეთი ფორმით: დაგჭირდები – ჰოპ და მერე... მე ჩემს თავს არავისთან არ ვაიგივებდი და რაც მთავარია, მე ჩემი საქმე გავაკეთე, ჩემი სათქმელი ვთქვი და ყველაზე მთავარი – არ მრცხვენია ჩემი განვილილი ცხოვრების. ისეთი რაღაცეები მაქვს გაკეთებული, უკან რომ მოვიხედავ საბედნიეროდ, არაფრის შემრცხვება.

**– ანუ, სამომავლოდ ასეთ შემოთავაზებაზე არასდროს დათანხმდები?**

– გამორიცხულია. მაგის არც სურვილი მაქვს და არც ეჭვი, რომ ასე მოხდება. დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება უნდა მიეცეს ამ სფეროს. მაგრამ, ჯერჯერობით კლანური ჩათესილები კიდევ არიან, ბერკეტები რომ აქვთ მასმედიაში. ადამიანმა ხომ უნდა, შეცვალოს რაღაც, როცა ხვდება, რომ ამან დაღუპა. სამწუხაროდ, რთულია საკუთარ თავზე ამაღლება და ეს ყველას არ შეუძლია. შოუ-ბიზნესს რომ გადავხედოთ. ეს კლანური „ასკოლკები" დღესაც დარჩენილია და ნელ-ნელა ფეთქდება.

**– ახლა მითხარი, რა ხდება შენს შემოქმედებაში?**

– 2013 წელს გამოვუშვი ახალი ალბომი, სახელწოდებით „სიგნალი". ერთ-ერთ სიმღერას ჰქვია სწორედ „სიგნალი", რომელსაც როცა მოისმენ, შეძლებ მასში ბოლო 2 წლის პერიოდი ამოიკითხო. კიდევ „შენ ხარ ქართველი" – ეს მენტალობას ეხება, ნამდვილი ჰიპ-ჰოპია. გარდა ამისა, ალბომში შესულია ბევრი ახალი დუეტი ჩემი და „ბიგ თიკოსი." ახალი სახეები გვყავს „პეპესა" და „ნიქის" სახით, „მინდოზა" თავისთავად. ხუთკაციანი ჯგუფი შეიქმნა, რომელიც ერთად მუშაობს, ვაკეთებთ ახალ სიმღერებს. „იმედზე" გვქონდა ამ ალბომის პრეზენტაცია. 19 სიმღერა არც ერთ ალბომში არ გვქონია. უბრალოდ, მუსიკალური ტელევიზია რომ არ არის საქართველოში, ამიტომ ხალხი ხშირად ვერ იგებს ასეთი სიახლეების შესახებ. კარგი იქნება, ამ მხრივაც თუ ვინმე იზრუნებს. სამომავლოდ, მინდა, აუდიო-ვიდეო ჰიპ-ჰოპ-სკოლა გავაკეთოთ, სადაც დაინტერესებული ბავშვები ისწავლიან. ცეკვის მასწავლებელიც გვეყოლება, იქ ჩაიწერება სიმღერები, ვიდეოებსაც გადავიღებ, პროდუქტები დამზადდება.

**– შენი მეუღლე უკვე ჩვეულებრივი ქართველი გახდა?**

– კი, ხაჭაპური, ხინკალი, უკვე ეხერხება. შეეგუა აქაურობას, სხვა რა გზა ჰქონდა. მივაჩვიე ყველაფერს.

**– ადრე მახსოვს, ძალიან ხისტი ხასიათი გქონდა. ცოტა არ დაგირბილდა?**

– როგორ არა, ცოტა კი არა, კარგად. ბევრ რამეზე ხმას აღარ ვიღებ, ბევრ რამეს აღარ ვაპროტესტებ – კარგი, კარგი, აზრი არც აქვს. ჩვენც ერთმანეთისგან ბევრ რამეს ვსწავლობთ: მე მისგან – ის ჩემგან და ეს ძალიან საინტერესოა.

**ნათია უტიაშვილი**

# ინტიმური საუბრები

## ჩემი და ბრალს მდებს, რომ ოჯახი მე დავუნგრიე

მყავს ხუთი წლით უფროსი და, რომელიც საკმაოდ გვიან გათხოვდა – 38 წლის ხდებოდა, მეზობელმა თავისი ნათესავი რომ გაურიგა. იმ კაცსაც უკვე სოლიდური ასაკი ჰქონდა (46 წლის იყო) და მის მშობლებს ძალიან ეჩქარებოდათ შვილის დაოჯახება. ნელიკოს და ზურას მოეწონათ ერთმანეთი, ოჯახებიც თანახმა იყვნენ და, ამიტომ, დიდხანს აღარც გაუგრძელებიათ პაემნები – ერთ თვეში დაქორწინდნენ. თავიდან ჩემი და ძალიან ბედნიერი იყო, მაგრამ, ეს ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. სულ რამდენიმე თვის შემდეგ ნელიკომ საიდუმლოდ გამიმხილა, რომ ზურა იშვიათად ათევდა ღამეს სახლში და ვიღაც ქალთან დადიოდა. მივხვდი, რომ რაღაც სერიოზული ხდებოდა, ამიტომ, ფარული გამოძიება ჩავატარე (ხომ იცით, თბილისში ყველა ყველას იცნობს და, თუ ვინმეზე რამის გაგება გინდა, ბევრი წვალებაც არ დაგჭირდება) და გავარკვიე, რომ, თურმე, ამ ჩვენს სიძეს უკვე ოცი წელია, თავისზე რვა წლით უფროსი საყვარელი ჰყავს, რომელსაც ოჯახმა ვერა და ვერ დააშორა და ამიტომაც გადაწყვიტეს მისი „ჩქაროსნული წესით" დაქორწინება ჩემს დაზე, იმ იმედით, ცოლ-შვილს რომ მოეკიდება, იქნებ, იმ ქუჩის ქალს თავი დაანებოსო, მაგრამ, ასე არ მოხდა. ზურა მაინც იმ ძუკნასთან დარბოდა ყოველდღე, ღამითაც მასთან რჩებოდა, მის შვილებსა და შვილიშვილებს (იმ ქალს სამი შვილი ჰყავს და სამივე სხვადასხვა საყვარლისგან) თან ჰყვებოდა, მთელ ფულს იმათ ახარჯავდა, ახალშერთული ცოლი კი ყველანაირად უყურადღებოდ ჰყავდა მიგდებული. მართალია, არ ერჩოდა, არ ლანძღავდა და აგინებდა, არ სცემდა, მაგრამ, ნელიკო მისთვის არ არსებობდა. ისე გამოვიდა, რომ ცოლი მშობლებს მიუყვანა, რომ გაჩუმებულიყვნენ და მისთვის თავი დაენებებინათ, თვითონ კი თითქმის მთლიანად იმ ქალთან გადაბარგდა. საწყალი ჩემი და თვიდან თვემდე მარტო იყო სახლში და ტირილში ათენებდა ღამეებს. დედამთილი თავიდან ამხნევებდა, ეუბნებოდა, რომ მალე მოეგება გონს და შენთან დაბრუნდებაო, მაგრამ ზურა თვეში ორ-სამჯერ თუ შეივლიდა სახლში, ცოლს დაელაპარაკებოდა, ფარისევლურად მოეფერებოდა და ისევ გარბოდა. მოკლედ, ისე ჩანდა, რომ არც არასდროს აპირებდა იმ ქალის მიტოვებას. ყველაზე საშინელი კი ის იყო მთელ ამ ისტორიაში, რომ ჩვენი კარის მეზობელმაც და, რა თქმა უნდა, ზურას მშობლებმაც, ძალიან კარგად იცოდნენ, როგორ იყო ზურა იმ ქალზე შეყვარებული და არავინ არაფერი თქვა, ჩემი და მსხვერპლად გამოიყენეს. ვერ გავიგე, რას ერჩოდნენ, ვის რა დაუშავა?

ერთხელ, როცა ზურა რამდენიმე დღე ისევ აღარ გამოჩნდა, ნელიკომ დედამთილს უთხრა, ალბათ, ჯობია, გავეყაროთ, რადგან, პრაქტიკულად, მაინც არ მყავს ქმარი და თქვენთან რატომ უნდა ვცხოვრობდეო. იმის ნაცვლად, რომ თავისი შვილისა და საკუთარი საქციელის გამო ბოდიში მაინც მოეხადა, ნელიკოს უთხრა, შენ რომ კარგი ცოლი ყოფილიყავი, იმ ქალისკენ აღარც გაიხედავდა. მაგარი ქალები ორ და სამ შვილს ატოვებინებენ კაცებს, შენ კი ვიღაც ბებერი და ბოზი საყვარელიც კი ვერ მიატოვებინეო.

ეს ამბავი რომ გავიგე, კინაღამ ჭკუიდან გადავედი. ნელიკო ძალიან წყნარი, მშვიდი და დამთმობია, მე კი გურულ-მეგრული სისხლი მიჩქეფს ძარღვებში და ველარ მოვითმინე ჩემი დის ასე აბუჩად აგდება და დაჩაგვრა, მით უფრო, რომ ორი თვის ფეხმძიმე იყო და, მეშინოდა, ნერვიულობისგან ნანატრი შვილი არ დაეკარგა. ზურამ, ცხადია, იცოდა ნელიკოს ორსულობის ამბავი, მაგრამ, არანაირი ემოცია არ გამოუხატავს. ბევრი ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე, რომ ჯობდა ნელიკოს ერთხელ აშლოდა ნერვები და ყველაფერს წერტილი დასმოდა, ვიდრე მთელი ორსულობა და მთელი ცხოვრება ტირილსა და დარდში გაეტარებინა. ამიტომ, ჯერ ზურას მშობლებთან მივედი (ნელიკო რომ სამსახურში იყო, მაშინ) და, რასაც ვფიქრობდი მათზე, ყველაფერი ვუთხარი; შემდეგ იმ ქალის მისამართი გავიგე, ერთ ჩემს „ბანდიტკა" დაქალთან ერთად „ვესტუმრე" და მის დებილ ვაჟიშვილს, რომელიც დედის საყვარლების ხარჯზე ცხოვრობდა ტკბილად და თბილად, ვუთხარი, რაც საჭირო იყო; ბოლოს კი ზურას მივადექი სამსახურში და მთელ კოლექტივთან „გავუბაზრე," როგორც იქცეოდა და, თან, რაღაცეებით დავემუქრე. ერთი სიტყვით, შედეგად ის მივიღე, რომ ზურა მხოლოდ სამსახურიდან გამოუშვეს (ეტყობა, მის უფროსს შეეშინდა, ჩემი მუქარების „არეალში" მისი საქმიანობაც არ მოყოლილიყო), უმუშევარი და უფულო ზურა კი იმ ქალმა აღარ მიიღო და ვაჟბატონი იძულებული გახდა „მშობლიურ კერას" დაბრუნებოდა, მაგრამ, რადგან ეს ყველაფერი ჩემი მიზეზით მოხდა, ნელიკოს ქმართან დარჩენის შერცხვა, აიკრა გუდა-ნაბადი და სახლში დაბრუნდა. სიმართლე გითხრათ, არც არავინ გამოჰკიდებია, მაგრამ, ნელიკო დღემდე მემდურის, ოჯახი რომ დავუნგრიე – ავი იყო თუ კარგი იყო, მაინც ქმარი ერქვა და ოჯახი მქონდა, რაზეც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, შენი წყალობით კი მარტომ უნდა გავზარდო შვილიო.

აბა, რა უნდა ელაპარაკო ასეთ სულელ ქალს! მალე ორმოცის ხდება და ათი წლის ასაკშია ჩარჩენილი. სად ჰყავდა ან ქმარი, ან ოჯახი, სულ მარტო იყო მიგდებული და საკუთარ გულს ასკდებოდა. ასეთი ოჯახის ქონას, სულ რომ არ გქონდეს, ის ჯობია. ბავშვის გაზრდაში კი ჩვენ მივეხმარებით.



მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მამტყუნებს, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ სწორად მოვიქეცი და სულაც არ ვნანობ ჩემს საქციელს.

**ნუნუკა, 35 წლის.**

## დედამ შეყვარებული დამიწუნა

ავარიის შემდეგ დავრჩი ინვალიდი – ორივე ფეხი დამიზიანდა და ყავარჯნებით ძლივს დავჩოჩავ. რაც მთავარია, ექიმებმა მითხრეს, რომ ჩემი მდგომარეობა აღარ გამოსწორდება, რადგან ასეთ შედეგსაც არ მოელოდნენ. ერთი სიტყვით, ვარ ხეიბარი, რომელსაც ყოჩაღი, ღონიერი და ერთგული პატრონი მჭირდება, რადგან, ასაკის მომატებასთან ერთად, ცხადია, ჩემი მდგომარეობაც დამძიმდება და, შესაძლოა, დამოუკიდებლად სიარული საერთოდ ველარ შევძლო. მამა გარდამეცვალა. მყავს გათხოვილი და, რომელსაც ოთხი შვილი ჰყავს და ხანში შესული დედა, რომელიც ველარ აუდის ჩემს მოვლას, რადგან ჯანმრთელობაც არ უწყობს ხელს. ვარ 33 წლის. არც გარეგნობით, არც გონებრივად, არაფერი დაზიანებული არ მაქვს. სხვა მხრივაც არ ვუჩივი არაფერს, მხოლოდ სიარული მიჭირს. ყოველთვის ვოცნებობდი ოჯახსა და შვილებზე, მაგრამ, რაც ეს უბედურება დამემართა, ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და დეპრესიული გავხდი. ჩემი ერთადერთი შვება კომპიუტერი იყო და „ფეისბუქში" ძრომიალით ვიქარვებდი დარდებს.

ერთხელ კი ვიღაც ქალმა მომწერა, შენი გაცნობა მინდაო, რადგან, ჩემი ლექსები და მოთხრობები წაუკითხავს და დაინტერესებულა. მოკლედ, ერთმანეთი გავიცანით და დავმეგობრდით. მე ყველაფერი ვუამბე ჩემ შესახებ. არაფერი დამიმალავს. რამდენიმე თვის შემდეგ კი სახლში დავპატიჟე. დედაჩემს რომ ვუთხარი, ჩემთან ახალგაზრდა ქალი უნდა მოვიდეს და ტკბილეული ამოუტანე-მეთქი, გაუხარდა და დაფაცურდა, მაგრამ, მარი გარეგნობით არ მოეწონა და ეს არც დაუმალავს.

მარი რომ წავიდა, დედას ვუსაყვედურე – ასე რატომ მოიქეცი-მეთქი, მან კი მიპასუხა, ეგეთი შეუხედავი ქალი რამ მოგაწონა, მაგასთან რა საერთო უნდა გქონდეს. თან, შენზე სამი წლით უფროსიც ყოფილა და, ვინ იცის, როგორი წარსულის პატრონიაო.

ვერაფრით ვერ გავაგებინე დედაჩემს, რომ, ჯერ ერთი, მარი ძალიან ლამაზი სულის ადამიანია და ჩვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა; თან, ჩემს მდგომარეობაში მყოფი შვილის პატრონს, რაზე უნდა ჰქონდეს პრეტენზია, ვერ გამიგია. მე თუ მკითხავთ, პირიქით, მარის მშობლები და ახლობლები არ უნდა იყვნენ ჭკუაზე, მე თუ გამომყვება ცოლად.

ძალიან მეშინია, დედაჩემმა თავისი საქციელით არ დამიფრთხოს მარი და სამუდამოდ მარტო არ დამტოვოს, რადგან, ზუსტად ვიცი, რომ ამქვეყნად მეტს არავის აღარ შევუყვარდები.

**ამირანი, 33 წლის.**

**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

**პარლამენტის ექსდეპუტატი ნაზი არონია, მას შემდეგ, რაც აქტიურ პოლიტიკას, ბოლოს კი კონტროლის პალატის საქმიანობას ჩამოშორდა, მრავალთა მსგავსად, სამოქალაქო სექტორში „გადაბარგდა". ამბობს, რომ მის ცხოვრებაში პირველად დადგა პერიოდი, როცა სახელმწიფო სამსახურში აღარ მუშაობს და გზა უმცროს შვილს „დაუთმო", რომელიც ქართული საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხშირად ხვდება. მარიამ საჯაია უკვე ექვსი თვეა, ვაშინგტონში სწავლობს. ნაზი არონია „დედის ამპლუაში" შვილის ამერიკული ცხოვრების შესახებ გვიამბობს.**

# ვინ „დაჩეხა" მარიამ საჯაია ნაჯახით და რატომ დაინტერესდა მისით ცნობილი ამერიკელი სენატორი

**ნაზი არონია**: მას შემდეგ რაც კონტროლის პალატიდან წამოვედი, რაშიც ძალიან „შემიწყო" ხელი ლაშა თორდიამ, დავბრუნდი სამოქალაქო სექტორში. ეს მიმართულება ახლა გახდა მოდური, მაგრამ, მე გავუსწარი მოდას და ამ სექტორში ჯერ კიდევ 2000 წელს ვიყავი. როდესაც სამეგრელოში ომბუდსმენის რწმუნებულად ვმუშაობდი, დავაფუძნე არასამთავრობო ორგანიზაცია. იმ პერიოდში ბევრისთვის ეს უცხო ხილი იყო და იმის ახსნა მიწევდა, საერთოდ რას ნიშნავს არასამთავრობო ორგანიზაცია. ჩვენი ორგანიზაცია მუშაობდა პროექტებზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით. როცა პარლამენტის წევრი გავხდი, ამ ორგანიზაციისთვის დრო აღარ მრჩებოდა და, როგორც კი ჩემი შვილი, მარიამი სრულწლოვანი გახდა, მან განაგრძო ჩემი საქმეები. მარიამმა გააკეთა ერთი პროექტი, მაგრამ, მას შემდეგ, რაც ის პარლამენტარი გახდა, ისევ მე დავბრუნდი ორგანიზაციის თავმჯდომარედ. ასე ვცვლიდით დედა-შვილი როლებს არასამთავრობო სექტორსა და პოლიტიკას შორის ***(იცინის).*** ახლა გავაკეთე პროექტი ოჯახური ძალადობის თემაზე. ეს ის მიმართულებაა, რომელშიც მაქვს გამოცდილება და შემიძლია, დავეხმარო ადამიანებს. ამ სექტორში სოლიდური, კომპეტენტური საზოგადოებაა შეკრებილი, რაც, თავისთავად, კომფორტულია თანამშრომლობისა და, ზოგადად, საქმიანობისთვის.




**დედაჩემი მეტყოდა ხოლმე, რა უდარდელი ხარ, როგორ შეგიძლია, ასე ცხოვრებაო**

**– თქვენს შრომით ბიოგრაფიაში, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როცა არ ხართ სახელმწიფო სამსახურში.**

– დიახ, ნამდვილად ასეა. 18 წლის ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე და მთელი ჩემი ცხოვრება სახელმწიფო სამსახურში გავატარე. ეს ძალიან დიდ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული. ბოლო პერიოდში უკვე ვატყობდი საკუთარ თავს, რომ აღარ მსურდა ჩარჩოებში ცხოვრება – ვალდებულება, რომ, დილით, მინდა თუ არა, სამსახურში უნდა წავიდე, მით უფრო, ისეთ სამსახურში, სადაც გული აღარ მიმიწევს. როცა მოსამართლე ვიყავი, ისე მიყვარდა ჩემი საქმე და ისე მსიამოვნებდა, ვერ აგიწერთ, რა გრძნობით მივდიოდი სამსახურში. დღესაც კი, თუ სადმე განაჩენს ან იურდიულ დოკუმენტს წავაწყდი, მათ ისე ვკითხულობ, როგორც საყვარელ ლიტერატურას. სხვა გრძნობით ვუყურებ ფილმებს, რომლებიც სასამართლოს ან მოსამართლეს ეხება. ამ პროფესიას განსაკუთრებული ემოციები ახლავს. ზემოთ ღმერთია უფლებამოსილი, განსაჯოს ადამიანი, დედამიწაზე კი – მოსამართლე. ამ სამსახურის მიმართ ასეთი განცდა არ მქონდა, ამიტომაც, როგორც ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელია და, კარგიც კია, რომ ეს გადაწყვეტილება მივიღე. შეიძლებოდა, ცოტა ხანს კიდევ დავრჩენილიყავი კონტროლის პალატაში, მაგრამ, ეს არაფრის მომცემი აღარ იყო ჩემთვის, ეს იქნებოდა „ხალასტოი" ბრუნვა – ვერც კარიერული თვალსაზრისით და ვერც პროფესიულად ველარ გავიზრდებოდი და, რაღა უნდა შემეძინა იქ?! ამას ისიც დაემთხვა, რომ მარიამი ამერიკაში წავიდა სასწავლებლად, ქუთაისში მარტო ყოფნა და გამუდმებით თბილისს, ქუთაისსა და ზუგდიდს შორის სიარული კი უკვე რთული იყო. ძალიან დავიღალე, არ არსებობდა შაბათ-კვირა, როცა მე გზაზე არ ვიყავი გაკრული. ახლა ვარ თბილისში, ჩემს ოჯახთან, ბავშვებთან ერთად, რაც ყველაზე დიდ სიამოვნებას მანიჭებს. სამი ბიჭის ბებიობა კარგი რამ არის.

**– მარიამის შორს გადაბარგებას როგორ შეეჩვიეთ?**

– ძალიან ნორმალურად. ჩვენ მთელი ოჯახი მუდმივად ასე ვცხოვრობდით: ზოგს თბილისში გვიწევდა ყოფნა, ზოგს ზუგდიდში. ჩვენ ვერ ვახერხებდით ცხოვრებას ტრადიციულად, ოჯახი სულ ერთად რომ სადილობს და ვახშმობს. დედაჩემი მეტყოდა ხოლმე: რა უდარდელი ხარ, როგორ შეგიძლია ასე ცხოვრებაო. მე ასე მესმის: როგორც უკეთესია შვილისთვის, ისე უნდა მოიქცე. როგორ შეიძლებოდა, მარიამს უარი ეთქვა იმ შესაძლებლობაზე, რომ განათლება მიეღო ამერიკაში, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში?! მარიამი საკმაოდ პატარა იყო, როცა გერმანიაში, საზაფხულო სკოლაში გავუშვით სასწავლებლად. მაშინ მისი მასპინძელი იყო ჩემი უსაყვარლესი ადამიანი, ლადო ჭანტურია. თავიდანვე ასეთი ხასიათი ჰქონდა – საკმაოდ დამოუკიდებელი გოგოა, მოწადინებული, ორგანიზებული. ხასიათით უფრო მამას ჰგავს, ვიდრე მე. მას მტკიცე, შეუპოვარი ხასიათი აქვს, მე რბილი ვარ.

**– პოლიტიკაში გამოცდილ დედას თუ მოგწონთ მარიამის, როგორც პარლამენტარის იმიჯი?**

– კი მომწონს, თუმცა, ძალიან მძიმე რეაქცია მაქვს და ძალიან განვიცდი, როცა მარიამზე უსიამოვნო საუბრებს ვისმენ. საკუთარ თავზე უფრო იოლია მოისმინო რამე, ვიდრე შვილზე. როცა მე პოლიტიკაში ჩავერთე, ცხოვრებისეული გამოცდილებაც მქონდა და, შესაბამისად, უფრო ბრძოლისუნარიანიც ვიყავი. მარიამი კი, პატარა გოგო, ასეთ პოლიტიკურ გარემოში და ასეთ ალიაქოთში აღმოჩნდა მოვლენების ეპიცენტრში. ზოგადად, ოპოზიციაში ყოფნა უფრო ადვილია, ვიდრე ხელისუფლებაში, მაგრამ, საქართველოში ხომ სხვანაირადაა – ოპოზიციაში ყოფნა არის დაწყევლა, ანგარიშსწორება, შურისძიება. სწორედ ამ სიტუაციაში აღმოჩნდა მარიამი პოლიტიკაში და, შესაბამისად, მისი გზა უფრო რთული აღმოჩნდა პოლიტიკაში, ვიდრე ჩემი. მე ვიცი ამის ფასი და, როცა პოლიტიკაში მოდიხარ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო და მე ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა. როცა გამოუცდელი ახალგაზრდა პოლიტიკაში მოდის, ამას ყოველთვის მოჰყვება ხმაური. მე არ ვუშლიდი ხელს გადაწყვეტილების მიღებაში. მის ასაკში ისეთი განცდა გაქვს, რომ მთებს გადადგამ, ენთუზიაზმით ხარ სავსე, ამ დროს კი ნაჯახით რომ მოგადგებიან და გულსა და ნერვებს გიჩეხავენ, იოლი არაა.

**მარიამი ვაშინგტონში ცხოვრობს, მისი სახლიდან თეთრ სახლამდე ფეხით 15 წუთის სავალია**

**– თქვენ ვერ გაუიოლეთ ეს გზა?**

– ეს მისი გასავლელი გზა იყო. ექიმმა დედამ, შეიძლება, შვილს ექიმობა ასწავლოს, მაგრამ, პოლიტიკოსი დედა შვილს ვერ ასწავლის პოლიტიკოსობას. თუ თვითონ ვერ მიხვდა, ვერ ჩაწვდა, არ აღმოაჩნდა ალღო, განწირულია, პოლიტიკოსობას ვერ ასწავლი. ყოველ წამს და ყოველ წუთს ხომ არაა დედა შვილის გვერდით?! როცა გამოდის საზოგადოების წინაშე, ვერ ეტყვი, რა უნდა თქვას, როგორ უნდა მოიქცეს, როგორ დაიჭიროს თავი და, თუნდაც, როგორ უპასუხოს ოპონენტს. ამას თავად უნდა მიხვდეს, თავად გაიაზროს.

**– მარიამის ამერიკაში წასვლასაც დიდი ამბავი მოჰყვა.**

– ხომ გაგიგონიათ, ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზე მეტს რომ იწველებაო. ის ხალხი, ვინც მარიამზე ასეთი ამბები ატეხა, მარიამის ხელფასის ფასად ჩანთებს ყიდულობს, ასე რომ, მათ მარიამზე სალაპარაკო არაფერი აქვთ. ახალგაზრდა გოგონას სწავლის სურვილი და საშუალება თუ აქვს, რატომ არ უნდა მიიღოს განათლება, ამაში რაღა იყო საგანგაშო?! მარიამს კანონით ჰქონდა ამის უფლება, რეგლამენტი ამას ითვალისწინებს, კანონი არ დარღვეულა. რაც შეეხება მისი ცხოვრების ხარჯებს, მარიამი უნივერსიტეტის კუთვნილ ბინაში ცხოვრობს, თუმცა, გარკვეულ თანხას ჩვენც ვიხდით. გამოცდების შედეგების მიხედვით, გადასახადის ნაწილი ჩამოგვაჭრეს. ოჯახი ვეხმარებით აქედან, ჩემი შვილი, ნიკა არის მისი მთავარი დამფინანსებელი.

**– მოსწონს ამერიკული ცხოვრება?**

– ძალიან მოსწონს. რამდენადაც ამას ახერხებს, ცდილობს, ნახოს ქვეყანა. მარიამი ვაშინგტონში ცხოვრობს, მისი სახლიდან თეთრ სახლამდე ფეხით 15 წუთის სავალია. კარგი ჯგუფი ჰყავს უნივერსიტეტში, სამი რუსი სწავლობს მასთან ერთად. მარიამი ხუმრობს ხოლმე: ორი მოვაქციე ჩვენკენ, ერთი – ჯერ ვერაო. ძალიან მოსწონს ამერიკა, სტაჟირებაზეც ფიქრობს. ევროპას, ასე თუ ისე, იცნობდა, ამერიკულმა ცხოვრებამ და ადამიანის სრულმა თავისუფლებამ კი ძალიან მოხიბლა. სულ მეუბნება, აქ ისეთი რიტმი და რეჟიმია, ერთი წუთი ვერ გაჩერდები, ოთახში რომ ზიხარ, იქაც კი გრძნობ, რომ გარეთ ყველაფერი დუღსო. ეს მანდატი რომ არ აკავებდეს, შემეშინდებოდა, იქ არ დარჩეს-მეთქი ***(იცინის).*** მარიამი ისეთი ყოჩაღია, თავს კარგად უძლვება. არასდროს არ იყო ისეთი გოგო, რომლებსაც დედები ბანენ

**(გაგრძელება 51-ე გვერდზე)**

# როგორ აუსრულეს „დიპლომატ ჯორჯიამ" და „პროქტერ ენდ გემბელმა" ერთობლივი პროექტით მომხარებელს ოცნებები

*19 იანვარს კომპანია „პროქტერ ენდ გემბელმა", რომლის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში არის სადისტრიბუციო კომპანია შპს „დიპლომატ ჯორჯია", თავისი მომხმარებლისთვის გამართა გათამაშება სლოგანით: „ჩაერთე გათამაშებაში და მიიღე ჯადოსნური მოგზაურობის შანსი!" გასათამაშებელ პრიზებს შორის იყო: 3 საგზური ბაკურიანში, 3 სარეცხი მანქანა, 50 სასაჩუქრე კალათა და სუპერპრიზი: მოგზაურობა პარიზში 4 პერსონაზე. სარეკლამო აქცია მიმდინარეობდა 2013 წლის 12 დეკემბრიდან 2014 წლის 15 იანვრამდე. აქციაში მონაწილეობის მისაღებად მომხმარებელს უნდა შეეძინა „პროქტერ ენდ გემბელის" გათამაშებაში ჩართული პროდუქტებიდან („არიელი", „ტაიდი", „პამპერსი," (მხოლოდ მწვანე პაკეტი, „ჟილეტ ფუჟენი", „პანტენ პრო-ვი") რომელიმე 3 პროდუქტი. შემდეგ შეევსო ბილეთი, შეენახა ბილეთის ერთი ნაწილი და ქვითარი, ხოლო ბილეთის მეორე ნაწილი კი ჩაეგდო სარეკლამო ყუთში, ან დაეტოვებინა მოლარესთვის, რომელსაც დოლურის მეშვეობით გაათამაშებდნენ. ასე რომ, „დიპლომატ ჯორჯიამ" და „პროქტერ ენდ გემბელმა" ერთობლივი ძალებით, რამდენიმე ადამიანს მოუწყო ჯადოსნური დღესასწაული, განსაკუთრებით კი ეკატერინე მახალდიანს, რომელიც ოჯახის წევრებთან ერთად მარტში, პარიზში 5 დღით გაემგზავრება.*







**მარიკა ბოჭორიშვილი** *(„დიპლომატ ჯორჯიას" მარკეტინგის სპეციალისტი):* „დიპლომატ ჯორჯიას" ორგანიზებით 19 იანვარს თბილისში გაიმართა „პროქტერ ენდ გემბელის" გათამაშება. ანუ, მომხმარებელს უნდა შეეძინა გარკვეული სახის პროდუქცია იმისთვის, რომ მიეღო ბილეთი და ჩართულიყო გათამაშებაში შესანიშნავი პრიზების მოსაგებად. რაც მთავარია, საჩუქრები საკმაოდ კარგი იყო: სასაჩუქრე კალათები, საგზური ბაკურიანში, სარეცხი მანქანები და ერთი სუპერპრიზი: ხუთდღიანი მოგზაურობა პარიზში 4 პერსონაზე. ანუ, ერთი ადამიანი იგებდა ოთხკაციან საგზურს. 19 იანვარს გამოვავლინეთ გამარჯვებულები. მთავარი პრიზის მფლობელი გახდა ქალბატონი ქუთაისიდან, რომელიც 24 იანვარს ჩამოვიდა თბილისში და მობრძანდა „დიპლომატ ჯორჯიას" ოფისში. მას საზეიმო ვითარებაში გადავეცით საგზური და გავაცანით პირობები.

**– ეს „დიპლომატ ჯორჯიას" და „პროქტერ ენდ გემბელის" პირველი ერთობლივი გათამაშება იყო?**

– კი. სადისტრიბუციო კომპანია „დიპლომატ ჯორჯია" „პროქტერ ენდ გემბელის" წარმომადგენელია საქართველოში. ჩვენი ორგანიზებით პირველად ჩატარდა ეს გათამაშება და საკმაოდ წარმატებულადაც. ყველანი კმაყოფილები დავრჩით, განსაკუთრებით კი ჩვენი მომხმარებლები.

**– რომელი პროდუქცია შედიოდა გათამაშებაში?**

– მომხმარებელს საშუალება ჰქონდა ენახა „პროქტერ ენდ გემბელის" იმ პროდუქციის ჩამონათვალი, რომლებიც გათამაშებაში მონაწილეობდა. მათგან, სამი პროდუქციის შეძენის შემთხვევაში, მომხარებელს გადაეცემოდა ერთი ბილეთი. 19 იანვარს ბილეთები დოლურის დახმარებით გავათამაშეთ, რომელსაც ესწრებოდნენ ჟიურის წევრები. ამოღებული ბილეთების მიხედვით, გათამაშდა 50 სასაჩუქრე კალათა, ასევე „სამსუნგის" სარეცხი მანქანა, საგზური ბაკურიანში და საგზური პარიზში. სასაჩუქრე კალათაში მოთავსებული იყო „პროქტერ ენდ გემბელის" პროდუქცია, რომელსაც მომხმარებელი აქტიურად მოიხმარს. საჩუქრების გადაცემა კიდევ გრძელდება, თუმცა უმეტესობა, ძირითადად, გადაცემულია. უბრალოდ, ველოდებით რეგიონებიდან ხალხის ჩამოსვლას.

**– ძირითადად, რეგიონები აქტიურობდნენ?**

– შეიძლება ითქვას, რომ 50-50-ზეა. რაც მთავარია, მათი გაწყობა დადებითია, რაც ჩვენ გვახარებს.

**– ახლო მომავალში თუ გეგმავთ ასეთი ტიპის გათამაშებას?**

– „პროქტერ ენდ გემბელი" მომავალში კიდევ გეგმავს მსგავსი ტიპის წამახალისებელ აქტივობებს.

**ეკატერინე მახალდიანი** *(ფარმაცევტი ქუთაისიდან, გამარჯვებული):* პირადად მე, არ მიყურებია გათამაშებისთვის. მაგრამ, მეგობრებმა ნახეს, დამირეკეს: შენი სახელი და გვარი გამოაცხადეს გათამაშებაში და თუ გაქვს ბილეთიო. თავიდან ვერც წარმოვიდგინე, თუ მთავარ პრიზს მოვიგებდი. მეორე დღეს, როცა კომპანიიდან დამირეკეს, ოფიციალურად შემატყობინეს, რომ გავიმარჯვე გათამაშებაში, ძალიან გამიხარდა.

**– რა შეიძინეთ ბილეთის მისაღებად?**

– „პე ეს პეს" აფთიაქში შევიძინე „პროქტერ ენდ გემბელის" პროდუქცია და გადმომცეს ერთი ბილეთი. ზოგადად ამ კომპანიის პროდუქციის აქტიური მომხმარებელი ვარ, რადგან ხარისხიანია და ყოველთვის კმაყოფილი ვარ მისით.

**– აქამდე რამე მოგიგიათ?**

– არასდროს. ეს ჩემთვის პირველი მოგებაა. პრიზების შესახებ მქონდა ინფორმაცია, შესაბამისად, გარკვეულწილად, მოგების იმედი მქონდა, მაგრამ არ მეგონა, თუ სუპერპრიზს მოვიგებდი. საოცარი და სასიამოვნო ემოცია დამეუფლა, თუმცა ძალიან ვინერვიულე.

**– ნამყოფი ხართ პარიზში?**

– არ ვარ ნამყოფი. როგორც ბევრი ადამიანისთვის, ჩემთვისაც პარიზი ოცნების ქალაქია. თუმცა, ვერც ვიფიქრებდი, რომ ახლო მომავალში გავემგზავრებოდი, თან საგზური საჩუქრად გადმომეცემოდა. ერთი დღე უნდა გავატაროთ „დისნეი ლენდში", 5 დღე კი უშუალოდ, პარიზში.

**– უკვე იცით ვის წაიყვანთ?**

– მეუღლეს, შვილს და ოჯახის უახლოეს ნათესავს. მათაც ძალიან გაუხარდათ, აღფრთოვანებულები და ძალიან კმაყოფილები დარჩნენ. დიდი მადლობა „დიპლომატ ჯორჯიას" და „პროქტერ ენდ გემბელს" ასეთი არაჩვეულებრივი პრიზისთვის. კიდევ იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს გათამაშება დაგეგმეს. რაც მთავარია, ზუსტად ვიცი, რომ კიდევ გავაგრძელებ „პროქტერ ენდ გემბელის" პროდუქციის მოხმარებას, რადგან მაღალი ხარისხის პროდუქციაა და მთელი ოჯახი აქტიურად ვიყენებთ.




**ნათია უტიაშვილი**

# რატომ ეშინია ზოგიერთ ქალს, როცა შემთხვევით ქმარზე სიმართლეს იგებს



**ყველა ადამიანს აქვს თავისი პატარა საიდუმლო. როგორც ამერიკელები ამბობენ, თითოეული ჩვენგანის კარადაში თითო „ჩონჩხი" დევსო... ეს ძალიან უხეში ნათქვამია, მაგრამ, საუბარია იმაზე, რომ, არსებობს რაღაც ძალიან პირადი და ხელშეუხებელი, რომელიც ყველასგან დაფარული უნდა იყოს. ადამიანებს, განსაკუთრებით კი მამაკაცებს, ხშირად ეშლებათ და, ოჯახის გარეთ გადახდენილ ამურულ თავგადასავლებს პირადი, ხელშეუხებელი სივრცის სახელს არქმევენ და, მათი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მას ამის უფლება აქვს. არ არსებობს საიდულო, რომელსაც ადრე თუ გვიან ნათელი არ მოეფინება. სამწუხაროდ, მამაკაცებს აქვთ პრეტენზია – როგორ გაბედა ქალმა და შეეხო მის საიდუმლოს, იმას, რაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა. ქალი კი არჩევნის წინაშე დგება: დამძიმებული გულით განაგრძოს ერთ ჭერქვეშ ცხოვრება მოღალატესთან თუ სამუდამოდ დაივიწყოს ის, რაც მოულოდნელად გახდა მისთვის ცნობილი.**

**ლილი** *(38 წლის):* ჩემი ქმარი ძალიან დიდხანს მატყუებდა, ისე დიდხანს, რომ ვინანე კიდეც, საერთოდ რატომ ვიცხოვრე მასთან ერთად-მეთქი. სხვათა შორის, ბევრი ახლობელი მეუბნებოდა, ძალიან გვიკვირს, თქვენ რომ ასეთი განსხვავებულები, ამდენი წელი ერთად ხართ; წარმოუდგენელია, ოჯახი როგორ შექმენი მასთანო. მე ასეთ ლაპარაკს ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან, მიყვარდა ქმარი და, დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც ასეთივე გრძნობა ჰქონდა ჩემ მიმართ. არსებობს ქალების კატეგორია, რომლისთვისაც სულერთია, უყვარს თუ არა ის კაცს – ოღონდ ქმარი ჰყავდეთ და, ამას უმნიშვნელო რამედ მიიჩნევენ. თქვენც ხომ შეგხვედრიათ ცოლები, რომლებიც ეგუებიან ღალატს ქმრის მხრიდან? ყურადღებასაც კი არ აქცევენ ამას, მთავარია, ქმარმა ფული მოიტანოს სახლში, კომფორტში აცხოვროს და ხელი არ შეუშალოს პირადი სურვილების დაკმაყოფილებაში. პირადად მე, ასეთს ბევრს ვიცნობ. მათ, პირიქით, უკვირთ შენი, როცა ამბობ, რომ ქმარი გიყვარს და, გინდა, რომ შენი ერთგული იყოს. ჩემთვის ეს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო. სიყვარული მაკავშირებდა ქმართან, თორემ, როგორც ადამიანებს, ერთმანეთთან საერთო არაფერი გვაქვს.

**– რას გულისხმობთ?**

– საერთო ინტერესებს, აღზრდას, ქცევებსა და მანერებს, ცხოვრებაზე შეხედულებებს... თანაც, სანამ გავყვებოდი, ცუდი სახელიც ჰქონდა. სანამ ჩვენი რომანი განვითარდებოდა, მანამდე ორი წლის განმავლობაში ვიცნობდი და მასზე გოგოები ამბობდნენ, საზიზღარი მექალთანეა, ყველა ქალს კაბის ქვეშ უძვრებაო. მაშინ ჩემი მომავალი ქმარი არ მაინტერესებდა და, საერთოდ არანაირ ყურადღებას არ ვაქცევდი, რას ლაპარაკობდნენ ამ კაცზე. ჩემ მიმართ ყურადღება რომ გამოიჩინა, ჯერ მელიმებოდა, მერე კი, უცებ, შემიყვარდა...

**– უცებ შეგიყვარდათ?**

– წარმოიდგინეთ, რომ, აი, ასე უცებ შემიყვარდა. მართლა ვერ შევამჩნიე, როგორ და როდის მოვიდა გრძნობა. თუმცა, გონება არ დამბინდვია და ვეუბნებოდი, შენ მიმართ ნდობა არ მაქვს. ბევრი გოგოსთვის გითქვამს, მიყვარხარო და, არ მინდა, მეც ერთ-ერთი მათგანი ვიყო-მეთქი. რას ამბობ, შენ ყველა დამავიწყე. ის ხარ, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი. იმიტომ მყავდა ბევრი ქალი, რომ შენ მეპოვე. ახლა აღარავინ მჭირდება, ჩემთვის მთელი სამყარო შენშიაო.

**– და, ასე მარტივად დაუჯერეთ?**

– არც ისე მარტივად, მთელი ორი წელი ვაკვირდებოდი. აჩრდილივით დამდევდა უკან. თვალს არ მაშორებდა, შემომციცინებდა. ჩემ გარშემო ყველა შეაწუხა იმაზე ლაპარაკით, რომ უზომოდ ვუყვარდი და ჩემ იქით გზა არ ჰქონდა. როგორც გითხარით, მის მიმართ გრძნობა მეც გამიჩნდა და დავნებდი... იცით, რაშია საქმე? მე თვალებში ვუყურებდი, როცა თავის გრძნობებზე მელაპარაკებოდა და, შეუძლებელი იყო, არ დამეჯერებინა მისთვის, ისე მიყურებდა. სუფთა, ანკარა გრძნობა ირეკლებოდა მის მზერაში. ერთადერთი, ჩემი დაქალი იყო ის, ვინც მითხრა: ეგ თავისას არ მოიშლის, გავა ორი-სამი თვე და ძველებურად „შეუბერავსო". ვერ დავუჯერე. თუმცა, ძალიან არ მომეწონა მისი ნათქვამი. გულში ისარივით შემესო და დიდხანს მაწუხებდა. სხვათა შორის, როცა ცოლად გავყევი, ლამის ერთი წელი ვამოწმებდი. ჩუმად დავყვებოდი უკან: სად წავიდა, ვის შეხვდა, რა გააკეთა... მაგრამ, ნელ-ნელა ყველა ეჭვი მომეხსნა და შვებით ამოვისუნთქე.

**საკუთარი თავი დავარწმუნე იმაში, რომ ჩემი ქმრის აწმყო და მომავალი მხოლოდ მე ვიყავი**

**– ასე ვთქვათ, მოდუნდით.**

– დიახ. ეჭვში ცხოვრება, ნდობის გარეშე, საშინელებაა. როცა გადავწყვიტე, აღარ მეფიქრა ჩემი ქმრის წარსულზე, მის ძველ რომანებზე, აღარც მოღალატე ქმრების ამბების მოსმენა მინდოდა. რატომ უნდა დამღლოდა გონება და ისევ გავეტანჯულიყავი უსარგებლო ეჭვებით?! თავი დავირწმუნე იმაში, რომ ჩემი ქმრის აწმყო და მომავალი მხოლოდ მე ვიყავი. ჩემი მხრიდან ეს შეცდომა იყო, ვაღიარებ. ცოლებს არ გვაქვს მოდუნების უფლება. ქმრებს ერთი საიდუმლოც კი არ უნდა დავუტოვოთ, სხვანაირად ბედნიერებას ვერ შევინარჩუნებთ.

**– ანუ, ქმრებს არ უნდა ვენდოთ?**

– არც ერთ ნაბიჯზე. ჭკვიანი ქალი ასე იქცევა, მაგრამ, არ იმჩნევს, რომ ქმარს არ ენდობა. კაცმა უნდა იცოდეს, რომ მისი „ცელქობა" დაუსჯელი არ დარჩება. ნორმალურ ოჯახში საიდუმლოებები არ უნდა არსებობდეს.

**– მამაკაცებს არ უყვართ შეზღუდვები. ისინი გაურბიან კონტროლს და ძალიან ბრაზდებიან, როცა ცოლი რაღაცის გარკვევას ცდილობს.**

– ასე იქცევა ის, ვისაც რაღაც „ცოდვა" უკვე ადევს კისერზე. როცა მე სინდისი სუფთა მაქვს, მაკონტროლონ, რა პრობლემაა? არ ვარ მართალი?

**– მამაკაცები ასე არ სჯიან.**

– ვიცი. იმიტომ, რომ უმრავლესობას აქეთ-იქით გაურბის თვალები. ყველას რაღაც აქვს ჩადენილი. ჩუმი და წყნარი კაცი უფრო საშიშია. საერთოდაც, კაცისთვის ერთგულება უცხო ხილია. მოკლედ, პირველი წელი, ცოტა მეტიც, ფხიზლად ვიყავი. მივლინებაშიც კი გავყევი ერთი-ორჯერ. მერე მარტო წავიდა და მე ის სამი დღე ადგილს ვერ ვპოულობდი. რომ ჩამოვიდა, ლამის გამადიდებელი შუშით ვაკვირდებოდი, მაგრამ ვერაფერი შევატყვე. მობილურიც გადავუჩხრიკე – სუფთა იყო. ჰოდა, დავმშვიდდი. შვილი რომ გაგვიჩნდა, ერთად ვზრდიდით. ფანტასტიკური მამა იყო. ღამით მე არ მაღვიძებდა, თვითონ უვლიდა ბავშვს. ბედნიერები ვიყავით. ქმარი ხელისგულზე გვატარებდა მეც და ბავშვსაც. მერე მეორეც დაიბადა... სამსახურიდან პირდაპირ სახლში გამორბოდა. არ მახსოვს, უარი ეთქვას რამის ყიდვაზე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მთელ თავის შემოსავალს ჩვენ გვახარჯავდა. მე კი არა, ყველას დაავიწყდა მისი მექალთანეობის ამბავი. თხუთმეტი წელი გავატარეთ ერთად და ერთხელაც არ მოუცია საბაბი ეჭვიანობისთვის. თითქმის დამიმტკიცა, რომ კარგი ქმარი იყო და სწორი არჩევანი გავაკეთე. მაგრამ...

**– იცით, რა მაინტერესებს? ერთნაირად მოსიყვარულე იყო მთელი ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, იყო. არ ეზარებოდა და არ ენანებოდა ჩემთვის საალერსო სიტყვები, კომპლიმენტებზე აღარაფერს ვამბობ. უყურადღებოდ არასდროს მტოვებდა. იპოვიდა თუ არა დროს, მაშინვე სადღაც მივყავდი – კინოში, თეატრში, სამოგზაუროდ... ფანტასტიკურ უიქენდებს და სიურპრიზებს მიწყობდა... რა უნდა მეეჭვა?! სრულ ჰარმონიაში ვცხოვრობდით, სანამ ისევ არ წავიდა მორიგ მივლინებაში. არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა. არც მინერვიუ-

# ვინ დააშორა დედა-შვილი ერთმანეთს და ვინ ეძებს ბიოლოგიურ დედას ბათუმიდან რუსეთში

*30 წლის ეკატერინა გოგიტიძე ეძებს დაახლოებით 53-55 წლის ლარისა ივანეს ასულ კოვალოვსკაიას.*

**ისტორია**: ვეძებ დედას, დაახლოებით 53-55 წლის ლარისა ივანეს ასულ კოვალოვსკაიას. დედა 2 წლის ასაკიდან არ მინახავს. დავიბადე 1983 წლის 22 სექტემბერს, ქალაქ ვოლგა-დონსკში, შემდეგ კი ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და მამამ საქართველოში ჩამომიყვანა. მას შემდეგ დედა აღარ მინახავს და არც არაფერი ვიცი მის შესახებ. დედაჩემს დიდი ხანია, ვეძებ, მაგრამ, უშედეგოდ – ვერანაირად ვერ მოვახერხე მისი პოვნა და თქვენ ჩემი ბოლო იმედი ხართ. მაქვს დედის ერთადერთი სურათი. ფოტოზე მეც ვარ – სწორედ ასეთი ვახსოვარ დედას.



**– მოგვიყევით თქვენი ისტორია, რატომ დაშორდით დედა-შვილი ერთმანეთს?**

– მამაჩემი სწავლობდა რუსეთში, ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც საინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრა და იქ ყოფნისას გაიცნო დედაჩემი. მათ შეუყვარდათ ერთმანეთი და შედეგად მე გავჩნდი. დაზუსტებით არ ვიცი, დედ-მამას ჰქონდა თუ არა ხელი მოწერილი მაგრამ, ვფიქრობ, უბრალოდ, ერთად ცხოვრობდნენ. 2 წლის რომ ვიყავი, ბაბუაჩემმა (მამის მამამ) მამაჩემს საქართველოში დაბრუნება მოსთხოვა. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, დედაჩემს საქართველოში ჩამოსვლა არ უნდოდა და მამამ მე ჩამომიყვანა.

**– ანუ, დედა თანახმა იყო თქვენს წაყვანაზე?**

– არა, მას არ უნდოდა, ჩვენ რომ დავშორებულიყავით და, როგორც ვიცი, იქ სასამართლოც კი ჩატარებულა, რადგან, დედა ჩიოდა, რომ შვილი, კანონით, მასთან უნდა დარჩენილიყო. მამაჩემს ფული „ჩაუყრია" და ისე მოუგია სასამართლო. შედეგად, მე საქართველოში ჩამომიყვანეს, დედა კი რუსეთში დარჩა.



**– დედას თუ უცდია თქვენი ნახვა, ან, კავშირი თუ გქონდათ ერთმანეთთან?**

– თავიდან, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, სულ მირეკავდა თურმე და მკითხულობდა. მერე კი მამაჩემის მხარეს უთქვამთ მისთვის, რომ, ვითომ მე გარდავიცვალე და მას შემდეგ აღარ დაურეკავს – როგორც ჩანს, მან ეს დაიჯერა. პატარა სანამ ვიყავი, სულ დედა მინდოდა, ვტიროდი და ვნაღვლობდი, შემდეგ მამამ სხვა ცოლი მოიყვანა, რომელიც ფიზიკურად დედაჩემს ჰგავდა. ჩემი აღმზრდელი დედა როცა ვნახე, თურმე, დედაჩემი მეგონა და მიხაროდა.

**– თქვენი ნამდვილი დედის ამბავი ვისგან ან როდის გაიგეთ?**

– დაახლოებით მეექვსე კლასში ვიქნებოდი, როცა ჩემმა აღმზრდელმა დედამ მითხრა სიმართლე. მას შემდეგ ძალიან მინდა დედის პოვნა. მართალია, მყავს აღმზრდელი დედა და ნახევარძმაც, მაგრამ, მოგეხსენებათ, დედას ვერავინ და ვერაფერი ვერ შეცვლის.

**– მამათქვენმა თუ იცის, დედას რომ ეძებთ და რას ფიქრობს ის ამ საკითხთან დაკავშირებით?**

– მამაჩემმა არ იცის, დედას რომ ვეძებ. მისთვის ამის თქმას ვერ ვბედავ, მაგრამ, დედის პოვნა ისე მინდა, რომ, ვფიქრობ, ამ საქმეში ხელს ვერავინ შემიშლის. ლარისაზე მხოლოდ ის ვიცი, რომ ის სადღაც პოდმოსკოვიეში უნდა ცხოვრობდეს. სამწუხაროდ, სხვა ინფორმაცია მასზე არ გამაჩნია. ისიც, რაც ვიცი, მხოლოდ ბაბუასგან მაქვს გაგებული, მეტი დედაზე ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს.

***თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.***

**ნატალია მახარაშვილი**

---

ლია, არც მიღელვია... დღეში რამდენჯერმე რეკავდა და ჩვენს ამბავს კითხულობდა; მეკითხებოდა, რა ჩამოგიტანო, რით გაგახაროო და, უცებ, მისი ჩამოსვლის წინა საღამოს, სახლის ძირფესვიანი დალაგების დროს შემთხვევით წავაწყდი პატარა ბლოკნოტს. ან, საერთოდ, რა ჯანდაბად უნდოდა, რომ ინახავდა. გადავშალე და თავიდან ვერაფერს მივხვდი – ქალების სახელებით იყო სავსე. დაწვრილებით წავიკითხე წვრილად ნაწერი და ლამის შოკში ჩავვარდი. ყველაფერი ეწერა: თარიღები, ვისთან რამდენი დრო გაატარა, რომელ ქალში რა მოსწონდა, რამდენი ხანი მოანდომა თითოეულის შებმას...

## ცოლებს არ გვაქვს მოდუნების უფლება. ქმრებს მრთი საიდუმლოც არ უნდა დავუტოვოთ, სხვანაირად ბედნიერებას ვერ შევინარჩუნებთ

თვალებს ვერ უჯერებდი. დონ ჟუანის ჩანაწერები თუ წარმოგიდგენიათ, ეგ იყო. ტელეფონების ნომრები არ ეწერა – ეტყობა, ძველებს აღარ უბრუნდებოდა და სამუდამოდ ამთავრებდა თითოეულ მათგანთან ურთიერთობას. ერთი-ორი შეხვედრა და – მორჩა. მერე აზარტს, ინტერესს კარგავდა.

**– ან, გრძელვადიანი ურთიერთობის ეშინოდა.**

– ეგეც არის, მაგ ვარიანტსაც არ გამოვრიცხავ. ერთბაშად აღმოვაჩინე, რომ მამაკაცის განსაკუთრებულ ტიპაჟთან მქონდა საქმე, შეიძლება, ცოტათი ავადმყოფთანაც კი. იქნებ ფსიქოლოგებმა უკეთ იცოდნენ ამ დაავადების სახელი... მეხი რომ დაეცემა ადამიანს თავზე, ზუსტად ისეთი შეგრძნება მქონდა. ფეხქვეშ ნიადაგი გამომეცალა და, სასოწარკვეთილს, რა უნდა მექნა, არ ვიცოდი. თან, არ მჯეროდა, რომ ჩემს მოსიყვარულე, მზრუნველ ქმარს მეორე ცხოვრებაც ჰქონდა, თანაც, ასეთი შოკისმომგვრელი და ყოვლად წარმოუდგენელი. ვერც ის გადავწყვიტე, როგორ მოვქცეულიყავი: მეჩვენებინა ჩანაწერები, ამეტეხა ერთი ამბავი თუ, საერთოდ არ ამომეღო ხმა. ბოლოს ავიღე ბლოკნოტი და დავწვი... ქმრისთვის არაფერი მითქვამს, არც ერთი სიტყვა. პირიქით, ძალიან თბილად და ალერსიანად შევხვდი... მგელია ცხვრის ტყავში-მეთქი, ვფიქრობდი და გადავწყვიტე, მეც ასეთი გავმხდარიყავი. სამი თვე გავიდა ამ ამბის შემდეგ. სიმშვიდეა. ჩანაწერები თითქოს არც არსებულა. არ ვიცი, არ ნახა თუ ნახა და არ იმჩნევს, რომ გამქრალია... მოკლედ, ვარ ასეთ გაურკვევლობაში და, არ ვიცი, რა იქნება ხვალ. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ვერაფრით ვივიწყებ წაკითხულს. ფრაზები, სიტყვები ამომიტივტივდება ხოლმე მეხსიერებაში და ძლივს ვიკავებ თავს, რომ ქმარს საშინელი სკანდალი არ ავუტეხო, რისი ღირსიც ნამდვილად არის.

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ორი წლის წინ ქმარმა მიღალატა. ოჯახი ლამის დავანგრიე. ვაგდებდი სახლიდან, ჩემი ცხოვრებიდან, მაგრამ, არ წავიდა. ბოლოს ისეთები ჩაიდინა და მოიმოქმედა, ვაპატიე. შევრიგდით. ყველაფერს აკეთებს, რომ ეს ამბავი დამავიწყოს. მეც მინდა დავიწყება, თუმცა, არაფერი გამომდის. მაწუხებს ის, რომ ხშირად მახსენდება, როგორ ეფერებოდა სხვა ქალს. მეშინია, რომ სულ ასე ვიქნები და დავიტანჯები. როგორ მოვიქცე?**

**გამოხმაურება**: რთულია, მაგრამ, რადგან აპატიეთ, როგორმე დავიწყებაც უნდა შეძლოთ. ნელ-ნელა ეს გამოგივათ. მთავარია, არც მას წამოაძახოთ და არც საკუთარ თავს შეახსენოთ მომხდარი. შეეგუეთ, არ იფიქროთ, რომ მან შეგნებულად გატკინათ გული. მთავარია, რომ მოინანია.

**ფსიქოლოგი მაგდა როგაქიძე**

**ანნა და დათო იმედაშვილების ახალაშენებულ სახლში ყველაზე საპატიო, საყვარელი წევრი 7 თვის პეტრეა. ძალიან მოძრავი, ენერგიული, სიმპათიური და ღიმილიანი ბიჭი ხელში აყვანისთანავე რომ გაყვარებს თავს.**

# როგორ ახერხებენ დათო იმედაშვილის ყოფილი ცოლები და ანნა იმედაშვილი კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას და ვის გამო გახდა დათო იმედაშვილი „სახლური ტიპი”

**ანნა იმედაშვილი**: 2013 წელი ჩემთვის ყველაზე ბედნიერი იყო. შარშან ოქროს დაბადების დღე მქონდა და როცა პატარა ვიყავი, სულ ვამბობდი: ოქროს დაბადების დღე რომ მექნება, ის იქნება ყველაზე კარგი წელი-მეთქი. მართლაც ასე მოხდა: ყველაზე ბედნიერი დაბადების დღე მქონდა, რადგან პეტრიკელა მყავდა მუცელში. შემდეგ პეტრე გაჩნდა, ახალმოსახლეობა გვქონდა. დათო პეტრეს სულ ეუბნებოდა: მამა, აი, ნახე, მე შენთვის სახლი ავაშენეო. კარგად დაემთხვა ყველაფერი. თუმცა 2014 წლისგან კიდევ მეტს ველოდები.

**– ნათქვამია: ადამიანმა ცხოვრებაში შვილი უნდა გააჩინოს, სახლი ააშენოს და ხე დარგოსო. შვილი გყავთ, სახლში ააშენეთ, ხე თუ დარგეთ?**

– ნაძვის ხე დავრგეთ ეზოში პეტრეს სახელზე. გეგმა შევასრულეთ, თან მინიმუმის დონეზე კი არა, მაქსიმუმის – დათოს უკვე სამი შვილი ჰყავს.

**– როცა „ახალი ხმა” გადიოდა, პეტრე ძალიან პატარა გყავდა. არ გიჭირდა მისი დატოვება?**

– რასაც ეკრანზე უყურებს მაყურებელი, ყველაფერი ჩანაწერია, გარდა ლაივებისა. ცოცხალი ეთერი სულ ხუთი გვქონდა. პეტრე 40 დღის არ იყო, პირველ გადაღებაზე რომ გავედი. დედაჩემს დავუტოვე, ძალიან გამიჭირდა. ყოველ 5 წუთში ერთხელ ვურეკავდი: რას შვრება, როგორ არის? ცოტა რომ წამოიზარდა, მერე „ბრმა ქასტინგის” გადაღება გვქონდა, მაგრამ მალე ჩავწერეთ, ისევე, როგორც რინგები, ნოკაუტი. ოპერატიულად ვმუშაობდით, ამიტომ პეტრეს ბევრჯერ არ მოუწია მარტო დარჩენა. ისეთი გრაფიკი მქონდა, სულ პეტრესთან ერთად ვიყავი. ძალიან კონტაქტური ბავშვია. ზოგჯერ თან მიმყავდა და ბედნიერი იყო, რადგან უყვარს ბევრი ხალხი. ძალიან პატარა – სულ რამდენიმე კვირის რომ იყო, „ტომი და ჯერი” ჩავურთე. უყურებდა და თან, მთელი ემოციით იცინოდა. მულტფილმებზე მეტად მოსწონს, როცა ცოცხალ ადამიანებს ხედავს.

**– ახალბედა დედა ხარ, დათო ამ საკითხში უფრო გამოცდილია. ალბათ, გეხმარება პეტრეს გაზრდაში.**

– სტაჟიანი მამაა, ძალიან დამეხმარა. მთელი ფეხმძიმობა ვამბობდი: არაფრის მეშინია, უბრალოდ, იმაზე ვნერვიულობ, ბავშვს როგორ მოვუარო-მეთქი. დათო მეუბნებოდა: რის გეშინია, მე აქ არ ვარო?! ვფიქრობდი: კი არის აქ, მაგრამ... სამშობიაროდან რომ გამოვედით, იმ დღიდან მოყოლებული, პეტრეს ცალკე სძინავს – თავის ოთახში, თავის საწოლში და ღამე დათო უფრო სწრაფად რეაგირებდა, ვიდრე – მე. პირველად დათომ აბანავა. მუცელი რომ სტკიოდა, ვერ ვხვდებოდი, რა სჭირდა. დათო მაშინვე სწორად რეაგირებდა. ამიტომ, სულ ვამბობ: დათო, რომ არ ყოფილიყო, არ ვიცი, რა მეშველებოდა. თავიდან ყველაფერს ისე განვიცდიდი, პრობლემა რომ მოგვარდებოდა, დავჯდებოდი და ვტიროდი. პეტრე მამამისზე გიჟდება და მე ვეჭვიანობ. ვამბობ: ჩემზე არ აქვს ასეთი რეაქციები. ყველაფერს და ყველას ურჩევნია დედამიწის ზურგზე, ოღონდ მამას შეხედოს – საოცარი რეაქციები აქვს. კიდევ იმაზე ვეჭვიანობ, რომ დათოს ჰგავს ძალიან. დათო კი დამცინის: შენც გგავსო.

**– გარეგნობით შენც გგავს. ისე, გარკვეულწილად, უკვე გამოეხატებოდა ხასიათი და ვის ამსგავსებ?**

– ექოსკოპიაზე რომ მივდიოდი, იქაც ჩანდა, როგორ იცინოდა. ექიმმა მითხრა: ეს იშვიათად ხდება და ძალიან კარგიაო. ამას რომ ვამბობდი, არავინ მიჯერებდა. თუმცა, რომ დაიბადა, მერეც სულ იცინოდა. ერთხელ მე და დათო, მივედით ექოსკოპიაზე, ექიმმა რომ შემოგხვედა თქვა: ხასიათით აშკარად დედას გავს, ვიზუალურად კი – მამასო. მეც სულ ბედნიერი ვიყავი მთელი ფეხმძიმობის განმავლობაში და მივხვდი, დიდი მნიშვნელობა აქვს, შენ როგორ გრძნობ თავს, რადგან შენი ემოციები გადადის ბავშვზე. ისე, თავისთავს უფრო ჰგავს.

**– ალბათ, დროს ისე ანაწილებ, რომ დათოსთვისაც დაგრჩეს საკმარისი დრო.**

– პეტრე უპრობლემო ბავშვია. ახალი გამოყვანილი რომ გვყავდა სამშობიაროდან, სულ მე ვიყავი მასთან. რომ მეუბნებოდნენ: ტირილს გაარჩევო, მიკვირდა: რას ამბობს ეს ხალხი, როგორ უნდა გავარჩიო-მეთქი. ახლა ყველაფერს ვხვდები: რა, როგორ და რის გამოა. იშვიათად ტირის – როცა რაღაც აწუხებს. ძირითადად, სულ იცინის. საღამოს 7 საათზე რომ იძინებს, დილით, ცხრის ნახევრამდე სძინავს. ასე რომ, დათოსთვისაც მრჩება დრო. თან, მუშაობს, დაკავებულია, დღისით სულ გასულია. საღამოს რომ მოდის, პეტრე იძინებს – მამას ემშვიდობება და დასაძინებლად მიდის. ჩვენ კი დრო გვრჩება ერთმანეთისთვის. სახლში მყავს ადამიანი, რომელიც სახლის საქმეებში მეხმარება. სანამ ძველ ბინაში ვცხოვრობდით, ყველაფერს ვახერხებდი, მაგრამ რაც ამ სახლში გადმოვედი, ცოტა რთულია ამ ყველაფრის გაკეთება. კი, ახერხებ, მაგრამ მერე საღამოს ისე იღლები, ხვდები: არაფრის თავი აღარ გაქვს. ახლა ეს ადამიანი მეხმარება და მე პეტრესთან უფრო ხშირად ვარ. მანქანით სიარული ძალიან უყვარს, ჩავსვამ და ვასეირნებ ხოლმე. საღამოს, როცა პეტრეს სძინავს, ბავშვთან ან დედაჩემი რჩება, ან დათოს დედა. ჩვენ კი სადმე გავდივართ. რაც პეტრე დაიბადა და ამ სახლში გადმოვედით, დათოც „სახლური ტიპი” გახდა – ეს კარგია. ყველას გვსიამოვნებს სახლში ყოფნა.



თავიდან ყველაფერს ისე განვიცდიდი, პრობლემა რომ მოგვარდებოდა, დავჯდებოდი და ვტიროდი

**– პეტრემ შეგიცვალათ ცხოვრების სტილი, თუმცა ძალიან სასიამოვნოდ.**

– სულ ამას ვამბობ, რომ ყველაფერი ბრუნავს და მოძრაობს პეტრეს ირგვლივ. ეს ძალიან მახარებს.

**– ანუ, თავიდან ბოლომდე შენ ზრდი.**

– ძიძა არ მყავს, თუმცა ის ქალი, რომელიც სახლის საქმეებში მეხმარება, როცა სადმე გავდივარ ცოტა ხნით, პეტრეს იტოვებს. თავიდანვე მინდოდა, რომ პეტრე მე გამეზარდა. პრობლემური ბავშვი რომ ყოფილიყო, არ ვიცი, რა იქნებოდა. იმდენად ადვილი და კომფორტულია პეტრესთან ერთად ყოფნა, რომ მირჩევნია, მე გავზარდო. ადრე ინტერნეტ-პორტალებზე, რომ შევდიოდი, ბევრ რამეს ვკითხულობდი ფეხმძიმეებზე, ბავშვებზე. ერთი ნახატი ვნახე, ბავშვს ოჯახი დაეხატა: დგას ბავშვი. დედა და მამა ცალკე დგანან, მას კი ძიძაზე აქვს ხელი ჩაკიდებული. ჩემმა შვილმა ასეთი რამ რომ დახატოს, ძალიან ვინერვიულებ, ვიეჭვიანებ და არ მომეწონება.

**– პეტრეს და და ძმა ჰყავს, რომლებიც, ალბათ, მასზე გიჟდებიან.**

– კი, გიჟდებიან პეტრეზე და ესეც ორივეზე გიჟდება. რომ ხედავს, ისეთი ბედნიერია... ძალიან კარგად ეკონტაქტებიან ერთმანეთს. თუ ვიცი, რომ ელენე სახლშია, შემიძლია, პეტრე დავუტოვო და მე ჩემს თავს მივხედო. ელენე ისე უვლის, ასე ვერავინ მოუვლის. ლუკა უკვე დიდია – 16 წლის, ისიც კარგად უვლის პეტრეს.

**– მახსოვს, დათომ „ფეისბუქზე” დადო ფოტო, სადაც მისი ყოფილი ცოლები და შენ, ერთად ხართ გადაღებული – საკმაოდ ხალისიანი და პოზიტიური ფოტო იყო.**

– როდესაც დათო გავიცანი, მას უკვე ჰყავდა 2 შვილი და 2 ცოლი, ანუ შვილების დედები. ჩვეულებრივი ამბავია, უფრო სწორად არ არის ჩვეულებრივი – ასე ხშირად არ ხდება, მაგრამ ასე იყო და რა უნდა მექნა. ყველაფერი მაინც ადამიანებზეა დამოკიდებული, ნორმალურები არიან და თან, შეხების წერტილი გვაქვს: დათოს მათგან შვილები ჰყავს – პეტრეს და-ძმა, შესაბამისად, მშვენიერი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან.

**– დათოს დანარჩენი ორი ცოლისგან განსხვავებით, შენ მისთვის ყველაზე სტაჟიანი ცოლი ხარ, რეკორდი მოხსენი.**

– თვითონაც ხუმრობს: დიდხანს გაგრძელდა ჩვენი ურთიერთობაო – 7 წელი შეგვისრულდება ზაფხულში. ჩვენი ურთიერთობიდან ყველა პერიოდი თავისებურად ძალიან კარგი იყო. ძველ ფოტოებს რომ ვათვალიერებთ, ვამბობთ: რა კარგი იყო. დათო კი მეუბნება: ძალიან კარგი იყო, მაგრამ ახლა უფრო კარგიაო. ყოველი წელი ერთმანეთზე უკეთესია, თავისებური ხიბლი აქვს.

**– ისეთი ლამაზი სახლი გაქვთ. თან ვიცი, რომ შენი და დათოს დიზაინით არის ყველაფერი გაკეთებული.**

– მე და დათომ დავხატეთ ეს სახლი და დიდი ბჭობის შედეგად, გადავწყვიტეთ, როგორი იქნებოდა. იმ დროს ფეხმძიმედ ვიყავი. გვინდოდა, პეტრეს დაბადებამდე მოგვესწრო ყველაფერი. დიდი მუცლით, სიცხეში მიწევდა ყველა სამშენებლო დაწესებულებაში სიარული. პეტრე რომ გაჩნდა, ჩემი დაქალი მეკითხებოდა: აბა, მღერის თუ „ბალგარკა” უჭირავს ხელშიო. სისადავე მიყვარს და ამიტომაც, სადა, დამჯდარი ფერები გამოგვივიდა. ინტერიერს მერე ავეჯით კიდევ უფრო მეტად გავალამაზებთ.

**ნათია უტიაშვილი**

**არ გამკვირვებია, როდესაც ეკა ხოფერიამ, საახალწლო გადაცემაში ეკო ფანგანი წლის რესპონდენტად დაასახელა. ის არის სავსე პოზიტივით, ენერგიით, არ იშურებს ღიმილსა და სიტყვებს მაყურებლისთვის, მკითხველისთვის. ყველა თემაზე თავისუფლად საუბრობს. კითხვა არ დამისვამს, მაგრამ რაღაც დოზით, ალბათ, ბირთვულ ფიზიკაშიც ერკვევა. იცის ყველაფერი „ქალურ თემებზე“ და აქვს სილამაზის უამრავი რეცეპტი. სხვა რა სჭირდება ბულვარულ ჟურნალს თუ თოქ-შოუს?!**

# რაში „იჭრებიან“ მამაკაცები ეკო ფანგანთან და რატომ ვერ ატყუებენ მას ვერასდროს

**ეკო ფანგანი**: ჩემს გარეგნობაზე, ცვლილებებზე და კიდევ უამრავ თემაზე იმდენი ვილაპარაკე, იმდენ გადაცემაში ვიყავი, რომ ეკა ხოფერიამ წლის ყველაზე მოთხოვნად რესპონდენტად დამასახელა. ცხვირზე და მსგავს ცვლილებებზე ლაპარაკი დამთავრდა 2013-ში და ახალი წლიდან, მზად ვარ ბრძოლის, თავდადებისა და თავგადასავლებისთვის.

**– უკვე შეეგუე შენს ახალ ვიზუალს?**

– ჩაჯდა, დაცხრა და ყველაფერი რიგზეა. იქიდან გამომდინარე, რომ ცხვირის წვერი შევისწორე მხოლოდ და ზემოთ ხელი არ მიხლია, უფრო მეტად იყო შესიებული, ვიდრე სხვა შემთხვევებში. სისულელე ყოფილა, როცა ამბობენ, მხოლოდ შევისწორე ცხვირი და არ დამითხელებიაო. ან წვერს იკეთებ ან მთლიანად – ამაში გამარკვიეს ექიმებმა. ჩემი ცხვირი, რომელიც ისედაც არ არის ძალიან თხელი, კიდევ უფრო გასივდა და კარტოფილივით მეჯდა ***(იცინის).*** ახლა ცხრება და ძალიან მომწონს. თუ ვინმეს არ მოსწონს, ეს საერთოდაც არ მაინტერესებს. ძალიან დიდი ბოდიში, ადამიანები ძალიან მიყვარს, მათი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ შემთხვევაში, მთავარი ის არის, რაც მე მინდა და მომწონს. ვინ რა იცის იმ ნიუანსებზე, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ან იქნებ, უბრალოდ, ცვლილება მინდოდა?! ძალიან მიხდება, ძალიან ლამაზი ვარ... ***(იცინის).***

**– სოციალურ ქსელებში ხშირად იყო გაღიზიანებული ხალხის კომენტარები, ვინც აკრიტიკებდა შენ ხშირ გამოჩენას სხვადასხვა არხზე. რის გამო იქეცი საყვარელ სტუმრად?**

– თავს კი არ ვიქებ, მაგრამ ბევრისგან გამიგია, იგივე პროდიუსერების თუ, წამყვანებისგან, რომ კარგი რესპონდენტი ხარ, შეგიძლია, საზოგადოება გააჩუმო და იმ წუთში, შენი გავლენის ქვეშ მოაქციო ან როგორც მინიმუმ, მოგისმინონო. სხვათა შორის, წამყვანადაც ამის გამო მიწვევენ და „დღის შოუს“ შემთხვევაშიც, ასე იყო. ყველა ადამიანმა თავისი საქმე კარგად იცის და ალბათ, საჭიროდ ჩათვალეს, რომ იმ კონკრეტულ მომენტში ვჭირდებოდი. შეიძლება, ვიღაც პროფესორია რაიმე დარგში, მაგრამ ეს ჟურნალი როგორ გააკეთო და ინტერვიუ ვისგან აიღო, ამას ვერ გასწავლის. ამის გამო სულ ისმის ჩემი მისამართით კითხვები: რა გამიკეთებია, ვინ ვარ საერთოდ... ძალიან ბევრი მაქვს ნამუშევარი სხვადასხვა სფეროში და ნასწავლი სხვადასხვა უნივერსიტეტში. სხვადასხვა რაღაცეებით მოვედი აქამდე.

**– „დღის შოუში“ მაინც მეგონა, რომ მუდმივ წამყვანად გიხილავდი...**

– ზუსტად საჩემოა ის რუბრიკა, რაც მაქვს და ძალიან ბედნიერი ვარ. ვსაუბრობ თავის მოვლაზე, სილამაზეზე, მოდაზე. ვაკეთებ სიუჟეტებს სილამაზის ცენტრებიდან, მაღაზიებიდან. მაქვს გარე გადაღებები და შემდეგ ამ ყველაფერს ერთგვარად უკვე სტუდიაში, ყოველ პარასკევს ვაჯამებ.

ძალიან საინტერესოდ შემოვედი ამ გადაცემაში. „ფეისბუქზე” დაანონსდა, რომ „დღის შოუ“ ახალ წამყვანს ელოდებდა და იყო ერთწინადადებიანი მინიშნება – გამოიცანით ვინ არის? აქვს სტილის კარგი გრძნობა, არის ქალი და კიდევ რაღაც ერთი, აღარ მახსოვს. აი ამ, სრულიად ზოგადი დახასიათებით, რომლითაც შანსი არ იყო, რამეს მიმხვდარიყავი, ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოიცნო და მე დამასახელა. შოკში ვიყავი. მერე უკვე პარასკევს, ეთერში ცოტა გვიან შევედი, ნიღაბი მეკეთა და ნანიკომ დაითვალა, სანამ ნიღაბს მოვიხსნიდი, შვიდასი კომენტარი მოვიდა. ყველა ამბობდა, ეკოაო. მადლობა კიდევ ერთხელ მაყურებელს, ასეთი აქტიურობის და გამოხმაურებისთვის.



**ტანზე კი ვარ ბავშვივით, არაფერი მაქვს საწუწუნო. კარგ მდგომარეობაშია სხეულზე კანი. მადლობას ვეუბნები ჩემს გენს**

**– თავად როგორ უვლი თავს?**

– სახის კანს ვუჩივი. მთელი ცხოვრება ვირუჯებოდი და ახლა, ცხვირის გამო, არ შეიძლება ცოტა ხანს. სოლარიუმში ცხრა წელი ისე ვიცხოვრე, დღე არ ყოფილა რუჯის გარეშე. ამის გამო, ჩემი კანი ცოტა მოიჩლაჩა, მაგრამ ტანზე კი ვარ ბავშვივით, არაფერი მაქვს საწუწუნო. კარგ მდგომარეობაშია სხეულზე კანი. მადლობას ვუხდი ჩემს გენს. ბავშვების გაჩენის შემდეგ, დედაჩემს და დეიდაჩემს საერთოდ არ შეცვლიათ კანის სტრუქტურა. რატომღაც არავის სჯერა, რომ არ ვვარჯიშობ, კუნთიანი სხეული მაქვს. არ ვეწევი სიგარეტს და ბოლო ერთი წელია, არ ვსვამ არანაირ გაზიან სასმელს. წყალი ძალიან კარგია, მაგრამ ბევრს არ ვსვამ. ერთი პერიოდი ავიჩემე და დღეში სამ ლიტრს ვსვამდი. როგორც მინიმუმ, კაცი მინდოდა ვყოფილიყავი, ისეთი სიხშირით მინდებოდა საპირფარეშოში ***(იცინის).*** ასევე, არ ვჭამ ღორის ხორცს. ბოტკინი მაქვს გადატანილი, რომელიც რომ დამთავრდა და მოვრჩი, მერე გავიგე ***(იცინის).*** რაღაც პერიოდი არ შეიძლებოდა ღორის ხორცის ჭამა და მერე ნელ-ნელა გადავეჩვიე. არადა ვაფრენდი „ხალადეცზე”. უბედნიერესი ვიყავი ძმრიან „ხალადეცს” რომ ვჭამდი. გადავწყვიტე, მარტო „ხალადეცს” მაინც შევჭამ-მეთქი, მაგრამ ვერა... მოკლედ, ღორის ხორცს არ და ვერ ვჭამ. ესაა სულ ჩემი სილამაზის ფორმულა.

**– ინტერვიუს დაწყებამდე ბედნიერებაზე, მამაკაცებზე ვსაუბრობდი. ხომ არ გავათამამეთ მამაკაცები ყოველმხრივი კომფორტით? უნდა იყო ლამაზი, სულ მოწესრიგებული, საქმეში წარმატებული, სახლი დალაგებული, სადილი გაკეთებული, ბავშვები მოვლილი და ასე შემდეგ...**

– ძალიან ცოტა მამაკაცს ვიცნობ ასეთს, მაგრამ ნამდვილად არსებობენ, რომლებსაც ცოლთან ყველაფერი თანაბრად აქვთ გადანაწილებული. მათი ცოლები არიან ლამაზები, საქმიანები, ბავშვები მოვლილი, სკოლაში გაშვებული, დაბანილ-ნამეცადინები. ამასობაში ქმრებიც ძალიან წარმატებული არიან თავიანთ საქმეში, ძლიერი ტიპები, სახლშიც ბევრ საქმეს რომ აგვარებენ. ისინი ყოველთვის ერთად წყვეტენ ყველანაირ საკითხს, დაკავებული არიანი საყოფაცხოვრებო თემებით, დადიან ბაზარში. ანუ... თუ ადამიანს უნდა, ყველაფერი შესაძლებელია – ყველა მიმართულებით შექმნის კომფორტს. სამწუხარო ისაა, რომ ჩვენ ქვეყანაში ქალებს ბევრად მეტი შეუძლიათ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ძალიან ზარმაცი კაცები გვყავს. პროცენტულად ასეა. თუ კაცი მუშაობს და წარმატება აქვს მორჩა, მის გარშემო ყველა მონა უნდა იყოს და სხვა აღარაფრის მოთხოვნის უფლება არ გრჩება. თან, ეს წარმატებაც არ აქვს ყველას. სულ ქალების კისერზე გადადის ყველაფერი. სახლის საქმე მხოლოდ სადილი და სარეცხი არ არის. კიდევ ბევრი სამუშაოა, რაც კაცის გასაკეთებელია. ამას პლუს ურთიერთობები, მათი დალაგება. ვალდებულებები მაშინ არის თანაბარი, როცა უფლებებია თანაბარი. ამიტომაც, ყველაფერი უნდა იყოს გათანაბრებული და გაწონასწორებული. ქალი, რომელიც მუშაობს, ბავშვებს უვლის, სახლში ყველაფერს აკეთებს, მისახედი ჰყავს ქმრის გაუთხოვარი მამიდა, ბიცოლა, უცოლო ასაკოვანი ნათესავი და ამ დროს ქმარი ბოდიში და წინ და უკან „გულაობს“ – ეს საშინელებაა. „გულაობა“ მხოლოდ ქალებთან ურთიერთობა არ არის, ამაში ვგულისხმობ მათ დაუმათვრებელ სმას, გართობას, ძმაკაცებთან ღამის თენებებს... კოშმარია. როგორც ქალი უნდა იყოს თავისი ქმრისა და ოჯახის ერთგული, ზუსტად იგივე მოეთხოვება კაცს. თუ ქმარს ძმაკაცებთან გართობა უნდა, ცოლსაც ჰყავს მეგობრები. მე ასე ვცხოვრობ, შენ ასე ცხოვრობ, მაგრამ როგორც ვაკვირდები, ეს მაინც ერთეულების შემთხვევაშია ასე და მასობრივად, ქალებს ასე თავის მეგობრებთან გართობის უფლება არ აქვთ.

**– არის ასეთი გამოთქმა, რომ კაცი არსებობს ქალისთვის ან ძმაკაცებისთვის. ორივე ერთად არ გამოდის. ეთანხმები?**

– ძალიან ცუდია, მაგრამ არსებობენ კაცები, რომლებსაც მიაჩნიათ, თუ საყვარელ ქალს ხელის გულზე ატარებენ, ეს რაღაც არაკაცურ საქციელში ჩაეთვლებათ, თუ რაღაც ეგეთი დებილობა. რა თქმა უნდა, ბევრს ვიცნობ ისეთს, ვინც წარმატებულიცაა, ძმაკაცებთანაც დროს ატარებს და ულამაზესი ცოლიც ჰყავს, რომელიც ყურადღების გარეშე ერთი წუთით არ რჩება – ერთად ერთობიან, ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს. ნორმალურ ოჯახში ასეც უნდა იყოს. მაგრამ, ისეთი მეგობრებიც მყავს, როცა ცოლ-ქმარი, ორივე ჩემი მეგობარია და უთქვამთ, ნეტა, ჩემი ცოლი შენთან რომ არის, ისეთი იყოს სულო. ანუ, ბევრნაირი შემთხვევა არსებობს, მაგრამ პროცენტულად, დიდ ნაწილს მაინც ცოლი სახლში ჰყავს და თვითონ ერთობა. აი, ძმაკაცს რაღაც უჭირს და სადღაც გავყევი – იცოდეთ, გოგოებო, ამ დროს გატყუებენ ***(იცინის).*** შეიძლება, სხვა ქალი არაფერ შუაშია, მაგრამ, როგორც მინიმუმ, ისე სვამენ, შეიძლება, მეორე დღემდე ვერ მოვიდეს. რა თქმა უნდა, უნდა გაერთოს, თავის მეგობრებთან უნდა იყოს – კაცების ურთიერთობა კიდევ სხვა არის. როგორც მე მჭირდება ჩემს გოგოებთან ერთად განტვირთვა, ისე მათაც, ალბათ, ყველა ხვდება, რასაც ვგულისხმობ.

**– არ უჭირთ მამაკაცებს შენთან ურთიერთობა იმის გამო, რომ ყველა მათი ნაბიჯი იცი?**

**(გაგრძელება 31-ე გვერდზე)**

**„სიყვარული ყველაფრის მძლეველი ძალაა, ის ადამიანის გულში ჩადებულ ეგოიზმსაც სპობს. ჭეშმარიტი სიყვარული მზად არის, მოძებნოს სამართალი, დაეხმაროს სხვას, გაუწოდოს სიყვარულის, ნუგეშის ხელი და დაეხმაროს მას ბოროტების ჭაობიდან ამოსვლაში" – ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი):**

# რატომ არის ქრისტეში ყველა ადამიანი თანასწორი და როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს ქრისტიანს სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენლებთან

– ვისაც უყვარს, ის ადამიანის კეთილდღეობისთვის ზრუნავს – ეს არის გზა, რომელსაც ზეცამდე მივყავართ და ქრისტეს მბაძველად და უფლის დარად გვხდის. ვინც ეგოისტურად, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ცხოვრობს, ის უფლის, ეკლესიის მიღმა იმყოფება. თუკი ადამიანს სურს, ღირსეულად მოიძიოს ბედნიერება, მან კი არ უნდა შეიქმნას საკუთარი კეთილდღეობა, არამედ, მოიპოვოს საერთო კეთილდღეობის საგანძურიდან, თუკი საერთო საქმე ყვავის ერთობლივი ძალისხმევით და, მაშინ იქნება ის ბედნიერი. ყოველი ადამიანი, თითქოს, არის რამდენიმე კონცენტრული წრის ცენტრი: უახლოესი წრე – ოჯახური მოვალეობებია, შემდგომი წრე – ვალდებულებები თანამოქალაქეთა მიმართ და ბოლოს არის ჩვენი მოვალეობის წრე სრულიად კაცობრიობის მიმართ. მაგრამ, ქრისტიანისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს ღმერთის მიმართ მადლიერებისა და სიყვარულის გრძნობა. რა თქმა უნდა, ეკლესია აღიარებს ეროვნულ უფლებებს, მაგრამ, ნაციონალური ეგოიზმის წინააღმდეგია. ის გვეუბნება, რომ ცათა სასუფეველში ყველასთვის არის ადგილი. ყველა ეროვნებას თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმიანობაში. ქრისტიანობაში არ არსებობს და არც შეიძლება ჰქონდეს ადგილი დავას პირველობისთვის არც ადამიანებს და არც ერებს შორის. მოციქულ პავლეს პირით ქრისტიანობა გვასწავლის, რომ ქრისტეში არ არის და არც იქნება არანაირი განყოფა. „არ არის ბერძენი, არც იუდეველი, არ არის ბარბაროსი, მონა და თავისუფალი, არამედ, ქრისტეა ყოველივე და ყოველშივე". არასწორი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე იმ ადამიანს, რომელიც ფიქრობს, რომ ის მთლიანად აღვსილია კაცობრიობის სიყვარულით, სამშობლოს მიმართ კი, შეუძლია, განსაკუთრებული სიყვარულის გრძნობა არ გააჩნდეს. ადამიანური სიყვარულისთვის არსებობს საფეხურები, რომელთა გავლითაც ის აღწევს გარკვეულ ხარისხს – კაცობრიობის სიყვარულს. ერთ-ერთი საფეხური კი არის ყოველივე მშობლიურის შემდეგ – საკუთარი სამშობლოს სიყვარული. შეუძლებელია, ადამიანმა ამტკიცოს, რომ უყვარს მთელი კაცობრიობა, რომელსაც სრულიად არ იცნობს, თუ მას არ უყვარს საკუთარი ახლობლები, რომლებთანაც დაკავშირებულია დაბადებიდან. ქრისტიანული სწავლება ერთა შორის ურთიერთობაზე, ეფუძნება უმთავრეს მცნებას მცნებათა შორის – სიყვარულს და, ასევე, ქრისტეს სიტყვებს მოციქულებისადმი: „წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი მამისა და ძისა და სულიწმიდის სახელით". საეკლესიო სწავლება ერთა შესახებ მკაფიოდ არის გამოთქმული პავლე მოციქულის სულიერ მემკვიდრეობაში. ღვთივსულიერ მოციქულს ადამის მოდგმა ესახება ერთიან ხედ, რომლის ფესვები ქრისტეა, ხოლო ტოტები – ხალხი. ქრისტეში ყველა ხალხი თანასწორია: „თუ ფესვი წმიდაა, მაშინ, წმიდა რტოც. ნუ იამპარტავნებ რტოთა წინაშე, ხოლო, თუ იამპარტავნებ, იცოდე, შენ კი არ გიკავია ფესვი, ფესვს უკავიხარ შენ... შენ რწმენით დგახარ, ნუ გაამაყდები, არამედ, გეშინოდეს". არც ერთ ხალხს არ აქვს უფლება, ჩათვალოს თავი სხვაზე აღმატებულად ან უპირატესად, რადგან, ღმერთი მიკერძოებული არ არის, არამედ, ყველა ერშია მისი მოშიში და სიმართლის მოქმედი. ქრისტიანული სიყვარული ყველას მოიცავს – მეგობარსაც და მტერსაც. უფალი პირდაპირ გვეუბნება: „გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, სიკეთე უყავით თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით". ამიტომაც, ადამიანს არა მხოლოდ საკუთარი მოყვასი, მტერიც უნდა უყვარდეს, უნდა ლოცულობდეს მისთვის, უფალს უნდა სთხოვდეს მის შეწევნას და მხოლოდ ასეთი სიყვარული იქნება წრფელი და ჭეშმარიტი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიყვარულს უდიდესი ძალა აქვს: ის საკუთარ თავში მოიცავს ადამიანის ხსნას, მის გათავისუფლებას ბოროტი, ცუდი ქცევებისგან, ფიქრებისგან. სიყვარულით სავსე ადამიანის გულში აღარ არის ადგილი ბოროტებისთვის და ეშმაკსაც უჭირს იქ საკუთარი ადგილის პოვნა. რაც მთავარია, სიყვარული ყველაფერს იტანს, ყველაფერი სწამს, რაც ჭეშმარიტია; ყველაფრის იმედი აქვს და ის არასდროს მთავრდება, რადგან, სიყვარული თავის უფალია, ყველაფრის მომცემი და ადამიანების მანუგეშებელი. სიყვარულს ვერაფერი ერევა, ის ყოველთვის თან ახლავს ქრისტიან, მოყვარულ ადამიანს და მას განსაცდელებისგან იხსნის.



**ქრისტიანული სიყვარული ყველას მოიცავს – მეგობარსაც და მტერსაც. ადამიანს არა მხოლოდ საკუთარი მოყვასი, მტერიც უნდა უყვარდეს, უნდა ლოცულობდეს მისთვის**

**ეკლესია აღიარებს ეროვნულ უფლებებს, მაგრამ, ნაციონალური ეგოიზმის წინააღმდეგია. ის გვეუბნება, რომ ცათა სასუფეველში ყველასთვის არის ადგილი**

**– მამაო, რაზე მიუთითებს და რა საჭიროა ეკლესიაში ცვილისგან დამზადებული სანთლის დანთება და მისი დახმარებით ლოცვა? ესეც ხომ სიყვარულის ერთგვარი გამოვლინებაა იმ ადამიანების მიმართ, ვისთვისაც ხატის წინ დანთებული სანთლით ვლოცულობთ?**

– სანთელს რამდენიმე სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: უპირველეს ყოვლისა, სიმბოლურად გამოხატავს შეუქმნელ, მარადიულ ნათელს – იესო ქრისტეს; გარდა ამისა, ის მლოცველთა მოწიწების, მოკრძალებისა და ღვთისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამომხატველია. ასევე, წარმოადგენს საეკლესიო შესაწირს – როდესაც ადამიანი სანთლის საფასურს იხდის, ნებაყოფლობით სწირავს თავისი შრომის ნაწილს ღმერთსა და საყდარს. ანთებული სანთელი ლოცვის წმიდა სიმბოლოც არის და იმაზეც მიანიშნებს, რომ ადამიანი სანთლის მსგავსად უნდა ენთოს ღვთის წინაშე ლოცვითა და ერთგულებით და, რაც მთავარია, სანთელს უნდა ემსგავსებოდეს ქრისტიანის ამქვეყნიური ცხოვრება, მასავით უნდა იყოს ანთებული მაცხოვრის მცნებების აღსასრულებლად. ცვილს ფუტკარი ყვავილებისგან ამზადებს. წმიდა მამათა განმარტებით, მრავალი სურნელოვანი ყვავილისგან მოგროვილი და ფუტკრის ნექტრისგან წარმოქმნილი ცვილი სიმბოლურად უზენაესის მიერ შექმნილი მთელი სამყაროს ძღვენია. ამდენად, როცა ღმერთს ცვილისგან დამზადებულ სანთელს ვწირავთ, გამოვხატავთ სურვილს, ძღვნად მივართვათ უფალს საუკეთესო და ძვირფასი ნაყოფი, ცვილის სირბილე კი ღმერთისადმი მორჩილებისთვის ჩვენი მზადყოფნის გამომხატველია, როგორც ყველაზე წმიდა და სუფთა. სიმბოლურად, მისი შემწირველობა სულიერ სისუფთავესა და სიწმიდეს გამოხატავს და შეგვახსენებს, რომ სულის განწმენდაზე ვიზრუნოთ. საერთოდ, მცენარეულ სამყაროსთან დამოკიდებულება ძალზე მნიშვნელოვანია ქრისტიანული რელიგიისთვის.

**– როდესაც მცენარეული სამყაროს ქრისტიანულ რელიგიასთან კავშირზე ვსაუბრობთ, ალბათ, მნიშვნელოვანია გავრცელებული ვერსია, რომლის თანახმადაც, მაცხოვრის ჯვარი სხვადასხვა ჯიშის ხეებისგან იყო გაკეთებული.**

– დიახ და ეს უნდა მიუთითებდეს ჯვრის გენეტიკურ კავშირს სამყაროს სამოთხისეულ ბაღთან, სინათლის ოკეანის, მარადიული განახლებისა და აღდგენის სიმბოლიკასთან. ერთი ვერსიით, ჯვრის შვეული ძელი კვიპაროსისაა, განივი – ფინიკისა, ფეხების მიმსჭვალვის ადგილი – კედარის, ხოლო წარწერიანი დაფა – ზეთისხილისა. სხვა ვერსიით, ესაა: ლელვის ხე, ზეთისხილი, ლერწამი და ფეტვი, ხოლო ნიკომედეს აპოკრიფული თხზულების მიხედვით – კედარი, კვიპაროსი და პალმა. საინტერესოა თავად ჯვრის ფორმის ქრისტიანული გაგება, რომელიც სამყაროს ოთხი მიმართულების დარად გაიაზრება და, ამასთანავე, გამოსახავს სამყაროში არსებულ ოთხ უმაღლეს ინსტანციას. ესენია: მისი სიგრძე, სიმაღლე, სივრცე და სიღრმე. ძველ აღთქმაში ესაიას მიერ ხილულ ანგელოზებს ჯვრისებრი ფორმა აქვთ მიღებული: „ხოლო ადამიანი ჯვრის სახედ დაბადებულ არს, რამეთუ ყოველი კაცი ხეთგანმარტებულად თვინიერ ცილობისა, სახითა მსგავს არ ჯვრისა".

**ნათია უტიაშვილი**

### ნაკურთხი წყლის მნიშვნელობისთვის

ნათლისღების დღესასწაულზე, ასევე, წინა დღეს (18 იანვარს) ხდება წყლის კურთხევა, ანუ, დიდი აიაზმა. ამ დღეს ნაკურთხი წყალი ურიგდებათ მორწმუნეებს, რომლებიც მას მთელი წლის განმავლობაში იყენებენ. ნაკურთხი წყალი ჩვეულებრივი წყალივით არ ფუჭდება.

ნათლისღების დღეს უხილავად იკურთხება დედამიწის ყველა მდინარე, წყალსატევი, ტბა. ნაკურთხ წყალს, როგორც წესი, იღებენ დილით, უზმოზე, ლოცვების წაკითხვის შემდეგ. მას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ: შევინახოთ სუფთა ჭურჭელში; შესაძლებელია, ეს ჭურჭელი ძვირფასიც იყოს. ნაკურთხი წყალი განსაკუთრებით აძლიერებს ხორციელი და სულიერი ავადმყოფობებით დასუსტებულ ადამიანს.

მართალია, წმინდა წყალი დილაობით, ლოცვის შემდეგ, უზმოზე უნდა მივიღოთ, მაგრამ, სნეულებებისა და ბოროტი ძალების თავდასხმის ჟამს, მისი მიღება ყოველთვის შეგვიძლია.

საინტერესოა ერთი შემთხვევა წმიდა მაკარი მეგვიპტელის ცხოვრებიდან: მაკარის მიუყვანეს მოჯადოებული ქალი. წმიდა მამამ ილოცა მისთვის, შემდეგ ნაკურთხი წყალი დაასხა და განკურნა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ხშირად ურჩევს მრევლს, რომ ნაკურთხი წყალი ყოველდღიურად ასხურონ საცხოვრებელ ბინაში – ეს ადამიანებს ბოროტი ძალებისგან იცავს.

იყო ასეთი შემთხვევა მამა კუკშა ოდესელის ცხოვრებაში. წმიდა ბერის ლოცვამ ეჭვიან მორჩილს თვალხილულად დაანახვა, როგორ გარბოდნენ სენაკებიდან ავი სულები, როდესაც მამა კუკშა ნაკურთხ წყალს ასხურებდა. ბერის კურთხევით ეს ყოველდღე ხდებოდა.

მეოცე საუკუნის მოღვაწე ბერი, მამა კუკშა, ყველას ურჩევდა, ნაკურთი წყალი ეპკურებინათ ახალი ნივთებისა და პროდუქტებისათვის, ასევე ესხურებინათ ნაკურთხი წყალი თავიანთ სენაკსა ან ოთახში.

წმიდა ეგნატე ბრიანჩანინოვი მორწმუნეებს ურჩევდა, მაშინაც მიეღოთ ნაკურთხი წყალი, როდესაც ადამიანს ვნებები ძლიერ ეძალებოდა.

მღვდელმონაზონი სერაფიმე ვირიცელი მრევლს ასეთ რჩევას აძლევდა: ავადმყოფობის დროს ერთი სადილის კოვზი ნაკურთხი წყალი მიეღოთ საათში ერთხელ. მისი თქმით, უფრო ძლიერი წამალი, ვიდრე ნაკურთხი წყალი და ნაკურთხი ზეთია, არ არსებობს.

რაღა თქმა უნდა, ნაკურთხი წყალი უსარგებლოა მათთვის, ვისაც არ გააჩნია ღვთის რწმენა და შიში, არ აქვს სიწმიდეებისადმი მოწიწება. უნდა გვახსოვდეს, რომ ის არ მოქმედებს ავტომატურად, ნაკურთხი წყალი მხოლოდ მაშინაა ქმედითი, როცა მისი მიღება რწმენით ხდება.

### მკვდრეთით აღმდგარი მიცვალებული

ოთხტომეულში, რომელიც ღირსი მამის, პაისი ათონელის ცხოვრებას ეძღვნება, აღწერილია ერთი ღვთისმოსავი მტვირთავის ისტორია, რომელიც უფალმა სასწაულის აღსრულების ღირსი გახადა. ეს კაცი ბავშვობაშივე დაობლებულა და, უმამოდ გაზრდილს, დაქორწინების შემდეგ, შვილობრივი სიყვარული მთლიანად თავის სიმამრზე გადაუტანია, იქამდე, რომ, სამსახურიდან ჯერ მეუღლის მშობლების ოჯახს შეუვლიდა ხოლმე და მერეღა მიდიოდა შინ; ოღონდ, ერთი გარემოება აწუხებდა თურმე ამ ადამიანთან დაკავშირებით – ბილწსიტყვაობის მოყვარული ყოფილა მისი სიმამრი. მრავალგზის უთხოვია მისთვის, თავი დაენებებინა ამგვარი უხიაგი ჩვევისათვის, მაგრამ, ვერას აგონებდა.

ერთხელ სიმამრი მძიმედ შეიქნა ავად, საავადმყოფოში წაიყვანეს და რამდენიმე დღეში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების ჟამს სიძე სახლში არ იმყოფებოდა – პორტში გემებს ტვირთავდა. როდესაც ეს ამბავი შეიტყო, მივიდა საავადმყოფოში და ცხედართან გულმხურვალედ ლოცვა აღავლინა: „ღმერთო მაღალო, გევედრები, აღადგინე იგი, რათა შეინანოს და მერე წაიყვანე“. მიცვალებულმა უეცრად თვალები გაახილა და ხელი გაიქნია. მორგის თანამშრომლები თავზარდაცემულნი მიმოიფანტნენ. მტვირთავმა სიმამრი სახლში წამოიყვანა. მალე ის სავსებით გამოკეთდა, თავისი ჩვევა მოინანია, დაივიწყა და ასე პირნათლად იცხოვრა უფლის წინაშე კიდევ ხუთი წელი.

ამ სასწაულის აღწერისას მამა პაისი დასძენს: მტვირთავს იმდენი სიმდაბლე გააჩნდა, რომ განსაკუთრებულად არც კი დაფიქრებულა, უფალმა სასწაულმოქმედების ჩადენის ღირსი რომ გახადა და გარდაცვლილი ადამიანი მკვდრეთით აღადგენინაო!

## მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რატომ იკეთებენ საქართველოში მეუღლეები ნიშნობის ბეჭედს მარჯვენა ხელზე და რას გამოხატავს ის სიმბოლურად?**

**პასუხი**: ის, რომ საქართველოში ნიშნობის ბეჭედს მარჯვენა ხელზე იკეთებენ და უცხოეთში კი მარცხენაზე, მხოლოდ ტრადიციის შედეგია და მას არ აქვს დოგმატური მნიშვნელობა. რაც შეეხება ჯვრისწერის დროს ბეჭდების გაცვლის რიტუალს, ბეჭედი არის ხილული წინდი და ერთგულების სიმბოლო – ორი ადამიანის ერთმანეთისადმი კუთვნილების ნიშნად, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ იკურთხება მეუღლეებისთვის თითზე სატარებლად.

**კითხვა: შეიძლება თუ არა სისხლით ნათესავმა მონათლოს ბავშვი?**

**პასუხი**: ეკლესიურად ასეთი საქციელი აკრძალული არ არის, მაგრამ საგულისხმოა, რომ საქართველოში, წესისამებრ, ეს არ ხდებოდა, რადგან ძლიერი იყო ქართული ეკლესიის მართლმადიდებლური ტრადიცია, სადაც ხორციელი ნათესაობა უთანაბრდება სულიერს. ამიტომ ყოველთვის ცდილობდნენ ნათლიად ის ადამიანი აერჩიათ, ვინც არ იყო სისხლით ნათესავი და ამგვარად სასურველ ადამიანს ინათესავებდნენ.



**კითხვა: ჩაგვეთვლება თუ არა ცოდვა მონანიებულად, თუ მას ხატების წინაშე ვიტყვით და არა მოძღვართან?**

**პასუხი**: არ ჩაგეთვლებათ, რადგან ეკლესიაში სინანულის საიდუმლო არსებობს მოციქულთა დროიდან და ის, რომ საჭირო არ ყოფილიყო, უფალი არ დააწესებდა. ცოდვა მიტევებულად შეიძლება მას შემდეგ ჩაითვალოს, რაც აღსარების შემდეგ მღვდელმსახური წაიკითხავს შენდობის ლოცვას.

## ჭეშმარიტი სარწმუნოება

### წმიდა პაფნუტი ბოროველის ნათელმხილველობის ნიჭი

ბერი პაფნუტი ბოროველი იმ ადამიანების ძველ და საიდუმლო ცოდვებსაც იგებდა ხოლმე, რომლებსაც პირველად ხვდებოდა.

მაგალითად, ერთხელ, როდესაც იგი წმიდა წერილს კითხულობდა, მის კელიას მიუახლოვდა კაცი, რომელმაც აღავლინა ლოცვა და, როცა ფანჯარაში წმიდა მამა შენიშნა, შეეკითხა მისი მოწაფის, ბერი იოსების შესახებ, რომლის თანამემამულეც თვითონ იყო. უცნობის დანახვაზე პაფნუტიმ უთხრა იოსებს: „გადი, ავი გამოხედვით გკითხულობს კაცი იგი მკვლელი“. მოწაფე გავიდა და, დაინახა რა ნაცნობი, შეეკითხა, თუ რისთვის იყო მოსული. მან უპასუხა, რომ ბერად შედგომა სურდა.

იოსებმა ყველაფერი მოახსენა წმიდა იღუმენს, მაგრამ, მან თავის მხრივ მიუგო მოწაფეს: „გამოჰკვებე და გაუშვი აქედან ეგ ადამიანი, რამეთუ, იგი არაკეთილია“. იოსები გაკვირვებული იყო მასწავლებლის ასეთი პასუხით, მაგრამ, ვერ შეჰბედა, ეკითხა რამე. აღასრულა რა მასწავლებლის ლოცვა-კურთხევა, იოსები დაბრუნდა პაფნუტისთან სენაკში. მაშინ, თვითონ პაფნუტიმ უთხრა იოსებს: „ეს კაცი მკვლელია. ჯერ კიდევ ჭაბუკობაში, მუცელში დანის დარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა ერთი ბერი, მაგრამ, ეს იყო დიდი ხნის წინ და მან დაივიწყა თავისი ცოდვა“. იოსები გაოგნებული იყო ამ სიტყვებით: მას აქამდე არაფერი გაეგო ამის შესახებ თავისი თანამემამულისგან.

ერთხელაც, სავანეში წმიდა მამასთან მივიდა ვინმე ბერი. წმიდა პაფნუტიმ დაინახა თუ არა იგი, თავის მოწაფეებს უთხრა ჩუმად: „ხედავთ თქვენ, რომ ბერის წოდების გამოც კი არ განწმენდილა სისხლისაგან?“ მოწაფეები გაოცდნენ, მაგრამ, ეშინოდათ, ეკითხათ მასწავლებლისთვის რამე ამ სიტყვების მნიშვნელობის შესახებ. თუმცა, შემდეგ თვითონ წმიდანმა განუმარტა მათ, რომ ამ ბერმა ადრე, სანამ ბერად აღიკვეცებოდა, ნოვგოროდში მოწამლა თავისი მთავარი, რომელსაც იგი ემსახურებოდა. სინდისის ქენჯნით მან მიიღო ბერობა. შემდეგში გამოირკვა, რომ ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონია ადგილი დიდ ნოვგოროდში 1453 წელს. მაშინ ბოიარ ივანე კოტოვს მოუწამლავს თავისი მთავარი – დიმიტრი გიორგის ძე შემიაკი.

ყოფილა ასეთი შემთხვევაც: წმიდანის ერთ-ერთ მოწაფეს თვალი ასტკივებია ძალიან. ტკივილებით გამწარებული ბერი უშედეგოდ ეძებდა მკურნალს. წმიდანს მისთვის თავისი ფსკვნილი (ძაფისგან დაწნილი, მოქსოვილი კრიალოსანი) მიუცია და უთქვამს, რომ ათასჯერ წარმოეთქვა ლოცვა იესოსადმი. მაგრამ, ავადმყოფს მისთვის ლოცვა-კურთხევით მიცემული დავალების ნახევრის აღსრულებისთანავე უგრძნია შვება და გახარებული გაქცეულა მასწავლებელთან შესატყობინებლად. მაგრამ, ნათელმხილველ მასწავლებელს ბერი კვლავ მონასტერში გაუბრუნებია და უბრძანებია ლოცვების გაგრძელება ზუსტად იმ რიცხვამდე, რამდენი ლოცვა-კურთხევაც ჰქონდა მიცემული.

წმიდა მამა პაფნუტიმ ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და აღესრულა 83 წლის ასაკში. ამასთანავე, მან ერთი კვირით ადრე იცოდა თავისი გარდაცვალების დღე.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# ფეხბურთის რომელი ვარსკვლავები გახდნენ ტოპ-კლუბების მწვრთნელები

*რამდენიმე ხნის წინ, ჰოლანდიელი ვარსკვლავი კლარენს ზეედორფი იტალიური „მილანის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დაინიშნა, არადა, ზეედორფი ახალ წლამდე „ბოტაფოგოს" ფეხბურთელი გახლდათ და სულაც არ ფიქრობდა სამწვრთნელო საქმიანობაზე. გთავაზობთ ფეხბურთის იმ ვარსკვლავების ჩამონათვალს, რომელთა სამწვრთნელო კარიერა ტოპ-კლუბით დაიწყო.*

### ხოსეპ გვარდიოლა – „ბარსელონა"

მიუნჰენის „ბაიერნის" ამჟამინდელი მწვრთნელი, ხოსეპ გვარდიოლა, 43 წლისაა და მან უკვე მოასწრო მუშაობა ევროპის ორ სუპერკლუბში. გვარდიოლა იმდენად მოულოდნელად გახდა მწვრთნელი, რომ, ბევრი ვერც კი იფიქრებდა, ის თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელი თუ გახდებოდა. საფეხბურთო კარიერის დასრულებიდან ერთ წელიწადში გვარდიოლას „ბარსელონის" მეორე გუნდის მწვრთნელობა შესთავაზეს, ხოლო 2008 წელს ის კატალონიური გრანდის მთავარი მწვრთნელი გახდა. გვარდიოლას მწვრთნელობისას „ბარსელონამ" სამჯერ მოიგო ესპანეთის ჩემპიონატი, ორჯერ გაიმარჯვა ჩემპიონთა ლიგაში, მოიგო ესპანეთის სამეფო თასი, „უეფას" სუპერთასი და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი.

### რუუდ გულიტი – „ჩელსი"

1995 წელს ჰოლანდიელი რუუდ გულიტი ლონდონის „ჩელსის" შეუერთდა „თავისუფალი აგენტის" სტატუსით, ხოლო, ერთი წლის შემდეგ, „არისტოკრატების" ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და 34 წლის გულიტი გუნდის



მოთამაშე-მწვრთნელის თანამდებობაზე დანიშნა. გულიტის დანიშვნა წარმატებული იყო „ჩელსისთვის", რადგან, კლუბმა უკანასკნელი 26 წლის განმავლობაში პირველი ტიტული – ინგლისის თასი მოიგო, ხოლო პრემიერლიგაში მეექვსე ადგილი დაიკავა. მომდევნო სეზონში გულიტსა და „ჩელსის" საქმეები კარგად მისდიოდათ, თუმცა, მოულოდნელად, ლონდონური კლუბის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ გულიტი თანადებობიდან მოხსნა.

### ჯანლუკა ვიალი - „ჩელსი"

გულიტი, ჯერ კიდევ „ჩელსის" მთავარი მწვრთნელობის დროს, მოითხოვდა იტალიელი ჯანლუკა ვიალის ყიდვას და მაშინ ის, ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სწორედ ვიალი ჩაანაცვლებდა მას მთავარი მწვრთნელის პოსტზე. ვიალი მოთამაშე-მწვრთნელად დაინიშნა „ჩელსიში" და ამჟამად კლუბის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მენეჯერად ითვლება. ვიალისთან ერთად „ჩელსიმ" მოიგო: ინგლისის თასი, ინგლისის ლიგის თასი, თასების მფლობელთა თასი, „უეფას" სუპერთასი და გახდა ინგლისის პრემიერლიგის ბრინჯაოს პრიზიორი. 2000 წელს ჯანლუკა ვიალი წავიდა თანადებობიდან და, იმის მიუხედავად, რომ მოთხოვნად მწვრთნელად სახელდებოდა, მან ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტა და ამჟამად კომენტატორად მუშაობს.

### ლორან ბლანი – „ბორდო"

„პარი სენ-ჟერმენის" ამჟამინდელმა მწვრთნელმა კარიერა 2007 წელს დაიწყო „ბორდოში". 2000-იანი წლების შუა პერიოდში „ბორდო" საფრანგეთის წამყვანი გუნდი იყო; მართალია, ტოპ-კლუბობამდე ბევრი აკლდა, თუმცა, გამოუცდელი მწვრთნელისთვის ეს ნამდვილი გამოწვევა იყო და ბლანმაც გაამართლა



იმედები. ბლანთან ერთად „ბორდომ" მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატი, საფრანგეთის ლიგის თასი და საფრანგეთის სუპერთასის გამარჯვებული გახდა. ბლანის წარმატება შეუმჩნეველი არ დარჩა, „ნაციონალური საფეხბურთო ასოციაციისთვის" და 2010 წელს ის „სამფეროვანთა" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა, სადაც 2012 წლამდე იმუშავა.

### ჩირო ფერარა – „იუვენტუსი"

წარსულში „ნაპოლისა" და „იუვენტუსის" მცველი ჩირო ფერარა საფეხბურთო კარიერას 2005 წელს გამოეთხოვა და მცირე ხანს იტალიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში საქმიანობდა, საიდანაც 2009 წელს, ყველასთვის მოულოდნელად, დაწინაურდა და ტურინის „იუვენტუსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ტურინული სუპერკლუბის მესვეურთა მხრიდან ეს იყო მოულოდნელი გადაწყვეტილება, რადგან, იმ დროს „იუვე" კრიზისს განიცდიდა და გაცილებით გამოცდილი მწვრთნელის დანიშვნას ელოდნენ ქომაგები. ჩირომ ვერ გაამართლა ქომაგთა იმედები – 29 მატჩიდან, მწვრთნელის რანგში, მან მხოლოდ 13-ში გაიმარჯვა, რასაც მისი თანამდებობიდან მოხსნა მოჰყვა.

### სამი ჰიუპია – „ბაიერ ლევერკუზენი"

ქერათმიანი ფინელი მცველი, სამი ჰიუპია, „ლივერპულში" ასპარეზობდა და თავის პოზიციაზე პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. 2009 წელს ჰიუპია გერმანულ „ბუნდესლიგაში" გადაბარგდა და „ლევერკუზენის" საკვანძო ფიგურად იქცა, ხოლო, მას შემდეგ, რაც ჰიუპიამ კარიერა დაასრულა, ის უმალ დაიბარა კლუბის ხელმძღვანელობამ და გუნდის გაძღოლა შესთავაზა. ამჟამად სამი ჰიუპია „ბუნდესლიგის" ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მწვრთნელია და მისი „ბაიერ ლევერკუზენი" მაღალი მიზნებისთვის იბრძვის.

## როდმანი ალკოჰოლიზმისგან იკურნება

სკანდალურმა ექსკალათბურთელმა, დენის როდმანმა, ალკოჰოლური დამოკიდებულებისგან განკურნების მიზნით, ნარკოლოგიურ კლინიკას მიმართა. ლეგენდარული სპორტსმენის აგენტის თქმით, ჩრდილოეთ კორეიდან დაბრუნებული დენის როდმანი ძლიერი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფებოდა და ამის გამო მიეძალა ალკოჰოლს. ფხენიანში ყოფნისას როდმანმა მხადაჭერა გამოუცხადა კიმ ჩენ ინის კომუნისტურ რეჟიმს და, ამერიკელ მისიონერ კენეტ ბეს, რომელსაც სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზებაში დასდეს ბრალი და რომელიც ჩრდილოეთ კორეის ციხეში 15-წლიან სასჯელს იხდის, საქციელი დაუწუნა. მოგვიანებით ამერიკაში დაბრუნებულმა როდმანმა განცხადება გააკეთა, რომ ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა და, ალკოჰოლური თრობის მომენტში, არ ახსოვდა, რა განცხადებებს აკეთებდა.

## არგენტინელების ქომაგობა დაიწყო

მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე საკმაო დროა დარჩენილი, თუმცა, მუნდიალზე გასული ქვეყნების შოუ-ბიზნესის ვარსკვლავებმა უკვე დაიწყეს საკუთარი პროგნოზების გაკეთება და ერთ-ერთმა პირველმა მხარდაჭერა თავის მშობლიურ ნაკრებსა და პერსონალურად ლიონელ მესის, არგენტინელმა მოდელმა, დორისმარმა გამოუცხადა. თამამი ფოტოსესიებით განთქმულმა დორისმარმა განაცხადა, რომ ლიონელი ბრაზილიაში ყველას დაუმტკიცებს თავის ნიჭიერებას და „ფიფას" თასს ბუენოს-აირესში ჩაიტანს. დორისმარი არგენტინის ნაკრების ყველა მატჩზე გეგმავს დასწრებას და სტადიონზე ცეცხლოვან გულშემატკივრობას აპირებს.



## „დაღესტნელი" ეტო'ო

„ისტორიაში პირველი დაღესტნელი, რომელმაც ინგლისის პრემიერლიგაში ჰეთ-ტრიკი შეასრულა" – ასეთი ჩანაწერი გააკეთა „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე კამერუნელმა სამუელ ეტო'ომ მას შემდეგ, რაც „ჩელსიმ" მის მიერ გატანილი სამი გოლით დაამარცხა „მანჩესტერ იუნაიტედი". შეგახსენებთ, რომ სამუელ ეტო'ო 2011-2013 წლებში მახაჩკალის „ანჟის" რიგებში ირიცხებოდა და მას დაღესტნის რესპუბლიკის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს.

## ეკლსტოუნს 10-წლიანი ციხე ემუქრება

„ფორმულა 1-ის" მფლობელს, ავტოსამყაროში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ადამიანს, მილიარდერ ბერნი ეკლსტოუნს, 10-წლიანი სასჯელი ემუქრება ქრთამის მიცემის ბრალდებით. გამოძიების ვერსიით, 83 წლის ეკლსტოუნმა 45 მილიონი დოლარი გადაუხადა ბანკირ გერჰარდ გრიბკოვსკის, რათა მას „ფორმულა 1-ის" აქციები ნაკლებ ფასად გაეყიდა. თავად გრიბკოვსკის ქრთამის აღების გამო უკვე მიესაჯა 8,5-წლიანი სასჯელი და ამჟამად გამოძიება ეკლსტოუნის ბრალეულობის დადგენაზე მუშაობს.

**გვერდი მოამზადა უშანგი რუხაძემ**

# ვიქტორ იანუკოვიჩი: ნასამართლეობა და სკანდალი ბიონსე ნოულზთან

*ამჟამად მსოფლიოს ყურადღება უკრაინის დედაქალაქისკენ, კიევისკენ არის მიმართული, სადაც ოპოზიციური ძალების მიტინგი არ წყდება და ახალ ძალებს იკრებს. უკრაინელები თავისი ევროპული მომავლის დასაცავად გამოვიდნენ ქუჩაში და მათი ერთ-ერთი მოთხოვნა პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩის გადადგომაა. უკრაინის პრეზიდენტი ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე ტირაჟირებულ მსოფლიო ლიდერად იქცა და მის შესახებ რამდენიმე საინტერესო ფაქტს გაგაცნობთ.*

* 1967 წლის 15 დეკემბერს, 17 წლის ვიქტორ იანუკოვიჩს, როგორც კრიმინალური ბანდის – „პივნოვკას" წევრს, ყაჩაღობის ფაქტზე, სასამართლომ 3 წლით პატიმრობა შეუფარდა. იანუკოვიჩი არასრულწლოვანთა კოლონიაში იხდიდა სასჯელს, მაგრამ, ოქტომბრის დიდი რევოლუციის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, მას ამნისტია შეეხო და წლინახევრით შეუმცირდა ციხეში ყოფნის პერიოდი. შვიდთვიანი პატიმრობის შემდეგ ის სამაგალითო ქცევისთვის გაათავისუფლეს, მაგრამ, 1970 წელს იანუკოვიჩი ხელმეორედ აღმოჩნდა განსასჯელის სკამზე და ამჯერად მას გაცილებით მძიმე ბრალდებას უყენებდნენ – ვიქტორს სხეულის განზრახ დაზიანება ედებოდა ბრალად, მაგრამ, სინამდვილეში, მას გაუპატიურებაში ადანაშაულებდნენ. თვითონ იანუკოვიჩი სასამართლოზე ამბობდა, რომ ქუჩური გარჩევების დროს, ნასვამი მამაკაცებისგან ცდილობდა ქალბატონის დაცვას და ქალს სხეულის დაზიანებაც აქედან ჰქონდა მიღებული. საბოლოოდ, სასამართლომ ორწლიანი პატიმრობა შეუფარდა იანუკოვიჩს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, იანუკოვიჩი პატიმრობის პერიოდში ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა და, მისი წყალობით ციხის უფროსობა მუდმივად საქმის კურსში იმყოფებოდა თუ რა სიტუაცია იყო ციხის შიგნით. 1973 წელს იანუკოვიჩს ორივე ნასამართლეობა მოუხსნეს, ხოლო 1978 წელს, დონეცკის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ის გაამართლეს ყველა სტატიის თანახმად. დღეს, ყველა დოკუმენტი, რომელიც იანუკოვიჩის პატიმრობას ეხება, განადგურებულია, ხოლო მოსამართლეები, პროკურატურის თანამშრომლები და მოწმეები ცოცხლები აღარ არიან. იანუკოვიჩის პრეს-სამსახურის ცნობით, ეს ყველაფერი იმდენად დიდი ხნის წინ იყო, რომ უკრაინის პრეზიდენტსა და პარტია „რეგიონების" ლიდერს არ სურს რაიმე სახის კომენტარის გაკეთება, მით უმეტეს, სასამართლომ ის საბოლოოდ გაამართლა.



* რამდენიმე წლის წინ ამერიკელი არენბი ვარსკვლავი ბიონსე ნოულზი და ვიქტორ იანუკოვიჩი ერთმანეთს სასტუმროს ნომრის გამო დაუპირისპირდნენ. დონეცკში დაგეგმილი კონცერტის ჩასატარებლად ვარსკვლავი უკრაინას ესტუმრა და მისმა საქმის მწარმოებლებმა ყველაზე ძვირად ღირებულ სასტუმროში ყველაზე ძვირად ღირებული ნომერი მოითხოვეს ბიონსესთვის. აღმოჩნდა, რომ ზუსტად იმ პერიოდში დონეცკში იმყოფებოდა ვიქტორ იანუკოვიჩი და მანაც იმავე ნომერში მოისურვა გაჩერება. სასტუმრო „დონბას პალასის" საპრეზიდენტო ნომერი ერთ ღამეში 2 128 დოლარი ღირდა და სწორედ იქ აპირებდნენ ორგანიზატორები ბიონსეს დაბინავებას, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, ვიქტორ იანუკოვიჩმა დაასწრო უცხოელ ვარსკვლავს და თვითონ შესახლდა ამ ნომერში. ამ ფაქტის გამო ბიონსეს წარმომადგენლებმა უკმაყოფილება გამოთქვეს, თვითონ მომღერალი კი დაიმუქრა, რომ კონცერტს ჩაშლიდა, თუ მას არ დააბინავებდნენ ყველაზე ძვირად ღირებულ ნომერში. საბოლოოდ, სასტუმროს ადმინისტრაციამ მომღერალი სამეფო ჰაი-კლასის აპარტამენტში დააბინავა, რომლის ფასი 2 600 დოლარი იყო ერთ ღამეში. ეს ნომერი, სასტუმროს წარმომადგენლების განცხადებით, გაცილებით მაღალი დონის სტუმრებისთვის არის გათვლილი, ვიდრე ბიონსე ნოულზი ან ვიქტორ იანუკოვიჩი არიან და მომღერლის კაპრიზების დასაცხრობად ისინი დათმობაზე წავიდნენ.

* ვიქტორ იანუკოვიჩი ცნობილია თავისი შეცდომებით, რომლებსაც ის მიტინგზე ან ტრიბუნაზე სიტყვით გამოსვლის დროს უშვებს. მაგალითად, ერთ-ერთ მიტინგზე მას ერთმანეთში აერია ოდესელი მწერლის, ისაკ ბაბელისა და გერმანელი სოციალ-დემოკრატის, ავგუსტ ბებელის გვარები; ასევე, ოდესაში გამართულ ერთ-ერთ მიტინგზე მან ცნობილ პოეტ ქალს, ანა ახმატოვას, შეცდომით ანა ახმეტოვა უწოდა. სტადიონ „დონბას არენას" გახსნაზე კი მას უკრაინელი პოეტი პაველ ზესპოშჩადნის გვარი დაავიწყდა და ის პაველ ზესსმერტნიდ მოიხსენია. ყველაზე ცნობილი შეცდომა კი იანუკოვიჩს კიევში გამართულ მიტინგზე მოუვიდა, როდესაც დაავიწყდა დოსტოევსკის ცნობილი ციტატა – „სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოს" და მთელი ათი წუთის განავლობაში ცდილობდა, გაეხსენებინა, თუ ვის ეკუთვნოდა ეს ფრაზა და როგორი იყო სიტყვების თანმიმდევრობა.

* სომხეთის მთავრობამ მადლობა გადაუხადა ვიქტორ იანუკოვიჩს იმასთან დაკავშირებით, რომ ის მონაწილეობას იღებდა 1988 წელს სპიტაკში მომხდარი მიწისძვრის შედეგად მიყენებული კატასტროფის ლიკვიდაციასა და ქალაქის აღდგენაში (იმ დროს იანუკოვიჩი „დონბასტრანსრემონტს" ხელმძღვანელობდა). ამის გამო, განახლებულ სპიტაკში ერთ-ერთ ქუჩას ვიქტორ იანუკოვიჩის სახელი ეწოდა. საინტერესოა, რომ თავდაპირველად, სომხური მხარე სპიტაკის ერთ-ერთი მოედნისთვის გეგმავდა სახელის შეცვლას და მისი სახელის დარქმევას, მაგრამ, საბოლოოდ, იანუკოვიჩისთვის მხოლოდ ქუჩა „გაიმეტა".

# მილიარდერები, რომლებიც მობილური ტელეფონებით არ სარგებლობენ

### მიხაილ პროხოროვი

რუს მილიარდერ მიხაილ პროხოროვს არ აქვს მობილური ტელეფონი და, მისი თქმით, მას ცხოვრებაში არ გაუგზავნია ესემესი. „მობილური ტელეფონი არ მაქვს და, ის, რომ თითქოს კრემლიდან ან „თეთრი სახლიდან" მირეკავენ, აბსოლუტური სიცრუეა," – აცხადებს პროხოროვი, რომელიც, 1995 წლიდან თავად არ უზის საქეს და მძღოლის მომსახურებით სარგებლობს. ცნობისთვის, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში პროხოროვმა აღიარა, რომ ბოლო დროს „აიპადით" დაიწყო სარგებლობა.



### უორენ ბაფეტი

მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინვესტორი და ფინანსისტი უორენ ბაფეტი კომპიუტერითა და მობილური ტელეფონით სარგებლობაზე უარს აცხადებს. ბაფეტის თქმით, მას პირისპირ საუბარი უფრო იზიდავს, ვიდრე ტელეკომუნიკაცია. ცნობისთვის, ბაფეტი მოკრძალებულად ცხოვრობს, თავისი ძველი „ოლდსმობილი", რომლითაც იგი 1963 წლიდან სარგებლობდა, 2006 წელს გადაცვალა არცთუ ახალ „კადილაკზე". სხვათა შორის, პროხოროვისგან განსხვავებით, პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი თავად უზის საჭეს.

### კარლოს სლიმ ელუ

მექსიკელი სატელეკომუნიკაციო მაგნატი, კარლოს სლიმ ელუ, რომელიც ექსპერტების ვარაუდით, 2014 წელს „ფორბსის" რეიტინგში დათმობს პოზიციებს და მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანის ტიტულს ბილ გეითსს გადასცემს, ასევე კომპიუტერისა და მობილურის გარეშე ცხოვრობს, რაც, მისი ბიზნესის გათვალისწინებით, უცნაური საქციელია – სლიმ ელუ მექსიკისა და მთლიანად ლათინური ამერიკის ფიჭურ კავშირგაბმულობას აკონტროლებს. მისი თანაშემწეების თქმით კი, კარლოს სლიმ ელუ არ საჭიროებს კომპიუტერს, რადგან, ყველაფრის დამახსოვრება ახერხებს.

### სამნერ რედსტოუნი

ამერიკელი მედიამაგნატი, კომპანია „ვიაკომის" მფლობელი, მილიარდერი სამნერ რედსტოუნი, ასევე არ მოიხმარს კომპიუტერსა და მობილურ ტელეფონს. მას, უბრალოდ, იმდენი თანაშემწე ჰყავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ახორციელებენ აუცილებელ ზარებს.

### ბერნი ეკლსტოუნი

„ფორმულა 1-ის" მფლობელი, მილიარდერი ბერნი ეკლსტოუნიც მობილურებისა და კომპიუტერის წინააღმდეგია. ბერნი, რომელიც სოლიდური ასაკის მიუხედავად (83 წლისაა), არ ანებებს თავს მექალთანეობას, ტელეფონის გარეშე ახერხებს ცხოვრებასა და სკანდალების ეპიცენტრში მოხვედრას.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**



## რომელი საკვები პროდუქტი ებრძვის კიბოს განვითარებას

***საკვები ჯანმრთელობაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. ბევრ მათგანს მკვეთრად გამოხატული სამკურნალო თვისებაც გააჩნია. კერძოდ:***

***სატაცურში*** შემავალი ნივთიერებები აფერხებს უჯრედებში მიმდინარე ონკოლოგიურ პროცესებს. სატაცურის რეგულარული მიღება დაგიცავთ ფილტვებისა და კუჭ-ნაწლავის კიბოსგან.

***ისპანახი*** მდიდარია რკინითა და ფოლატებით, რომლებიც კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე და ამცირებს ჰომოცისტინების რაოდენობას. ჩართეთ ის ყოველდღიურ რაციონში, რადგან კალორიებს მცირე დოზით შეიცავს, ცხიმებს კი – საერთოდ არა. ის სასარგებლოა მხედველობისთვის.

***პომიდორი*** ამცირებს წინამდებარე ჯირკვლისა და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის კიბოს განვითარების რისკს. ეს თვისება ამ ბოსტნეულში შემავალი ლიკოპენის, ანუ უძლიერესი ანტიოქსიდანტის დამსახურებაა. ის C ვიტამინის საბადოცაა.

***ნიორი*** ამარაგებს გულს, ებრძვის ავთვისებიანი უჯრედების განვითარებას, ასევე, ებრძვის ვირუსებს, ამცირებს სისხლში ქოლესტერინს.

***მოცვი*** დიდი რაოდენობით შეიცავს ანტიოქსიდანტებს. ის ამცირებს გულის დაავადებებისა და კიბოს განვითარების რისკს. კარგად მოქმედებს ტვინის მუშაობაზე, ებრძვის შარდსასქესო ორგანოების ინფექციებს.

***ორაგული*** ამცირებს სისხლში ტრიგლიცერიდებისა და ქოლესტერინის შემცველობას. შეიცავს ცხიმის განსაკუთრებულ სახეობას, რომელსაც ომეგა 3-ს უწოდებენ. ეს უკანასკნელი კი იცავს ორგანიზმს აუტოიმუნური დაავადებებისგან, როგორიცაა რევმატოიდული ართრიტი. ასევე, დადებითად მოქმედებს ტვინის მუშაობაზე, აფერხებს დაბერების პროცესს.

***მწვანე ჩაი*** მდიდარია იმ ნივთიერებებით, რომლებიც აახლებს სისხლძარღვთა კედლების უჯრედებს და ხელს უშლის ადრეული სიმსივნეების ზრდის პროცესს. თუ მწვანე ჩაის ყოველდღიურად დალევთ, ეს კუჭისა და ღვიძლის კიბოს განვითარებისგან დაგიცავთ.

***შვრიის*** რეგულარული გამოყენება სისხლში ქოლესტერინის დონეს დასაშვებ ზღვარზე მეტად არ ზრდის. ის სასარგებლოა ჰიპერტონიით დაავადებული ადამიანებისთვის, რადგან ამცირებს არტერიულ წნევას. კარგია ჭარბი წონის მოსაცილებლადაც.

***ყურძნის*** კანი შეიცავს ძლიერმოქმედ ანტიოქსიდანტებს. მათ შორის ერთ-ერთია რესვერატროლური ოქსიდანტი, რომელიც ორგანიზმში ამაღლებს კარგი ქოლესტერინის დონეს. დღეში ერთი ჭიქა წითელი ღვინო გულისთვის ძალიან სასარგებლოა.

***ნუშში, ნიგოზსა*** და ***თხილში*** შემავალი ცხიმი ძალიან სასარგებლოა ადამიანის ორგანიზმისთვის – ამცირებს ორგანიზმში ტრიგლიცერიდებისა და ქოლესტერინის დონეს. ეს კი, აუცილებელია გულის დაავადებების თავიდან ასაცილებლად. ნიგოზი შეიცავს ელამინის მჟავას, რომელიც სიმსივნურ უჯრედებს ანადგურებს.

გაითვალისწინეთ, რომ სწორად შერჩეული ყოველდღიური საკვები თავიდან აგაცილებთ საშიშ დაავადებებს და ამით დააზღვევთ საკუთარ ჯანმრთელობას ღრმა სიბერემდე.

## რა დაავადებაა მსხვილი ნაწლავის პოლიპოზი და რატომაა ის საშიში

მსხვილი ნაწლავის დიფუზური პოლიპოზი ნაწლავების ერთ-ერთი მძიმე დაავადებაა. მას ახასიათებს ნაწლავის ლორწოვან გარსზე მრავლობითი სხვადასხვა ფორმისა და ზომის პოლიპის წარმოქმნა, რაც იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას. თავიდან პოლიპები პატარა ზომისაა, შემდეგ იზრდება და თუ დროულად არ მოხდა მათი ამოკვეთა ქირურგიული გზით, ისინი ავთვისებიან ფორმად გარდაიქმნება. სხვათა შორის, ეს დაავადება ხშირად მემკვიდრეობით გადადის.

დიფუზური პოლიპოზის სამი ფორმა არსებობს: პირველი ფორმა ვლინდება სიცოცხლის პირველივე თვეებში ან წლებში. ახალშობილს ტუჩების ლორწოვანზე, ლოყების შიგნითა ზედაპირზე, სახის კანზე აქვს ჭორფლისმაგვარი, ღია ყავისფერი პიგმენტური ლაქები; დაავადების მეორე ფორმას იუვენილური პოლიპოზი ეწოდება. ის დაახლოებით 10-11 წლის ასაკში ვლინდება. გახშირებულია ბავშვის დეფეკაცია, განავალი კი თხელია, სისხლის მინარევებით; ვითარდება ანემია. თუ ამ დროს ოპერაცია არ ჩატარდა, პროგრესირდება სისუსტე, ფერხდება ფიზიკური, სქესობრივი და გონებრივი განვითარება, ვითარდება სიცოცხლისთვის საშიში გართულებები; მესამე ფორმაა პროლიფერირებული დიფუზური პოლიპოზი, რომელიც დაახლოებით 16-17 წლის ასაკში ვლინდება. თუ დიაგნოზი დასმულია, ოპერაცია აუცილებელია, რადგან, ამ ფორმის პოლიპები სწრაფად იზრდება და გარდაიქმნება ავთვისებიან ფორმად. დაავადების სხვა ფორმების დროს პოლიპები ნელ-ნელა იზრდება, მაგრამ, ასაკში შესვლისას, ავთვისებიან სიმსივნედ გარდაიქმნება.

დაავადება შეიძლება, გამოვლინდეს ნაწლავური აშლილობით; ხშირია დეფეკაცია, თხიერი, სისხლისა და ლორწოს მინარევებით; პერიოდული, ყრუ ტკივილებით მუცლის ქვედა არეში, მუცლის შებერილობით და ასე შემდეგ. ამას თან ახლავს ბოყინი და გულძმარვა. გარეგნულად კი აღინიშნება ტუჩების, სახის კანისა და ხელისგულების პიგმენტაცია, ლიპომები, ანუ ცხიმოვანი ქსოვილის წარმონაქმნები. ადამიანს აღენიშნება სისუსტე, დაღლა, მადის დაქვეითება, შრომისუუნარობა, იმუნიტეტის დაქვეითება; ასევე, ანემია, ცილოვანი ცვლის დარღვევა, ღვიძლისა და პანკრეასის ფუნქციების მოშლა. მკურნალობის სხვადასხვა არაოპერაციული მეთოდი ასეთ დროს შედეგს არ იძლევა.

რისკის ჯგუფს კი მიეკუთვნებიან პოლიპოზით დაავადებულთა სისხლისმიერი ახლო ნათესავები; ავადმყოფები, რომლებსაც პოლიპები აღმოაჩნდათ კუჭში ან თორმეტგოჯა ნაწლავში. ასევე, ვისაც აქვს მრავლობითი ლიპომები, ათერომები, ფიბრომები; სუსტი, ანემიური, ფიზიკურად ცუდად განვითარებული მოზარდები; ხშირი ფაღარათიანობას, განავალში სისხლისა და ლორწოს მქონე პირები. ასეთ ადამიანებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ კონტაქტი ექიმთან, რათა შესაძლო გართულებებს აარიდონ თავი.

## რატომ არის ანგინა საშიში დაავადება და როგორ მოვუაროთ სუსტ ყელს

ანგინა გლანდების, ანუ ნუშურა ჯირკვლების ანთებაა. ის მწვავედ იწყება – ამ დროს ადამიანს აწუხებს ყელის ტკივილი, განსაკუთრებით ყლაპვის დროს. სხეულის ტემპერატურა იმატებს. ადამიანს ახასიათებს საერთო სისუსტე, მადის დაქვეითება, სახსრების ტკივილი, თავის ტკივილი, კისრის მიდამოებსა და ყბის ქვეშ არსებული ლიმფური კვანძების გადიდება.

ანგინა თითქოს მარტივი დაავადებაა, მაგრამ მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, რადგან ანთება შესაძლოა შუა ყურზეც გადავიდეს და ჯირკვლის ირგვლივ რბილი ქსოვილის დაზიანება გამოიწვიოს, რასაც გართულებები მოსდევს. ნუშურა ჯირკვლების ანთების გადატანიდან ერთ თვეში, შეიძლება, განვითარდეს რევმატიზმი, თირკმელების ანთება, გართულებები გულზე. ასევე, ანგინა უარყოფით კვალს ტოვებს საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, იწვევს ქოლეცისტიტსა და გასტრიტს.

ანგინის დროს ინიშნება ანტიბიოტიკებით მკურნალობა. თუ ანთების გამომწვევი სოკოა, ინიშნება სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატები. ასევე, ეფექტურია ადგილობრივი ზემოქმედების პრეპარატები, მაგალითად, აეროზოლები, სავლები საშუალებები, რომლებიც სალბის, ევკალიპტის, გვირილის ან სოდიანი წყლის შემადგენლობით მზადდება. მარილიანი სავლები შეგიძლიათ, ყოველ ორ საათში ერთხელ გამოივლოთ ყელში. ის ასე მზადდება: ერთ ჩაის ჭიქა თბილ წყალში გახსენით ერთი სადილის კოვზი სუფრის მარილი.

თუ ანგინას თან ახლავს მაღალი სიცხე, აუცილებლად უნდა დაწვეთ და მიიღოთ სიცხის დამწევი საშუალებები, მიირთვით ბულიონი, პიურე, სვით კომპოტი და ჩაი.

თუ სუსტი ყელი გაქვთ, მოერიდეთ ცივი სითხეების დალევას, რადგან ყელის გაციება ანგინის განვითარებას უწყობს ხელს. უნდა სვათ ვიტამინების კომპლექსი ან იმუნიტეტის ასამაღლებელი პრეპარატები, რომ ორგანიზმი გააძლიეროთ. უნდა მოერიდოთ ინფექციის კერებს, განსაკუთრებით ვირუსული ეპ-

იდემიის დროს, რადგან ინფექციის გადადება ხდება ჰაერწვეთოვანი გზით, მაგალითად, დაცემინებით ან დახველებით. ასე რომ, თუ სუსტი ყელი გაქვთ, საკუთარ ჯანმრთელობას თავად უნდა მიხედოთ და დროულად ჩაიტაროთ პროფილაქტიკური საშუალებები, რათა გართულებები თავიდან აიცილოთ.

### ხშირად დააკვირდით თვალებს და გაარკვიეთ რომელი ორგანო გაწუხებთ

თვალებზე დაკვირვებით, ადამიანის ჯანმრთელობის ამოცნობა შეიძლება. მათში აისახება ძილის უკმარისობა, კვების დეფიციტი, სასიცოცხლო ენერგია, დაავადებები და ასე შემდეგ.

ელვარე, გამობურცული თვალები, რასაც თან ერთვის წონაში დაკლება, ჭარბი ოფლიანობა და აჩქარებული გულისცემა, ჰიპერთირეოზის, ანუ ფარისებრი ჯირკვლის მაღალი აქტივობის ნიშანია.

ფერმკრთალი კონიუნქტივი ანემიის სიმპტომია. თუმცა, სანამ რკინის შემცველ პრეპარატს შეიძენთ და მის მიღებას გადაწყვეტთ, აუცილებლად შეამოწმეთ ჰემოგლობინის დონე და გაარკვიეთ ანემიის გამომწვევი მიზეზი.

მუქი წრეები თვალების გარშემო, გადაღლისა და სტრესის ნიშანია.

თვალების ქვეშ ტომსიკები გულის, თირკმელების ან ფარისებრი ჯირკვლების ცუდი მუშაობის მანიშნებელია. ამ დროს მიირთვით უმარილო საკვები, რადგან მარილი ორგანიზმში წყალს აკავებს და იწვევს შეშუპებას.

თვალის სიწითლე, ქავილი და წვა, უმეტესად ალერგიის ან გაციების ნიშანია. ასევე, შესაძლოა, უხარისხო კოსმეტიკისა და ლინზების არასწორი მოხმარების ბრალი იყოს.

თვალზე გაჩენილი ჯიბლიბო, იმაზე მეტყველებს, რომ ორგანიზმის იმუნიტეტი დაქვეითებულია და ის სასწრაფო აღდგენას ითხოვს.

### კივი სტენოკარდიის დროს შეუცვლელი ხილია

კივი დიდი რაოდენობით შეიცავს C ვიტამინს. ასევე, E ვიტამინსა და მაგნიუმს. მასში ბევრია კალციუმი, რომელიც მაღალი წნევის დროს შეუცვლელია.

გაციებისა და გრიპის დროს სამი ცალი კივისგან მოამზადეთ ფაფა და მიირთვით. ეს სრულიად საკმარისია, რომ დაავადება შეგიმსუბუქდეთ.

ნოყიერი საკვების შემდეგ, რამდენიმე ცალი კივის ჭამა მოგიხსნით კუჭის სიმძიმის შეგრძნებას, ასევე, გულძმარვას.

კივი ამცირებს კიბოსა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების წარმოქმნის რისკს. არ იწვევს ალერგიას, დიდი რაოდენობით შეიცავს სეროტონინს, რის საშუალებითაც ადამიანის ორგანიზმს სტრესისგან იცავს.

სტენოკარდიის დროს, კარგია კივის ჭამა, რადგან სწრაფად ხსნის შეტევას.

კივი დიდი რაოდენობით შეიცავს ენზიმს, რომელიც აჩქარებს ცხიმების წვას ორგანიზმში. დილა-საღამოს მიირთვით ის და წონაში დაკლება არ გაგიჭირდებათ.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: რას ადგენს პაპ-ტესტი და მტკივნეული პროცედურაა?**

**პასუხი:** პაპანიკოლაუს ტესტი (პაპ-ტესტი, ცერვიკალური ნაცხი) - მნიშვნელოვანი სკრინინგული კვლევაა საშვილოსნოს ყელის კიბოს ადრეული დიაგნოსტიკისთვის. ეს ხელმისაწვდომი, მარტივი და უმტკივნეულო მეთოდია. ჩატარებამდე 48 საათის განმავლობაში არ მიიღოთ შხაპი, ხოლო 24 საათის განმავლობაში თავი აარიდეთ სქესობრივ ურთიერთობას.

**კითხვა: 8 წლის გოგოს აწუხებს შეკრულობა, კვირაში შეიძლება 2-ჯერ გავიდეს კუჭში. რაციონს ვუმდიდრებ ხილით, წვნიანებით, ბოსტნეულსაც ჭამს, მაგრამ მაინც ეს პრობლემა გვაქვს. რა ანალიზი უნდა გავუკეთო, რომ გავიგოთ რასთან გვაქვს საქმე, ან ვისთან მივიყვანო?**

**პასუხი:** რაციონში უნდა ჩართოთ მაწონი, კეფირი, შავი ქლიავის, გარგრის ჩირის კომპოტი, წვნიანი საკვები, დაღერღილი ხორბლის ფაფა, მწვანილი (განსაკუთრებით ოხრახუში ცოცხლად). არ არის რეკომენდებული ცხიმიანი საკვები, ცხიმიანი ხორცის ნახარში, მანის ფაფა, მაკარონი, კისელი. საკმარისი რაოდენობით უნდა მიიღოს სითხე, წყალი. ყაბზობის პრობლემის დროს საჭირო ხდება განავლის საერთო ანალიზი, განავლის ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა (დისბაქტერიოზზე) და განავალი ჰელმინთებზე. მაგრამ, გირჩევთ, კვლევას დამოუკიდებლად ნუ დაიწყებთ. დიაგნოსტიკისა და შემდგომი მკურნალობის მიზნით, ბავშვთა გასტროენტეროლოგს მიმართეთ.

**კითხვა: ვარ 20 წლის და თითქმის ყველა ფრჩხილზე მაქვს თეთრი ლაქა, პერიოდულად ჩნდება და მერე ისევ ქრება. რის ბრალია?**

**პასუხი:** თქვენი აღწერით, საქმე უნდა გვქონდეს ლეიკოონიქიასთან (ფრჩხილებზე თეთრი ლაქები). ხშირად ასეთ დროს ხდება მეორადად სოკოვანი ინფექციის შეჭრა. ამიტომ, უნდა გაკეთდეს ფრჩხილის ანათალის ანალიზი სოკოზე. ასევე, უნდა გაიკეთოთ განავლის ანალიზი ჰელმინთებზე. გირჩევთ - ჩაის ხის ზეთის შეზელას (აქვს ანტიმიკოზური, ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური მოქმედება) 2-ჯერ დღეში 1 თვის განმავლობაში; ასევე, ზეთოვანი A ვიტამინის შეზელას, ზღვის მარილის აბაზანებს.

**კითხვა: შარდის მომწვანო ფერი შეიძლება, ნაღვლის ბუშტის ბრალი იყოს?**

**პასუხი:** შარდი მომწვანო-მოყვითელო ფერის შეიძლება, იყოს შემდეგი პათოლოგიების დროს: მექანიკური სიყვითლე, ნაღველკენჭოვანი დაავადება, პანკრეასის თავის კიბო. ასევე, შარდი მწვანე ფერს იღებს, თუ მასში ბაქტერია ფსევდომონა გაჩნდა. ამიტომ, ზუსტი მიზეზის დასადგენად, აუცილებელია, ჩაიბაროთ შარდის ანალიზი.

**კითხვა: საშვილოსნოს ყელის ეროზიის დროს შესაძლებელია თუ არა დაფეხმძიმება?**

**პასუხი:** თავისთავად, საშვილოსნოს ყელის წყლული ორსულობის დადგომას ხელს არ უშლის. მთავარია, გაირკვეს წყლულის გამომწვევი მიზეზი. თუ წყლული სქესობრივად გადამდები ინფექციით არის გამოწვეული, მაშინ არა მხოლოდ დაორსულებას, არამედ შესაძლებელია ორსულობას შეექმნას საშიშროება – კერძოდ, მუცლის მოშლის, ნაყოფის სიმახინჯეების საშიშროებაა. მხოლოდ სპეციალისტს შეუძლია, განსაზღვროს საშვილოსნოს ეროზიის საფრთხე ორსულობისას.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

### ხშირად მიირთვით ზღვის კომბოსტო და ამით დაარეგულირეთ იმუნური სისტემა

ერთფეროვანი საკვები მავნე ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ამ დროს ტვინი არ იღებს სასარგებლო ნივთიერებებს, ორგანიზმში კი გროვდება მავნე ნივთიერებები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს თავის ტვინსა და გულზე.

საკვებ რაციონში ზღვის კომბოსტოს კვირაში ერთჯერადი შეტანაც კი, ისევე იცავს ფარისებრ ჯირკვალს, როგორც ერთი თვის განმავლობაში მულტივიტამინების მიღება. ეს პროდუქტი ჩიყვის განვითარებასაც აგაცილებთ თავიდან. ზღვის კომბოსტო შეიცავს დიდი რაოდენობით იოდსა და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმს იოდის ათვისებაში ეხმარება. გარდა ამისა, მისი რეგულარულად მიღება სისხლში ქოლესტერინს ამცირებს და ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას. ზღვის კომბოსტო, ასევე, სასარგებლოა იმუნური სისტემის ფუნქციის დარღვევისას.



**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძე**

# რატომ მოახსნევინა რეჟისორს ვახტანგ ნინუას შვილმა მამა სპექტაკლიდან

„უდიპლომო სასიძო" რომ გამივიდა ეკრანებზე, მამაზე ნაწყენი ვიყავი. სკოლაში დამცინოდნენ – მამაშენი ღორებს კოცნისო. სახლში, რომ დავბრუნდი ვუსაყვედურე: ამ ფილმში რატომ ითამაშემეთქი. გაეცინა: იცი, რამდენი ფული მომცეს ამ როლშიო. ეს ის პერიოდი იყო, როცა მსახიობებს ძალიან უჭირდათ. მანამ, სანამ ფილმი ეკრანებზე გამოვიდოდა, მოსკოვში წაუღიათ. ნიკიტა ხრუშჩოვს რომ უნახავს, ისე მოსწონებია, სიცილისგან სკამიდან გადაყირავებულა. მერე, მისი ბრძანებით, ყველა მსახიობს, ვინც ფილმში თამაშობს, დიდი პრემია გამოუწერეს. დედა მოსკოვში წავიდა და ბავშვების და სახლისთვის, ბევრი რაღაც იყიდა. „აკაკის აკვანი" რომ გადაიღეს, იმდენად კარგი ანაზღაურება ჰქონდათ, ნატო ვაჩნაძემ და მამამ ყავის სერვიზი იყიდეს. მახსოვს, იმ სერვიზს დედა ფეხსაცმლის ყუთში ინახავდა," – ასე იხსენებს მამას, ქართული კინოკომედიის ღირსეულ წარმომადგენელს, ყველასთვის საყვარელ მსახიობს, ვახტანგ ნინუას ქალიშვილი – მანანა ნინუა. გადის წლები. დღესაც უყურებ ეკრანზე მას და მისი თაობის უძვირფასეს მსახიობებს და გული გტკივა, რომ ჩვენს გვერდით აღარ არიან, მათ ახლოს არ ვიცნობდით. მაგრამ, ისინი ხომ სამუდამოდ დარჩნენ თავიანთი ოჯახის წევრების, ახლობლების, თაყვანისმცემლების გულებში, ეკრანზე, საოჯახო ალბომებსა და დღიურებში, სადაც მათი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდებია აღწერილი



„მამა დაიბადა 1916 წლის 6 სექტემბერს, ბაქოში. მამამისი მეწარმე გახლდათ. ბაქოში ნავთობზე მუშაობდა და, ასევე, ჰქონდა საკუთარი კონიაკის ქარხანა, რომელიც კონიაკ „დავით ნინუას" უშვებდა. დედა – მარინე ჭყონია, დიასახლისი, მაგრამ საკმაოდ განათლებული ქალი გახლდათ. ორივე მრავალშვილიანი ოჯახიდან იყო – ცხრა-ცხრა დედმამიშვილი ჰყავდათ. ბებიას ოჯახი ბათუმიდან იყო, ბაბუას ოჯახი – სამტრედიიდან. თავდაპირველად, ტყუპი ვაჟი შესძენიათ, რომლებიც მალევე გარდაიცვალნენ, მერე ვახტანგი გაჩნდა. ასე ამბობდა: მამაჩემმა ვახტანგი ვახტანგ მეფის პატივსაცემად დამარქვაო. ორი წლის შემდეგ, ისევ ვაჟი გაუჩნდათ – შოთა. მას ეს სახელი, ალბათ, შოთა რუსთაველის პატივსაცემად დაარქვეს. ძალიან კარგად ცხოვრობდნენ. მამა იხსენებდა, მამაჩემი რომ შემოვიდოდა სახლში, იმდენი ფული ჰქონდა, ჰაერში ყრიდაო. მოგეხსენებათ, ქართველების დიდი ნაწილი აზერბაიჯანში იყო გადასული, მათ შორის იყო ახმეტელიც თავისი დასით. რევოლუცია რომ მოხდა, იძულებულები გახდნენ, ისევ აქეთ წამოსულიყვნენ. ვერ გეტყვით, ვისგან გამოჰყვა მამას ხელოვნებისადმი სიყვარული და სწრაფვა, რადგან ჩვენს ოჯახსა და გვარში, არავინ იყო ხელოვანი. ერთ დღესაც, ბაბუამ გადაწყვიტა, ბათუმში წამოსულიყვნენ. ამ დროს ბებია უკვე გარდაცვლილი იყო – ერთ-ერთი მოგზაურობისას, ბათუმიდან თბილისისკენ, მატარებელში ტიფით დაავადდა და ძალიან ახალგაზრდა, 37 წლის ასაკში გარდაიცვალა. ბათუმში სამი ბინა იყიდეს და იქ ცხოვრობდნენ. შემდეგ, ის ბინები ბიჭებს დაუტოვა და თვითონ თავის დებთან, სამტრედიაში გადავიდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. მამაჩემმა და ბიძაჩემმა ბინები თბილისში, დიდუბეში, ვახუშტის ქუჩაზე გადმოცვალეს. მამამ კამოს ქუჩაზე მდებარე ინდუსტრიულ ტექნიკუმში ჩააბარა. მერე ისე მოხდა, რომ ფილმში გადაიღეს. მისი პირველი ფილმი იყო „მწვერვალთა დამპყრობლები", შემდეგ – „ბედნიერი შეხვედრა". გადაღებები ქობულეთში ჰქონდათ. სწორედ იქ გაიცნეს ერთმანეთი დედამ და მამამ. დედა, ნატალია, იხსენებდა: მკლავზე შავი ლენტი ეკეთა. დედამისის გარდაცვალებიდან წელიწადი იყო გასული. მაღალი, ძალიან გამხდარი ბიჭი იყოო. ჩვენს ოჯახში მათი ჩხუბი არასდროს არავის უნახავს და ხმამაღალი სიტყვა არ გაუგიათ. დედა – ნატალია ინაშვილი, რეპრესირებული ოჯახიდან იყო – მამამისი ჯერ გადაასახლეს, შემდეგ კი დახვრიტეს. ბაბუა კავკასიის მაგისტრალური ხაზის მთავარი ეკონომისტი იყო. ერთხელ მე და დედა ექსკურსიაზე ვიყავით და იმ ადგილას, სადაც მამამისი ჰყავდათ დატყვევებული, რიბინსკის უზარმაზარი წყალსაცავი დაგვხვდა აშენებული. ასე რომ, დედას მამის საფლავიც არ ჰქონდა. ყვავილები ვიყიდეთ და წყალში გადავყარეთ. ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი იყო, უნივერსიტეტიდან რომ გამოაგდეს, როგორც ხალხის მტრის შვილი. დედაჩემის დედა საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან იყო – ბაბუამისი „ზინგერის" უზარმაზარი კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ყოფილა და საკმაოდ დიდი ფული ჰქონიათ.



„უდიპლომო სასიძო"



„რაც გინახავს ველარ ნახავ"

ამიტომ, არ უნდოდა, თავისი ქალიშვილი, პროვინციიდან ჩამოსულ, ვიღაც ვახტანგ ნინუას გაჰყოლოდა. არ მოსწონდა სასიძოდ...

ომი რომ დაიწყო, დედა კავშირგაბმულობის სამინისტროში მუშაობდა, მამა – 31-ე ქარხანაში ცვლის უფროსად. ჩემი და ჩემზე შვიდი წლით უფროსი იყო. მე რომ გავჩნდი, თურმე, მამას ძალიან სტკენია გული, რომ ისევ გოგო შეეძინა. არანორმალურად სდომებია ბიჭი. სამშობიაროში არც მოვიდა ჩვენს გამოსაყვანად, მამიდამ გამოგვიყვანა. მამა ამბობდა ჩემზე: მე იმან მანანაო და ამიტომ, დამარქვა მანანა. სამ თვემდე საერთოდ არ დაუხედავს ჩემთვის. მერე რომ ვახსენებდი, არ სიამოვნებდა: ნურასოდეს გამახსენებ, გული მტკივაო, – ამბობდა. თან, საოცრად ვგავართ ერთმანეთს. რაც შეეხება სირთულეებს: სადაც ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ, ომის შემდეგ ბევრი რუსი იყო ჩამოსახლებული კრასნოდარიდან, მაგრამ, ძალიან კარგ დამოკიდებულებაში ყოფილან, ერთ ოჯახად შეკრულები. ალბათ, მათ ასწავლეს ქსოვა. დედა იხსენებდა, მე და მამაშენი მთელი დღეები ვისხედით, თავშლებს ვქსოვდით და ვღებავდითო. სადაც ახლა სპორტის სასახლეა, იქ დიდი ტრიალი მინდორი იყო, ბაზრობა. ეს თავშლები მიჰქონდათ და ყიდდნენ. ერთ მშვენიერ დღეს, მამა გამოდის ქარხნიდან და დედაჩემს ეუბნება: გადაწყვეტილება მივიღე, თეატრალურში შევიდეო. იმხანად თბილისში არ იყო თეატრალური, მხოლოდ კინოსტუდიასთან არსებული თეატრალური კურსები იყო და ის დაამთავრა. შემდეგ მარჯანიშვილის თეატრში აიყვანეს, რომლისთვისაც არასდროს უღალატია. ამ თეატრით სუნთქავდა. ძალიან განიცადა შავგულიძის გარდაცვალება – ორი დღე პირქვე ეგდო. ძალიან უყვარდა...



„რაც გინახავს ველარ ნახავ"

ძალიან ტკბილი და თბილი იყო ჩვენ მიმართ. ისეთივე გულუბრყვილო იყო, როგორც თავისი გმირები. გაბრაზებული არ მახსოვს. მართალია, ეკონომიურად გვიჭირდა, მაგრამ, რაც გვქონდა, იმითაც მშვენიერი სუფრები იშლებოდა. ისხდდნენ, საუბრობდნენ როლებზე, საინტერესო თემებზე. ტარიელ საყვარელიძე რომ ლექსებს კითხულობდა, მარტო ის რად ღირდა! ეს იყო ნამდვილი ხელოვნების სუფრა და არა – ღრეობა. ძალიან ახლოს ვიყავით კაკო კვანტალიანის, ედიშერ მაღალაშვილის, კუკური ლაფერაძის, გოგი გელოვანის ოჯახებთან. მახსოვს, გოგი გელოვანი და ნოდარ ჩხეიძე – თემურ ჩხეიძის მამა როგორ მასწავლიდნენ „მგელსა და კრავს". მამას მეგობრები იყვნენ, აგრეთვე, რეზო ლაღიძე, წოპე. ერთხელ, ღვინო შემოაკლდათ. ერთი ბოთლიღა შემორჩათ. მაშინ არ იყო ასე, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მაღაზიები, თანაც – გვიანობამდე. დედას სათითე გამოართვეს და მთელი საღამო იმ ერთი ბოთლი ღვინით გაატარეს... მახსოვს, მარჯანიშვილის თეატრის კუთხეში კანფეტების მაღაზია იყო. თეატრიდან რომ გამოვიდოდა, იქ შევიდოდა, ჩვენთვის კანფეტებს იყიდდა და მოვიდოდა. არ მახსოვს, სახლში ხელცარიელი მოსულიყო, სულ რაღაც მოჰქონ-

და. ერთხელ, გვიამბო: შევიდა, თურმე, მაღაზიაში, რომ ჩვენთვის რაღაც ეყიდა და დაუნახავს, ვიღაც ქალი ტირის. უკითხავს, რა გიჭირთ, ქალბატონო, რით შემიძლია, დაგეხმაროთო. ამ ქალმა შეხედა და გაოგნდა – იცნო, ვინც იყო. უთხრა, ვაჟი მყავს, რომელიც ძალიან ნერვიულია. საგიჟეთში დააწვინეს, მაგრამ, წამლებს არ აძლევენო. არ დაეზარა და მეორე დღეს სრულიად უცნობი ქალი წაიყვანა, შევიდა ჯანდაცვის მინისტრთან და უთხრა, ჩემი ახლობელია და დახმარება სჭირდებაო. წამლებიც გამოუწერეს და ყველანაირად მიხედეს. ეს ქალბატონი მერე ჩვენთან სახლში მოვიდა, მამას ლამის მუხლებზე დაუჩოქა და მადლობებს უხდიდა. მამა არასდროს უყურებდა თავის ფილმებს, არ მოსწონდა. ერთადერთი ფილმი, რომელიც ძალიან უყვარდა, იყო „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". სულ ამბობდა, მიხეილ ჭიაურელთან მუშაობა დიდი კომფორტიაო. თან, იმხელა კორიფეებთან ერთად თამაშობდა: ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, აკაკი ხორავა... მისთვის ამ ფილმში თამაში მთელი აკადემია იყო. „უდიპლომო სასიძოს" გადაღების შესახებ, კოტე მგალობლიშვილი – ბიჭიკოს როლის შემსრულებელი, იხსენებდა: სასტუმროში მე ცალკე ნომერი მქონდა. ბატონი ვახტანგი რომ ჩამოვიდა, ნომერი აღარ იყო და მითხრეს, შენს ოთახში დაიძინებსო. ისე ვინ გააჩერებდა გურიაში ჩამოსულ კაკო კვანტალიანსა და ვახტანგ ნინუას, რომ კარგად არ ექეიფებინათ. საღამოს მოვიდა, დაწვა და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, მთელი ღამე ქუჩაში დავსეირნობდიო.


„უდიპლომო სასიძო"

...თქვენ იცით, რომ მამა კომედიური ჟანრის მსახიობი იყო. ორმოცდაათ ფილმში აქვს ნათამაშები, ამაზე მეტ სპექტაკლში და მისი არც ერთი გმირი არ იღუპება. გოგი თოდაძემ დადგა ასეთი სპექტაკლი – „ჩემი ეიფელის კოშკი". იქ მამა თამაშობდა საფრანგეთიდან ჩამოსულ ემიგრანტს, რომელიც თავის სოფელში ქარის წისქვილის ასაშენებლად მიდის. მასთან ერთად თამაშობდნენ ლენა ყიფშიძე და მამას ბავშვობის მეგობარი – გივი ბერიკაშვილი. სწორედ ამ სპექტაკლში კვდებოდა მისი გმირი. იმ პერიოდში, უკვე ძალიან ცუდად იყო. სულ ათი სპექტაკლი ითამაშა. სწორედ ამ სპექტაკლზე ისე ცუდად იყო, იძულებული გავხდი, დირექტორისთვის დამერეკა და მეთხოვა, სპექტაკლიდან მოეხსნათ. აი, მაშინ ვნახე მამა გაბრაზებული. დამირეკა და მითხრა: შენ ვინ გეკითხება, მე სპექტაკლში ვითამაშებ თუ არაო. იმხელა ენერგიას ხარჯავდა, რომ სახლში სულ სველი ბრუნდებოდა. არაფრით არ შეიძლებოდა მისი ასეთი დაღლა. პანკრეასი თითქმის დაშლილი ჰქონდა, რვა თვე ვაცოცხლებდით. თემურ ჩხეიძემ და ნანი ჩიქვინიძემ საავადმყოფოში მოინახულეს და გაოცებულები იყვნენ – იქაც როლზე ფიქრობდა და მიზანსცენებზე მუშაობდაო. სახლში რომ გამოიყვანეს, მივედი. მალე მოვკვდებიო – მითხრა. მე ვუთხარი: რა წუთშიც შენ არ იქნები, ხომ იცი, მეათე სართულზე ვცხოვრობ, გავაღებ ფანჯარას და გადავხტები-მეთქი. მერე მითხრა: არა, გეხუმრეო. არ ვეუბნებოდით, რაც სჭირდა. ეგონა, ნაღვლის ბუშტის ან ღვიძლის ამბები იყო. ერთ-ერთი მსახიობისგან გაუგია სიმართლე...


„ჩრდილი გზაზე"

30 დეკემბერს გარდაიცვალა. მიუხედავად ამისა, ხალხის ნაკადი არ შეწყვეტილა. ვისხედით და ვამბობდით: დღეს პირველი იანვარია – ვინ მოვა, დღეს ორი იანვარია, ბედობა, ვინ მოვა... მაგრამ, მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მისი ოცნება იყო, დიდუბის პანთეონში დაკრძალულიყო. დედაჩემს ხშირად ეხუმრებოდა ამაზე, მაგრამ მაშინდელმა მთავრობამ ეს არ გაითვალისწინა. უფრო სწორად, პანთეონში ისეთი ადგილი მოგვცეს, სადაც წყალი გადიოდა, ამიტომ, საბურთალოს სასაფლაოზე დავკრძალეთ. საავადმყოფოში რომ იწვა, ერთ წერტილში გააშტერებდა თვალს და ვიღაცეებს ესაუბრებოდა. ჩვენ ძლივს გველაპარაკებოდა, იმათთან კი მკაფიოდ გამოთქვამდა სიტყვებს. მერე მამაო მივუყვანეთ, რომელმაც აგვიხსნა, რომ უკვე იქით იყო, იმ ქვეყანასთან ჰქონდა კავშირი. ჟორა შავგულიძეს ეუბნებოდა: ჰა, შენ და საშამ ისე არ ქნათ, რომ როლის გარეშე დავრჩეო. მამა გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს დამესიზმრა, შავი გაიხადეო – მითხრა. მე ვუთხარი: კი მაგრამ, წიწილა ხომ არ დავკარგეთ, ამხელა დევივით კაცი გამოგვეცალე ხელიდან-მეთქი. არა, გაიხადეო. სხვა რა გზა მქონდა, გავიხადე.

ბოლო ათი წელი, მამას მეორე მეუღლე ჰყავდა. თუმცა, მისი ჩვენდამი დამოკიდებულება, მზრუნველობა არანაირად არ შეცვლილა. ყველანაირად ჩვენს გვერდით იყო. უბრალოდ, თავიდან ძალიან გამიჭირდა იმ ფაქტთან შეგუება, რომ ოცდაათწლიანი ოჯახი დაანგრია და რამდენიმე თვე არ ველაპარაკებოდი. მერე შევრიგდით. ეს მისთვისაც და დედასთვისაც რთული იყო. ბიცოლაჩემისთვის უთქვამს: ცხოვრებაში არავისთვის ცუდი არ გამიკეთებია, ამ ერთხელ შევცდი და ღმერთმა ეს არ მაპატიაო...


ბელა მირიანაშვილი, კაკო კვანტალიანი, დუდუხანა წეროძე, ვახტანგ ნინუა და აბესალომ ლორია

**ეკა პატარაია**

# რაში „იჭრებიან" მამაკაცები ეკო ფანგანთან და რატომ ვერ ატყუებენ მას ვერასდროს

(23-ე გვერდიდან)

– ჩემთან ურთიერთობა, ალბათ, ადვილი არ არის. გააჩნია... თუ ელემენტარულ რაღაცეებში ჩემს მოთხოვნებს დააკმაყოფილებ, უამრავ კომპრომისზე შემიძლია წასვლა.

**– ელემენტარულ რაღაცეებში რას გულისხმობ?**

– ძალიან ბევრის გაცემა შემიძლია, იმდენად ბევრის, რომ მის შესაბამისს ვერავინ მომცემს. ასეთი კაცი თუ დადის საქართველოში და თუ მოვწონვარ, მოვიდეს, გამეცნოს ***(იცინის).*** არ შევხედავ საერთოდ როგორია. ჩემზე ძლიერი უნდა იყოს. მეგობარი თუ ბიჭი, რომელსაც მოსწონხარ, ისეთ მარტივ რაღაცეებში ჩაჭრილან, ვგიჟდები. შემიძლია მათი ჩაჭრა, არ მინდა, თავის ქებად ჩამითვალოთ, მაგრამ მართლა ძალიან ბევრი ბიჭი ყოფილა, ვისაც მოვწონდი, მაგრამ არ არიან ძლიერი ტიპები და რა ვქნა?! ასეთი თუ არის, მოვიდეს ***(იცინის).*** მიუხედავად იმისა, რომ ახლა არავინ მინდა და ძალიან კარგად ვგრძნობ თავს საქმეში ჩაძირული. ვიცი, რომ ეს მაინც დროებითია და საბოლოო ჯამში, სიყვარული ყველას გვჭირდება. მაქსიმალურს ვერავის მოვთხოვ და წავალ კომპრომისებზე, მაგრამ უნდა ვიგრძნო ეს თანაბრობა, პატივისცემა ელემენტარულ მომენტებში. მილიონნაირი ტიპი ყოფილა – ზოგს აფრთხობს ეს ცნობადობა და ზოგი პირიქითაა – სელებრითობაზე უფრო ხურდებიან, ვითომ გიჟდებიან და მისთვის განსაკუთრებული ხარ. ამ დროს სულ წვრილმანებში, ყოველდღიურ ნიუანსებში ისე იქცევიან, რომ ხვდები, პატივისცემის გაგებაში არ არიან – მათთვის ეს მხოლოდ და მხოლოდ ხოტბის შესხმაა, რაც მე არაფერში მჭირდება. ვერ ვიტან ლაქლაქს. მოტყუებით ვერავინ მატყუებს, თუმცა ხშირად ჩამიყლაპავს, ვითომ დავიჯერე, რადგან იმ სისულელის გამო ჩხუბი არ ღირდა. თუმცა, მერე უკვე, ნამეტანი რომ მოსდით, პირდაპირ ვეუბნები – რაც შეგერგო, შეგერგო, ახლა ცოტა გონს მოდი! ეს რაღაცეები შეიძლება, ჩემთან ურთიერთობას ართულებს, მაგრამ არა მგონია, ასეთი საშიში იყოს. ხშირად ვცდილობ, ფეხი ავუწყო ჩემი საყვარელი ადამიანის ფეხის ხმას, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ათასი ინტერესი მაქვს. მგონია, რომ ასე უფრო კარგია – თუ შეგიძლია, რაღაცეებზე მისნაირად უნდა იფიქრო. ერთ მთლიანობად რომ იქცე, რაზეც არ გიფიქრია იმაზეც უნდა დაფიქრდე. იქნებ კარგია და ასე, რაღაც საერთოს ერთიან ინტერესს მიაგნებთ. მაგრამ, მისგანაც ასეთივე ინტერესი უნდა იგრძნო. კაცს ბევრი რაღაც შეიძლება, არ აინტერესებდეს ქალის, მაგრამ ზუსტად აქ იკვეთება პატივისცემის ამბავი. მან უნდა შეძლოს შენთვის მნიშვნელოვანი საკითხებით დაინტერესება, როგორც მინიმუმ უნდა გკითხოს ამის შესახებ. ცარიელი იყავი, ოღონდ იყავი ჩემთან ერთად, ტირილი და ბღავილი – არ შემიძლია.

**– კაცებო, გაითვალისწინეთ რჩევები.**

– წიგნიც კი შემიძლია დავწერო ამაზე. შევარდნაძესავით, პენსიაში რომ გავალ, მემუარების წერას დავიწყებ. დეიდაჩემი ბავშვობიდან ჩემი მესაიდუმლეა და სულ მეუბნება, არც ერთი კარგი რომანი, დეტექტივი, მძაფრსიუჟეტიანი ფილმი არ შეედრება იმ სცენარს, რაც შენს ცხოვრებაში ბუნებრივად არისო. ჯერ ძალიან ადრეა, მაგრამ ოდესმე, აუცილებლად დავწერ.

**სალომე გველესიანი**

**ადამიანის ჯანმრთელობასა და მისი აურის მდგომარეობას შორის, პირდაპირი კავშირია. ფიზიკურ და ასტრალურ სხეულებს შორის კავშირს, ნათელმხილველები აღწერენ როგორც წვრილ, ვერცხლისფერ ძაფს, რომელიც არსებობს მხოლოდ მანამ, სანამ ადამიანი ცოცხალია. სიკვდილი კი, საბოლოოდ ყოფს ფიზიკურ და ასტრალურ სხეულს ერთმანეთისგან. ამ თემაზე კომენტარი ვთხოვეთ ფსიქოენერგეტიკოს, ბატონ დავითს. ის ამ სახის კვლევის უშუალო მონაწილე გახლდათ და უამრავ ნათელმხილველთან, მსოფლიოში განთქმულ ეზოთერიკოსსა და მეცნიერთან ერთად, იკვლევდა ადამიანის აურას და მისი დაზიანების შედეგებს.**

# ადამიანის რომელი ორგანოდან მოდის ყველაზე დიდი გამოსხივება და რა კავშირი აქვს ადამიანის აურის მდგომარეობას ჯანმრთელობასთან

**– ჯერ კიდევ, ძველ ეზოთერიკულ ტექსტებში ვკითხულობთ, რომ ადამიანის აურა მის ჯანმრთელობასა და უეცარ სიკვდილთან პირდაპირ კავშირშია. ბოლო დროს ჩატარდა კვლევა, რომელშიც მსოფლიოში ცნობილი ეზოთერიკოს-ნათელმხილველები მონაწილეობდნენ. ამ კვლევაში თავად იყავით ჩართული და იქნებ განგვიმარტოთ, რა გავლენას ახდენს აურის დაზიანება ადამიანზე?**

– დიახ, ძველ ეგვიპტურ ტექსტებში გვხვდება ინფორმაცია ადამიანის აურის, ანუ ბიოლოგიური ველის შესახებ. იქ აურა აღწერილია, როგორც ადამიანის ენერგეტიკული ორეული, რომელიც სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს არსებობას. დასავლეთის ტრადიციების მიხედვით, მას ასტრალურ სხეულს უწოდებენ, იოგები კი – მანათობელ ჰიბნას. ქრისტიანობასა და იუდაიზმში ეს ენერგია, ანუ აურა, გამოხატულია ხატებზე – წმიდანების თავზე მანათობელი ორეულის სახით. თანამედროვე მეცნიერება და პრაქტიკა ამტკიცებს ბიოლოგიური ველისა და ასტრალური სხეულის უტყუარ არსებობას. ბოლოდროინდელმა კვლევამ კი, რომელშიც მსოფლოს წამყვანი მეცნიერები, ეზოთერიკოსები, ნათელმხილველები და პარაფსიქოლოგები მონაწილეობდნენ, ეს ნამდვილად დაადასტურა და ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ფართო მასებისთვის აურა უხილავია, ყოველთვის არსებობდნენ პიროვნებები – ძლიერად განვითარებული ზემგრძნობიარე შესაძლებლობებით, რომლებიც ხედავდნენ მას. მათ ფსიქოენერგეტიკოსებს უწოდებენ. სხვათა შორის, აურას, ერთნაირად აღწერენ უძველეს და თანამედროვე დროში.



**– და მაინც, როგორ შეიძლება, აურა განვსაზღვროთ?**

– აურა შეგვიძლია შემდეგნაირად განვსაზღვროთ: ადამიანის ბიოლოგიური ველი ობიექტურად არსებობს; აურის გამოსხივება ვრცელდება 35 სანტიმეტრიდან ერთი მეტრის მანძილზე ადამიანის სხეულიდან. ეს კი დამოკიდებულია ადამიანის სულიერ და სოციალურ, ასევე, ფსიქოფიზიოლოგიურ და ბიოლოგიურ მდგომარეობაზე; აურის ველის ზომები შეიძლება გაიზარდოს 30 მეტრამდე, განსაზღვრულ ოპტიმალურ პირობებში; ყველაზე ძლიერი გამოსხივება მოდის თითებიდან, ხელისგულებიდან და თვალებიდან. სწორედ ამიტომ გრძნობს ადამიანი დაჟინებულ მზერას.

**– ამბობენ, აურის დაზიანება, შესაძლოა, ისეთი დაავადების გამომწვევი გახდეს, რომელიც სწრაფ სიკვდილს იწვევსო. ამაზე რას გვეტყვით?**

– რასაკვირველია, ეს სიმართლეა და ამის ასე ხმამაღლა თქმის საშუალებას მაძლევს ის უტყუარი ფაქტები და კვლევები, რომელშიც თავად მივიღე მონაწილეობა და რის თვითმხილველიც გახლდით. გეტყვით, რომ აურა ადამიანის ორგანიზმის ფსიქოენერგეტიკული და ბიოინფორმაციული, ტალღოვანი და რეზონანსული ღერძია. ის მართავს როგორც ცალკეულ უჯრედებს, ორგანოებსა და სისტემებს, ასევე, მთელი ორგანიზმის მოქმედებასაც. ეს თეორია კი, მტკიცდება იმით, რომ სხეულის რომელიმე ნაწილის ამპუტაციიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ადამიანები ყრუ ტკივილს გრძნობენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სახსრის ამპუტაციის შემდეგ, ობიექტის ფსიქობიოენერგეტიკული ფორმა შენარჩუნდება. ეს, საკმაოდ რთულად გასაგებია, თუ ამ საქმეში არ ხარ ჩახედული, მაგრამ – ფაქტია. აურის მკვლევრები დარწმუნებულები არიან, რომ ის რამდენიმე ველის, ანუ დონისგან შედგება. ყოველი ფენა ასახავს ადამიანის ორგანიზმის განსაზღვრული სტრუქტურისა და ფუნქციის მდგომარეობას. მსგავსი თვისება ფსიქოენერგეტიკოსებს ხელს უწყობს ავადმყოფის დიაგნოსტირებაში. კერძოდ, ავადმყოფის ბიოლოგიური ველის მდგომარეობის მიხედვით, განსაზღვრონ ჯადოს, გათვალვის, შელოცვის არსებობა ან ფსიქოტექნოლოგიური ზემოქმედება. აურის განსაზღვრული ფენები ასახავს ადამიანის ფსიქოემოციურ მდგომარეობასაც. მაგალითად, ხშირად გრძნობა და ემოციები აღიქმება ელექტრონული ნაპერწკლების ან ღია ვარდისფერი ნათების სახით. ძლიერ განვითარებული ინტელექტი ოქროსფერმოყვითალოა. ადამიანის ყველა ორგანოს აქვს თავისი დამახასიათებელი ფერი.

**გაურკვეველი წარსულის მქონე პიროვნების გვერდით, შემთხვევით აღმოჩენილი ადამიანი შიშს განიცდის და მოულოდნელად, სიძულვილი იბუდებს მასში**

**– როდის იწყებს ადამიანის აურა შეცვლას და არის თუ არა მისი შეცვლა ჩვენი ემოციების შედეგი, როგორც ამას ნათელმხილველები აღწერენ?**

– აურა იცვლება შინაგანი – დინამიკური და ბიორიტმების რხევის, ან გარეგანი ზემოქმედების შედეგად. დიახ, ხშირად ადამიანის აურის შეცვლა დადებითი და უარყოფითი გრძნობებისა და ემოციების შედეგია. სიყვარული, სიმპათია, ანტიპათია, სიმშვიდე, სიბრაზე, სიავე, სიძულვილი – ყველაფერი ეს აქტიურად მოქმედებს ადამიანის აურის ცვლილებაზე. ყველა ადამიანი განიცდის ფსიქობიოენერგეტიკული ოკეანის ტალღებისა და რეზონანსული ვიბრაციის გავლენას. თუმცა, ამას თავად ვერ აღიქვამს. ეს რეზონანსული ტალღები და ვიბრაციები აღიქმება აურის მიერ და ხშირად, სწორედ ეს განსაზღვრავს ადამიანის გრძნობებსა და ემოციებს, აზრებსა და საქციელსაც კი. მგელი, როდესაც სისხლის სუნს იგრძნობს, თვალები უწითლდება. გაურკვეველი წარსულის მქონე ან უბრალოდ, მოჩხუბარი და კონფლიქტური პიროვნების გვერდით შემთხვევით აღმოჩენილი ადამიანი, შიშს განიცდის, სურვილი აქვს, რაც შეიძლება, სწრაფად მოშორდეს იქაურობას, ან მოულოდნელად, სიძულვილი იბუდებს მასში. სხვათა შორის, ფსიქობიოენერგეტიკული ზემოქმედება და რეზონანსული ტალღები უსულო საგნებზეც მოქმედებს. ცნობილია, რომ ის ადვილად კონცენტრირდება, მაგალითად, კრისტალურ სტრუქტურებზე, უპირველესად, მინერალებსა და ძვირფას ქვებზე. ამიტომაც, ზოგიერთი ფსიქოენერგეტიკოსი კრისტალური ნივთებით სარგებლობს და მუშაობის დროს იყენებს მათ. აურა მხოლოდ მაშინ ინარჩუნებს მთლიანობას, როცა ადამიანი ჯანმრთელია, ანუ სულიერად, სოციალურად, ფსიქიკურად და ფიზიკურად კარგად არის. ძილის, ჰიპნოზისა და კომის მდგომარეობაში გამოიყოფა აურის ნაწილი და ახალი ბიოლოგიური ველი წარმოიქმნება. ხანდახან ეს ველი, რომელსაც ასტრალურ სხეულსაც უწოდებენ, დიდი მანძილით შორდება სხეულს. ალბათ, ბევრს განუცდია ფრენის, ვარდნისა და მსგავსი მძაფრი შეგრძნებები ძილში, რაც იმის ნიშანია, რომ ასტრალური სხეული „სამოგზაუროდ მიემართება". ნათელმხილველები ასეთი გზით იღებენ ინფორმაციას წარსულსა და მომავალზე, მოვლენებზე, რომელიც შორეულ წარსულში მოხდა.

**– ფიზიკურ და ასტრალურ სხეულს შორის კავშირს, ამ საკითხში ჩახედული ადამიანები, საკმაოდ საინტერესოდ აღწერენ და ამბობენ, ერთ დღესაც შესაძლოა, მათი განცალკევება მოხდესო. ეს ადამიანის სიკვდილს ხომ არ ნიშნავს?**

– ფიზიკურ და ასტრალურ სხეულს შორის კავშირს ეზოთერიკოს-ნათელმხილველები აღწერენ, როგორც წვრილ, ვერცხლისფერ ძაფს, რომელიც არსებობს მხოლოდ მანამ, სანამ ადამიანი ცოცხალია. სიკვდილი კი, საბოლოოდ ყოფს ფიზიკურ და ასტრალურ სხეულებს ერთმანეთისგან. აურის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის ფსიქიკის მატარებელია, საბოლოოდ ტოვებს სამყაროს, მაგრამ სად მიდის, თანამედროვე მეცნიერებისთვის, სამწუხაროდ, ამოუხსნელია.

**ნონა დათეშიძე**

## დიახ, მე შენი მესმის!

ხშირად ხდება ისე, რომ კატეგორიულად არ გინდა, გაითვალისწინო გარშემო მყოფთა აზრი. ინტუიცია გკარნახობს, რომ ისინი სიმართლეს ამბობენ, მაგრამ, შინაგანი სიჯიუტე თუ უაზრო პრინციპულობა ხელს გიშლის სხვისი სიმართლის აღიარებაში. ასეთ დროს, თქვენ, ძირითადად, წარმოთქვამთ ფრაზებს, რომლებიც ხელს გიშლით ურთიერთობის ნორმალიზებაში. მაგალითად: არავითარ შემთხვევაში! თავადაც არ იცი, რას ბოდავ! წარმოდგენა არ გაქვს, მე რაზე ვლაპარაკობ! ყოველთვის ასეთი უაზრო ხარ! ჯობია, სერთოდ გაჩუმდე, ვიდრე კიდევ ერთხელ დამარწმუნო იმაში, რომ სულელი ხარ!

ეს წარუმატებელი ფრაზები, რომლებიც ძალიან გვიშლის ხელს, გავუგოთ ერთმანეთს, ჩავანაცვლეთ ფრაზებით: ფიქრობ, რომ ასე უკეთესი იქნება? ნუთუ, გგონია, რომ მე ვცდები? იძულებულს მხდი, დაგეთანხმო! თუ შენი სწორად მესმის, მაშინ, კიდევ უნდა ვიფიქრო... მოდი, ამ ყველაფერს სხვა თვალით შევხედოთ... ვწუხვარ, შეიძლება, მართლა ჯობდა, სხვანაირად მოვქცეულიყავი...

თქვენ სცადეთ და მოსინჯეთ ეს მეორე ვარიანტი, რომელიც ფსიქოლოგების მიერ არაერთხელ არის აპრობირებული და გატესტილი. აუცილებლად შეძლებთ, უკეთ გაუგოთ ახლობლებს. საყვარელ ადამიანს პირდაპირ უთხარით, რომ გესმით მისი გრძნობების, ემოციების, სურვილების, თქვენ ეს ცოტათი კიდევ დაგაახლოებთ მასთან... თუნდაც ერთი ნაბიჯით, მაგრამ, ეს უკვე პოზიტივია!

## მიყვარხარ მაშინაც კი...

მიყვარხარ მაშინაც კი, როცა უსამართლოდ მიბრაზდები... როცა თავად არ იცი, რა არ მოგწონს ან რამ გაგაღიზიანა... – ნებისმიერი ჩხუბის დროს ეს სიტყვები ჯადოსნურად მოქმედებს. თუ ურთიერთობის შენარჩუნება და მით უმეტეს, გადარჩენა გინდათ, აუცილებელია, მწვავე კამათის შემდეგ ჩიხში შესული სიტუაცია გაანეიტრალოთ და საუბარი ნორმის ჩარჩოებში დააბრუნოთ. მთავარია, პარტნიორმა იგრძნოს, რომ მის მიმართ გრძნობა ისევ გაქვთ. კი არ მოგბეზრდათ ის, არამედ, გაწუხებთ გაუგებრობა, რომელიც თქვენ შორის წარმოიშვა. ზოგჯერ, უბრალოდ, მოუყევით პარტნიორს, რა მოგწონთ მასში; რა აღგაფრთოვანებთ და გახარებთ. გაიხსენეთ ის ეპიზოდები, როცა მან შეძლო თქვენი სასიამოვნოდ გაოცება – ასეთი „გასეირნება წარსულში" ყოველთვის პოზიტიურად აისახება ურთიერთობაზე.

მამაკაცები ნაკლებად არიან დარწმუნებულები საკუთარ შესაძლებლობებში, ამიტომ, მათ გამხნევება და წახალისება სჭირდებათ. ხშირად შეაქეთ და დაეხმარეთ, დაიჯეროს ის, რაშიც ეჭვი ეპარება, ანუ, საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნეთ. შეიძლება, გითხრათ: „არ მჭირდება შენი წაქეზება, მე ისედაც ყველაფერი ვიცი და ყველაფერი გამომდის..." – ეს ნუ გაგაღიზიანებთ. მხოლოდ გაუღიმეთ პასუხად და უთხარით, რომ მისი სიტყვები სიმართლეა. თქვენ ხომ ის მაშინაც გიყვართ, როცა ჯიუტად ამტკიცებს იმას, რაზეც საერთოდ არა აქვს წარმოდგენა...

## უბრალო, მაგრამ, აუცილებელი

სცადე და გააუმჯობესე ურთიერთობები საყვარელ ადამიანთან, მით უფრო, იმ ერთადერთთან, რომელიც შენი ცხოვრების მთავარ „აღმოჩენად" მიგაჩნია. დაუახლოვდი მას და კიდევ ერთხელ დაარწმუნე იმაში, რომ არ შემცდარა, როცა არჩევანი შენზე შეაჩერა.

„ძალიან სასიამოვნოა შენ გვერდით გაღვიძება. ცხოვრება მიხარია, როცა შენს თვალებს ვხედავ", – თითქოს არაფერია განსაკუთრებული, ჩვეულებრივი ფრაზაა, მაგრამ, აზრობრივად და ემოციურად დიდი დატვირთვა აქვს. პარტნიორი გრძნობს, რომ შენ მისი „ფრთის" ქვეშ თავს უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობ. ამ ფრაზის შემდეგ პარტნიორს აუცილებლად გაუჩნდება სურვილი, მეტად იზრუნოს თქვენზე, მოგეფეროთ და სიხარული მოგანიჭოთ.

კიდევ არის ერთი ჯადოსნური სიტყვა – „გმადლობ". სამწუხაროდ, ადამიანები თავისი ოჯახის წევრებს და, მით უფრო – პარტნიორს, თითქმის აღარ ეუბნებიან მადლობას. მიაჩნიათ, რომ მათი ურთიერთობა ამის საჭიროებას აღარ შეიცავს. გაიხსენეთ, თქვენი ურთიერთობის დასაწყისში როგორ ხშირად ამბობდით: „გმადლობ" – და რამხელა პოზიტივის მომტანი იყო ის. დაიხსომეთ, შეჩვევა ურთიერთობისთვის კარგიც არის და ცუდიც – გააჩნია, რა დატვირთვას მიანიჭებთ მას. ეს ერთადერთი სიტყვა – „გმადლობ" – მადლიერების გამოხატვასთან ერთად, ადამიანს აგრძნობინებს, რომ მას აფასებენ. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ხანია, რაც ერთად ხართ. გამოიჩინა შენ მიმართ მზრუნველობა? – უთხარი მადლობა. ეს უბრალო სიტყვაა, მაგრამ, აუცილებელი!

## სიტყვების ჯადოსნური ძალა

როგორი ძლიერი, ჭკვიანი და გაბედული ხარ! – ეუბნებით მას და აკვირდებით რეაქციას, რომელიც, შესაძლოა, თავდაპირველად არ აღმოჩნდეს ისეთი, როგორსაც ელოდით. ყველა პოზიტიურ სიტყვას ჯადოსნური ძალა აქვს, მით უფრო, რომ მამაკაცები გულგრილნი არ არიან კომლიმენტებისა და საქებარი სიტყვების მიმართ. მაგრამ, ზედმეტიც არ უნდა მოგივიდეთ. თუ, მაგალითად, კაცს შეუქებთ იმ თვისებებსა და ღირსებებს, რომლებიც მას, რეალურად, არ გააჩნია, მამაკაცი გულის სიღრმეში შეურაცხყოფილი დარჩება. ის იფიქრებს, რომ დასცინით, ან, უკეთეს შემთხვევაში, გინდათ, რომ მასში გმირი დაინახოთ, ის კი მოლოდინს გიცრუებთ. ასე რომ, ჯერ კარგად დაფიქრდით: რაშია მისი ძლიერი მხარე, რა აქვს ისეთი, რაც თქვენ რეალურად აღგაფრთოვანებთ. როცა დარწმუნდებით, რომ გულწრფელი იქნებით, მაშინ უთხარით, რასაც ფიქრობთ – რა თქმა უნდა, მხოლოდ პოზიტიური. კიდევ ერთი რჩევა: არასდროს გააკეთოთ აქცენტი გარეგნობაზე, ხაზი გაუსვით მის შესაძლებლობებს – თქვენ ხომ ის რომაული პროფილის, ანდა, ათლეტური აღნაგობის გამო არ შეგირჩევიათ... მოკლედ, ნუ დაელოდებით, როდის მოეგუნებება მას თქვენი შექება, დაასწარით და ასიამოვნეთ – ეს ყველაზე კარგი საშუალებაა განწყობის გასაუმჯობესებლად... ცუდია, რომ ყოველდღიურობა გვავიწყებს იმ პატარ-პატარა „სიხარულებს", რომლებიც, შეგვიძლია, საკუთარ თავს და იმ ადამიანს მივანიჭოთ, რომელიც ძალიან, ძალიან გვიყვარს.

## როცა თვალს უხარია...

ლამაზი მამაკაცი აუცილებლად მოექცევა ქალების ყურადღების ცენტრში და ამაში არაფერია არაბუნებრივი. ესთეტიკური სრულყოფილება ყოველთვის თვალშისაცემი და შესამჩნევია, მაგრამ, პარტნიორის მხოლოდ გარეგნობით შერჩევა, მით უმეტეს, როცა საქმე მამაკაცს ეხება... სამწუხაროდ, კარგი აღნაგობის, სიმპათიური და ლამაზი კაცები ქარაფშუტები, არასერიოზულები და არასაიმედონი არიან. ბიოლოგები ამას მარტივად ხსნიან: მუშაობს ჯიშის გაგრძელების ინსტინქტი. ლამაზ მამრს შვილებიც ლამაზი და ჯანსაღი ჰყავს და, ინტუიციურად, ქალებს ესეც იზიდავთ მათში, თუმცა, შესაძლოა, ვერც აცნობიერებდნენ ამას.

ქალის ბუნებიდან, მისი ფსიქოტიპიდან გამომდინარე, გაცილებით მართებული და სასარგებლო იქნებოდა, არჩევანი ერთგული, საიმედო პარტნიორის სასარგებლოდ გაეკეთებინა. ქალბატონები, რომლებსაც გენეტიკურად აქვთ თანდაყოლილი სიბრძნე ან გამოირჩევიან კარგი ალღოთი და ცხოვრებისეული გამოცდილებით, კარგად ხვდებიან, რომ, როცა მხოლოდ თვალს უხარია, ეს არც ისე კარგია. ამიტომაც, უპირატესობას ანიჭებენ ისეთ მამაკაცებს, რომლებზეც დაყრდნობა შეიძლება; რომელთა გვერდითაც თავს ისე იგრძნობენ, როგორც მყარ კედელს ამოფარებული. ეს ყველაფერი კი მამაკაცის სილამაზეზე გაცილებით მნიშვნელოვანია. თვალის გასახარის პოვნა ყოველთვის შეიძლება, ერთგული და საიმედო პარტნიორის – არა!



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# სალათების დიეტა

*მართალია, სალათების სეზონი არ არის, მაგრა, საახალწლო პურ-მარილების შემდეგ დამძიმებულ და წონაში თუნდაც ორიოდე კილოგრამით მომატებულ სხეულს აუცილებლად სჭირდება განტვირთვა და შემსუბუქება. ამისთვის საუკეთესო საშუალებაა სალათების დიეტა, ოღონდ, უნდა დაიცვათ რამდენიმე წესი:*

1. ერთი დღის განმავლობაში მიირთვით მხოლოდ ერთი სახეობის სალათა;
2. სვით მხოლოდ ჩვეულებრივი სასმელი წყალი ან გაზგასული მინერალური;
3. გამორიცხეთ ყველანაირი სასუსნავი ან პურეული;
4. ყოველ დილით, უზმოზე, კარგად დაღეჭეთ უმი ბრინჯის 10 მარცვალი და მხოლოდ ორი საათის შემდეგ მიირთვით სალათის პირველი ჯერი;
5. დასაშვებია დღის განმავლობაში მხოლოდ 1 პატარა ფინჯანი უშაქრო ყავა.



„სალათის დღეების" ზედიზედ ჩატარება გაგიჭირდებათ, ამიტომ, გააკეთეთ ერთდღიანი ან ორდღიანი შუალედები. კვება უნდა იყოს 3-4-ჯერადი. სასურველია, თუ სალათას სახელდახელოდ მოიმხადებთ უშუალოდ კვების წინ.

### პირველი დღე

1 პატარა კონა სალათის ფოთოლი ხელით დაფლითეთ, წვრილად დაჭერით 1 პატარა კონა მწვანე ხახვი, რამდენიმე ღერი კამა და ოხრახუში; 1 ცალი გათლილი კიტრი კი დაჭერით ფირფიტებად. ეს ყველაფერი აურიეთ ერთმანეთში. მოასხით თითო სადილის კოვზი ძმარი და ზეითუნის ზეთი. მოაყარეთ ცოტა მარილი და ნახევარი ჩაის კოვზი სალათა. მოასხით 2-3 სადილის კოვზი მაწონი (ეს არის ერთი ულუფა).

### მეორე დღე

ერთი ულუფისთვის გათალეთ და კუბიკებად დაჭერით თითო ცალი საშუალო ზომის ვაშლი, ბანანი, ფორთოხალი (შეგიძლიათ, ხილი სურვილისამებრ შეცვალოთ) და შეურიეთ 50 გრამი უცხიმო ხაჭო.

### მესამე დღე

კომბოსტოს 2-3 ცალი უმი ან ოდნავ მოხალული დიდი ფოთოლი ძალიან წვრილად დაკეპეთ და ხელით ჩასრისეთ, რომ დარბილდეს. შეურიეთ 1 ცალი საშუალო ზომის სტაფილო (მსხვილ სახეხზე გახეხილი) და რამდენიმე ღერი კამა და ოხრახუში. მოაყარეთ ძალიან ცოტა მარილი და მოასხით 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი და 1 ჩაის კოვზი ძმარი (1 ულუფა).

### მეოთხე დღე

1 პატარა კონა სალათის ფოთოლი მსხვილად დაჭერით, 1 ცალი გათლილი კიტრი – ჩხირებად; შუა-შუა დაჭერით 4-5 ცალი პომიდორი „ჩერი" (წვრილი პომიდვრები), 1 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი – კუბიკებად. მოაყარეთ წვრილად დაჭრილი მწვანე ხახვი, კამა და ოხრახუში (რაოდენობა – თქვენი გემოვნებით), მოასხით 1 ჩაის კოვზი ძმარი „ბალზამიკო" და 1 სადილის კოვზი ზეითუნის ზეთი. უმჯობესია, თუ უმარილოდ მიირთმევთ. თუ ეს არ შეგიძლიათ, მაშინ, ძალიან ცოტა მარილი მოაყარეთ (1 ულუფა).

შეგიძლიათ, სალათების ვარიანტები თვითონაც გამოიგონოთ, ოღონდ, ხილიც და ბოსტნეულიც უნდა იყოს უმი ან ოდნავ მოთუთქული.

# წყლის პროცედურები

*კოსმეტოლოგების ნაწილს მიაჩნია, რომ დილა-საღამოს მხოლოდ თვალები და პირი უნდა მოვიბანოთ, სახე კი ტონიკით ან სხვა გამწმენდი საშუალებით უნდა გავიწმინდოთ დოლბანდის ტამპონით; ნაწილი კი ამტკიცებს, რომ პირის დაბანა აუცილებელია დილას და საღამოს, ოღონდ, უნდა ვიცოდეთ, როგორ. უმრავლესობა ამას ყურადღებას არ აქცევს და ამ საკმაოდ მნიშვნელოვან პროცედურას მაქსიმალურად ამარტივებს: მოუშვებს ონკანს, ორ-სამჯერ შეიშხაპუნებს წყალს სახეზე, გაიწმენდს ხაოიანი პირსახოცით და მერე უკვირს, რატომ გაუღიზიანდა ან დაეჭიმა სახის კანი.*



*კანი რომ არ დავიზიანოთ, უნდა ვიცოდეთ სწორად დაბანის რამდენიმე მარტივი წესი:*

**1. კანს წმენდს მხოლოდ სუფთა წყალი**

მართალია, ონკანის წყალს ვსვამთ, მაგრამ, სახის კანი გაცილებით უფრო მგრძნობიარეა მასში შემავალი ბაქტერიების, კალციუმისა და მაგნიუმის მარილებისა და სხვა ნივთიერებების მიმართ, ვიდრე კუჭ-ნაწლავი. ამიტომ, ონკანის წყლით ყოველდღიურად სახის დაბანის შემთხვევაში, შესაძლოა, ნორმალური კანი გამოშრეს და გახდეს ხორკლიანი; მგრძნობიარე კანი – გაწითლდეს და აიქერცლოს (არ არის გამორიცხული ქავილის შეგრძნება); ცხიმიანი კანის შემთხვევაში კი სხვა საშიშროებაა – ბაქტერიები, რამაც, შეიძლება, ანთებითი პროცესები გამოიწვიოს.

მაშ, როგორ მოვიქცეთ? ძველად ქალები წვიმის წყალს აგროვებდნენ სახისა და სხეულის დასაბანად, მაგრამ, დღევანდელ ეკოლოგიურ პირობებში ამის გაკეთება, სამწუხაროდ, აღარ შეიძლება. სამაგიეროდ, არის ტექნოლოგიები, რომელთა წყალობითაც შესაძლებელია, ჩვეულებრივი ონკანის წყლისგან მივიღოთ ასპროცენტიანი სუფთა წყალი – ესაა წყლის ფილტრები, რომლებსაც ამაგრებენ ონკანზე ან კონკრეტულ ჭურჭელზე. ფილტრი შეიცავს გამწმენდ ნივთიერებას – აკვალენს, რომელიც აცლის წყალს ყველა მავნე ნივთიერებას: ჟანგს, მძიმე მეტალებს, პესტიციდებსა და ბაქტერიებს. ისე რბილდება, რომ, არა მარტო უსაფრთხო, არამედ, მაქსიმალურად კომფორტული ხდება კანისთვის.

**2. საჭირო არ არის უკიდურესი ზომები**

რა ტემპერატურის წყლით უნდა დავიბანოთ პირი? ცივი წყალი იწვევს სისხლძარღვების დროებით შევიწროებას, რაც ხელს უშლის კანის უჯრედების სისხლის მომარაგებასა და კვებას; ცხელი წყალი კი, პირიქით, აფართოებს კანის ზედაპირზე არსებულ სისხლძარღვებს და ასუსტებს მათ კედლებს, რის შედეგადაც კანი კარგავს ელასტიკურობას.

პირის დასაბანად ოპტიმალურია ოთახის ტემპერატურის წყალი – პლუს 18-დან 22 გრადუსამდე; ის იწვევს სისხლძარღვების ხანმოკლე შევიწროებას, რასაც მოჰყვება მათი ხანგრძლივი გაფართოება და, შედეგად, კანს საკმარისად მიეწოდება სისხლი, რაც აუცილებელია მისი კვების გასაუმჯობესებლად.

**რჩევა:** კანისთვის ძალიან სასარგებლოა კონტრასტული დაბანა (კვირაში ორჯერ): ხაოიანი პირსახოცი დაასველეთ მდუღარე წყალში, გაწურეთ და მჭიდროდ დაიფინეთ სახეზე, ოღონდ, ისეთი ცხელი არ უნდა იყოს, რომ კანი დაგეწვათ (უმჯობესია, ამ დროს წამოწვეთ). 2-3 წუთის შემდეგ პირსახოცი მოიშორეთ და სახე მსუბუქად დაიმასაჟეთ. გვირილის ან პიტნის ნაყენისგან დამზადებული კუბიკით. პროცედურა გაიმეორეთ 4-5-ჯერ. ბოლო მასაჟის შემდეგ სახე არ გაიმშრალოთ, აცადეთ, თვითონ შეშრეს. შეშრობისთანავე წაისვით მკვებავი კრემი. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ პროცედურისთვისაც უნდა გამოიყენოთ სუფთა წყალი.

***P.S.* *თუ ფილტრის დაყენების საშუალება არ გაქვთ, შეიძინეთ დასალევი წყალი, რომელიც ბოთლებით იყიდება მარკეტებში.***

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: მაქვს საკმაოდ მკვეთრად გამოხატული ჭორფლი. მაინტერესებს, რეალურად არის თუ არა შესაძლებელი მისი მოშორება და როგორ?**

**პასუხი:** ჭორფლის მოსაშორებლად ყველაზე ეფექტურ საშუალებად ითვლება სელიქტიური ლაზერი (აუცილებლად გამოცდილ სპეციალისტს უნდა მიმართოთ). შედარებით მკრთალი ჭორფლი ქრება ერთი-ორი სეანსის შემდეგ, უფრო ძლიერი პიგმენტაციის შემთხვევაში კი 4-6 პროცედურაა საჭირო.

**კითხვა: რა არის ფლოატინგი?**

**პასუხი:** ეს არის მომადუნებელი პროცედურა, რომელიც ქმნის ღრუბლებში აორთქლების იმიტაციას. თქვენ ეშვებით წყლით სავსე რეზერვუარში, რომელშიც წყლის ზედაპირზე დაფენილია თხელი ქსოვილი (ანუ, თქვენ ქსოვილზე წვებით და ისე ეშვებით წყალში). ეფექტი – სრული ანტისტრესი.

**კითხვა: რაც ასაკში შევედი (40 წლის ვხდები), სახეზე რამდენიმე ადგილას დამაჩნდა წვრილი სისხლძარღვები. არსებობს თუ არა რაიმე პროცედურა, რომელიც მათ ვიზუალურად გააქრობს?**

**პასუხი:** დიახ, არსებობს. ასეთ პროცედურას ჰქვია „ლაზერული კოაგულაცია." იდეალური შედეგის მისაღებად საკმარისია 5-7 სეანსი.

**კითხვა: რა შეიძლება იყოს სახის კანზე სისხლძარღვოვანი „ვარსკვლავების" გაჩენის მიზეზი?**

**პასუხი:** მიზეზი ბევრია: ულტრაიისფერი სხივებით სისხლძარღვების დაზიანება, ჰორმონული მალამოების უკონტროლოდ გამოყენება და ასე შემდეგ. ცხვირზე გაჩენილი წვრილი სისხლძარღვები კი მიუთითებს სასუნთქი სისტემის პრობლემებზე.

**კითხვა: შეიძლება თუ არა სალონში ფრჩხილების გამაგრება?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შეიძლება. მაგალითად, არსებობს მეთოდი, რომელშიც საერთოდ არ გამოიყენება ლითონის ინსტრუმენტები, ლაკსა და კრემებს კი სამკურნალო დანიშნულებაც აქვს. ფრჩხილების მტვრევადობა მთლიანად იკურნება 3 თვეში.

**კითხვა: რომელი წყალია თმისთვის უმჯობესი – ონკანის თუ ანადუღარი?**

**პასუხი:** თმისთვის უმჯობესია ანადუღარი წყალი, მით უფრო, თუ თქვენს ონკანში ხისტი წყალი მოედინება (რადგანის თმაზე ტოვებს თხელ თეთრ ნალექს, თმა უხეშდება და უფერულად გამოიყურება); ანადუღარი წყალი კი არბილებს თმას და ბზინვარებას სძენს მას.



**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# როგორ შეამზადა სტალინმა ხალხი ომის განსაცდელისთვის



დეგოლი უკიდურესად შეშფოთდა, აეროპორტში დაეწია ჭირვეულ საბჭოთა მინისტრს და მთელი რიგი დიპლომატიური რევერანსების შემდეგ, უკან დააბრუნა

## მეორე მსოფლიო ომი (1939 წელი)

17 სექტემბერს წითელი არმია დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში შევიდა, ხოლო 28 სექტემბერს საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის კიდევ ერთ ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, სადაც ამ ორ ქვეყანას შორის მყარი საზღვრები დაფიქსირდა. ბრიტანეთის პრესამ დიდი ხმაური ატეხა ამის გამო და მათმა მთავრობამ პროტესტის ოფიციალური ნოტა გამოუგზავნა სტალინს, სადაც ისინი სუვერენული ტერიტორიების ოკუპაციასა და ჰიტლერთან კავშირს გმობდნენ. „ბრიტანული პოლიტიკის ფიასკომ პრემიერი ჩემბერლენი წყობიდან გამოიყვანა და ასეთი ნოტათა შინაარსიც აქედან მომდინარეობს, – ირონიულად შენიშნავდა სტალინი მოლოტოვთან საუბრისას, მორიგი დიპლომატიური პროტესტის გაცნობის შემდეგ, – კარგია, რომ ჩერჩილი არაა ბრიტანეთის ხელმძღვანელი და ეს მისია დღესდღეობით ჩემბერლენს აკისრია. თუმცა, ეს ფუფუნება დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს და ჩერჩილი სულ მალე ჩეცვლის კიდეც მას (როგორც ყოველთვის, დიდი ბელადის პროგნოზი იმჯერადაც გამართლდა და შემდეგი წლის მაისში ჩერჩილმა პრემიერის სავარძელში მოიკალათა). ბრიტანელი ლომი, მელიის პოლიტიკის განხორციელებას ცდილობს, მაგრამ ამაოდ", – ამბობდა იმავე საუბარში სტალინი და ასეთ შედარებას აკეთებდა, – „პირველი მსოფლიო ომის დროს, მათ (ბრიტანეთმა) მოახერხეს რუსეთის გახრწნილ დიდგვაროვანთა და ოპოზიციის ნაწილის გაბრიყვება. მათ თავიანთი ჯაშუშების მეშვეობით, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების საშუალება მოუსპეს ნიკოლოზ მეორეს, რომელსაც გერმანიასთან ომის შეწყვეტა სურდა და სისხლის ღვრა გააგრძელებინეს. საამისოდ, გრიშკა რასპუტინის მკვლელობა ჩაიდინეს, რომელიც ბრიტანელი ჯაშუშის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა."

სტალინმა მოლოტოვს დაწვრილებით უამბო 1916 წელს, პეტერბურგში, იუსუპოვის სასახლეში მომხდარი მკვლელობის ისტორია, რომელიც ასე დაამთავრა: „რასპუტინი მეფე-დედოფალს ომის შეწყვეტისკენ მოუწოდებდა და, სავარაუდოდ, ეს ასეც მოხდებოდა, რადგან მას უდიდესი გავლენა ჰქონდა მათზე, მაგრამ ბრიტანელებმა შეთქმულები წააქეზეს და რასპუტინი მოაკვლევინეს. ომი გაგრძელდა, ნიკოლოზი დაემხო და საბოლოოდ, ჩვენ მოგვიწია ომიდან გამოსვლა."

სტალინმა, რომელსაც ორი ათეული წელი ხელში ეჭირა მთელი ბოლშევიკურ-არალეგალური მოძრაობის ყველა კონსპირაციული სადავე, რა თქმა უნდა, ისტორიაც კარგად უწყოდა და მისი საიდუმლო, თუ სხვა შავ-ბნელი ფურცლებიც. კაცი, რომლის თვალწინაც გაიარა რუსეთის ისტორიის ერთ-ერთმა ყველაზე ბობოქარმა ეპოქამ, რა თქმა უნდა, სხვებზე უკეთ იყო ჩახედული ყველა ნიუანსებში და, რა თქმა უნდა, თავის გაბრიყვებისა და ისტორიის განმეორების საშუალებას არ დაუშვებდა. „გერმანიასთან კავშირი რომ დროებითია, ეს, რა თქმა უნდა, ჩვენმა ბრიტანელმა „მეგობრებმაც" კარგად უწყიან, – ამბობდა სტალინი სექტემბრის ბოლოს პოლიტბიუროს წევრთა ვიწრო წრეში, – მაგრამ სწორედ ეს, ანუ ჩვენი სწორი პოლიტიკური სვლები, აცეცხლებს მათ და ყველა ღონეს ხმარობენ ჩვენს გადასაბირებლად." დაძაბული საერთაშორისო ვითარებისა და ფორსირებული სამხედრო გადაიარაღების მიუხედავად, ქვეყნის შიდა ცხოვრება ჩვეულ, მშვიდ, საქმიან რიტმში მიედინებოდა. არავითარი ფორიაქი, ნერვიულობა და პანიკა არ იგრძნობოდა მილიონობით მშრომელ, საბჭოთა მოქალაქეთა შორის, რადგან დიდი ბელადის დროშის ქვეშ დარაზმული ადამიანები ერთ მუშტად იყვნენ შეკრულნი. სტალინმა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე შეამზადა ხალხი დიადი განსაცდელისთვის, რადგან ბრწყინვალედ უწყოდა, რა ელოდა წინ ჩვენს სამშობლოს. ამიტომაც იყო, რომ ასეთ დაძაბულ სიტუაციაში ჩვენი გამოწრთობილი მოსახლეობა სრულად გახლდათ მობილიზებული, ხოლო ევროპის უმეტეს სახელმწიფოებში ხალხი უკიდურესად დაბნეული და დათრგუნული იყო. სხვათა შორის, მოსკოვში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ერთსულოვნად და ცალსახად, აღტაცებით აღნიშნავდნენ საბჭოთა ადამიანების სიძლიერეს, რაც კერძო საუბრებშიც იკვეთებოდა. ბრიტანელი სამხედრო ატაშე კოენი საბჭოთა გენერლებთან შეხვედრისას ამბობდა: „ბატონებო, თქვენ ისეთი მასალა (გულისხმობდა ჯარისკაცებს, ცოცხალ ძალას,) გაქვთ ხელთ, რომ მხოლოდ სამხედრო საქმე უნდა შეასწავლოთ. სხვა ყველაფერი დანარჩენი – სიმამაცე, პატრიოტიზმი, ერთგულება და ასე შემდეგ მათ ბავშვობიდან აქვთ შესისხლხორცებული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თქვენ დიდი სტალინი მიგიძღვებათ წინ". ასეთ სიტყვებს არა რომელიმე საბჭოთა ჩინოვნიკი ამბობდა, არამედ ერთ-ერთი პასუხისმგებელი ბრიტანელი დიპლომატი. ამით კი, არა მარტო საკუთარ აზრს გამოხატავდა, ბრიტანული მთავრობის ჩვენდამი დამოკიდებულებასაც ახმოვანებდა. პოლიტიკაში რომ მუდმივი მეგობრები არ არსებობენ, ეს, რა თქმა უნდა, სტალინმა შესანიშნავად უწყოდა და ამ პრინციპს არასდროს ღალატობდა, მით უმეტეს, ჩვენდამი იდეოლოგიურად საპირისპიროდ განწყობილი ქვეყნების მიმართ. თუმცა, არც ზომიერება ღალატობდა მას ოდესმე და ყველა საკითხს ცივი გულითა და ცხელი გონებით უდგებოდა. „რა ჰიტლერი, რა ჩემბერლენი და რა სხვა, ნებისმიეირ ბურჟუა ქვეყნის ბურჟუა მეთაური, ყველანი ერთია ჩვენთან პრინციპულ მიმართებაში, – ამბობდა სტალინი, – მთავარი ის კი არაა, თუ ვინ რამდენს, ან როგორ ილაყბებს სხვაზე, არამედ მთავარი ისაა, ვის რამდენი ტანკის, თვითმფრინავის, გემის და ზარბაზნის გამოყვანა შეუძლია ბრძოლის ველზე. ფრანგები ბევრს ლაყბობენ და არაფერი შეუძლიათ, ინგლისელებიც ბევრს ლაყბობენ და რაღაცა შეუძლიათ, გერმანელები კიდეც ლაყბობენ და კიდეც შეუძლიათ, ხოლო ჩვენ ლაყბობა არ გვჩვევია, საკმაოდ ბევრი შეგვიძლია და უფრო მეტი უნდა შევძლოთ". ასეთ ფორმულირებას უფარდებდა დიდი ბელადი იმდროინდელი წამყვანი ევროპული სახელმწფოების შესაძლებლობებს და ეს შეფასებები მოკლედ, მაგრამ ძალიან ზუსტად ასახავდა ძალთა განლაგებებს იმ პერიოდისთვის. საგულისხმო ფაქტია, რომ, რაც უფრო ახლოვდებოდა დიდი ომი, ბერიას გავლენა დღითი დღე მატულობდა და პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა მისი უწყების როლი მსოფლიო პოლიტიკაში. თუნდაც ის, რომ გერმანიის სამხედრო მანქანამ, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯერ კიდეც 1938 წელს იყო მომართული და პირი სხვა მიმართულებით იბრუნა, იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა უშიშროების ახალი ხელმძღვანელი ეფექტურად მუშაობდა, ზუსტად ასრულებდა დიდი ბელადის მითითებებს. ახლა უკვე დიდ საიდუმლოს აღარ წარმოადგენს და თამამად შემიძლია, გავამჟღავნო, რომ მთელი საბჭოთა საგარეო პოლიტიკის 90 პროცენტი, 30-იანი წლების მიწურულს, ანუ დიდი ომის წინ, მთლიანად ბერიას უწყების ეფექტურობაზე იყო დამოკიდებული. მას შემდეგ, რაც დიდი წმენდა ჩატარდა სამხედრო, დიპლომატიურ, ეკონომიკურ სფეროებში და ამ სტრუქტურებში მყარად დამკვიდრდა უშიშროება, მათი ეფექტურობა ერთიორად გაიზარდა და ეს ყველაფერი მყარი კონტროლის საფუძველზე განხორციელდა.

ერთხელ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიაჩესლავ მოლოტოვი პარიზში, შარლ დეგოლის მოწვევით სამხედრო აღლუმზე დასასწრებად ჩავიდა. სრულიად შემთხვევით, ისე მოხდა, რომ მოლოტოვი მეორე რიგის სტუმრებს შორის მოექცა და მოწინავე ქვეყნების წარმომადგენლებთან ვერ მოხვდა, ანუ სხვა ტრიბუნაზე აღმოჩნდა. მან არც აცია, არც აცხელა, დემონსტრაციულად მიატოვა აღლუმი და საბჭოთა საელჩოში დაბრუნდა, იქიდან კი მოსკოვში გამგზავრებას გეგმავდა. არადა, დეგოლთან ჰქონდა დანიშნული შეხვედრა, სადაც მნიშვნელოვან საკითხებზე უნდა ესაუბრათ. მოკლედ, შეიქმნა ძალზე უხერხული სიტუაცია, დეგოლი უკიდურესად შეშფოთდა, აეროპორტში დაეწია ჭირვეულ საბჭოთა მინისტრს და მთელი რიგი დიპლომატიური რევერანსების შემდეგ, უკან დააბრუნა. როდესაც ეს ყოველივე სტალინს აუწყეს, მან სიამოვნებისგან ღრმა ნაფაზი დაარტყა ჩიბუხიდან და მოლოტოვი შეაქო: „პოლიტიკური ღირსება, შეხამებული ჩვენს სამხედრო-ეკონომიკურ ძლიერებასთან, ის მძლავრი ბერკეტია, რომელიც მოწინავე ზესახელმწიფო სტატუსის შენარჩუნებაში შეგვიწყობს ხელს მსოფლიო მასშტაბით". ამბობდა სტალინი, ხოლო ყოველივეს ლავრენტი ბერიას უწყება ასხამდა ხორცს, ძალზე ოსტატურად: რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არც ჩვენი მოქიშპე გერმანული, ბრიტანული და ფრანგული დაზვერვა გახლდათ. გარდა ამისა, ძალებს იკრებდა შეერთებული შტატების ანალოგიური სტრუქტურებიც. თუმცა, საბოლოოდ მაინც ჩვენმა ძალისხმევამ გადაწონა ყველაფერი და ბრიტანელების მიერ წამოწყებული სარისკო თამაში მათივე წინააღმდეგ მივმართეთ. სტალინი დიდად აფასებდა ბერიას ამ ღვაწლს და გაწეული სამსახურისთვის წლის ბოლოს ლენინის ორდენით დააჯილდოვა. ერთი სიტყვით, მეორე მსოფლიო ომი ოთხი თვის დაწყებული იყო, ჰიტლერი დიდი ძალისხმევის გარეშე წარმატებას წარმატებაზე აღწევდა და, მართალია, გერმანია ჯერ კიდევ არ აპირებდა საბჭოთა კავშირში შემოჭრას, მაგრამ ომი ყოველდღიურად გვიახლოვდებოდა. სტალინი ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ღირსეულად დახვედროდა მომავალ აგრესორს.

**სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის ჩანაწერების მიხედვით მოამზადა ნიკა ლაშაურმა**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი

# ბინის რომელ ზონაში დიდხანს ყოფნა მოგიტანთ ბედნიერებას სიყვარულში და წარმატებებს კარიერაში

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ასტროლოგიურად, ნებისმიერი საცხოვრებელი ფართი უხილავად დაყოფილია ზონებად და თითოეულ ამ ზონას ზოდიაქოს თორმეტ ნიშანთაგან ერთ-ერთი მფარველობს. თითოეული ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესია სწორედ ის ზონა, რომელიც მის ზოდიაქოს ნიშანს შეესაბამება. ამიტომ, სწორედ ამ ზონას უნდა განსაკუთრებული მოწყობა, რათა მშობლიურ კედლებში მეტი სიმყუდროვე, სიმშვიდე, იდილია და ჰარმონია შეიგრძნოთ. კერძოდ, თითოეული ზოდიაქოს ნიშანი მფარველობს, არა მარტო თავისი შესაბამისი ნიშნის ადამიანებს, არამედ ცხოვრების სხვადასხვა სფეროსაც. იმის მიხედვით, თუ რით ხართ დაინტერესებული ამ ეტაპზე – ქმნით ოჯახს, იკეთებთ კარიერას, სწავლობთ თუ ზრუნავთ ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე, თითოეულთან მიმართებაში წარმატების მისაღწევად, საცხოვრებელ ბინაში უნდა გაააქტიუროთ შესაბამისი ზონა. ამ ზონაში უნდა დაჰყოთ უმეტესი დრო და იფიქროთ თქვენს მიზნებსა და ამოცანებზე. ამგვარად, თქვენ დაიმუხტებით საჭირო დადებითი ენერგიით. ამისთვის, უნდა იცოდეთ, თუ რომელი ზოდიაქოს ნიშანს რა ადგილი უკავია ჩვენს საცხოვრებელში. კერძოდ:

*კარები, ჭიშკარი და შემოსასვლელის დერეფანი განეკუთვნება ვერძის ნიშანს. თუ თქვენ ვერძის ზოდიაქოს ნიშნით ხართ დაბადებული, ეცადეთ, გაალამაზოთ სახლში შემოსასვლელი. ჰოლში მეტი სივრცე დატოვოთ და იქ, დასასვენებლად სავარძელიც მოიწყოთ. ოჯახის წევრებსაც სასიკეთოდ წაადგებათ შემოსასვლელში ჩამოჯდომა, რადგან ვერძის ენერგია მათ ძალას შეჰმატებთ და დამუხტავთ საქმეების დაწყებისთვის დაჭირო ენერგიით.

*სასადილო ოთახი კუროს მფარველობის ქვეშაა. კუროს ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულ ადამიანს განსაკუთრებით უყვარს ესთეტიკა და სილამაზე. ამიტომ, ეს ოთახი განსაკუთრებით გემოვნებით გაფორმებას მოითხოვს, თუ გსურთ, რომ თქვენს ოჯახს არასდროს მოაკლდეს დოვლათი და ბარაქა.

*სასტუმრო ოთახი ტყუპების სამფლობელოა. ვისაც უჭირს ურთიერთობა და ახალ ნაცნობებთან კავშირის დამყარება, მეტი დრო უნდა დაჰყოს, სწორედ ამ ოთახში. ასევე, სასარგებლოა იქ ყოფნა იმ შემთხვევაშიც, თუ საჭირო ან საკმარისი ინფორმაცია ვერ მიიღეთ.

*სააბაზანოს კირჩხიბი პატრონობს, ხოლო საპირფარეშოს – ღრიანკალი. ვინც ოჯახის შექმნასა და გაძლიერებაზე ზრუნავს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სააბაზანოს. მოიმარაგეთ ლამაზი კოსმეტიკა, პარფიუმერია და ბევრი სურნელოვანი სითხე, ფლაკონებში. შეგიძლიათ, დადგათ როგორც ხელოვნური, ასევე, ბუნებრივი მცენარეები. საპირფარეშოში სისუფთავე და წესრიგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღრიანკალის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული შემოქმედი ადამიანებისთვის. შეგიძლიათ, იქ, სურნელოვანი სანთლებითა და ჩხირებით ხშირად გაააქტიუროთ დადებითი ენერგიების მოზღვავება.

* დასვენების, გართობისა და საბავშვო ოთახებს განაგებს ლომი. ამ ნიშნის წარმომადგენლებმა და მათაც, ვისაც მუდამ გარშემო მყოფთა ყურადღების ცენტრში ყოფნა უნდათ, ისწრაფვიან სიყვარულისა და ძალაუფლებისკენ, აუცილებლად სახლში უნდა მოაწყონ სათამაშო ადგილი. ეს ადგილი არც სასადილოდაა კარგი და არც სამუშაოდ. სამაგიეროდ, ინტიმისთვის საუკეთესოა. თუ მეუღლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულება გაცივდა, მათ სწორედ ამ ადგილს უნდა შეაფარონ თავი, მეტი დრო დაჰყონ აქ, მოაწყონ სავარძლებით, ხელოვნური ბუხარი დაამონტაჟონ.

*სამზარეულოს კურირებს ქალწული. ხშირად შედით იქ. მოიგონეთ ახალ-ახალი კერძები და დიდხანს იტრიალეთ გაზქურასთან ან ღუმელთან. ამგვარად, თქვენი ცხოვრებიდან გაქრება ზედმეტი მღელვარება და გაუგებრობა.

*სასწორებმა, ისევე როგორც მათ, ვინც სულიერად გაუწონასწორებელია, უნდა იზრუნონ მთელს საცხოვრებელში სიმყუდროვესა და კომფორტზე. ყველაზე პატარა ბინაშიც კი, უნდა იყოს რამდენიმე ფუფუნების ნივთი. რაც უფრო სწორად და ზუსტადაა დაყოფილი ბინა ზონებად, მით უფრო კარგად გრძნობს თავს სასწორი.

*ბუნებრივ ცეცხლს საჭიროებს მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანი საცხოვრებელში. ამიტომ, თუ ბუხრის გაკეთების და დანთების საშუალება არ გაქვთ, აუცილებლად გამოყავით ბინაში ადგილი, სადაც ფერად და დეკორატიულ სანთლებს ხშირად აანთებთ. ეს დაგეხმარებათ ახალი ცოდნის, უცხო კულტურისა და სამყაროს შეცნობაში.

*თუ ბინაში არსებობს კიბეები, მაშინ ეს თხის რქის ზონაა. ამიტომ, კიბეების არქონის შემთხვევაში, სასურველია, ზოდიაქოს ამ ნიშნით დაბადებულებმა შვედური კედელი მაინც დაამონტაჟოთ სახლში. მით უმეტეს, მასზე აძრომის საშუალება ყველა ოჯახის წევრს ექნება და ეს კარიერაში აღმასვლისა და სოციალური მდგომარეობის გამოსასწორებლად ძალიან კარგია. ამიტომ, თუ გსურთ, კარიერაში წინსვლა, ასე უნდა მოიქცეთ და არ დაგენანოთ მასში თანხის გადახდა.

*მერწყულისთვის მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საცხოვრებელი ზონები. ასეთებია: კომპიუტერი, საყოფაცხოვრებო მანქანები, მუსიკალური ტექნიკა, სახლის კინოთეატრი და ასე შემდეგ. ამგვარად მოაწყვეთ სახლი იმ შემთხვევაშიც, თუ გსურთ თქვენი ნათელი მომავლის დაპროგრამებაც.

* თევზებმა, ისევე, როგორც მათ, ვისაც მუსიკალური ნიჭის, სულიერების ან ინტუიციის გაზრდა სურს, მეტი დრო უნდა დაჰყონ წყალთან. საცურაო აუზის გაკეთება, რასაკვირველია, ყველა სახლში ვერ მოხერხდება, მაგრამ ხელოვნური, პატარა შადრევნების ყიდვა და ბინაში დადგმა შესაძლებელია.

თუ გსურთ, ცხოვრებაში ცვლილებების შეტანა, თქვენს ოთახში უნდა იყოს დიდი ფანჯარა. თუ გასასვლელ კარს გააკეთებთ აივანზე, მით უკეთესი. აივანი კი უნდა გაათავისუფლოთ ძველმანი და უსარგებლო ნივთებისგან და იქ იდეალური წესრიგი დაამყაროთ. დადგით ქოთნის ყვავილები, ვაზაში ჩალაგებული ხმელი, დეკორატიული ხის ტოტები, ლამაზი კენჭებით და ნიჟარებით გაფორმებული აკვარიუმი. არ უნდა გქონდეთ სახლში ბევრი ცარიელი ჭურჭელი, იქნება ეს მურაბის ქილები თუ ვაზები. ასევე, ეცადეთ, მთელ სახლში გააუმჯობესოთ განათება, რათა სიყვარულში გაძლიერდეთ. საძინებელში კი დადგით სასანთლე და ხშირად აანთეთ სანთელი. კიდევ ერთი რჩევა: სასურველია, ბინაში არ იყოს ორპირი ქარი, რათა მთელი რომანტიზმი, სასიყვარულო გრძნობა, ვნება და სასიკეთო ენერგია ქარმა არ გაიტანოს ბინიდან. ჭაღის შუქი კი მიმართული უნდა იყოს არა იატაკისკენ, არამედ ჭერისკენ. სარკე შესასვლელში დაკიდეთ და ამით გააძლიერეთ თქვენი ჩანაფიქრის განხორციელების პერსპექტივა. მატერიალური დოვლათის მოსაზიდად კი, სასადილო ოთახში, მაგიდის შუაგულში აუცილებლად დადგით ვაზა და ჩააწყვეთ შიგ თავთავები.

# შეკითხვა ასტროლოგს

**კითხვა: დავიბადე 1993 წლის 17 ივლისს, შუადღის 3 საათზე. ზოდიაქოს რომელი ნიშნით დაბადებულ ადამიანთან მელის სასურველი საქორწინო-სასიყვარულო ურთიერთობა?**

**პასუხი**: თქვენთვის ქორწინება კარგია სასწორის, ტყუპების, ქალწულის, კუროს, თევზების ან მორიელის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანთან. ფრთხილად იყავით და ერიდეთ სასიყვარულო ურთიერთობას მერწყულთან.

**კითხვა**: **დავიბადე 1993 წლის 7 აპრილს. გთხოვთ მითხრათ, რა არის ჩემი კარმულ-კოსმიური მისია დედამიწაზე და რა მოვიმოქმედო, რომ წარმატებებს ადვილად მივაღწიო ცხოვრებაში?**

**პასუხი**: თქვენი კარმულ-კოსმიური მისია და წარმატებების მომტანია, იყოთ აქტიური, ინიციატივიანი, ენერგიული; ასევე, გამოიმუშაოთ პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზატორული ნიჭი. უნდა იყოთ უშიშარი, მებრძოლი სულისკვეთების, დაეყრდნოთ კეთილშობილებას, კომუნიკაბელურობას, ცოდნის ბაზას, ოპტიმიზმს. ასევე, უნდა შეძლოთ შუამავლის როლის შესრულება ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს შორის. თქვენი კარმული მისია უკავშირდება უცხოეთსაც, ამიტომ, იქ გამგზავრება და ცოდნის, კაპიტალისა და გამოცდილების დაგროვება დაგეხმარებათ, საბოლოოდ — შორის

# თეატრები

### შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

6 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

7 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„მტრის ნიღაბი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი რობერტ სტურუა. მონაწილეობენ: ბესო ზანგური, გაგი სვანიძე, ზაალ ბარათაშვილი, გელა ლეჟავა, მამუკა ლორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;***

8 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„მაგრიტის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 15 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი გიორგი თავაძე. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, გელა თავბერიძე, ნინო კასრაძე, ირაკლი სანაია, ბექა სონღულაშვილი, ნანა ფაჩუაშვილი, ლევან ხურცია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 თებერვალი, **კვირა** 13.00 - **„უფლისწული და მათხოვარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 12, 15 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლელა ახალაია, ზაალ ბარათაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, დავით გოცირიძე, ანდრია თავბერიძე, კახა კუპატაძე, ალექსანდრე მიკუჩაძე-ღალანიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

9 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

### კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

4 თებერვალი, **სამშაბათი** 20.00 - **„ჟოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

5 თებერვალი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„რეპეტიციის შემდეგ"** - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი თემო კუპრავა. მონაწილეობენ: ზურა ბეგალიშვილი, ქეთა შათირიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 თებერვალი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„გრონჰოლმის მეთოდი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, ნიკა თავაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ალეკო მახარობლიშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

7 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი სანდრო ელოშვილი. მონაწილეობენ: დუტა სხირტლაძე, ქეთი ცხაკაია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ჰამლეტი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 11 ლარი), რეჟისორი თემურ კუპრავა. მონაწილეობენ: კოკო როინიშვილი, პაატა პაპუაშვილი, მალხაზ აბულაძე, ალეკო მახარობლიშვილი, ეკა ჩხეიძე, მარიამ ნადირაძე; ***ხანგრძლივობა: 4სთ. 20 წუთი;***

8 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„კედელი"** - თითების თეატრი - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

9 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„საშობაო სიმღერა"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ბესო ბარათაშვილი, ნიკა კუჭავა, ირაკლი ჩოლოყაშვილი, ირმა ბერიანიძე, მაია კაციტაძე, თამარ ბუხნიკაშვილი, თემურ კილაძე, ნინო დუმბაძე, ვალერი კორშია; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„კრეპის უკანასკნელი ფირი"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი ნიკოლოზ ლუარსაბიშვილი. მონაწილეობს: მარლენ ეგუტია; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

### მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

4-5 თებერვალი, **სამშაბათი-ოთხშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 თებერვალი, **პარასკევი** 20.00 - **„საწვავი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორები: თათა პოპიაშვილი, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: მიშა გომიაშვილი, კოკო როინიშვილი, ანა ქურთუბაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 თებერვალი, **შაბათი** 20.00 - **„ქალი ძაღლით"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა თავაძე, ნანკა კალატოზიშვილი, ნატა კახიძე, ბესო ბარათაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

### თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

4 თებერვალი, **სამშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

5 თებერვალი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

6 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ!"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), პიესის ავტორი და რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, აპოლონ კუბლაშვილი, ანი ალადაშვილი, გიორგი ჯიქია, კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

7 თებერვალი, **პარასკევი** 19.00 - **„მგზნებარე შეყვარებული"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი თიკო ქათამაშვილი. მონაწილეობენ: სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, თიკო კორძაძე; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„წვიმის გამყიდველი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: ქეთა ლორთქიფანიძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მამუკა მუმლაძე, გიორგი ჯიქია, ლაშა გურგენიძე, შაკო მირიანაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 თებერვალი, **კვირა** 20.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

### გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2 ტელ.: 293-11-06**

8 თებერვალი, **შაბათი** 18.00 - **„ინგლისური დეტექტივი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, ნანა დარჩიაშვილი, მიხეილ არჯევანიძე, ირინა კვიჟინაძე, ინა ვოროზიოვა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

9 თებერვალი, **კვირა** 18.00 - **„ჭექა-ქუხილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: მიხეილ არჯევანიძე, არჩილ ბარათაშვილი, ირინა მეღვინეთუხუცესი, ვანო ქურასბედიანი, სოფია ლომჯარია, ანა არუთუნიანი, ოლეგ მჭედლიშვილი, დმიტრი სპორიშევი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

### მ. თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

5, 7 თებერვალი, **ოთხშაბათი, პარასკევი** 19.00 - **„ზვავი"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი რუსუდან ბოლქვაძე. მონაწილეობენ: ლია კაპანაძე, რევაზ თავართქილაძე, ანი იმნაძე, გიორგი ყიფშიძე, დარეჯან ხაჩიძე, გია აბესალაშვილი, ლაურა რეხვიაშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

6 თებერვალი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ბაკულას ღორები"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. მონაწილეობენ: ნინელი ჭანკვეტაძე, რუსუდან ბოლქვაძე, რამაზ იოსელიანი, ლაურა რეხვიაშვილი, გვანცა გურგენიშვილი, ზურაბ ყიფშიძე, გიორგი ყიფშიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 თებერვალი, **შაბათი** 19.00 - **„ანდერგრაუნდი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი ქეთი დოლიძე. მონაწილეობენ: მზია არაბული, რამაზ იოსელიანი, ბექა ჯუმუტია, ნიკა წერედიანი, პაატა ბარათაშვილი, ირინა გიუნაშვილი, ვანო დუგლაძე, გუგა კახიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;***

9 თებერვალი, **კვირა** 19.00 - **„7 პ.პ"** - (ბილეთის ფასი - 7 ლარი), რეჟისორი ზურაბ გეწაძე. მონაწილეობენ: გიორგი ყიფშიძე, რუსუდან ბოლქვაძე, ნანუკა ლითანიშვილი, ნათია ფარჯანაძე, ეკა ჩხეიძე, ნანა შონია, ნიკა წერედიანი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

### ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90**

6-7 თებერვალი, **ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„გაყრა"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი დავით დოიაშვილი. მონაწილეობენ: გიორგი ყველაშვილი, ლაშა რამიშვილი, ცისია მეტრეველი, ნინო მითაიშვილი, არჩილ სოლოღაშვილი, გოგა მოძმანაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, მარინა ჯოხაძე, შორენა კურტანიძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8-9 თებერვალი, **შაბათი-კვირა** 19.00 - **„აკრძალული თამაშები"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი მანანა ბერიკაშვილი. მონაწილეობენ: ნანა ბუთხუზი, ანა ალექსიშვილი, გიორგი ვარდოსანიძე, თორნიკე გოგრიჭიანი, კახა კინწურაშვილი, ალექსანდრე დავითაშვილი, დევი ბიბილეიშვილი, გიორგი მახარაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი.***

## ორშაბათი 3 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"ვინეტუ და აპანაჩი"** **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **19.20** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ. **"კარგი ტიპები"** **22.00** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ **"დათქმული დრო"**.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე)თ **14.40, 15.05** იუმორინა (გ/ჩ) **16.03** სერ. **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** მხ/ფ **"განვედი"** **23.30** EMERGENCY– სასწრაფო დახმარება **00.30** მხ/ფ **"ლუდი ჩემი ცხენებისთვის"**.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მხ/ფ **"დიდი ქალაქის ჩირაღდნები"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.40** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ **"ვალსი პეჩორაზე"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი"I ნაწ. **15.30** სპექტაკლი - **"ძველი ვოდევილები"** **17.40** ეთნოგრაფია **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.30** მხ/ფ **"ჩემი ბებია"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი **21.25** სალვთისმეტყველო საუბრები **22.25** დოკ/ფ "წმინდა მაქსიმე აღმსარებელი" **22.40** დოკ/ფ "საპოვნელა" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **23.40** დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნეოფიტე" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა **8.00, 9.15** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30** „ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.00** "მონიტორის გამოძიება" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **16.00** **სერიალი „სიყვარული და სასჯელი"** **19.00** **სერიალი „აკრძალული სიყვარული"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15** **სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"**.

## სამშაბათი 4 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"თაღლითი სამოთხეში"** **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **19.20** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. **"კარგი ტიპები"** **22.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **23.00** მხ/ფ **"ახალი სამყარო"** (კ.ფარელი) **01.30** მხ/ფ **"ულელტეხილის მებრძოლები"**.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** იმედის გმირები **15.25** ჩვენებურები — ფერიანი სიზმრები **1** სერია (გ/ჩ) **16.03** სერ. **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** თოქ შოუ — თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო **00.00** მხ/ფ **"გრძნობებით თამაში"** **01.50** სერ. **"ოქროს კერპი"** **1** სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00** მხ/ფ **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ.

**06.10** ეთნოგრაფია **06.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.50** დოკ/ფ "წმინდა მღვდელმთავარი ნეოფიტე" **07.05** დოკ/ფ "გზა" I სერია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.35** ქართ. მულ./ფ. **10.50** დოკ/ფ "წმინდა მაქსიმე აღმსარებელი" **11.10** პატერიკი **11.15** სალვთისმეტყველო საუბრები **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ **"ჩემი ბებია"** **13.20** ქვიშით ნაამბობი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II ნაწ. **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.00** კონცერტი -ი.ს.ბახი **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ **"სამი ამბავი ტელეფონით"** **19.50** ქვიშით ნაამბობი **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - თეიმურაზ გვანცელაძე "ქართულ-აფხაზური ურთიერთობები" **23.35** მოკ. ფილმი **"ცაბუნია"** **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00, 9.15** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00** **სერიალი „სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** „ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00** **სერიალი „აკრძალული სიყვარული"** **20.00** **სერიალი „დაკარგული დრო"** **21.45** **სერიალი „დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15** **სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**3 – 9 თებერვალი**

*დარბაზი 1*

11.45, 13.45 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
15.45 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
17.45, 20.00 - **„უოლთერ მითის წარმოუდგენელი ცხოვრება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*
22.30 - **„ვიი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 18.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
16.00, 20.00, 22.15 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00, 13.50 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
16.00, 18.00 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
20.00, 22.30 - **„პარანორმალური მოვლენები: ეშმაკის ნიშანი"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 25 წუთი;*

*დარბაზი 4*

12.00, 14.30 - **„უოლთერ მითის წარმოუდგენელი ცხოვრება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*
17.30, 22.30 - **„47 რონინი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*
20.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.50, 19.35 - **„ვიი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*
17.45 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„უოლთერ მითის წარმოუდგენელი ცხოვრება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

13.00, 15.00 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
17.15, 22.30 - **„ფრანკენშტეინი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
20.00 - **„უოლთერ მითის წარმოუდგენელი ცხოვრება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*დარბაზი 2*

12.30 - **„გაყინული"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 50 წუთი;*
15.00, 20.00 - **„ფრანკენშტეინი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35 წუთი;*
17.30 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
22.30 - **„უოლთერ მითის წარმოუდგენელი ცხოვრება"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 55 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.15, 16.00, 18.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*
14.00 - **„ჩემი ცოლის დაქალი კინოში"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*
19.50, 22.30 - **„ვიი"** 3D, *ხანგრძლივობა: 2სთ. 25 წუთი;*
(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი:
www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ქათამი ნაღების სოუსში





**საჭირო ინგრედიენტები:** 50 გრამი ბეკონი, 500 გრამი ცოცხალი ქამა სოკო, 200 გრამი 20-პროცენტიანი ცხიმიანობის მქონე ნაღები, 400 გრამი ქათმის ფილე, 3 ჩაის კოვზი ფქვილი, მარილი, პილპილი.

**მომზადების წესი:** ფილე და სოუსი მზადდება ცალ-ცალკე და სუფრასთან მიაქვთ ერთად. ფილე შეწვით ორივე მხრიდან ძალიან მაღალ ცეცხლზე, სანამ კარგად არ დაიბრაწება და ოქროსფერ ქერქს არ გაიკეთებს. არ დაგავიწყდეთ – წვის პროცესში მოაყარეთ ცოტა მარილი. იმისთვის, რომ ხორცი უმი არ დარჩეს ხორცი რომ დაიბრაწება, დაასხით ცოტა ცხელი წყალი. დაუკელით ცეცხლს, ტაფას დაახურეთ და ფილე ჩაშუშეთ 10 წუთის განმავლობაში, სანამ სითხე სრულად არ ამოშრება.

**მოამზადეთ სოუსი:** ამოარჩიეთ ყველაზე პატარა სოკოები და გაჭერით თითოეული ოთხად. მოხრაკეთ სოკო ტაფაზე, 3-5 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ დაჭრილი ბეკონი და შუშეთ ერთად 3 წუთის განმავლობაში. გადმოდგით ტაფა ცეცხლიდან. მოაყარეთ 3 ჩაის კოვზი ფქვილი და კარგად აურიეთ, ფქვილი მთლიან მასაზე თანაბრად გადაანაწილეთ. დადგით ტაფა ისევ ცეცხლზე, დაასხით ნელ-ნელა ცხელი, ადუღებული წყალი, იმდენი, რომ სოკო სანახევროდ დაიფაროს, ურიეთ ნელა და ინტენსიურად. როცა ფქვილი გაიხსნება, დაუმატეთ ნაღები, უყავით მარილი, ოდნავ მეტი – უფრო გემრიელი იქნება. მოაყარეთ შავი პილპილი. აურიეთ, მიიყვანეთ ადუღებამდე და გადმოდგით. ფილე მოათავსეთ ლანგარზე და მოასხით სოუსი. უგემრიელესია. გარნირად ძალიან უხდება მაკარონი და ბრინჯი.

# მსუბუქი სალათა












**საჭირო ინგრედიენტები:** 200 გრამი ქათმის ფილე, ცოტა ძმარი, მდოგვი, მარილი, პილპილი და ხმელი სუნელი – მარინადისთვის. ერთი კონა მწვანე სალათა, 2 ცალი ცოცხალი კიტრი, 150-200 გრამი მაგარი ყველი. ოხრახუში, კამა, ნახევარი კონა მწვანე ხახვი – შეგიძლიათ, ხახვის გარეშეც მოამზადოთ, 1 ცალი „ბატონი“ პური ან ორცხობილას კუბიკები, 2 კბილი ნიორი, ზეთი.

**მომზადების წესი:** მდოგვი, ძმარი, ცოტა მარილი და პილპილი შეურიეთ ერთმანეთს, დაუმატეთ ხმელი სუნელი, აურიეთ და ამ მარინადში მოათავსეთ ფილე 30 წუთით მაინც. ამ დროის გასვლის შემდეგ ან ტაფაზე შეწვით ორივე მხრიდან, ან გამოაცხვეთ მიკროტალღოვან ღუმელში.

სალათის ფოთლები დაანაწევრეთ ხელით და ჩაყარეთ სასალათეში. კიტრი კარგად გარეცხეთ, დაჭერით წვრილ ჩხირებად და მოაყარეთ სალათას. ფილე დაჩეჩეთ ან მომცრო კუბიკებად დაჭერით. ყველი გახეხეთ. მწვანილი ძალიან წვრილად დაჭერით. თუ ხახვი გაქვთ, ხახვიც წვრილად დაჭერით. „ბატონი“ გახუხეთ და კუბიკებად დაჭერით ან გამოიყენეთ ორცხობილას კუბიკები.

ცალკე მოამზადეთ სოუსი. შეურიეთ ერთმანეთს ზეთი, ძმარი, დანაყილი ნიორი, ცოტა მარილი და პილპილი. აურიეთ კარგად. ყველა ინგრედიენტი მოათავსეთ სასალათეში და მოასხით სოუსი.

# გამომცხვარი თევზის ფილე ანრი ჯოხაძისგან







**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კვერცხი, 100 მილილიტრი რძე, ცოტა მარილი, სოდა ძმრით, 1 კონა ოხრახუში, 2 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი, ფქვილი იმდენი, რომ მივიღოთ ჩვილი ცომი – დაახლოებით 2 ჭიქა საკმარისი იქნება. ცოტა კარაქი – ზემოდან მოსასმელად. 3 ნაჭერი ნებისმიერი თევზის უფხო ფილე, პილპილი.

**მომზადების წესი:** ფქვილი ჩაყარეთ თასში, დააყარეთ დაჭრილი ოხრახუში და ჩაახალეთ კვერცხი. დაასხით სოდა ძმრით, რძე, მოურიეთ კარგად და ჩაუმატეთ ზეითუნის ზეთი. თუ ცომი თხელი იქნება, ცოტა ფქვილი კიდევ დაუმატეთ. მოზილეთ კარგად და გაყავით ორ-სამ გუნდად. თითოეული გააბრტყელეთ, მოათავსეთ მათზე ფქვილში, მარილსა და შავ პილპილში ამოვლებული ფილეს ნაჭრები. შეფუთეთ ლამაზად. ისე, როგორც ფოტოზეა. ჩაჩხვლიტეთ ჩანგლით და გამოაცხვეთ 180 გრადუსზე 30 წუთის განმავლობაში. ზედაპირი რომ დაებრაწება, მზად არის. გამოიღეთ და მოუსვით კარაქი.



სომელიე
თეიმურაზ ბენიძე

# შემწვარი ხორცი ატრიით

**საჭირო ინგრედიენტები:** 600 გრამი საქონლის მჭლე ხორცი, 4 ცალი პომიდორი, 2 ცალი ხახვი, 30 გრამი ტომატ-პასტა, 30 გრამი დაკონსერვებული მწვანე ლობიო, 4-5 ღერი ნიახური, 50 გრამი ბულგარული წიწაკა, 35 გრამი მწვანე თალგამი, ცოტა ზეთი, 2 კბილი ნიორი, 3 ღერი ოხრახუში, მარილი და წიწაკა გემოვნებით. ატრიისთვის: 1 ცალი კვერცხი, ცოტა მარილი და 50 გრამი ფქვილი.

**მომზადების წესი:** სქელძირიან, ღრმა ტაფაზე ზეთში შეწვით დაჭრილი ხორცი, დაუმატეთ ტომატ-პასტა და შუშეთ. შემდეგ დაუმატეთ დაჭრილი ბოსტნეული. მოზილეთ ატრიის ცომი, ცოტა ხანს გააჩერეთ, გააბრტყელეთ და შემდეგ დაჭერით ზოლებად. ატრია მოხარშეთ მარილიან წყალში. მზა კერძი თეფშზე უნდა დააწყოთ შემდეგნაირად: პირველ ფენად მოათავსეთ მოხარშული ატრია, შემდეგ ხორცი და ბოსტნეული, ზემოდან კი მოასხით ატრიის ნახარში.



# ბადრიჯანი ყველით

**საჭირო ინგრედიენტები:** 4 ცალი მსხვილი და მოზრდილი ბადრიჯანი, 700 გრამი პომიდორი, 2 ნაჭერი მოცარელა, 50 გრამი პარმეზანი, 2 კვერცხი, ცოტა ზეითუნის ზეთი, 25 გრამი კარაქი, მარილი და წიწაკა გემოვნებით. მწვანე ისპანახის ფოთლები კი მოსართავად.

**მომზადების წესი:** ბადრიჯანი დაჭერით მრგვალ ნაჭრებად, დააყარეთ მარილი და 1 საათი გააჩერეთ, რომ ზედმეტი სითხე გაუვიდეს. მოამზადეთ პომიდვრის სალსა: პომიდორი დამდუღრეთ, მოაცალეთ კანი და თესლები. მოათავსეთ ქვაბში, დააყარეთ მარილი, წიწაკა და ადუღეთ 20 წუთი, თან ურიეთ. შემდეგ დააბლენდერეთ. ბადრიჯანი გარეცხეთ, შეამშრალეთ და ორივე მხრიდან შეწვით ზეთში. შესაშრობად უნდა დააწყოთ ხელსაწმენდზე. ფორმაში მოათავსეთ ცოტაოდენი პომიდვრის სალსა, შემდეგ ბადრიჯნის ფენა, შემდეგ გახეხილი პარმეზანი, ზემოდან მოცარელა, რამდენიმე კოვზი გათქვეფილი კვერცხი და სალსა. ამის შემდეგ პროცედურა გაიმეორეთ. სულ ზემოდან დაადეთ კარაქის ნაჭერი და 220 გრადუსზე გაცხელებულ ღუმელში გამოაცხვეთ 20 წუთის განმავლობაში. ბოლოს ზემოდან გააფორმეთ ისპანახის ფოთლებით.



# პიკანტური ნამცხვარი

**საჭირო ინგრედიენტები:** 100 გრამი კარაქი, 3 სადილის კოვზი თაფლი, 0,5 ჭიქა არაჟანი, 1 ცალი კვერცხი, 1 ჭიქა ფქვილი, 2 სადილის კოვზი კაკაო, 1 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი ფხვნილი, 1 ლიმონი, მარილი. მინანქრისთვის: 0,5 ჭიქა შაქრის პუდრი, 1 ცალი კვერცხის ცილა, 5 გრამი ვანილის შაქარი.

**მომზადების წესი:** კარაქი და თაფლი ათქვიფეთ, დაუმატეთ კვერცხი, არაჟანი, გამაფხვიერებელი, ლიმონის ცედრა და წვენი, მარილი და კარგად აურიეთ. კაკაო და ფქვილი აურიეთ, დაამატეთ მომზადებული მასა და მოზილეთ ცომი. 20 წუთის შემდეგ ცომი გააბრტყელეთ 0,5 სანტიმეტრის სისქეზე, გამოჭერით ვარსკვლავის ფორმები და საშუალო ტემპერატურაზე გამოაცხვეთ. როდესაც ნამცხვარი შეგრილდება, მორთეთ თეთრი მინანქრით, რომელიც შემდეგნაირად უნდა მოამზადოთ: კვერცხის ცილა და შაქრის პუდრი კარგად აქვიფეთ ვანილთან ერთად. თეთრი მინანქარით, შეგიძლიათ საკუთარი ფანტაზიით მორთოთ ნამცხვარი.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 5 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"მაღალი, ქერა მამაკაცი შავი ფეხსაცმლით"** **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **19.20** "ჩვენი ეზო" **21.00** ტ/სერ. **"კარგი ტიპები"** **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **23.30** "უხილავი მხარე" **01.40** მხ/ფ **"უღელტეხილის მებრძოლები"**.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ღამის შოუ (გ/ჩ) **16.03** სერ. **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **00.00** მხ/ფ **"სრულყოფილი გრძნობა"** (ი.მაკგრეგორი) **01.45** სერ. **"ოქროს კერპი"** 2 სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** "ნანუკას შოუ" **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა **00.30** მხ/ფ **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.15** ეთნოგრაფია **06.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.55** დოკ/ფ "გზა" II სერია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** ქრისტიანული ხელოვნება **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** ღია აუდიტორია **12.50** მოკ/ფ **"სამი ამბავი ტელეფონით"** **13.15** დოკ/ფ "საპოვნელა" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" III ნაწ. **15.30** კონცერტი - "სიყვარულის ზღაპარი" ალექსანდრე ბასილაია **17.00** კვირიაკე **17.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.20** დოკ/ფ "ულმერთოთა ღამე" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ/ფ "რაინდები" ალექსანდრე კარტოზია **23.45** ქვიშით ნაამბობი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 14.00, 4.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა **8.00, 9.15** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** „ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30** გადაცემა „პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი „აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი „დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი „დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **1.45** გადაცემა „პულსი"(გამ.) **2.15 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"**(გამ.).

## ხუთშაბათი 6 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"მოგზაურობა მამასთან ერთად"** **17.00** ტ/სერ. **"კრიმინალური კვალი"** **19.20** "შემოძახილი" **21.00** ტ/სერ. **"კარგი ტიპები"** **22.00** სპორტული თოქ-შოუ: "არენა" **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ **"სიზმრები"**.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** ფულთან თამაში **16.03** სერ. **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** ქ.მხ/ფ **"უშენოდ მგონი მოვკვდები"** **00.00** მხ/ფ **"მდევარი მოჩვენება"** (კ. ლამბერი) **01.50** სერ. **"ოქროს კერპი"** 3 სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **17.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** პროფილი **00.30** მხ/ფ **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ (ტიტ.).

**06.10** საგალობელი **06.15** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** საქართველო არის ესე **07.05** დოკ/ფ "გზა" III სერია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ჩვენი ფონდი **11.00** ქართული ალბომი **11.25** ეპოქის სახელები **11.50, 13.25** ქვიშით ნაამბობი **12.10** დოკ/ფ "ულმერთოთა ღამე" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" IV ნაწ. **15.40** დოკ/ფ "ველური ბუნება" **16.05** კონცერტი - ხათუნა კოკოჩაშვილი **16.50** დოკ/ფ "გამჭოლი მოქმედება" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** "პორტრეტები" **20.10** მოკ/ფ **"საერთო კედელი"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25, 23.15** "მთავარსარდალი დავით აღმაშენებელი" I- II ნაწ. **23.00** საღამოს ლოცვა **23.50** ქვიშით ნაამბობი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 14.00, 5.30, 6.30** ფარული კამერა **8.00, 9.15** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** „ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი „აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი „დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი „დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 7 თებერვალი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"მაღალი, ქერა მამაკაცის დაბრუნება"** **17.00** ტ/სერ. **"კრიმინალური კვალი"** **19.05** დ/ფ "მეფის მუმიის საიდუმლო" **20.00** ზამთრის ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნა (პ/ტრ) **23.00** მხ/ფ **"მესაათე"** **00.50** მხ/ფ **"ტეხასური ჟლეტა ხერხით: დასაწყისი"** **23.30** მხ/ფ **"ჯაყოს ხიზნები"**.

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** კულინარიული დუელი (გ/ჩ) **16.03** სერ. **"სიყვარულის დრო"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** თოქ შოუ — რეაქცია **00.00** მხ/ფ **"გარიგება"** (ს. ბლერი) **01.55** სერ. **"ოქროს კერპი"** 4 სერ.

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** პოზიცია **23.00** ვანოს შოუ **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** საგალობელი **06.15** დოკ/ფ "ყველაზე, ყველა-

ზე" **07.00** დოკ/ფ "გზა" IV სერია **07.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "რამდენიმე სურათი ილიას ცხოვრებიდან" **11.25** ისტორიის გაკვეთილი **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** პორტრეტები **12.50** მოკ/ფ **"საერთო კედელი"** **13.20** პატერიკი **13.25** ქვიშით ნაამბობი **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** დოკ/ფ "მსახური ღვთისა და კაცისა" გაბრიელ ეპისკოპოსი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი -ანა-სოფია მუთერი **17.00** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"რაჭა ჩემი სიყვარული"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** "მთავარსარდალი დავით აღმაშენებელი" III ნაწ. **23.40** დოკ/ფ "წმინდა ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**7.00, 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 14.00, 5.30, 6.30** ფარული კამერა **8.00, 9.15** მულტფილმები **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **10.15, 16.00 სერიალი „სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** „ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30** გადაცემა „პულსი"(გამ.) **19.00 სერიალი „აკრძალული სიყვარული"** **20.00 სერიალი „დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი „დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.15 სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **1.45, 4.30** NX სპიკერი.

## შაბათი 8 თებერვალი

**08.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" **09.00** საბ. ან/სერ. "ტატონკას თავგადასავალი" **09.10** საბ. მხ/ფ **"მელნის გული"** **11.00** "ეტალონი" **12.00, 16.00, 21.00** "მოამბე" **12.30** კონცერტი: ზაზა მარჯანიშვილი – "წეროს მოტანილი საჩუქარი" **14.00** ოლიმპიური დღიური **14.30** მხ/ფ **"მისის სოფელი"** (მ.გიბსონი) **16.30** "გურმანია" **17.00** ტ/სერ. **"კრიმინალური კვალი"** **19.00** რაგბი. ერთა თასის გათამაშება: პორტუგალია – საქართველო (პ/ტრ) **22.00** "შეხვედრები მწერალთა სახლში" **23.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ **"საიათნოვა"** **00.30** მხ/ფ **"გორილას განკურნება"**.

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **1** სერ. **08.25** მხ/ფ **"ტაქსი"** **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** "ჩვენებურები — ფერიანი სიზმრები" **2** სერ. **12.00** სერ. **"მერლინი"** **3** სერ. **13.00** სერ. **"ჰანა მონტანა"** **14.30** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** სერ. **"აგენტურა"** **3** სერ. **23.00 2013** წლის ამერიკული მუსიკის დაჯილდოების ცერემონია **00.40** მხ/ფ **"სექს დრაივი"** (კ.დიუკი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.00** ეკი ვოკი გ/ჩ **11.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები **15.30** "ნანუკას შოუ" - გ/ჩ **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.05** საგალობელი **06.15** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** დოკ/ფ "გზა" V სერია **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ქართ. მულ./ფ. **11.00** კვირიაკე **11.50** ქვიშით ნაამბობი **12.10** მხ/ფ **"რაჭა ჩემი სიყვარული"** **13.20** დოკ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" **14.05** ღია აუდიტორია **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** ოპერა - **"მფრინავი ჰოლანდიელი"** **17.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **18.10** საქართველოს ქალაქები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დოკ/ფ "დავით აღმაშენებელი" **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.25** "მთავარსარდალი დავით აღმაშენებელი" IV ნაწ. **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** მხ/ფ **"ოქროს ციებ-ცხელება"**.

**7.00, 0.00, 2.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბავშვო) **8.00** მულტფილმი **9.30, 11.00 სერიალი „აკრძალული სიყვარული"** (გამ.) **10.30** გადაცემა „პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 22.55, 23.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **12.30, 15.30, 19.00 სერიალი „აკრძალული სიყვარული"** (გამ.) **18.45, 1.00** "ყოველდღიური აბები" **20.00 სერიალი „დაკარგული დრო"** **21.45 სერიალი „დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.30 სერიალი ,,მომავლის გაელვება"**(გამ.) **0.30, 1.30** NX სპიკერი (გამ.) **2.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **3.30, 4.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა.

## კვირა 9 თებერვალი

**08.00** დ/ფ "მონსანტოს თვალით დანახული სამყარო" **08.50** საბ. ან/სერიალი: "ცხოველთა სამყარო" **09.50** საბ. მხ/ფ **"ბეტმენი"** **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 18.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.00** "ოლიმპიური დღიური" **14.30** ქარ. მხ/ფ **"თეთრი ქარავანი"** **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** დ/ფ "ნეფერტიტი: დედოფლის მუმიის საიდუმლო" **18.30** "ტელებლოგი" **19.00** ოლიმპიადა – ფიგურული სრიალი (პ/ტრ) **22.10** ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა: "იყო შაშვი მგალობელი" (დრამა.) **23.30** მხ/ფ **"ინფორმატორი"** (მ.დეიმონი) **01.20** დ/ფ "დარფური დღეს".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **09.00** მხ/ფ **"ტაქსი 4"** **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ. **"მერლინი"** **4** სერ. **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ქ.მხ/ფ **"შერეკილები"** **17.30** ქ.მხ/ფ **"ბურთი და მოედანი"** **18.00** კონცერტი: "რუსუდან სებისკვერაძე" **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** სერ. **"აგენტურა"** **4** სერ. **23.00** მხ/ფ **"ლოკაუტი"** (მ.გრეისი) **00.40** მხ/ფ **"ღვთის გამოგზავნილი"** (ტიტ.).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ **10.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე (**2** თებერვლის გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S **22.00** კომედი შოუ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35, 10.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** საქართველოს ქალაქები **08.55** შვიდგზის ლოცვა **09.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.10** მხ/ფ **"ვინ შეკაზმავს ცხენს"** **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.15** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **16.50** ეპოქის სახელები **17.15** საღვთისმეტყველო საუბრები **18.30** დროის ჩანაწერები **19.20, 21.40, 23.50** ქვიშით ნაამბობი **19.30** მხ/ფ **"ჩვენი ეზო"** **21.40** კვირიაკე **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.30** პორტრეტები **01.10** მხ/ფ **"მისი მსახურის და"**.

**7.00, 0.00, 2.00, 4.00, 5.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბავშვო) **8.00** მულტფილმი **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 20.00 სერიალი „დაკარგული დრო"** (გამ.) **10.30** გადაცემა „პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 22.55 23.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.30, 1.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **19.00 სერიალი „აკრძალული სიყვარული"** **21.45 სერიალი „დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.30 სერიალი ,,მომავლის გაელვება"**(გამ.) **0.30, 1.30** NX სპიკერი (გამ.) **1.00** „ყოველდღიური აბები" (გამ.) **3.30, 4.30, 5.30, 6.30** ფარული კამერა.

### ვერძი

გაიზრდება თქვენი ინტუიცია და ადვილად შეძლებთ მომავალი ცვლილებების წინასწარმეტყველებას. საქმიან მოლაპარაკებებზე იყავით მეტად ტაქტიანი. შესაძლოა, ფარდა აეხადოს ფარულ სასიყვარულო ურთიერთობას, რაც მნიშვნელოვნად შეცვლის თქვენს სტატუსს. კარგია მოგზაურობა.

### კურო

გაგიადვილდებათ საქმეების რეალიზება პარტნიორების დახმარებით. მოქმედებებისას იყავით სწრაფი. თქვენს კარიერასა და პირად ურთიერთობას სასიკეთოდ წაადგება იმიჯისა და სტილის შეცვლა. მოგზაურობისას კი, არ არის გამორიცხული, გაიცნოთ მომავალი საქმიანი პარტნიორი ან მრჩეველი.

### ტყუპები

ამ პერიოდში დიდ ზეგავლენას მოახდენენ თქვენზე მეგობრები, რომლებიც ეცდებიან, დახმარება გაგიწიონ. ოჯახის წევრებთან და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი უფრო მეტად სასიამოვნო გახდება. მთავარია, მათ გვერდით მეტი დრო დაყოთ. არ გადაიღალოთ და მეტი ყურადღება დაუთმეთ ჯანმრთელობას.

### კირჩხიბი

ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად დაიწყეთ ძველი ჩანაფიქრების განხორციელება. ნუ იქნებით უხეში საყვარელ ადამიანთან და ეცადეთ, დროულად გამონახოთ კრიზისიდან გამოსვლის გზები. ნუ ინერვიულებთ წვრილმანი ოჯახური პრობლემების გამო. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### ლომი

სამსახურში წარმატების მისაღწევად გამოიყენეთ არაორდინარული გზები და პროფესიონალიზმი. იყავით მეტად დიპლომატი. დამატებითი სამუშაო კარგ მატერიალურ შემოსავალს გპირდებათ. კარგია მკურნალობის დაწყება ან ჯანმრთელობის საერთო გამოკვლევის ჩატარება.

### ქალწული

ფინანსურ საკითხებში არასტაბილურობა დაძაბავს თქვენს ურთიერთობას სასიყვარულო პარტნიორთან, ოჯახის წევრებთან. ნუ გადაჰყვებით დროსტარებას და მეტი დრო დაუთმეთ საქმის კეთებას. არ არის მიზანშეწონილი მძიმე ფიზიკური შრომა. არ გირჩევთ ხშირ გადაადგილებას.

### სასწორი

მეტად დაფიქრდით საკუთარ ცხოვრებაზე. ნუ შეცვლით პირად ურთიერთობებს. ეცადეთ, მეტი ყურადღება დაუთმოთ საყვარელ ადამიანებს და გაითვალისწინოთ მათი სურვილები. ამ პერიოდში გაგიადვილდებათ ახალი საქმის წამოწყება და ახალი კავშირების დამყარება.

### მორიელი

მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს და მომჭირნედ ხარჯეთ ფული. ამ პერიოდში გაგიჭირდებათ მატერიალური პრობლემების მოგვარება. მოთოკეთ ემოციები, რათა საფრთხე არ დაემუქროს ოჯახურ სტაბილურობას. საქმიან პარტნიორებთან შეხვედრისას კი იყავით მეტად ობიექტური და რეალისტი.

### მშვილდოსანი

იყავით მეტად კომუნიკაბელური – ეს გაზრდის თქვენს შემოსავლებს. ახლო ნათესავები დახმარებას გაგიწევენ. ნუ ენდობით უცნობებს. შეიცვლება თქვენი დამოკიდებულება საყვარელი ადამიანის მიმართ, რაც გიბიძგებთ ახალი კავშირის დამყარებისკენ. ამ პერიოდში დამყარებული რომანტიკული ურთიერთობა თქვენს იმედებს მომავალში ვერ გაამართლებს.

### თხის რქა

გაგიჭირდებათ ახალი ინფორმაციის მიღება, რაც დროებით შეაფერხებს თქვენს პროფესიონალურ საქმიანობას. ფინანსური მდგომარეობა ნელ-ნელა დაიწყებს გაუმჯობესებას. მოერიდეთ უცხო ხალხთან კონტაქტს და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს.

### მერწყული

ჩანაფიქრებისა და ოცნებების ასრულების დროა. კარგია სამსახურის შეცვლა. არ არის გამორიცხული, გაუმჯობესდეს თქვენი ფინანსური მდგომარეობაც. თქვენს მომხიბვლელობას ამ პერიოდში გულგრილად ვერავინ ჩაუვლის. ადრე დაწყებული სასიყვარულო ურთიერთობა დაკანონების ფაზაში შევა. კარგია მოგზაურობა.

### თევზები

დაქვეითებას დაიწყებს თქვენი შრომისუნარიანობა. გაგიჭირდებათ მიღებული ინფორმაციის სწრაფად გადამუშავება, რაც სამსახურში პრობლემებს შეგიქმნით. სამაგიეროდ, დაუგეგმავი ფეხმძიმობა თქვენს ცხოვრებას სრულიად შეცვლის. შეამცირეთ გადაადგილებები.

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 31 იანვარი, 21 სთ: 50 წთ.**

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

აკეთეთ მხოლოდ სასწრაფო და გადაუდებელი საქმეები და ნუ წამოიწყებთ ახალს. ზედმეტად არ გადაიტვირთოთ. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი, ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი ან ფირუზი. სიზმრების ახდენა საეჭვოა. მოერიდეთ კამათს, სულსწრაფობას, სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ფინანსურ ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, თმის შეჭრას, მოძრაობის წესების დარღვევას. კარგია ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, მოგზაურობა. სუსტდება თავი, კბილები, ყურები, თვალები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის.***

### სამშაბათი

იყავით ფრთხილი და წინდახედული. აკონტროლეთ სიტუაციები, მოქმედებები და სიტყვები. კარგია სწრაფად შესასრულებელი საქმეების დაწყება, ხელმძღვანელებთან კონტაქტი, მოგზაურობა, სპორტული ვარჯიშები. ატარეთ წითელი, ყვითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი, ლურჯი ან ცისფერი სამოსი, ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, ძოწი, იასპი ან ტოპაზი. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. არ ვარგა სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარება, საფინანსო ოპერაციები, კაპიტალდაბანდება, ხელშეკრულების დადება, წესების დარღვევა. სუსტდება თავი, თვალები, ცხვირი, ყურები, კბილები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### ოთხშაბათი

ნუ ჩაერევით სხვების საქმეში და ნურც სხვას ჩარევთ თქვენს საქმიანობაში. დაუკვირდით სიტყვებს. აკონტროლეთ მოქმედებები და აზრები. მოერიდეთ კაპიტალდაბანდებასა და ტყუილს, ასევე, სტომატოლოგიურ პროცედურებს. ატარეთ წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი, ყავისფერი, ლურჯი ან ლიმონისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, წითელი იასპი, აქატი, მალაქიტი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. კარგია მოგზაურობა, სასიყვარულო შეხვედრები, გართობა. სუსტდება თავი, ყელი, თვალები, ენდოკრინული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი
### გეომაგნიტური დღე

კარგია საქმიანი შეხვედრები, მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები, სამკურნალო პროცედურების ჩატარება. მოერიდეთ ჭორებსა და დაპირებების გაცემას. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ყვითელი იასპი ან ონიქსი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან, დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია ახალი ნაცნობობა, სასიყვარულო შეხვედრები, შემოქმედებითი მუშაობა, ვაჭრობა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: ქალწულებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღე

მოიმატებს ილუზიები. ნუ აიღებთ საკუთარ თავზე ისეთ ვალდებულებას, რის შესრულებასაც ვერ შეძლებთ. მოიმატებს მგრძნობელობაც. მეტი დრო დაჰყავით ოჯახში. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ლურჯი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ამეთვისტო ან ქრიზოპრაზი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნივთების შეძენა, გართობა. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სასუნთქი გზები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

მეტი ყურადღებით დააკვირდით პარტნიორებს. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. ატარეთ ყვითელი, ნაცრისფერი, ვერცხლისფერი, ნარინჯისფერი, იასამნისფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, სარდიონი, ჟადეიტი, საფირონი ან ჰელიოტროპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია კონტაქტები, მოლაპარაკებები, სავაჭრო გარიგებები, სამეცნიერო კვლევა, მშენებლობა. სუსტდება სასუნთქი გზები, ბრონქები, ფილტვები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თევზებისთვის.***

### კვირა

კარგია დასვენება, ვარჯიში და ახალი ნივთების შეძენა. მოიმატებს შემთხვევითი შეხვედრების რაოდენობა. დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეთ. ატარეთ ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, იასამნისფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ნეფრიტი, საფირონი, აკვამარინი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა ფარული სასიყვარულო კავშირები. კარგია სწავლა, მოგზაურობა, მშენებლობა. აკონტროლეთ სიტყვები. მოიმატებს გაციების ალბათობა. სუსტდება ბრონქები, ფილტვები, ხელები, მხრები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თხის რქებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### გულაბერიძე

**გულაბერიძე** უძველესი ქართული გვარ-სახელია. ის ორი სახელისგან არის წარმომდგარი, კერძოდ, **გულა** და **ბერი**.

ამ გვარის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის ნიკოლოზ **გულაბერიძის** ალაპი. ეს არის ერთ-ერთი უძველესი ალაპი, რომელიც ჩაწერილია ჩვენამდე მოღწეულ ჯვრის სამონასტრო მატიანეში; ალაპთა მეორე, მთავარ წიგნში, არის ნიკოლოზ **გულაბერიძის** – მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში ცნობილი ქართველი მწერლისა და მოღვაწის, ქართლის კათალიკოსყოფილის ალაპი.

ნიკოლოზ **გულაბერიძე**, ანტონ ჭყონდიდელ საღირაძესთან ერთად, იყო ხელმძღვანელი საეკლესიო კრებისა, რომელიც თამარ მეფის მოწვევით, 1184-1185 წლებში გაიმართა. ნიკოლოზმა ბევრი ილვაწა მთაწმინდის მონასტერში. იქ დიდ მშენებლობას აწარმოებდა და 1210 წელს გარდაიცვალა.

საქართველოში 122 **გულაბერიძე** ცხოვრობს: ხელვაჩაურში – 116, ბათუმში – 5, ქობულეთში – 1.

### თორდია

არსებობს მოსაზრება, რომ **თორდია**, ბგერათა გადასმით, **თოდრაძეთა** გვარიდან არის მიღებული. თითქოს **თოდრაძეები** კახეთიდან კოლხეთში არიან მიგრირებულნი და იქ **თორდიები** გამხდარან.

მსგავსი მაგალითი უცხო არ არის ქართული ონომასტიკისთვის, მაგრამ, ამ მოსაზრების გაზიარება ეჭვქვეშ დგება, რადგან, **თოდრაძეები** გურიაში, კერძოდ კი ოზურგეთსა და ჩოხატაურში, ასევე და კახეთში ცხოვრობენ, კოლხეთში კი მსგავსი გვარი ჯერ არ შეგვხვედრია.

შესაძლოა, კოლხური გვარის წარმომავლობა მესხეთში გაჩენილ ფეოდალურ საგვარეულოს – **თორელს (თორელებს)** დაუკავშირდეს. ასეთი მაგალითი უკვე გვაქვს: ჩორჩანელებიდან ხურისძე-ხურციძეების გვარები წარმოიშვა და ამ უკანასკნელთაგან კოლხეთში გავრცელდა გვარები: ხურცია, ხურცილავა, ლეჩხუმში კი – ხუციძე.

**თორდია** და **თორდინავა** ერთი და იგივე გვარია. ორივეს ფუძე თორი. პირველში სუფიქსია ია, მეორეში კი – ავა. ფუძესა და სუფიქსს შორის დი ინფიქსი მიგვანიშნებს, რომ გვარის საწყისი ფორმაა **თორია, თორი.**

ქართლში გაჩნდა **თორელების** საგვარეულო, ხოლო იქიდან წასულებმა სამეგრელოში შექმნეს გვარები: **თორია, თორდია და თორდინავა.**

სიტყვა **თორს** რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: **თორი** აბჯრის ერთ-ერთი სახეობა იყო ძველ საქართველოში; ასევე, ისტორიული მხარე სამხრეთ საქართველოში, რომელიც მოიცავდა შავწყალის (სადგურის ხევს), გუჯარეთისა და მტკვრის ხეობას ტაშისკარიდან დვირამდე. ტერიტორია დღევანდელი ბორჯომის რაიონშია.

**სათორდიო** არის უბანი ჩხორიოში, ჭკადუაშის საზღვართან.

საქართველოში 1 596 **თორდია** ცხოვრობს: ზუგდიდში – 1 208, თბილისში – 151, წალენჯიხაში – 76. არიან სხვაგანაც.

229 **თორდინავა**: მარტვილში – 131, თბილისში – 57, ქუთაისში – 30. არიან სხვაგანაც.

### მენთეშაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **მანთაშო**. ხოსიტა **მენთეშაშვილი** მოიხსენიება 1860 წელს, სოფელ ლევეში.

**მანთაშაშვილები** 1721 წლის აღწერით ყაფლანაშვილების მამულში ჩანან.

„ოთარ **მანთაშაშვილს**, აზნაურს, 1721 წლის აღწერით, დედოფლის მემამულეს, ყმები ჰყავდა სომხითში."

**მენთეშაშვილები**, 60 კომლის ოდენობით, ცხოვრობდნენ სოფელ მაჩხაანში. იყვნენ სხვაგანაც. ზოგ ადგილას, გამოთქმის გასაადვილებლად, **მანთაშაშვილებსაც** ეძახდნენ. ძველი დროიდანვე ისინი ქართველები იყვნენ, კარგ მეომრებად ითვლებოდნენ და მეფე თეიმურაზისა და ეკლესიისგან, მეთვრამეტე საუკუნის შუა ხანებში, სიგელიც კი აქვთ ნაბოძები.

რადგან ქიზიყს ხშირად ესხმოდნენ თავს, **მენთეშაშვილების** რამდენიმე კომლი თბილისში გადასახლდა, მათგან, ზოგი – წავკისში,




ბორბალოსა და ვაშლოვანში. ისინი იქაური მებატონეების ყმები გახდნენ და გრიგორიანული სარწმუნოებაც მიიღეს. ამიტომ, **მენთეშაშვილები** ჯერ **მანთაშაშვილები**, შემდეგ კი მანთაშოვები გახდნენ. დღევანდელი **მანთაშოვები მენთეშაშვილების** შთამომავლები არიან.

**მენთეშაშვილებს** მეთვრამეტე საუკუნეში თეიმურაზ მეორისგან ეძლევათ აზატობისა და თარხნობის წერილები. თბილისელი მანთაშოვები, მეთვრამეტე საუკუნეში არიან ქიზიყიდან თბილისში გადმოსახლებული.

საქართველოში 1 556 **მენთეშაშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 675, სიღნაღში – 288, რუსთავში – 127. არიან სხვაგანაც.

### ბერიშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბერი**. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, **ბერი** ხანმრავალ კაცს ნიშნავს.

1719 წელს ედიშერ ციციშვილის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება **ბერუა ბერიშვილი.**

1797 წლის არზით ირკვევა, რომ დავით და ბესარიონ **ბერიშვილები** ყოფილან თავად ლუარსაბ თარხნიშვილის ბიძაშვილები.

ღოუბნელმა გლახა **ბერიშვილმა** 1829 წელს იქორწინა ბოგველი თამაზას ასულ მართაზე. გვირგვინი უკურთხა მღვდელმა ანტონ ციმაკურიძემ.

ფუძით **ბერი** ბევრი ქართული გვარია ნაწარმოები.

საქართველოში 4 107 **ბერიშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 868, ზუგდიდში – 680, წალენჯიხაში – 511. არიან სხვაგანაც.

### დუდაური

**დუდაური**, **ლიდოური** და **დუდარიშვილი** ერთი და იგივე გვარ-სახელია.

**დუდაური** მოხსენიებულია დავით გარეჯის ყმების ნუსხაში, რომელიც კახთა ხანმა და „ქართველთა ბატონმა" განუახლეს გარეჯს. მათზე დავა ჰქონიათ საგინაშვილებს. მათი მამული და სასახლე საცილებელი შეიქმნა ზაალ საგინაშვილსა და ნინოწმინდისა და გარეჯის წინამძღვრის, ონოფრეს შორის. სამართლისთვის მიმართეს ხანს, რომელმაც საქმის გადაწყვეტა სახლთუხუცესს, კახეთის მდივანს ონანას დაავალა. მისი განჩინებით კი, საგინაშვილებს **დუდაურის** შვილებზე უფლება არ ჰქონდათ. ონოფრე მაჭუტაძის წინამძღვრობის დროს გარეჯის მონასტრისთვის უნდა ეხადათ რვა საპალნე ღვინო, ოცი ლიტრი ლებანი, ორი ლიტრი სანთელი.

ხოდაშენში მცხოვრები **დუდაური** გიორგი მეფემ დავით გარეჯის მონასტერს შესწირა.

მგელო **დადაურიშვილმა** იოსებ მღვდელთან პირობა დადო, რომ მარხვას შეინახავდა და, თუ დაარღვევდა, არ დაუმალავდა.

საქართველოში 212 **დუდაური** ცხოვრობს. თბილისში – 87, დუშეთში – 64, ახმეტაში – 29. არიან სხვაგანაც.

### საზანდარიშვილი-სანდროშვილი

გვარის ფუძეა სიტყვა **საზანდარი**.

ანალოგიურად წარმოქმნილი გვარებია: არუთანაშვილი, მესტვირიშვილი, მექანარიშვილი, მედოლიშვილი, ჭანურაშვილი და სხვა.

დავით, კონა და გაბრიელ **საზანდარიშვილები** მოიხსენიებიან 1843 წელს პატარა თონეთში.

**საზანდარიშვილები** დღეს **სანდროშვილებადაც** იწერებიან.

საქართველოში 202 **საზანდარიშვილი** ცხოვრობს. ქარელში – 130, თბილისში – 49, გორში – 9. არიან სხვაგანაც.

### ამანათაშვილი-ამანათიძე

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ამანათა**.

1818 წელს თონეთში მცხოვრებ სოლომონ **ამანათაშვილს** შეეძინა ვაჟი, სახელად უწოდეს ანდრია. მღვდელი იყო აბრამ თეთრაძე, მიმრქმელი კი გიორგი ლუკაშვილი.

1873 წელს ისტორიულ დოკუმენტში მოხსენიებულია სოლომონ და გიორგი **ამანათაშვილები.**

**ამანათაშვილების** მეორე გვარია მძევლიშვილი.

ამავე ძირისაა გვარი **ამანათიძე**.

წალკაში მცხოვრები **ამანათაშვილები** ბერძნებად არიან ჩაწერილები.

საქართველოში 135 **ამანათაშვილი** ცხოვრობს. თბილისში – 72, ბორჯომში – 19, ქუთაისში – 8. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა ნონა დათეშიძემ**

**მართალია, ხშირად ამბობენ, რომ საქართველოში შოუ-ბიზნესი არ არსებობს და არაფერი კეთდება. მაგრამ, ამ აზრს ყველა არ იზიარებს და საპირისპიროს დასამტკიცებლად, აქტიურად მუშაობს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი რესპონდენტიც, რომელმაც სახელი ძალიან სწრაფად გაითქვა და ბევრი თაყვანისმცემელიც შეიძინა. რეპერი „მასტერი" ყოველთვის მზად არის სტუდიაში სამუშაოდ და ახალი სიმღერის ჩასაწერად. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ მან გასულ წელს 14 სიმღერა ჩაწერა და 6 კლიპი გადაიღო.**

# რა წარმატებას მიაღწია მასტერის მობილურით გადაღებულმა კლიპმა და რა დაუმტკიცა მან ხალხს ამ რევოლუციური პროექტით

**– ალბათ, ბევრი დამეთანხმება, რომ ადამიანი, ენერგია ხარ. დღის უმეტეს ნაწილს სტუდიაში ატარებ და მუშაობ, ქმნი სხვადასხვა სიმღერას. შენი შემხედვარე, ნამდვილად ვერავინ იტყვის, რომ შოუ-ბიზნესში არაფერი კეთდება, შენ სულ მუშაობ.**

– შოუ-ბიზნესს მე ვაკეთებ, ვხუმრობ, რა თქმა უნდა. პრინციპში, შრომა რაღაცნაირად მაინც დამიფასდა და 2013 წლის საუკეთესო რეპერის ჯილდო გადმომცა „მეგა." ასევე, მეორე ნომინაციაშიც გავიმარჯვე – „წლის ყველაზე პროდუქტიული შემსრულებელი." ეს, ალბათ, იმიტომ, რომ გასულ წელს 6 კლიპი გადავიღე და 14 სიმღერა ჩავწერე. ამ ყველაფრის სტიმული ჩემი მსმენელია. თითქოს პასუხისმგებლობა მაქვს, რომ ტემპი არ დავაგდო.

**– სიმღერების ავტორი თავადვე ხარ. ყველა სიმღერას თავისი ადრესატი ჰყავს, თუ ტექსტის დასაწერად მუზა არ გჭირდება?**

– როცა მუსიკას ვისმენ, შეიძლება, მან გამახსენოს რომელიმე ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან და იმ ისტორიიდან გამომდინარე დავწერო ტექსტი. თუმცა, მხატვრულად ისეთ სახეს ვაძლევ, შეიძლება, ვინმეს ეგონოს, რომ ახლა ხდება ეს ყველაფერი ჩემს ცხოვრებაში. ასე რომ, „ცა მოწმენდილზე" არ ვწერ. ყოფილა შემთხვევა, რომელიმე გოგონას უთქვამს, ჩემზე რატომ არ წერო? მე ამ დროს ვპასუხობ: ჩვენ არაფერი გვქონია და რაზე დავწერო-მეთქი. რაღაც ისტორია მაინც უნდა მაკავშირებდეს მასთან, რომ დავწერო, შეიძლება სერიოზული ან – პირიქით, ძალიან არასერიოზული.

**– თუ ხვდებიან, რომ სიმღერა მათზეა დაწერილი?**

– რა თქმა უნდა, ხვდებიან. ისეთ რეალურ ამბებზეა დაწერილი, რომ სხვაგვარად არც შეიძლება.

**– გამოდის, რომ თუ მანდილოსანს სურს, მას სიმღერა მიუძღვნა, ჯერ შენი გული უნდა მოიგოს? უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ჯერ ლოგინში უნდა შემოიტყუო და მერე – სიმღერა.**

– ხშირ შემთხვევაში ასეც არის, თუმცა შეიძლება, ვერც შემოვიტყუო და მერე ამაზე დავწერო.

**– ამ ეტაპზე რაზე მუშაობ?**

– მე და თიკა ჯამბურიამ ჩავწერეთ დუეტი, მალე კლიპის გადაღებასაც ვგეგმავთ. ასევე, მარიკო ლეჟავასთან ერთად ვმუშაობ დუეტზე. ნინი წიკლაურთან ორი დუეტი ჩავწერეთ, ერთ-ერთზე ვიდეოს გადავიღებთ. ძალიან მინდა, გადავიღო კლიპი ყველასთვის საყვარელ მელოდიაზე „როცა აყვავდა ნუში." ბატონმა გია ყანჩელმა მომცა უფლება ამ მუსიკაზე, სიმღერის ჩემი ვერსია გამეკეთებინა. ალბათ მე და „აბი" ძალიან მალე გადავიღებთ კიდეც კლიპს ამ სიმღერაზე. გამოდის, რომ პარალელურ რეჟიმში, 3 კლიპზე მომიწევს მუშაობა. ადრე სოლო სიმღერებს ვწერდი, მაგრამ ბოლო დროს დუეტები დამიგროვდა.



**რა დონეზეც მე ვარ, ალბათ, იმ დონეზეა ქართული რეპიც. თუმცა, ასეთი მაგარიც ვერ არის**

**რაღაც ისტორია მაინც უნდა მაკავშირებდეს გოგოსთან, სიმღერა რომ მივუძღვნა, შეიძლება, სერიოზული, ან პირიქით – ძალიან არასერიოზული**

**– სიმღერებსა და კლიპებს, რომლებსაც ინტერნეტში ათავსებ, საოცრად ბევრი გამოხმაურება აქვს.**

– მაგალითად, „თბილისი სითი-2" „აიფონ-5-ით" გადავიღეთ და ვიტყოდი, რომ რევოლუციური პროექტია, რომელსაც 3 თვეში 91 000 ნახვა აქვს ინტერნეტში. დამეთანხმები, ალბათ, რომ, როცა „აიფონით" გადაღებულ კლიპს 3 თვეში 91 000 ნახვა აქვს, ძალიან მაგარია. ბევრმა არც დაიჯერა, რომ ეს პროფესიონალური კამერით არ იყო გადაღებული.

**– ტელეფონით რატომ გადაიღე?**

– ამით იმის დამტკიცება მინდოდა, რომ მთავარია, ხედვა და გემოვნება. თან, ეს სიმღერა რომ ჩავწერე, კლიპის გადასაღები ფული მართლა არ მქონდა. რა უნდა მექნა, უნდა დაველოდებოდი ფულს როდის ვიშოვიდი? არ დაველოდე და დავამტკიცე კიდეც, რომ ფულის გარეშეც შეიძლება, რაღაც-რაღაცეების გაკეთება. მთავარია, მონდომება. 3 თვე კლიპი რომ ვერ გადავიღო, უკვე თვითონვე ძალიან განვიცდი და დისკომფორტში ვარ. სიმღერა ჩემთვის კოკაინივითაა. სიგიჟეა, მაგრამ ასეა. ძალიან ამბიციურად გამომივა, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, უნდა მომბაძონ. ჩემი ცხოვრების სტილს კი არ მიბაძონ, – შემოქმედებას. მე თუ შარშან 6 კლიპი გადავიღე, გადაიღონ სხვას – 2, ან თუნდაც – ერთი. მერე ხომ სხვა სიტუაცია იქნებოდა? მესმის, რომ საერთოდ არაფერი ხდება, მაგრამ ცოტა ჩვენც უნდა მივეხმაროთ შოუ-ბიზნესს ამოქოქვაში.

**– როგორ ფიქრობ საქართველოში დღეს რა დონეზეა რეპი?**

– რა დონეზეც მე ვარ, ალბათ, იმ დონეზეა ქართული რეპიც. თუმცა, ასეთი მაგარიც ვერ არის. წარმოიდგინე, გუნდში 11 ფეხბურთელი, რომელთაგან 4 თამაშობს ძალიან მაგრად. თუმცა, მთლიანობაში, გუნდი მაინც ვერ არის ძლიერი. მაინცდამაინც ვერ ვიხიბლები იმ სახით, რაც დღეს ქართულ რეპს აქვს. არ მიყვარს ამაზე ლაპარაკი, რადგან სხვისი ყურით რომ ვუსმენ, ისე გამოდის, თითქოს ვამბობ, მარტო მე ვარ-მეთქი და სხვებს ვაკრიტიკებ. არა, საბედნიეროდ, არიან ბიჭები, რომლებიც კარგ პროდუქციას ქმნიან. ბევრი ძალიან ზარმაცია, რაც არ მომწონს. მინდა, ყველა იმ ადამიანს ვურჩიო, რომელსაც რეპში მოსვლა უნდა და ფიქრობს, ამდენს ნუ ფიქრობთ, ჯობია, ეს ყველაფერი დღესვე გააკეთოთ, ვიდრე წლების შემდეგ. დრო ძალიან სწრაფად გადის და ის ფიქრში არ უნდა გაატაროთ.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ბერას თემა. ბერამ ძალიან კარგი გააკეთა, რეპს რომ ხელი მოჰკიდა. თითქოს ქართული რეპის მიმართ მიდგომა შეიცვალა ხალხში, რომლებიც ადრე ამ მიმდინარეობას საერთოდ არ „ეკარებოდნენ". მაგალითად, ბევრმა იფიქრა, თუ მილიარდერის ბიჭი რეპერია, ესე იგი, რეპი კარგიაო. ქართულ რეპს ბერა ნამდვილად დაეხმარა.

**მარიკა ხიდურელი**

# როგორ შეუცვალეს თაღლითებმა ცნობილ საქმოსანს 150 ათას დოლარად შეფასებული სამეფო ნივთები

58 წლის ვიქტორ მინდაძე დილემის წინაშე ერთადერთი ქალიშვილის გათხოვებისთანავე დადგა. ცნობილ საქმოსანს, რომელიც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ პატარა ქალაქში ცხოვრობდა, მეცნიერისა და პარტიული ფუნქციონერის ოჯახში შესული ქალიშვილისთვის სათანადო მზითევი უნდა გაეტანებინა. ბინა, აგარაკი, ავტომობილი – მზითევის „ცნობილ ნუსხაში" იყო, მაგრამ მზრუნველი მამა ნანატრი ქალიშვილის ბედნიერების აღსანიშნავად, განსაკუთრებულად ემზადებოდა. სანდო წყაროების მეშვეობით, სანუკვარ საჩუქარს მოსკოვში მიაგნო – მეგობარი უშიშროების პოლკოვნიკის მეშვეობით, ვიქტორ მინდაძე მოსკოვში ცნობილ საქმოსანსა და ანტიკვარებით მოვაჭრეს დაუკავშირდა, რომელიც თავადაც მოსკოვის „კაგებეს" ყოფილი წარმომადგენელი იყო. ის არალეგალურად ყიდდა ავეჯს, რომელიც წარსულში რუსეთის ცნობილი დედოფლის, ეკატერინე მეორის საკუთრება გახლდათ. გარნიტური სულ სამი ნაწილისგან შედგებოდა, მაგრამ მასზე დატვიფრული ემბლემებით დადასტურდებოდა, რომ ეს ავეჯი ეკატერინე მეორემ საჩუქრად პრუსიის მეფისგან მიიღო. მდიდარ საქმოსანს, რომლისთვისაც ავეჯში დასახელებული თანხა – 150 ათასი მანეთი უნდა გადაეხადა, ერთადერთი შვილის სოლიდური მზითვისთვის ნამდვილად ულირდა. მით უმეტეს, რომ ქალიშვილი ცნობილ და გავლენიან ოჯახში შედიოდა რძლად.

ვიქტორ მინდაძემ საქმიანი შვებულება გაიფორმა და ერთი კვირით მოსკოვში ჩავიდა. მივლინების ოფიციალური მიზეზი მოსკოვთან ახლოს მდებარე ტყავის ქარხანაში საქმიანი კავშირი იყო. თუმცა, გამოცდილ საქმოსანს რეალურად მხოლოდ ავეჯის ყიდვა ჰქონდა გადაწყვეტილი. ავეჯის ღირებულება ნაღდი ანგარიშსწორებით უნდა გადახდილიყო. ეს იყო მოლაპარაკების პირობა. ვიქტორ მინდაძემ მოსკოვში ფული საკუთარი რისკის ფასად გაიტანა – ის ბათუმიდან ბორნით ჯერ ოდესაში ჩავიდა და შემდეგ უკრაინიდან გადავიდა მოსკოვში.

ვიქტორ მინდაძის ადგილობრივი მასპინძელი „კაგებეს" ყოფილი თანამშრომელი იყო, მოლთანაც ქართველმა მეგობარმა დააკავშირა. მოსკოველი ჩეკისტი ავეჯის რეალიზაციის შემდგომ წილში თავად გამყიდველს უნდა გაეყვანა. ორივე მხარისთვის პირობა და კონსპირაციის ყველა წესი დაცული უნდა ყოფილიყო. ვიქტორ მინდაძე ეკატერინე მეორის კუთვნილი ავეჯის სანახავად მოსკოვთან ახლოს მდებარე აგარაკზე წაიყვანეს, სადაც საგულდაგულოდ გადაემალათ რარიტეტული ავეჯი. სახლში უცნაურად დამონტაჟებული ტექნიკით ავეჯის ცალკეული

> **საქმოსანმა ფული საკუთარი რისკის ფასად გაიტანა – ის ბათუმიდან ბორნით ჯერ ოდესაში ჩავიდა და შემდეგ უკრაინიდან გადავიდა მოსკოვში**

ნაწილები პულტის მეშვეობით გამოდიოდა კედლიდან. ავეჯის გამყიდველი ანტიკვარებით მოვაჭრე ბერძენი გახლდათ, რომელიც როგორც თავად უმტკიცებდა ქართველ „ცეხავიკს" ამ ავეჯის მეპატრონე მემკვიდრეობით გახდა და საძინებლის გარნიტური ორსაუკუნოვანი იყო. საქმოსანი მოიხიბლა სამეფო კარის ავეჯით. საქმეში ჩახედული მოსკოველი მეგობრების წყალობით, დაადგინა, რომ ავეჯის ფასი რეალურად სამჯერ მეტი იყო. მაგრამ, რადგან მისი გაყიდვა დიდ სკანდალს გამოიწვევდა და ეს არ უნდა გახმაურებულიყო, მას შედარებით იაფად ყიდდნენ. მინდაძემ ფული ქეშად მხოლოდ მას შემდეგ გადაუხადა მოსკოველ საქმოსნებს, რაც დარწმუნდა, რომ ავეჯი კონტეინერში მოათავსეს და კონტეინერი საქართველოსკენ დაიძრა. ამას დათქმულ ერთ კვირაზე მეტი დროც დასჭირდა. ვიქტორ მინდაძე საქართველოში კმაყოფილი დაბრუნდა. უფრო მეტიც, წინასწარ ახარა გავლენიან მძახალს, რომელიც პარტიული ფუნქციონერი იყო, რომ მის ოჯახში იშვიათი, რელიკვიური ნივთები მოხვდებოდა.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ვიქტორ მინდაძემ მალულად ნაყიდი სამეფო ავეჯი მიიღო. ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებლობა მოსკოვში მყოფ – უკვე მის პარტნიორებს, საკუთარ თავზე ჰქონდათ აღებული. ავეჯი დაპირებულ ადგილას დაუზიანებლად ჩამოვიდა. ვიქტორ მინდაძემ საჩუქარი ზარ-ზეიმით გადასცა ქალიშვილსა და მძახლებს და საკუთარ თავსაც კი ვერ უმხელდა იმ სიმაყეს, რაც სამეფო ოჯახის კუთვნილი ავეჯის ხელში ჩაგდებამ მოჰგვარა. ამ ისტორიიდან, ალბათ, ორი თვე იქნებოდა გასული, როცა ვიქტორ მინდაძემ სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ გარნიტურის ერთ-ერთ ნაწილზე არ იყო აღბეჭდილი ის ემბლემა, რაც მან მოსკოვში საკუთარი თვალით ნახა და მის ხელთ არსებულ ფოტოებზეც იყო აღბეჭდილი. ვიქტორ მინდაძემ საქმეში ნაცნობი ოსტატი ჩართო, რომელიც ავეჯის ცნობილი გადამყიდველი იყო. ამის შემდეგ მოუხდა სპეციალისტის ჩამოყვანა მოსკოვიდან. სპეციალისტებმა მინდაძე დაარწმუნეს, რომ მის მიერ შეძენილი საძინებლის გარნიტური, ორსაუკუნოვანი კი არა, ორი ათეული წლის წინ დაამზადეს და სამეფო კარის ცნობილი ავეჯის ზუსტი ასლი გახლდათ. გამოცდილი საქმოსანი დარწმუნდა, რომ თაღლითების მსხვერპლი გახდა. კიდევ ერთი საქმიანი მივლინებით ვიქტორ მინდაძე კვლავ ჩავიდა მოსკოვში, თუმცა ამჯერად ანტიკვარებით მოვაჭრე ბერძენი ველარ იპოვა. ბინა კი, სადაც ის არარეგალურად მიიყვანეს, ძალიან რთული მისაგნები აღმოჩნდა. როგორც შემდგომ ვიქტორ მინდაძე იხსენებდა, ის ბინაში ისე მიიყვანეს სხვადასხვა გზებით, რომ მომავალში იქ მოხვედრა მისთვის შეუძლებელი ყოფილიყო.

დაზარალებულმა საქმოსანმა დაკარგული ფულის დასაბრუნებლად მეგობარ ჩეკისტს მიმართა, მაგრამ ვერაფერს გახდა. უფრო მეტიც, საქმოსანს ერთ დღეს საფოსტო ყუთში დატოვებული ამანათით უპასუხეს, რომლის მიხედვითაც, თუ ის ამ საქმის ირგვლივ დეტალების გარკვევას თავს არ დაანებებდა, ძალიან დიდი პრობლემები შეექმნებოდა. ამ მუქარის მიუხედავად, ვიქტორ მინდაძემ შემდგომ ეტაპზე საქმეში ქურდული სამყაროს წარმომადგენლები ჩართო და ის მაინც შეიტყო, რომ თანხის დიდი ნაწილი ქურდულ სამყაროსა და მის მეგობარ „ჩეკისტებს" შორის გაყოფილიყო. ამიტომ, ამ თანხის ძებნას აზრი არ ჰქონდა. ასე შერჩა ცნობილ საქმოსანს 150 ათას მანეთად, დაპირებული სამეფო რელიკვიური ავეჯის ნაცვლად, რუმინულ ქარხანაში დამზადებული საძინებელის გარნიტური, რომლის ღირებულებაც 16 ათასი საბჭოთა მანეთი იყო.



**ნიკა ლაშაური**

# რატომ მოკლა ძებნილმა მამაკაცმა ყოფილი მეუღლის ქმარი და რა ალიბი შეიქმნა მან მკვლელობის დროს

36 წლის ლევან მ-შვილი საავადმყოფოში დანით მიყენებული ჭრილობებით მოათავსეს. ახალგაზრდა მამაკაცს ერთი ჭრილობა მუცლის, მეორე კი გულმკერდის არეში ჰქონდა მიყენებული. დაჭრილს სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია ჩაუტადა, მაგრამ, შინაგანი ორგანოების მძიმე დაზიანებების გამო, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ლევან მ-შვილის გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. გამოძიებას პირველი ჩვენება მისცა გარდაცვლილის მეუღლემ, რომელმაც განაცხადა, რომ მძიმედ დაჭრილი მეუღლე სადარბაზოში აღმოაჩინა.

ამონაწერი მოწმის, ეკა გ-ძის ჩვენებიდან: „გვიანი საღამო იყო. ლევანი ჯერ არ იყო დაბრუნებული სამსახურიდან და მას ველოდებოდი. უცებ სადარბაზოში ჩოჩქოლი ატყდა და გარეთ გავიქეცი. წაქცეული ლევანი დავინახე – მძიმედ დაჭრილი ჩემი ქმარი კიბის ბაქანზე, სისხლის გუბეში ცურავდა. თითქმის უკვე გონდაკარგული იყო, თუმცა, ხელი მუცელზე ჰქონდა მიჭერილი. კიბის საფეხური სისხლით იყო სავსე. ერთმა მეზობელმა სასწრაფო გამოიძახა, მაგრამ მის მოსვლას არ დაველოდეთ, ლევანი ჩემს მანქანაში ჩავაწვინეთ და მე თვითონ გადავიყვანე საავადმყოფოში. გზაში რამდენიმე წამით მოვიდა გონს, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ შეძლო. პულსი უკვე აღარ ესინჯებოდა. ექიმებმა საოპერაციოში შეიყვანეს, მაგრამ, მუცლის ღრუს დაზიანებები სიცოცხლისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდა...”

დაზარალებული ქალბატონის განცხადებით, მას წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ მოხვდა მძიმედ დაჭრილი მისი მეუღლე სადარბაზოში, თუმცა, წინასწარი მოკვლევითა და ექსპერტიზის დასკვნით, მას თავს სადარბაზოს შესასვლელში დაესხნენ. მძიმედ დაჭრილმა მამაკაცმა მეორე სართულამდე ასვლა შეძლო და გონება დაკარგა.

მამაკაცი, რომელმაც სასიკვდილოდ დაჭრილი ლევან მ-შვილი სადარბაზოში აღმოაჩინა, დაზარალებულების მეზობელთან მიმავალი სტუმარი იყო. მოგვიანებით მან განმარტა, რომ დაჭრილს ის შემთხვევით წააწყდა კიბეზე და დასახმარებლად მაშინვე უხმო მეზობლებს.

გამოძიების მიერ ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით დადგინდა, რომ ლევან მ-შვილი ორი წლის წინ დაქორწინდა ეკა გ-ძეზე. ის კერძო კომპანიაში მუშაობდა და, თავისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მტრები არ უნდა ჰყოლოდა. თავიდანვე გამოირიცხა ყაჩაღური თავდასხმა ძარცვის მიზნით, რადგან, მას ხელზე ეკეთა ოქროს საქორწინო ბეჭედი და ძვირად ღირებული საათი, რომელიც მკვლელს არ წაუღია. ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოძიებას მისცა გარდაცვლილის ძმამ კახა მ-შვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არსებობდა პიროვნება, რომელიც ლევან მ-შვილს ემუქრებოდა, თუმცა, გარდაცვლილს ამის შესახებ მხოლოდ ძმისთვის ჰქონდა ნათქვამი.

როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, ის, ვინც ლევან მ-შვილს მოკვლით ემუქრებოდა, მისი ცოლის, ეკა გ-ძის პირველი ქმარი იყო. ამის შესახებ ლევანს ცოლისთვის არაფერი უთქვამს, რადგან, არ უნდოდა, რომ ორსულ ქალს ენერვიულა. კახა მ-შვილის განცხადებით, მამაკაცების დაპირისპირების მიზეზი თავიდან გახდა მცირე ბიზნესი, რომელიც ეკა გ-ძეს ეკუთვნოდა და, როგორც მისი ყოფილი ქმარი აცხადებდა, ამ ბიზნესიდან ის წილი უნდა წაეღო, რომელიც მან წლების წინ ჩადო საქმეში. ამ გაურკვევლობას მალე ახალი საკითხიც დაემატა: პირველი ქმარი მეორეს ადანაშაულებდა, ჩემს 7 წლის შვილს მამას აძულებო. გარდაცვლილის ძმის, კახა მ-შვილის განმარტებით, მან რამდენჯერმე შესთავაზა ლევანს, საქმეში ჩავერევიო, რაზეც ძმის თანხმობა ვერ მიიღო.

„მკვლელობამდე სამი დღით ადრე ვნახე ლევანი, განერვიულებული მეჩვენა. როცა ვკითხე, რა გჭირს-მეთქი, მითხრა, ის ტიპი ძალიან გადამეკიდა, ყოველ წუთს მირეკავს და, არ ვიცი, ეს ამბავი როგორ დასრულდებაო,” – ასეთი ჩვენება მისცა კახა მ-შვილმა გამოძიებას.

სამართალდამცველებმა, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, 40 წლის დავით კ-ოვის ძებნა დაიწყეს. მათ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, დავით კ-ოვს კრიმინალური წარსული ჰქონდა – რამდენიმე წლის წინ სასჯელს ყაჩაღობისთვის იხდიდა, შემდეგ კი ჩადენილი ძარცვის გამო იძებნებოდა. გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ დავით კ-ოვი სამართალდამცველებისგან თავის დახსნას გაქცევით ცდილობდა. მასზე ძებნის გამოცხადებიდან 24 საათში დავით კ-ოვი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მომენტში დააკავეს. მან თავიდან დუმილის უფლება გამოიყენა, თუმცა, მისი პირველივე ჩვენებებიდანვე ნათელი გახდა, რომ დანაშაული მისი ჩადენილი იყო; დავით კ-ოვი დიდხანს ცდილობდა გამოძიებისთვის კვალის არევას და ამისთვის კარგი ალიბიც ჰქონდა: განაცხადა, რომ იმ ღამეს, როცა ეს მკვლელობა მოხდა, მეგობარ ქალთან ვიყავი წვეულებაზეო. იმავეს ამტკიცებდა მისი მეგობარი ქალბატონიც, თუმცა, დანაშაულის აღიარების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ დავით კ-ოვმა ისე დატოვა მეგობრის სახლი ორი საათის განმავლობაში, ისე მოკლა ლევან მ-შვილი და ისე დაბრუნდა წვეულებაზე, რომ არავის არაფერი შეუმჩნევია. შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი კვალისა და მოპოვებული მტკიცებულებების მიხედვით, გამოძიებამ დავით კ-ოვი დამნაშავედ ცნო. მან აღიარა ჩადენილი დანაშაული, განაცხადა, რომ ლევან მ-შვილი შემთხვევით შემოაკვდა, თუმცა, გამოძიების მიერ მოპოვებული მასალებით დადგინდა, რომ სინამდვილეში მოხდა განზრახ მკვლელობა, რაც ბევრი მტკიცებულებით დადასტურდა.

**წყაროზე სისხლიანი ხელები დავიბანე და ჩემი მეგობარი ქალის დაბადების დღეზე წავედი**

დავით კ-ოვის ჩვენების მიხედვით, ის მკვლელობის წინა დღეს სამსახურთან დახვდა ლევან მ-შვილს და საქმის გარჩევა დაუწყო. მათი საუბარი ჩხუბში გადაიზარდა. დავით კ-ოვი ლევან მ-შვილს ათი ათას დოლარს სთხოვდა: ეს თანხა ჩავდე შენი და შენი ცოლის ბიზნესში და ახლა შენ უნდა გადამიხადოო. დავით კ-ოვის განმარტებით, ლევან მ-შვილმა მას სთხოვა, ეკამ ჩვენი შეხვედრების შესახებ არაფერი იცის, არ დაურეკო და არ ანერვიულოო, შემდეგ კი ისიც უთხრა, რომ კაპიკის გადამხდელი არ იყო. დავით კ-ოვი მეორე დღეს სამსახურთან ჩაუსაფრდა ლევან მ-შვილს, მაგრამ, რადგან ლევან მ-შვილი სამსახურიდან მეგობრებთან ერთად გამოვიდა, მასთან დალაპარაკების საშუალება არ მიეცა, ამიტომ, ის მალულად აედევნა და სახლამდე გაჰყვა მას.

ამონაწერი ბრალდებულის ჩვენებიდან: „სადარბაზოში შევიდა თუ არა, მეც შევყევი. ჯიბეში დანა მედო. ლევანმა რომ დამინახა, არ გაჩერდა, გზა განაგრძო. რა მშიშარა ხარ, ბიჭო, დამელაპარაკე-მეთქი, ვუთხარი თუ არა, დედა შემაგინა. ეს ვერ ვაპატიე და გამოვეკიდე. ჩემკენ რომ შემოტრიალდა, დანა ორჯერ ჩავარტყი და იქაურობა მაშინვე დავტოვე. ჩემს მანქანაში ჩავჯექი. ერთ ადგილას წყარო მეგულებოდა, იქ გავჩერდი, სისხლიანი ხელები და სახე მოვიბანე და ჩემი მეგობარი ქალის დაბადების დღეზე წავედი.”

სასამართლომ დავით კ-ოვი დამნაშავედ ცნო ლევან მ-შვილის განზრახ მკვლელობაში. მან არ დააკმაყოფილა განსასჯელის ადვოკატის შუამდგომლობა სასჯელის შემსუბუქებაზე, რომლის მიხედვითაც, განსასჯელი მოხუცი და ავადმყოფი მშობლების ერთადერთი დამხმარე იყო და, ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვის მას 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 3 თებერვალი

1815 – შვეიცარიაში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ყველის ქარხანა.

1830 – გამოცხადდა საბერძნეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა. მანამდე ის თურქეთის სულთნის უღელქვეშ იყო.

1995 – ჩატარდა „ნატოს“ პირველი სამხედრო სწავლებები ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

### 4 თებერვალი

1906 – ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დამნაშავეთა იდენტიფიკაციისთვის თითის ანაბეჭდების გამოყენების შესახებ.

1945 – დაიწყო იალტის კონფერენცია. ერთმანეთს შეხვდნენ სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურები: სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი.

### 5 თებერვალი

1904 – ჰავანაში მოხსნეს ამერიკული დროშა, რომელმაც 7 წლის წინ შეცვალა ესპანური. სალუტების თანხლებით აღიმართა კუბის დროშა.

1935 – დაადგინეს, რომ პროფესიულ კრივში ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად 15 რაუნდზე მეტი არ გაიმართებოდა.

1991 – ყირგიზეთის დედაქალაქს 75 წლის შემდეგ ფრუნზეს მაგივრად დაერქვა ბიშკეკი.

### 6 თებერვალი

1191 – პაპმა კლიმენტი მესამემ დაამტკიცა ტევტონთა რაინდული ორდენი.

1901 – პარიზში სარკინიგზო სადგურებზე გაჩნდა პირველი საზოგადოებრივი ტელეფონები.

1934 – ფაშისტური პუტჩის წარუმატებელი მცდელობა საფრანგეთში.

2004 – ტერაქტი მოსკოვის მეტროში, დაიღუპა 42 ადამიანი.

### 7 თებერვალი

1992 – ნიდერლანდების ქალაქ მაასტრიხტში ხელი მოეწერა „ევროპის კავშირის ხელშეკრულებას“. რომელიც ითვალისწინებდა ევროპის ეკონომიკური კავშირის ქვეყნების ახალ ეკონომიკურ სავალუტო და პერსპექტივაში პოლიტიკურ კავშირს.

### 8 თებერვალი

1600 – ინკვიზიციის სასამართლომ ჯორდანო ბრუნოს ცოცხლად დაწვა მიუსაჯა.

1923 – ალბერტ აინშტაინი გახდა თელ-ავივის პირველი საპატიო მოქალაქე.

1924 – ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველად იქნა სისრულეში მოყვანილი სასიკვდილო განაჩენი გაზის კამერის საშუალებით.

1969 – ჰაერში აიჭრა პირველი „ბოინგ 747“.

### 9 თებერვალი

1861 – ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთის შტატებმა გამოაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

1893 – მსოფლიოში სტრიპტიზის პირველი სეანსი გაიმართა „მულენ რუჟის“ სცენაზე. პარიზელი სტუდენტების მოწყობილ საღამოზე, იმპროვიზებულ სილამაზის კონკურსზე მოდელმა, ფსევდონიმით მონა, ყველას თვალწინ გაიხადა. ამის გამო ის დაიჭირეს და დააკისრეს 100 ფრანკის გადახდა, რამაც მასობრივი არეულობები გამოიწვია საფრანგეთის დედაქალაქში.

1895 – ამერიკელმა მორგანმა გამოიგონა ხელბურთი.

1926 – ატლანტაში აიკრძალა დარვინის ევოლუციის თეორიის სწავლება სკოლებში.

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**კითხვა: მართალია, საქართველოში დიდი ყინვები არ იცის, მაგრამ, არის თუ არა რისკი, რომ გარეთ გაყვანისას ცხოველს რომელიმე კიდური მოეყინოს?**

**პასუხი:** ზამთარში მოყინვის რისკის ქვეშ ძირითადად ის ცხოველები არიან, რომლებიც ეზოში იმყოფებიან. მართალია, საქართველოში ძალიან დიდი ყინვები არ იცის, მაგრამ, მოყინვის რისკი მაინც არის. ძაღლს, შეიძლება, მოეყინოს კუდის ბოლო, ყურის წვერი, თათები, ტანი; მამრებს – სათესლე ჯირკვლებიც და ასე შემდეგ. მოყინული ადგილი, სხვა ნაწილებთან შედარებით, ჩვეულებრივზე მეტად ცივი და ფერმკრთალია. როგორც დამწვრობის ხარისხი არსებობს, ასევეა მოყინვის შემთხვევაშიც. რადგან ჩვენთან დიდი ყინვები არ არის, შესაბამისად, მოყინვის იოლი ფორმა ფიქსირდება. მოყინვის დროს მნიშვნელოვანია პირველი დახმარების გაწევა: სახლის პირობებში, ძაღლი უნდა მოვათავსოთ თბილ ოთახში და დავაფაროთ თბილი პლედი, გაყინული ადგილი კი თანდათანობით, ნელ-ნელა უნდა შევუხვიოთ. მიუხედავად თქვენი დახმარებისა, თუ მას რამდენიმე საათში არ დაუბრუნდა მოყინულ ადგილზე მგრძნობელობა და ტემპერატურა სხვა კიდურების თანაბარი არ გახდა, აუცილებლად უნდა მიმართოთ ვეტერინარს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, საკმაოდ ღრმა პროცესები წავიდეს და განგრენა განვითარდეს. შეიძლება, ზოგადმა მდგომარეობამაც იმოქმედოს და ცხოველი შოკში ჩავარდეს. შოკში ჩავარდნის დროს ძაღლი გონებას კარგავს, ტემპერატურა მკვეთრად ეცემა და ის არაფერზე აღარ რეაგირებს. ასეთ დროს, უპირველეს ყოვლისა, მას მოყინულ ადგილას თბილი „გრელკა" უნდა დაადოთ, პირსახოცით შეუკრათ და წაიყვანოთ ვეტერინართან. მოყინვები ჯიშიან ძაღლებში უფრო ხშირია, განსაკუთრებით, თუ ის ეზოში ან ვოლიერში ცხოვრობს. როცა ძაღლი ვოლიერშია და დღის განმავლობაში, ნაკლებად გადაადგილდება, ორგანიზმში ტემპერატურის გამომუშავება იკლებს და ცხოველი კანკალს იწყებს, კუნთების კანკალის ხარჯზე კი ის ათბობს ორგანიზმს.

**კითხვა: მაინტერესებს, შეიძლება თუ არა ძაღლისთვის ანტიბიოტიკის მიცემა?**

**პასუხი:** გააჩნია, რა შემთხვევაში. გაითვალისწინეთ ის ფაქტი, რომ დაუშვებელია ანტიბიოტიკის თვითნებურად გამოყენება. ლაბორატორიული გამოკვლევის გარეშე მათი დანიშვნა ან ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის თვითნებური შეწყვეტა, აუარესებს ძაღლის შემდგომ მდგომარეობას. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო გენტამიცინისა და ბისებტოლის თვითნებური გამოყენების დროს. აღნიშნულ პრეპარატებს ახასიათებს მაღალი ნეფროტოქსიურობა და იწვევს ჰიპერსალივაციას და ღებინებას. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზოგი სახის ვეტერინარული პრეპარატის გამოყენება დაუშვებელია დიაგნოზის დაზუსტების გარეშე, მათი ტოქსიკურობისა და ზოგიერთი ჯიშის გენეტიკური თავისებურებების გამო. ასე რომ, ნუ გარისკავთ და ნუ ჩააგდებთ თქვენი ძაღლის სიცოცხლეს საფრთხეში.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

> **ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.**
>
> **გოეთე**

**კითხვა: რა ტემპერატურა და სინათლე სჭირდება ლანთანას?**

**პასუხი:** მისთვის აუცილებელია კაშკაშა სინათლე, ამიტომ, ზამთარში ყველაზე ნათელ ადგილას დადგით. გარდა ამისა, სჭირდება ნორმალური ტემპერატურა. მისთვის ზამთარში მინიმალური ტემპერატურაა 10 გრადუსი. თუ მცენარეს ფესვები ტენიანი აქვს, ზაფხულის სიცხესაც აიტანს. ის მშვენივრად გრძნობს თავს ზომიერი კლიმატის პირობებში, სუბტროპიკებში კი სარეველად იზრდება.

**კითხვა: ბინაში მაქვს ჩინური ვარდი. იქნებ, ამიხსნათ, რა რაოდენობით წყალი სჭირდება წელიწადის სხვადასხვა დროს?**

**პასუხი:** დიდ მცენარეს ზაფხულობით რეგულარული მორწყვა სჭირდება – მიწა მუდამ ტენიანი უნდა ჰქონდეს; ზამთრობით კი მორწყვა შეამცირეთ და მორწყვიდან მორწყვამდე მიწას შეშრობა აცადეთ. გაზაფხულზე ნიადაგის კალიუმიანი სასუქით განოყიერება ხელს უწყობს მის ყვავილობას.

**კითხვა: იოლია თუ არა გარდენიას გაზრდა და როგორ მოვუარო?**

**პასუხი:** მცენარე მჟავე ან ნეიტრალური რეაქციის მქონე ნიადაგში გაზარდეთ. სჭირდება სტაბილური ტემპერატურა და ტენიანობა. ყვავილობისთვის ღამის ტემპერატურა 18 გრადუსზე დაბალი უნდა იყოს, ხოლო დღისა 22 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. მოარიდეთ ორპირ ქარს და ნურც ადგილს შეუცვლით.

**კითხვა: როგორ ვაყვავილო დენდრობიუმი?**

**პასუხი:** დენდრობიუმის არაერთი სახეობა არსებობს, რომელთაგან მრავალი ჰიბრიდია შექმნილი. მათი ყვავილები კაშკაშა ყვითელი, სალათისფერი, ვარდისფერი ან იისფერია. ზოგს დიდფურცლიანი ყვავილები აქვს, ზოგსაც – ნაზი და ვიწროფურცლიანი და ყველა ძალიან ლამაზია. „კეთილშობილი" დენდრობიუმი, თავის ჰიბრიდებთან ერთად, ტკბილ სურნელებასაც აფრქვევს. სიგრილე და სინათლე ხელს უწყობს მის ყვავილობას. მძიმეთავიან საყვავილე ღეროებს, შეიძლება, საყრდენი დასჭირდეს. ყოველი მორწყვისას ნიადაგი ორქიდეებისთვის განკუთვნილი სასუქით გაანოყიერეთ. ტენი არ მოაკლოთ, რადგან, სიმშრალეს ვერ იტანს, განსაკუთრებით – სიცხეში.

**კითხვა: ჩემმა კუფეამ ზამთარში მოიწყინა. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

**პასუხი:** ცივ ზამთარში შეიძლება კუფეამ მოიწყინოს, მაგრამ, ნუ დარდობთ, ის გაზაფხულზე მალევე დაიბრუნებს ჩვეულ ფერადოვნებას. მას განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდება. ორ კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით, გაზაფხულზე კი, თუ სიმაღლეში გადაჭრით, ახალ საყვავილე ღეროებს ამოიყრის.

**კითხვა: რა სიხშირით უნდა მოვრწყათ ციპერუსი?**

**პასუხი:** ციპერიუსის ფესვები მუდამ ტენიანი უნდა იყოს. მოზრდილ მცენარეს ზაფხულში ბევრი წყალი სჭირდება, ამიტომ, ქოთანი ღრმა, წყლიან ჯამში ჩადგით, საიდანაც მუდამ ექნება წყლის შეწოვის საშუალება. ზაფხულში, აქტიური ზრდის პერიოდში, მისი ნიადაგი ბალანსირებული თხევადი სასუქით გაანოყიერეთ. მზეზე მყოფ მცენარეს მაღალი სინესტე სჭირდება, რათა ფოთლის წვეროები არ გაუხმეს.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



**რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე**

**კითხვა: მყავს ავტომობილი „მიცუბიში ეკლიფსი“, 1997 წლის გამოშვება, 2.0 ძრავით, მართვის ავტომატური კოლოფით. ხელსაწყოების დაფაზე „ჩეკის“ სიგნალს ანთებს. ავტომობილი დიაგნოსტიკისთვის მყავდა „თეგეტა მოტორსში“, „მიცუბიშის“ ცენტრში, ასევე, რამდენიმე ხელოსანთან, მაგრამ მანქანის კომპიუტერთან დაკავშირება ვერავინ მოახერხა (ახერხებდნენ მხოლოდ უსაფრთხოების ბალიშების მართვის სისტემასთან დაკავშირებას). ეგრეთ წოდებული „პრაზვონკა“ გავაკეთებინე, მაგრამ უშედეგოდ. აკუმულატორის კლემის ჩახსნისას „ჩეკი“ ქრება და მანქანის გაწევა იმატებს. მერე კი მუშაობის დროს, დაახლოებით 30-40 კილომეტრის გავლის შემდეგ, „ჩეკი“ კვლავ ინთება და მანქანა გაწევას კარგავს. ავტომობილზე შეცვლილი მაქვს ფილტრები, კოლოფის ზეთი, ეგრეთ წოდებული „სვეჩები“ და „სვეჩის” კაბელები. იქნებ მირჩიოთ როგორ მოვიქცე, ან სად მივიდე, რომ როგორმე დავადგინო „ჩეკის“ ანთებისა და გაწევის შემცირების მიზეზი?**

*ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
მიხაილ შუმახერი

**პასუხი**: ამ ბოლო დროს, ძალიან ხშირად მესმის მსგავსი პრობლემის შესახებ, რომ სხვადასხვა „ჯიშის თუ მოდგმის” ავტომობილების კომპიუტერებთან დაკავშირებას ვერ ახერხებენ. როგორც რამდენიმე ექსპერიმენტმა აჩვენა, ეს არ არის ხელსაწყოს ბრალი, არამედ, რიგ შემთხვევებში სადენებზე სათანადო კონტაქტის არარსებობა იწვევს ამას, რაც „პრაზვონკით“ ისინჯება, მაგრამ სათანადო დატვირთვის დროს, კარგავს სიგნალს. მეორე მიზეზით თვითონ კომპიუტერის ის ნაწილია გამოსული მწყობრიდან, რომელიც უზრუნველყოფს გარე სადიაგნოსტიკო ხელსაწყოსთან უწყვეტ კავშირს. თვითონ კომპიუტერი სიგნალს პრობლემის შესახებ იღებს, მაგრამ დიაგნოსტიკის აპარატამდე ვერ აწვდის. ეს ძირითადად, ქმნის იმის პრობლემას, რომ ვერ ვპოულობთ, კომპიუტერი ვერ გვაწვდის ინფორმაციას, თუ რომელ მოწყობილობას უჭირს. იმის გამო, რომ კომპიუტერს მისდის ინფორმაცია რომელიღაც დეტალის გაუმართაობის შესახებ, ის გადადის ავარიული მართვის რეჟიმში და უარესდება როგორც გაწევა, ასევე, იმატებს წვა და ასე შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ გამორიცხვის მეთოდი თუ დაგეხმარებათ და უნდა შეცვალოთ სენსორები. ნახეთ თქვენნაირი მანქანა და მორიგეობით გასინჯეთ, გადაამოწმეთ ჰაერის დოზის დამთვლელი, კომპიუტერთან ტემპერატურის მიწოდების სენსორი, ლამბდა სენსორი და ასე შემდეგ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „გაზ 21“ („ვოლგა”), რომელსაც შეექმნა პრობლემა - მუდმივად ცხელდებოდა წყალი. ამის გამო ავტომობილში შევცვალე ძრავა და ჩავდგი „გაზ-24-ის” ძრავა. ამით მდგომარეობა არ გამოსწორდა. ამის შემდეგ, რადიატორს მოვაჭერი ზედა თავი, გავწმინდე და თერმოსტატი ამოვიღე. პომპა წყალს ატრიალებს, ცირკულაცია კეთდება, მაგრამ პრობლემა არ გამოსწორდა – 10-15 კილომეტრის გავლის შემდეგ, უფრო მეტად აღმართზე, წყლის ტემპერატურა ას გრადუსს სცილდება. იქნებ მირჩიოთ, როგორ მოვიქცე და როგორ გამოვასწორო ეს მდგომარეობა?**

**პასუხი**: ჩამოგითვლით, რამ შეიძლება გამოიწვიოს ამ ტიპის ავტომობილებში წყლის გაცხელება და მივყვეთ ლოგიკურად: რა შეიძლება, სჭირდეს თქვენ ავტომობილს. პირველი და უმარტივესი, შეიძლება ეს იყოს გაბიდნული რადიოტორი, რაც ავტომატურად გამორიცხულია, რადგან თქვენი რადიატორი დაშლილი და გაწმენდილია. მეორე – გაუმართავი თერმოსტატი, მაგრამ ეს პრობლემაც მოგიგვარებიათ. მესამე – ძალიან პრიმიტიული რადიოატორის ხუფი, საიდანაც წყალს ვასხამთ. შეიძლება სისტემა ან ზედმეტად ჰერმეტულია ან პირიქით, ნაკლებად ჰერმეტული. ორივე შემთხვევა წყლის გაცხელებას გამოიწვევს. გადაამოწმეთ ხუფი. მეოთხე: ეს შეიძლება იყოს წყლის პომპა, რომელიც შეიძლება ატრიალებს წყალს, მაგრამ არა სათანადოდ, რაც „ვოლგის“ შემთხვევაში ხშირია. ნუ დაიზარებთ, მოხსენით პომპა და დააკვირდით მისი ფრთები მთელია თუ არა და ცენტრი არის თუ არა სათანადოდ ჩაპრესილი. (ის არ უნდა ბრუნავდეს ღერძისგან დამოუკიდებლად). მეხუთე – დაზიანებულია „გალოვკის პრაკლადკა“ ან თვითონ „გალოვკა“. თქვენ შემთხვევაში, ორივე ძრავას ერთნაირი პრობლემა უნდა ჰქონოდა, რომ წყალი გაეცხელებინა, რაც ნაკლებად სავარაუდოა. მაგრამ, მაინც საჭიროებს გადამოწმებას. გადამოწმებისთვის ძრავას მუშაობის დროს საჭიროა, გაისინჯოს, ხომ არ იპარება ცილინდრებში წარმოქმნილი კომპრესიის გაზები წყალში ან წყლის სისტემაში. სამწუხაროდ, ხშირად, ტრადიციული მეთოდით გადამოწმება (რადიატორის ხუფის მოხსნა და ხელის დაჭერით გასინჯვა) არ ამართლებს, რადგან ხშირ შემთხვევაში, გაზები სწორედ მაშინ იწყებს გაპარვას, როცა ძრავა ცხელდება და გარკვეულწილად, დეფორმირდება. შემოწმებისთვის არსებობს სპეციალური აპარატი, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ სერვისცენტრებში ან კარგ პროფილაქტიკებშია. გამონაკლისის სახით, უფრო დეტალური განმარტებებისთვის, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ და დაგვიტოვოთ თქვენი ნომერი. მევლუდ მელაძე თავად დაგიკავშირდებათ.

**ჟურნალი „თბილისელები“ გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვინ „დაჩეხა” მარიამ საჯაია ნაჯახით და რატომ დაინტერესდა მისით ცნობილი ამერიკელი სენატორი

(მე-18 გვერდიდან)

თავს და თმას ვარცხნიან. მე ისე დაკავებული ვიყავი ჩემი საქმით, ხშირად ვერ ვიცლიდი იმისთვის, რომ ბავშვისთვის ის გამეკეთებინა, რაც დედის ვალია. მარიამი თავიდანვე დამოუკიდებელი და ორგანიზებული ბავშვი იყო, გადაწყვეტილებებს თვითონ იღებდა, მე მხოლოდ დამხმარე ვიყავი ამ გადაწყვეტილებების განხორციელებაში.

**– ვისთან ერთად ცხოვრობს ის ვაშინგტონში?**

– მის უნივერსიტეტში სწავლობს ელენე სააკაშვილი; ჩემი ორი ძმისშვილიც ამერიკაში სწავლობს. მარიამი ყველაზე ხშირად მათთან ერთადაა. ელენე და მარიამი ერთ სახლში არ ცხოვრობენ, მაგრამ ერთად სწავლობენ და ძალიან მეგობრობენ.

**– ამერიკაში ცხოვრობს ექსპრეზიდენტიც. ნახულობს მას მარიამი?**

– როგორც ვიცი, მიხეილ სააკაშვილი სხვა ქალაქში ცხოვრობს. სექტემბერში მარიამი შეუერთდა დელეგაციას, როცა მიხეილ სააკაშვილი ამერიკაში იყო ჩასული. მარიამიც ესწრებოდა შეხვედრებს მაკკეინთან, ჯინ შაჰინთან. ეს არის ძალიან ცნობილი ქალი სენატორი, რომელიც ძალიან ლობირებს ქალებს პოლიტიკაში. მარიამმა მითხრა, შაჰინმა თავის სტაფერს უთხრა, მარიამის ტელეფონის ნომერი და კოორდინატები ჩაიწერეო. ამ კვირაში შეხვედრაზე დაიბარეს. მარიამი არ შორდება პოლიტიკურ პროცესებს. ახლა, როცა აქ იყო ჩამოსული, პოლიტსაბჭოს სხდომებსაც ესწრებოდა – ეს მისი საქმეა. მოვიდა პოლიტიკაში?! თოჯინა კი არაა, გადახტეს აქეთ-იქით, ბოლომდე უნდა გაიზიაროს ის საქმე, რომელშიც არის ჩართული.

**– მარიამის შვილს თქვენ ზრდით?**

– ბუკა ძირითადად ჩემთანაა, თუმცა, მის გაზრდაში ძალიან აქტიურად არიან ჩართულები ბავშვის მამა, ბებია. ახლა, საახალწლოდ, მარიამიც იყო ჩამოსული. უნდა გენახათ მონატრებული დედა-შვილის შეხვედრის სცენა! მე არ ვარ ნამყოფი ამერიკაში და, გადავწყვიტე, რომ მაისში ბუკასთან ერთად წავიდე მარიამთან. გამოსაშვებ საღამოს დავამთხვევ – იქ ხომ მაგისტრატურის გამოსაშვებ საღამოებს განსაკუთრებით პომპეზურად აღნიშნავენ. ჩვენი ჩასვლა კარგი სიურპრიზი იქნება მარიამისთვის.

**თამუნა სამადაშვილი**



- ის, ვინც ყოფს? / ხალხი
- ცხრაკაცა / საგანგებო საბუთი
- ქრისტიანთა სიმბოლო / ლოგინი
- უთარგმნელი ფრაზა
- საუკეთესო კოჭი
- დიდგვაროვანი
- იბრძოლა ანუ?
- 11-მეტრიანი / ტანჯვა
- ქალის რუსული სახელი
- გეომეტრიული რიცხვი
- გაჩერდი!
- საჯარისო ერთეული
- ზაფხულის ხილი
- სომხეთშია (......)-ბერდი
- გაფრინდაშვილი
- მართალი პატიოსანი
- სასწორის თეფში
- ყაზახეთ. მდინარე / მოსეს ძმა
- ავანსი / ბროლის სახეობა
- დარიჩინის, უცხო სუნელის
- ერთ-ერთი აზიელი
- ჩრდ. ამერიკელი ინდიელი
- ერთ-ერთი სლავი
- თბილისის უნივერსიტეტი
- გერმანიის ქალაქი
- დიპლომატთა წერილი
- ძველი სომხეთის ქალაქი
- ნადირია ასეთი / იგივე ნიბლია
- ათის კუბი / კაკულია
- შაშხი / ყვავილი
- ესკორტი
- გურამ ფანჯიკიძის რომანი
- ქართულ. საბჭოთა ენციკლოპედია
- ბიბლიური პერსონაჟი
- ....პაკიენი, მრბოლელი
- კლდიაშვილის მშობლ. სოფელი
- საბერძნეთის დედაქალაქი
- მუშკეტერი №1
- ზღვატბა შუა აზიაში
- ხელოვნური ენა
- კარგი!
- ქალაქი აშშ-ში / უბრალო ქსოვილი
- ერთი წარმომავლობის ხალხი
- ბურიატიის დედაქალაქი
- ნარდის კამათელი
- დიდი ჩაქუჩი
- არაბთა ნაცვალი / ალაზას ძმა
- კაცის პოლონური სახელი
- ელემენტ რადონის ადრეული სახელი
- ვალოდია აბულისთვის
- ფართობის საზომი
- ჰოსპიტალი / „ცისფერი“
- უდანაშაულობის საბუთი
- სული (ლათ.)
- ონკანი / აკაკის ინსტრუმენტი
- ჩინელი, კორეელი, ირანელი
- იტალიის ქალაქი
- ნელი სიარული
- ძალიან ძველის წინსართი
- განსამარტი სიტყვა
- პლანეტა
- ბაირონის პოემა
- რუსული „ჯიპი“
- პატარა მდინარე
- ხაიამი
- დანიის ტერიტ. ადმინ. ერთეულ.
- ხელმისაწვდომი ფასისა
- ენერგოკომპანია
- (.......) პუგაჩოვა
- საკომუნიკაციო ნაგებობა
- პატარა ტანის ადამიანი
- ჩვენი მოჭადრაკე ქალი
- ფესვის ამოღების ნიშანი
- გაძლება
- ბედნიერების სიმბოლო
- ანეკდოტების გმირი
- კროსვორდის დასასრული
- ფერფლი
- იგივე იგრიკა
- არქიტექტურის სტილი

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 3 1 |
| 2 | 3 1 |
| 3 | 4 1 |
| 4 | 4 1 |
| 5 | 3 1 |
| 6 | 4 1 |
| 7 | 5 1 |
| 8 | 6 |
| 9 | 14 3 |
| 10 | 19 1 |
| 11 | 10 4 2 |
| 12 | 6 3 1 |
| 13 | 3 3 1 2 |
| 14 | 3 1 6 1 1 |
| 15 | 3 2 1 2 1 1 |
| 16 | 8 2 1 1 |
| 17 | 8 2 2 |
| 18 | 8 2 2 |
| 19 | 4 3 1 1 |
| 20 | 4 1 2 1 1 |
| 21 | 4 3 2 |
| 22 | 9 1 1 |
| 23 | 7 5 2 1 |
| 24 | 25 1 |
| 25 | 24 1 |
| 26 | 20 2 |
| 27 | 7 |
| 28 | 7 1 |
| 29 | 7 1 |
| 30 | 5 1 |
| 31 | 4 1 |
| 32 | 3 1 |
| 33 | 3 1 |
| 34 | 1 |
| 35 | 1 |

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 7 |
| 2 | 10 |
| 3 | 11 |
| 4 | 13 |
| 5 | 2 3 4 |
| 6 | 2 1 3 1 4 |
| 7 | 2 3 5 |
| 8 | 9 6 |
| 9 | 6 4 4 |
| 10 | 2 2 4 6 |
| 11 | 4 2 2 7 |
| 12 | 5 1 2 7 |
| 13 | 6 3 7 |
| 14 | 8 1 8 |
| 15 | 9 8 |
| 16 | 8 3 4 |
| 17 | 3 2 3 4 |
| 18 | 3 2 3 4 |
| 19 | 2 2 3 2 |
| 20 | 1 2 3 1 |
| 21 | 2 3 |
| 22 | 2 3 |
| 23 | 2 3 |
| 24 | 3 3 |
| 25 | 3 3 |
| 26 | 3 3 |
| 27 | 6 3 |
| 28 | 1 1 2 4 |
| 29 | 1 1 1 2 1 1 |
| 30 | 7 18 8 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 1 | 5 | | 6 | | 9 | |
| 3 | 8 | | 1 | | 7 | 4 | | 6 |
| | 5 | | 4 | 8 | | 1 | 7 | |
| 9 | | 5 | | 4 | | 6 | 8 | 1 |
| | 1 | 7 | 8 | | 2 | | 4 | |
| 8 | 4 | | 6 | 5 | | 7 | 2 | |
| 5 | | 8 | | | 4 | | 1 | 7 |
| | 9 | | 3 | 7 | | 5 | 6 | 4 |
| 7 | 6 | | 9 | 1 | 5 | | 3 | |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2 | | 8 | | 1 | | 7 | |
| 4 | 5 | | | | | 3 | | 1 |
| | | | 5 | 4 | | | 2 | |
| | 6 | | | 1 | | | 3 | |
| | 4 | | | 7 | | 1 | | 2 |
| 9 | | | 3 | | | | 4 | |
| | | | | | | | 1 | |
| | 7 | | | | 9 | | 5 | |
| 1 | | 8 | | 5 | | 4 | | 9 |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად






ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია
თამარაშვილის №36
ტელ.: 272 9191

# იპოვეთ ათი განსხვავება





## დაეხმარე გზის გაქვლევაში



## დათვალე თევზები



## გარეული კატა და აფროდიტე

### (იგავ-არაკი)

გარეულ კატას ერთი მზექაბუკი შეუყვარდა. შეყვარებული კატა აფროდიტეს შეეხვეწა, ქალად მაქციეო. ქალღმერთმა შეიწყნარა კატის თხოვნა და მზეთუნახავად აქცია. მზექაბუკი მოიხიბლა ქალის მშვენიერებით და გადაწყვიტა, ცოლად შეერთო.

აფროდიტემ იფიქრა: მოდი, ვნახავ, გარეგნობასთან ერთად ზნეც თუ შეიცვალა კატამო, და როცა ნეფე-დედოფალი საქორწილო სუფრას უსხდნენ, თაგვი გაუშვა. დედოფალს დაავიწყდა ქალობა და თაგვს გამოუდგა დასაჭერად. ქალღმერთი განრისხდა და კატას ადრინდელი სახე დაუბრუნა.

ბუნებით ბოროტი ადამიანი, რა გინდ არ უნდა ეცადოს, მაინც ბოროტი რჩებაო.

## რიცხვრებუსი

9,, 1,,, 0,,, ,,,0

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| შოკოლადის ხე / დედმამიშვილი | | | მწერი / რძის ნაწარმი | |
| | | | | |
| დაბალის საწინააღმდეგო / საკრავი | | | | |

# იპოვე შენი მეორე ნახევარი?!

*როგორ უნდა გაიგო, ვისთან იქნები ბედნიერი? ადამიანებს ერთმანეთის შეცნობა უჭირთ, მით უფრო, როცა შეყვარებული არიან. უპასუხეთ შეკითხვებს:*

**1. რას იტყვით საკუთარ თავზე?**
ა) ლამაზი არ ვარ და ნეტავი, ვინმეს ვჭირდები? – 1 ქულა;
ბ) ისეთი კარგი ვარ, უკეთესი არ შეიძლება – 6 ქულა;
გ) იუმორის გრძნობა მშველის – 3 ქულა;
დ) ძალიან ჭკვიანი ვარ – 9 ქულა;
ე) მთავარია, ვიცი, თავი როგორ მოვაწონო – 5 ქულა.



**2. პრობლემას თავად გადაჭრით?**
ა) ყოველთვის ასე ვაკეთებ – 9 ქულა;
ბ) ხშირად მე ვჭრი პრობლემებს – 7 ქულა;
გ) რჩევები მჭირდება ხოლმე – 6 ქულა;
დ) მე რჩევები სულ მჭირდება – 4 ქულა;
ე) რჩევას არასდროს არავის ვეკითხები – 2 ქულა.

**3. შეყვარებულს დაბადების დღე აქვს.**
ა) ვაჩუქებ რამე სუვენირს – 0 ქულა;
ბ) ღვინოს ან ტკბილეულს ვუყიდი – 4 ქულა;
გ) რამეს მოვიფიქრებ – 3 ქულა;
დ) სუნამო საუკეთესო გამოსავალია – 5 ქულა;
ე) საჩუქარი – რა პრობლემაა, ვუყიდი რამეს – 8 ქულა.

**4. ენდობით ინტუიციას?**
ა) ყოველთვის – 4 ქულა;
ბ) ხშირად ვენდობი – 8 ქულა;
გ) ზოგჯერ ვენდობი – 6 ქულა;
დ) ძალიან იშვიათად ვენდობი – 3 ქულა;
ე) არ ვენდობი – 1 ქულა.

**5. თუ შეყვარებული გეუბნებათ, რომ უნდა თავისი მშობლები გაგაცნოთ:**
ა) განსაკუთრებით გამოვიპრანჭები – 4 ქულა;
ბ) არ წავალ იმათ გასაცნობად – 9 ქულა;
გ) ამას ყურადღებას არ მივაქცევ – 7 ქულა;
დ) წავალ და ვეცდები, თავი მოვაწონო – 1 ქულა;
ე) ძალიან ვინერვიულებ – 8 ქულა.

**6. როცა ცეკვებზე გეპატიჟებიან:**
ა) ნახევარ საათზე მეტს ვერ ვუძლებ – 1 ქულა;
ბ) მივდივარ და ვუყურებ – სულ ეს არის – 3 ქულა;
გ) მიყვარს ცეკვები – 8 ქულა;
დ) ვიცეკვებ გადაღლამდე – 5 ქულა;
ე) თუ ბარია, წავალ – 4 ქულა.

**7. რატომ გაშორდებით შეყვარებულს?**
ა) თუ მეწყინება – 7 ქულა;
ბ) თუ სხვაზე გამცვლის – 3 ქულა;
გ) თუ თვითონ გამშორდება – 1 ქულა;
დ) თუ ერთმანეთს ვერ გავუგებთ – 9 ქულა;
ე) თუკი აღარ მეყვარება – 6 ქულა.

**8. საყვარელი ადამიანის გარეშე ყოფნა გინდებათ? მოგწონთ მარტოობა?**
ა) ზოგჯერ – 4 ქულა;
ბ) საკმაოდ ხშირად – 1 ქულა;
გ) იშვიათად – 8 ქულა;
დ) არასოდეს – 3 ქულა;
ე) ჯერ ასეთი მომენტი არ მქონია – 7 ქულა.

**9. რა უნდა ჰქონდეს აუცილებლად პარტნიორს?**
ა) ნაზი უნდა იყოს – 1 ქულა;
ბ) სილამაზე – 8 ქულა;
გ) ჭკუა – 3 ქულა;
დ) მთავარი მხოლოდ სიყვარულია – 9 ქულა;
ე) კარგი მეოჯახე უნდა იყოს – 4 ქულა.

**10. გინდათ, რომ მან იეჭვიანოს, ძალიან უყვარდეთ?**
ა) არავითარ შემთხვევაში – 9 ქულა;
ბ) კი, ძალიან მინდა – 1 ქულა;
გ) ზოგჯერ მომწონს ეს იდეა – 4;
დ) ვფიქრობ ხოლმე ამაზე – 3 ქულა;
ე) რა სისულელეა – 7 ქულა.

**დაითვალეთ ქულები:**

*0-15 ქულა – თქვენ რბილი ხასიათის, მოსიყვარულე პარტნიორი გჭირდებათ, ყოველგვარი ექსტრავაგანტულობის, სიურპრიზების გარეშე.*

*16-39 ქულა: მოგეწონებათ ადამიანი, რომელიც სულ ყურადღების ცენტრშია, საქმიანი, წარმატებული და პრაგმატული.*

*40-75: თუ პარტნიორი სექსუალური არ იქნება, მასთან ვერ იცხოვრებთ. თამამიც უნდა იყოს და ინიციატივაც თავად აიღოს.*

*75 ქულაზე მეტი: მეტისმეტად თავდაჯერებული ხართ. დამთმობი, თვინიერი, თავმდაბალი პარტნიორი გჭირდებათ – ხელს რომ არაფერში შეგიშლით და სულ თქვენს მხარეს იქნება, არაფერს გისაყვედურებთ და არ გაგაბრაზებთ.*

## ისევ ბრილიანტები...

ბრილიანტი – ამ სიტყვის ხსენებაც კი საკმარისია, რომ მოიხიბლო. ბრილიანტები მარტო ქალებს არ უყვართ. ისინი უკვე მრავალი წელია, არ კარგავენ მიმზიდველობასა და ფასს.



მსხვილი ბრილიანტი ბუნებაში ძალიან იშვიათად გვხვდება. მსოფლიოში ყველაზე დიდი ალმასი „კულინანი," რომელიც ნახევარ კილოგრამს იწონის, აღმოაჩინეს 1905 წელს, სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ საარწში. განსაკუთრებული იმით არის, რომ თავად არის უზარმაზარი ალმასის ნატეხი.

ალმასის უნიკალური სიმტკიცე, მარტო ადამიანებს კი არა ჩიტებსაც იზიდავს:

მეცხრამეტე საუკუნეში აფრიკაში ერთ მეწარმეს სირაქლემები ჰყავდა მოშენებული. ისინი წვრილ ალმასებს ეძებდნენ, ყლაპავდნენ და სახლში, პატრონთან მიჰქონდათ. ერთ მტრედს ჩიჩახვში უპოვეს 43 ცალი ალმასი, საერთო წონით 6 კარატი.

1867 წელს სამხრეთ აფრიკაში, მდინარე ორანჟის ნაპირთან, პატარა ბიჭმა მბრწყინავი ქვა იპოვა და დედას მიუტანა. ქალმა ის თავის მეზობელს აჩვენა. მწყემსი ვან ნიკერკი დაინტერესა ქვამ და ბავშვის დედას სთხოვა, მომყიდეო... ქვაში ფული როგორ გამოგართვაო, უთხრა მან და ისე მისცა. ვან ნიკერკი დიდხანს აკვირდებოდა ქვის წარმომავლობას და ბოლოს ვიღაც ვაჭარს მიჰყიდა. მან ქვა კაპის კოლონიაში მთავარ გეოლოგს, ვინმე ატერსტონს გაუგზავნა, რომელმაც დაადგინა, რომ ეს იყო ალმასი, მინიმუმ 500 ფუნტი სტერლინგის ღირებულების. ალმასი კაპის გუბერნატორმა შეიძინა და მალევე გაყიდა 11 000 ფუნტად. ერთი თვის შემდეგ ალმასი პარიზში 25 000 ფუნტად გაიყიდა და ასე დაიწყო სამხრეთამერიკული ალმასების ეპოქა. თუმცა, ყველაზე დიდი და ძვირფასი ალმასების სამშობლო მაინც ინდოეთია.

როცა ირანში რუსეთის ელჩი, გრიბოედოვი მოკლეს, ირანის მთავრობამ დანაშაული იმით გამოისყიდა, რომ რუსეთს გადასცა ვარდის ფორმის უზარმაზარი ალმასი – სახელად „შაჰი," რომლის წონა 191 კარატი იყო.

ერთ-ერთ ულამაზეს ბრილიანტად მიჩნეულია „აფრიკის დიდი ვარსკვლავი" – ალმას „კულინანის" ორი ნატეხიდან ერთი, მსხლის ფორმის, წონით 530,2 კარატი.

## ქრთამი მიცვალებულთათვის

როდისმე გინახავთ, როგორ წვავენ ფულს?! თანაც ამას შეშლილი მილიარდერები კი არ აკეთებენ, არამედ, ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებიც სულაც არ არიან მდიდრები, უბრალოდ, მათ ასეთი ტრადიცია აქვთ.

ჩინეთში არსებობს ეგრეთ წოდებული „რიტუალური ფული." მას ასე უწოდებენ: „განსაწმენდელის ბანკის კუპიურები". ჩინელებს სწამთ, რომ გარდაცვლილთა სულები ხვდებიან სამეფოში, სადაც ყველაფერს განაგებს სამყაროს მბრძანებელი – იანლო-ვანი. ამ ღვთაებას ხარის თავი და ცხენის სახე აქვს. იანლოვანი არის უზენაესი მსაჯულიც – ის წყვეტს სულების შემდგომ ბედს. ბოროტები ჯოჯოხეთში ხვდებიან ან საშინელ არსებებად გარდაიქმნებიან და მიწაზე ბრუნდებიან.

კარგი ცხოვრებისთვის კეთილ სულებს იანლო-ვანის საუფლოში ფული სჭირდებათ – რაც მეტი, მით უკეთესი. ცოტას იანლოვანსაც მისცემენ და ის პატარა ცოდვებს მიუტევებს. ანუ, ჩინელებს საიქიოშიც კი კორუფცია აქვთ... იანლო-ვანის საუფლოში ფულის „გადარიცხვა" მხოლოდ ცეცხლის გზით შეიძლება, თუმცა, არ არის აუცილებელი, ნამდვილი და მიმოქცევაში მოქმედი კუპიურები დაიწვას. ამიტომაც იბეჭდება ჩინეთში სპეციალური ფული „განსაწმენდელის ბანკისთვის". ჩინელები ამ ყველაფერს განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდებიან და „ფულის სულებისთვის გადარიცხვის" რიტუალს მთელი სიზუსტით ატარებენ.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# თითი გალიაში

## ნატ პინკერტონი

ჩარლზ ფრედერიკის, კერძო დეტექტივის მაგიდაზე საშინელი რაღაც იდო – ადამიანის მოკვეთილი თითი. ის ნახევარი საათის წინ მოიტანა ახალგაზრდა კაცმა და, თან, მოყვა, როგორ აღმოჩნდა თითი მასთან. როგორც გაირკვა, ახალგაზრდა ეწვია ქალაქში ჩამოსულ მოხეტიალე ცირკს. წარმოდგენა დამთავრებული იყო, მაგრამ, მას უფრო „გრიზლის ლომების“ ნახვა აინტერესებდა. სალაროსთან მივიდა და იქ მჯდარ ქალს სთხოვა, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ლომების ნახვის საშუალება მიეცა. ქალი ჯერ ყოყმანობდა, მაგრამ, ახალგაზრდა კაცმა იმაზე მეტი თანხა შესთავაზა, ვიდრე წარმოდგენის ბილეთი ღირდა. მაშინ ქალი ბალაგანის შიგნით შევიდა და მომთვინიერებელს დაელაპარაკა. როცა ახალგაზრდა იმ ფარდულში შევიდა, სადაც ლომების გალიები იდგა, შენიშნა, რომ ფეხსაცმელზე თასმა ჰქონდა შეხსნილი. დაიხარა, რომ შეეკრა და, სწორედ მაშინ შენიშნა სისხლსა და მტვერში ამოგანგლული თითი. შეძრწუნებულმა, თითს ხელსახოცი გადააფარა და ჯიბეში ჩაიტენა... შიშისგან ისე იყო დაზაფრული, რომ, არც ახსოვს, იმ საშინელი ადგილიდან როგორ წამოვიდა. ჯერ პოლიციაში აპირებდა წასვლას, მაგრამ, მერე ჩარლზ ფრედერიკი გაახსენდა და მისკენ გაეშურა...

– სწორადაც მოიქეცით, – დეტექტივმა თითს ყურადღებით დახედა, – პოლიციისთვის ეს საქმე... ჰმ, ასე ვთქვათ, მეტისმეტად თავისებურია...

– თქვენ ფიქრობთ, რომ ის საზიზღარი მომთვინიერებელი თავის ლომებს ადამიანებით კვებავს? – გაფითრდა ახალგაზრდა.

– მგონი, ასე მარტივად არ უნდა იყოს საქმე. აქ უფრო სერიოზული დანაშაულის კვალს ვხედავ... იცით, რას გეტყვით? თქვენ ახლა სახლში წადით და დანარჩენზე მე ვიზრუნებ. ტელეფონი დამიტოვეთ. როგორც კი რამეს გავარკვევ, მაშინვე დაგირეკავთ.

სტუმრის წასვლის შემდეგ ფრედერიკმა თავისი თანაშემწე გამოიძახა და თითი აჩვენა, თან უამბო, როგორ აღმოჩნდა ადამიანის სხეულის ნაწილი მასთან.

– აბა, რას იტყვი?

თანაშემწემ გამადიდებელი შუშა მოიმარჯვა და თითი ყურადღებით დაათვალიერა.

– მაშ, ასე: თითი ბასრი საგნით არის მოჭრილი და არა მხეცის მიერ კბილებით მოგლეჯილი. თითი მამაკაცს ეკუთვნოდა, თანაც, მდიდარ მამაკაცს. ამაზე მეტყველებს თითის ქვემოთა ნაწილში საკმაოდ ბრტყელი ბეჭდის, სავარაუდოდ, ძვირფასის, ნაკვალევი. კანი თეთრია და აშკარად არ ეტყობა არანაირი ფიზიკური შრომის კვალი. შეხედეთ, ფრჩხილი სათუთად არის მოვლილი. ბევრი იცით ისეთი მამაკაცი, რომელიც ფრჩხილებს ასე უვლიდეს?

– ანუ, ამით ჩვენ შევძლებთ, შევიტყოთ, ვის ეკუთვნოდა ეს თითი?

თანაშემწემ თავი დაუქნია:

– ეჭვის გარეშე. დღესვე ჩამოვივლი ქალაქის ყველა პრესტიჟულ სალონს...

მეორე დღეს, შუადღისთვის, ჩარლზ ფრედერიკმა უკვე იცოდა, ვის ეკუთვნოდა მოჭრილი თითი – ვინმე მისტერ რობერტსონს, ბირჟაზე მოთამაშეს. ერთ-ერთ სალონში მისი ზუსტი აღწერილობა მისცეს: მსუქანი, კანი ძალიან თეთრი, მარჯვენა ხელის შუა თითზე მსხვილ ოქროს რგოლში ჩასმულ ვეება ბრილიანტს ატარებს.

– სავარაუდოდ, სწორედ ეგ ბრილიანტი გახდა მკვლელობის მიზეზი. მომთვინიერებელმა და მისმა თანაშემწემ ეს რობერტსონი ფარდულში შეიტყუეს და მოკლეს. ბეჭედი ვერ მოხსნეს და თითი დანით მოაჭრეს, გვამი კი ლომებს შეუგდეს გალიაში, მაგრამ თითი ყურადღების მიღმა დარჩათ... ეჭვი მაქვს, ეს მათი პირველი დანაშაული არ იქნება.

– პოლიციას ვაცნობოთ?

ჩარლზმა თავი გააქნია:

– არა, მტკიცებულებები არ გვაქვს. ვეჭვობ, რომ, რაც საპოვნელი იყო, ანუ, თითი, ფარდულში უკვე ვიპოვეთ. ისინი ისეთი სულელები არ იქნებიან, ნაძარცვი ადვილად მისაგნებ ადგილას შეენახათ. ჩხრეკაც არაფერს მოგვცემს. სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ.

– რა?

– პრინციპში, უკვე მოვიფიქრე – სატყუარა დაგვჭირდება და შენ უნდა შეასრულო ეს როლი. ნაცნობი იუველირი მყავს. ძვირფასეულობას ვთხოვ და მილიონერივით გამოგაწყობ. მიხვალ იქ და მომთვინიერებელს დაენახვები... ამაღამ კი იქაურობას დავზვერავთ. ის ცდუნებას ვერ გაუძლებს და მკვლელობის მცდელობის ფაქტზე დავაკავებთ.

– საშიშია, – ჩაილაპარაკა თანაშემწემ, – თანაც, რა ფრანტი გამოვა ჩემგან?

– უნდა გავრისკოთ. ვერ დავუშვებ, დამნაშავემ დაუსჯელად იპარპაშოს, – ჯიუტად გააქნია თავი ფრედერიკმა.

მეორე დილით ფრედერიკმა უკვე იცოდა, რომ მომთვინიერებელი და მისი ცოლი იქვე, ლომების საცხოვრებელთან მიდგმულ ფლიგელში ცხოვრობდნენ. სავარაუდოდ, მათ ბინას ლომების განყოფილებასთან კარი აკავშირებდა. დეტექტივმა აუცილებელი ზომები მიიღო. რაღაც საჭირო ატრიბუტები შეიძინა და იუველირთან გასწია. იმავე საღამოს ჩარლზმა თავისი თანაშემწე მდიდრულად გამოაწყო, თითები ძვირფასთვლიანი ოქროს ბეჭდებით შეუმკო. მაჯებზე კი იშვიათი სილამაზის ზურმუხტის სამაგრები გაუკეთა. ბობმა – ასე ერქვა თანაშემწეს – სამხეცესთან სეირნობა დაიწყო. წარმოდგენა უკვე დამთავრებული იყო და ხალხი იშლებოდა. სალაროში მყოფი ქალი დაკვირვებით უყურებდა ბატონს, რომელიც სალაროსთან მისვლას არ ჩქარობდა. ოდნავ შებინდდა. იქაურობა თითქმის დაცარიელდა. ლომების მომთვინიერებელი გარეთ გამოვიდა. მოლარე ქალმა მას რაღაც უთხრა. მომთვინიერებელმა გაიღიმა (ბობს მოეჩვენა, რომ ბოროტად) და მისკენ გაემართა.

– ბატონო, ჩვენი ლომების ნახვას ხომ არ ინებებდით?

– ეს შესაძლებელია? მართლა მაინტერესებს. კარგად გადაგიხდით.

– საერთოდ, ამის ნებას არავის ვრთავთ, მაგრამ, გამონაკლისს დავუშვებთ. წამობრძანდით. ლომები ახლა ისვენებენ, ხომ არ შეგეშინდებათ?

– არა.

ამასობაში ფრედერიკმა ბალაგანს უკანა მხრიდან შემოუარა და საცხოვრებელი ფარდულის ღია ფანჯარაში გადაძვრა. ოთახი დიდი არ იყო. დეტექტივმა იქაურობა ყურადღებით დაათვალიერა და კუთხეში თითქმის ახალი, ძვირფასი ტყავის წყვილი ბათინკი შენიშნა. ხელში აიღო და ძირებზედ ამოტვიფრული ბრენდის მონოგრამა ამოიკითხა. შეუძლებელი იყო, მომთვინიერებელს ამ ბრენდის ფეხსაცმელი ჰქონოდა. ეს, ალბათ, რომელიმე მსხვერპლის იყო. ესეც ერთი სამხილი, – გაიფიქრა და ლომების განყოფილებაში გასასვლელ კარს დაუწყო ძებნა. ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, მოიმარჯვა და პატარა კარი გამოაღო. ვიწრო და ბნელი დერეფანი უნდა გაევლო. უკვე ესმოდა ხმამაღალი ლაპარაკი და ლომების ბღლვინვა. სწორედ სულზე მიუსწრო – ბობი ყველაზე დიდი ლომის გალიის წინ ჰყავდათ დაჩოქილი „გრიზლისა” და კიდევ ერთ ნაძირალას და ყელის გამოჭრას უპირებდნენ. დეტექტივმა გამაფრთხილებლად ისროლა და იყვირა.

– დაგვნებდით! პოლიციამ ალყა შემოარტყა ბალაგანს!

„გრიზლიმ” დაიღმუვლა და ხელით რაღაც მოძრაობა გააკეთა. ერთბაშად ანჯამებმა დაიღრჭიალეს და ჩარლზი ისე აღმოჩნდა ხახადაღებული ლომების გალიაში, გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო. მის უკან რკინის ცხაური დაეშვა, წინა კი აიწია. ოთხი უზარმაზარი ლომი ფრედერიკისკენ დაიძრა. დეტექტივმა გაიღიმა, ჯიბიდან რაღაც მოგრძო საგანი ამოიღო, ცეცხლი მოუკიდა და ლომებისკენ ისროლა. ცეცხლმა მტაცებლები შეაშინა – ბღლვინავდნენ, ღრიალებდნენ, მაგრამ, წინ ველარ მოდიოდნენ. ისინი ვოლიერის კედელთან იყვნენ მიკუნჭულები... ჩარლზმა ზუსტად იცოდა, რამდენ ხანს ენთებოდა ცეცხლი, ამიტომ, დასაკარგავი დრო არ ჰქონდა...

– გახსენით გალია და დაგვნებდით, თორემ, ველარაფერი გიშველით, ორივეს შუბლს გაგიხვრეტთ!

„გრიზლიმ” ლომზე საშინლად დაიბღავლა, იქით ისკუპა, სადაც დეტექტივი იდგა და, სწორედ ამ დროს, ჩარლის რევოლვერმაც გაისროლა. მომთვინიერებელი უსულოდ დაენარცხა ძირს.... ამ დროს ფარდულში პოლიციელები შემოცვივდნენ. ცეცხლი თითქმის ქრებოდა, როცა დეტექტივი გალიიდან გამოიყვანეს. არ იმჩნევდა, მაგრამ, სახეზე ფერი აღარ ედო.

– უჰ, ვერ ვიტან ლომებს...– თქვა და გაიღიმა.

ფრედერიკი მართალი გამოდგა: მისტერ რობერტსონი „გრიზლის” ბანდის ერთადერთი მსხვერპლი არ იყო – მათ კიდევ სამი ადამიანი ჰყავდათ გაძარცული და ლომებისთვის გალიაში შეგდებული...

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №1-4(683)

**საავადმყოფო**

გონს რომ მოვიდა, დიმიტრი ვერ მიხვდა, სად იყო. თავიდან ისევ თოკოს ოთახში ეგონა თავი, მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გაიაზრა, რომ ისევ დეჟავიუ დაემართა...

ცივი ოფლი ხელის კანკალით მოიწმინდა და იგრძნო, რომ გული მისდიოდა. საშინლად



მოსწყურდა წყალი, მაგრამ, აღარ ახსოვდა, სად იდგა ქიქა. რომც ხსომებოდა, ისეთი ძალაგამოცლილი იყო, ხელში ვერც დაიჭერდა, გაუვარდებოდა. უნდოდა, დაეძახა, წყალი მომაწოდეთო, მაგრამ, ისეთი გამშრალი ჰქონდა პირი, ტუჩები ვერ გახსნა. იგრძნო, რომ ოთახში ვიღაც იყო და გადაწყვიტა, რამით მაინც მიექცია ყურადღება: ჯერ ჩაახველა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისე ჩუმად, რომ ვერ გააგონა; მერე მთელი ძალით იყვირა – წყალიო, თუმცა, არც ამან გამოიღო შედეგი, რადგან, თვითონ ეგონა, რომ იყვირა, სინამდვილეში კი მხოლოდ გაიფიქრა. ბოლოს, რომ ხვდებოდა, უკვე მართლა მისდიოდა გული, უკანასკნელ ხერხს მიმართა: წვეთოვანზე მიერთებული ხელი მთელი ძალით გაიქნია და შტატივი გაჩხაკუნდა.

– უიმე, გაგიჟდი, ბატონო დიმიტრი? – ქაქანით მიეჭრა მზია, – ეს რომ ექიმმა დაინახოს, ორივეს გაგვყრის აქედან! – და ისევ ჩაუდგა წვეთოვანი, მაგრამ, დიმიტრი არ ემორჩილებოდა და თვალებით რაღაცას ანიშნებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა ექთანი, რომ ავადმყოფი წყალს ითხოვდა და ლიმონის წვენგარეული, გაზგასული ბორჯომი ჩაის კოვზით დააწვეთა ტუჩებზე. დიმიტრის ისე ესიამოვნა, უცბად წარმოიდგინა, რომ ჩანჩქერის ქვეშ იდგა და თავსა და სახეზე წყალი ესხმებოდა. გახევებული ტუჩებიდან ძლივს გამოყო ენა და ხარბად მოლოკა ის ორი წვეთი, შემდეგ კი ისეთი ვედრებით შეხედა, მზიას შეეცოდა და ახლა გამოყოფილ ენაზე დააწვეთა, თან შეგონებაც მოაყოლა:

– უცებ ბევრი წყალი არ შეიძლება, ხომ იცი! ასე ცოტ-ცოტა ჯობია, დამიჯერე!

ცოტა ხანში დიმიტრიმ სული მოითქვა, პირიც გაეხსნა და გულის წასვლის შეგრძნებამაც გაუარა. მეტყველების უნარიც რომ დაუბრუნდა, იკითხა:

– მზიკო, ხომ არ იცი, რა დამემართა? თითქოს სადღაც სხვაგან ვიყავი...

– ცოტა გაგირთულდა ჭრილობები, ბატონო დიმიტრი, პატარა ოპერაციასავით დაგჭირდა და მერე დასაძინებელი წამალი გაგიკეთეს. ნუ გეშინია, „იქ“ აღარ გაგიშვებთ!

– აბა, ის რა კოშმარი ვნახე? თან, თითქოს ყველაფერი უკვე ნანახი მქონდა, უფრო სწორად, იმ კოშმარში მე ვმონაწილეობდი.

– არ ვიცი, რა ნახე, მაგრამ, ცუდ რაღაცას რომ ხედავდი, ცხადია: ძალიან შფოთავდი, ვიღაცას ემუქრებოდი... ბოლოს უცებ ჩაწყნარდი და თითქმის ერთი საათი გათიშულ გეძინა. ისე კი, იმ წამალმა ასე იცის – ძილიდან რომ გამოდიხარ, ვეღარ იგებ, სად ხარ, პირი გიშრება და თითქოს გული მიგდის... ხომ ასე იყო? – ჩაეკითხა ავადმყოფს.

– ზუსტად ასე იყო, მზია და, ძალიან გთხოვ, ეგ წამალი აღარ გამიკეთოთ, თორემ, მსგავსი კოშმარი კიდევ რომ ვნახო, მართლა ვეღარ დავბრუნდები.

– დაბრუნდები, ნუ გეშინია. ისე, ამისთანა რა კოშმარი ნახე: გველეშაპები, მიცვალებულთა სულები თუ უცხოპლანეტელები? – დაინტერესდა ექთანი.

– მაგ ყველაფერზე უარესი, რაც ჩამოთვალე, – შეშინებული ჩურჩულით უპასუხა დიმიტრიმ.

– ამაზე უარესი რაღა უნდა გენახა, ადამიანო, არ გადამრიო ახლა! – შეიცხადა მზიამ.

– საკუთარი თავი ვნახე, მზიკო, საკუთარი თავი... – დიმიტრის ცრემლის ერთი წვეთი გადმოუგორდა თვალიდან და კისერში ჩაუსრიალდა.

– მერე, საკუთარი თავის ნახვამ ასე როგორ შეგაშინა, შე გლახა! – გაუშინაურდა მზია, – ამისთანა კაი სახეს კაცი სიზმარში რომ ნახავს, თუნდაც ეს სახე საკუთარი იყოს, კი არ უნდა შეშინდეს, უნდა გოუხარდეს – რავარი ლამაზი ვყოფილვარო.

– ეჰ, მზია, – ცოტა გულახდილობის და ცოტა ფილოსოფოსობის ხასიათზე დადგა დიმიტრი, – გგონია, შენ რომ ხედავ, სინამდვილეში ის სახე მაქვს? შენ რომ ჩემი ნამდვილი სახე დაინახო, ან ჩემი წარსული გაიგო, მომხედავ კი არა, ან საწამლავს შეურევ ამ წვეთოვანში, ან ღამით შემოიპარები და ბალიშით გამგუდავ. მაგრამ, კიდევ კარგი, არ იცი, სინამდვილეში ვინ ვარ, თორემ, შენც ცოდვაში ჩაგაგდებდი!..

მზიას შეეშინდა, ისევ კოშმარს ხომ არ ხედავსო და მოშორებით მდგარ სკამზე გადაჯდა, მაგრამ, დიმიტრი ისევ ძილში წავიდა და ექთანიც დამშვიდდა – ალბათ, ბოდავდაო.

...დიმიტრის ღრმად და მშვიდად ეძინა. არაფერი აღარ აწუხებდა – აღარც ეს დაუსრულებელი დეჟავიუ, აღარც ტკივილი, აღარც უძლურობა... სხვათა შორის, სინდისის ქენჯნასაც კი, რაც საავადმყოფოში მოხვედრის წუთიდან არ ასვენებდა, აღარ გრძნობდა – თითქოს ყველა სატკივარი წარსულს ჩაბარდა; თითქოს ყველა ცოდვა და დანაშაული მიეტევა; თითქოს ყველა პრობლემა მოუგვარდა, ისე ნეტარად გრძნობდა თავს. მერე კი, უცებ, ძილში იგრძნო, როგორ გამოეყო მის დაძინებულ სხეულს მისი მეორე „მე“, ოღონდ, მღვიძარე და, როგორ დაჟინებით ჩაშტერებოდა ის საკუთარ თავს დახუჭულ თვალებში; როგორ გაფაციცებით უსმენდა საკუთარი „ორეულის“ მშვიდ ფშვინვას და როგორ ცდილობდა, ჩაეღწია თავისი ტვინის ხვეულებამდე. ეს გაორება თან სიამოვნებდა და თან საოცარ სულიერ ტკივილს აყენებდა, ოღონდ, ტკივილსაც და შიშსაც მხოლოდ დაძინებული დიმიტრი გრძნობდა: ეშინოდა, გაღვიძებულ დიმიტრის არ შეეხსენებინა მისთვის, სინამდვილეში ვინ ბრძანდებოდა.

როცა დარწმუნდა, რომ საშიში აღარაფერი იყო, დაღლილი ექთანი საწოლთან მდგარ სავარძელში ჩაჯდა და ჩათვლიმა, მაგრამ, ხუთი წუთიც არ იყო გასული, რომ პალატის კარზე კაკუნი გაისმა, მერე კარი ნელ-ნელა გაიღო და 16-17 წლის, ძალიან სიმპათიური



ერდო ჯგუფი
როდესაც ომი დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო.....................................
მარიკა 599 24 28 31

და საკმაოდ თამამად ჩაცმული გოგონა შემოვიდა.

– ვინ ხართ? აქ შემოსვლა არ შეიძლება! – წამოხტა გამოფხიზლებული მზია, – ახლავე დატოვეთ პალატა!

მაგრამ გოგონამ ყურადღებაც არ მიაქცია და დიმიტრისკენ წავიდა.

– ახლავე გადით აქედან, თორემ, ექიმს დავუძახებ! – გაწიწმატდა მზია.

– შენ ვინ გეკითხება? სადაც მინდა, იქ შევალ! – თავხედურად უპასუხა გოგონამ და მის წინ დოინჯით დამდგარი ექთანი ხელით გასწია.

– აჰ, ასე, არა?! ერთი წუთი მაცალე და გიჩვენებ სეირს! – დაემუქრა მზია, ხალათის ჯიბიდან მობილური ამოიღო და ექიმის ნომერი აკრიფა. ნახევარი წუთიც არ იყო გასული, რომ პალატაში პროფესორი და მისი ასისტენტი შემოვიდნენ.

– ვინ ბრძანდებით, რა უფლებით შემოდიხართ რეანიმაციულ განყოფილებაში და არ ემორჩილებით მედპერსონალს? – აღშფოთებით მიმართა ირაკლი ქებაძემ გოგონას და მკლავში ხელი წაავლო, – ახლავე დატოვეთ აქაურობა, თორემ, დაცვას გამოვუძახებ!

გოგონამ აშკარად უკან დაიხია, პროფესორს მორიდებით შეხედა და უთხრა:

– იცით, მე შვილი ვარ და სანახავად მოვედი..

– რა გეჩქარებოდა!.. – ვერ მოითმინა მზიამ.

ქებაძემ საყვედურით გახედა ექთანს, გოგონას კი ყურადღება არ მიუქცევია, ისევ ექიმს მიმართა:

– როგორ არის, ძალიან საშიში მდგომარეობა აქვს?

– საკმაოდ, – ჩაფიქრებით უპასუხა ქებაძემ.

– ამისთანა რა სჭირს, ავარიაში დაუზიანდა რამე?

ექიმს მოეჩვენა, რომ გოგონა უფრო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სვამდა კითხვებს. მას სულაც არ ჰქონდა მამის ბედით შეწუხებული, მით უმეტეს – შეშინებული შვილის არც ტონი და არც სახის გამომეტყველება, თუმცა, აშკარად ცდილობდა, ექიმს მზრუნველი შვილი ჰგონებოდა.

– დაზიანებებიც საკმაოდ სერიოზულია, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა, უფრო სერიოზული პრობლემებიც აქვს... – ირაკლი ქებაძეს ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა გოგონასთვის სიმართლე. წესით, არ უნდა დაემალა, მაგრამ, რატომღაც, მის მიმართ ნდობით არ განიმსჭვალა.

– რა პრობლემები? – თვალები აენთო გოგონას.

– თქვენი სახელი? – პასუხს თავი აარიდა ექიმმა.

– ნუცა. რა პრობლემები აქვს მამაჩემს?

– ჩემო ნუციკო, გთხოვთ, გავიდეთ პალატიდან. წამობრძანდით ჩემს კაბინეტში და იქ ვისაუბროთ. თქვენი აქ ყოფნა არ შეიძლება, ეს რეანიმაციის ოთახია და, მედპერსონალის გარდა, აქ შემოსვლა ყველას ეკრძალება.

ნუცა უხმოდ გაჰყვა. პალატიდან გასვლისას ერთხელ კიდევ გახედა დიმიტრის და, მზიამ, რომელიც თვალს არ აშორებდა გოგონას, აშკარად დაინახა როგორ ნიშნისმოგებით აზიდა მან ცალი წარბი და, ექთანს მოეჩვენა, უფრო სწორად, კი არ მოეჩვენა, თუნდაც ხატზე დაიფიცებდა, რომ, აშკარად დანახა, როგორ გაექცა დიმიტრის ქალიშვილს თითქმის შეუმჩნეველი კმაყოფილების ღიმილი ტუჩის კუთხეში. მერე ნუცამ მზიასკენ გააპარა თვალი და მოულოდნელად მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა. ორმა ქალმა წამიერად შეაფასა ერთმანეთი და ორივე მიხვდა – ისინი მტრები გახდნენ.

– რა სჭირს, ექიმო, მამაჩემს? – ჰკითხა ნუცამ პროფესორს, როცა ისინი კაბინეტში შევიდნენ, – ვერ გადარჩება?

– ჯერ ვერაფერს გეტყვით, თუმცა, საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს.

– რა პრობლემებია, არ ითქმევა?

– ჯერჯერობით თავს შევიკავებ. რაღაცეები გვაქვს დასადგენი და, როცა ყველა ანალიზის ზუსტ პასუხს მივიღებთ, მერე, რა თქმა უნდა, გეტყვით.

– რამე სერიოზულია? – დადარაჯებით იკითხა ნუცამ.

– ხომ გითხარით, ყველაფერს უახლოეს დღეებში მოგახსენებთ.

– მასთან როდის შემიშვებთ? მამასთან დალაპარაკება მინდა.

– როცა ჩვეულებრივ პალატაში გადავიყვანთ.

– ანუ?

– ანუ მაშინ, როცა ჩვეულებრივ პალატაში გადავიყვანთ, – ცოტა გაღიზიანებით გაიმეორა ქებაძემ, – კონკრეტული დღე და საათი არ ვიცი, რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ?

ნუცა მიხვდა, რომ ექიმს ვერაფერს დააცდენინებდა და დათმობა ამჯობინა:

– ბატონო პროფესორო, ნუ გამიბრაზდებით. ვნერვიულობ და...

– კარგი, გენაცვალე, არა უშავს, – მოლბა ექიმი, – ახლა კი უნდა დაგემშვიდობოთ, ავადმყოფები მყავს მისახედი.

ნუცა წამოდგა და კარი გამოაღო. გასვლისას კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ექიმს:

– შეიძლება, ყოველდღე მოვიდე ხოლმე?

– კი ბატონო, ოღონდ, ავადმყოფთან ვერ შეგიშვებთ, არ შეიძლება, – გაუმეორა ქებაძემ და ხელი გაუწოდა, – ნახვამდის.

ნუცამ ხელი ჩამოართვა, ოდნავ გაუღიმა და კაბინეტიდან გავიდა.

„ლამაზი გოგოა, მაგრამ, რაღაც უსიამოვნო გრძნობა დამიტოვა“, – გაიფიქრა პროფესორმა და დიმიტრის პალატისკენ გასწია.

მზია სავარძელში იჯდა და თვლემდა. ექიმის დანახვაზე დამნაშავე ბავშვივით წამოხტა, აწითლებულმა ჩალუნა თავი და წაილუღლუღა:

– მაინც სძინავს, გასაკეთებელიც არაფერი მაქვს და...

– წადი, მზია, შენს ოთახში და ცოტა დაისვენე. ეს მინიმუმ ორ საათს კიდევ იძინებს. ცოტა ხანს მე ვიქნები აქ, შევამოწმებ, ხომ ყველაფერი რიგზეა, მერე კი მეც წამოვწვები. ორივეს ღამე გვაქვს ნათევი და ცოტა წათვლემა არ გვაწყენს. დიმიტრის კი, რომც გაეღვიძოს, არაფერი მოუვა, ნუ გეშინია.



– აქ რომ წავთვლიმო, ირაკლი ექიმო?! – მზიას, რაღაცნაირად, ეშინოდა ავადმყოფის მარტო დატოვება.

– წადი-მეთქი. მე ჯერ აქ ვარ, მერე ყოველ ნახევარ საათში ერთხელ შემოვიხედავ. თან, სანიტარსაც გავაფრთხილებ, რომ ყურადღებით იყოს. წადი-მეთქი, რომ გეუბნები, ამაღამ, შეიძლება, კიდევ მოგვიწიოს გათენება და დასვენებულები უნდა ვიყოთ.

მზია დიმიტრისთან მივიდა, სასთუმალი გაუსწორა, წვეთოვანი შეამოწმა და ექიმს მორიდებით მიმართა:

– ირაკლი ექიმო, რაღაც უნდა გკითხოთ და არ გამიბრაზდეთ.

– ვიცი, რაც უნდა მკითხო და არ გიბრაზდები, რადგან, მეც თითქმის შენსავით ვფიქრობ.

– თქვენც არ მოგეწონათ, ხომ? რაღაც, საშიში გოგოა...

– ეგ საიდანღა მოიტანე, საშიში რით უნდა იყოს? საშიშისა რა მოგახსენო, თუმცა, უსიამოვნო გრძნობა კი დამიტოვა.

– რით – არ ვიცი, მაგრამ, თვალებში რომ შევხედე, ყინულის წვეტიანი ნატეხები დავინახე, ტანში გამაცია და დამბურძგლა, – თქვა მზიამ და გააჟრჟოლა, – აი, ხომ ხედავთ, მის ხსენებაზეც კი მაციებს.

– ძალიან სასაცილო გოგო ხარ, მზია. შენგან კარგი მწერალი გამოვიდოდა ფანტასტიკის ან საშინელებათა ჟანრში. ნუ გეშინია, მე აქ ვარ და შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ, ახლა კი, წადი-მეთქი, უკვე მესამედ გეუბნები.

– მივდივარ, ირაკლი ექიმო. მე მამშვიდებთ, არადა, გეტყობათ, თქვენც ჩემსავით ფიქრობთ. ჩემგან ჭკუა არ გესწავლებათ, მაგრამ, ასე მგონია, როცა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ორ ადამიანს მესამის მიმართ ერთნაირი აზრი და განწყობა უჩნდება, ამის მიყურისძირება არ შეიძლება, ფრთხილად უნდა ვიყოთ.

– შენ ფილოსოფოსიც ყოფილხარ... კარგი, გავითვალისწინებ შენს რჩევას. ახლა კი... – წარბები აზიდა ქებაძემ.

– გავქრი! – დაიძახა მზიამ და ისე სწრაფად გავარდა ოთახიდან, პროფესორს მოეჩვენა, რომ მისი ექთანი მართლაც გაქრა.

პალატაში დარჩენილმა ექიმმა დიმიტრის პულსიც გაუსინჯა, წნევაც გაუზომა, ტემპერატურაც, მის სუნთქვასაც მიუგდო ყური

და, რადგან ყველა მონაცემი დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, მშვიდად გავიდა დერეფანში, სანიტარს დაუძახა და დაავალა, ხშირად შეეხედა ავადმყოფთან, თვითონ კი თავისი კაბინეტისკენ გასწია. რომ შევიდა, ხალათი გაიხადა და რბილ ტახტზე წამოწვა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დაღლილი იყო და თვალებს ძლივს ახელდა, ვერაფრით ვერ დაიძინა. ბოლოს ძლივს ჩათვლიმა, მაგრამ, რამდენიმე წუთის შემდეგ, თითქოს ხელი ჰკრესო, გულგახეთქილი წამოხტა, სკამზე გადაკიდებული ხალათი ნაჩქარევად შემოიცვა და სწრაფი ნაბიჯით გაემართა რეანიმაციის პალატისკენ. კართან რომ მივიდა, შეჩერდა და ყური მიადო. რატომ იქცეოდა ასე, თვითონაც არ იცოდა, უფრო ინსტინქტებით მოქმედებდა, ვიდრე გააზრებულად. ვის ან რას ელოდა პალატაში, არ იცოდა, მაგრამ, რაღაც წინათგრძნობა ნამდვილად ჰქონდა. არც შემცდარა – შიგნიდან ნაბიჯების ხმას და ჩურჩულს მოჰკრა ყური. აშკარად მამაკაცი ლაპარაკობდა, თუმცა, სიტყვების გარჩევა შეუძლებელი იყო. დიმიტრი სულ ოციოდე წუთის წინ დატოვა ღრმად ჩაძინებული და, რომც გაღვიძებოდა, ამსიგრძე ფრაზების წარმოთქმას მაინც ვერ შეძლებდა. ექიმი დაიძაბა, გულისცემა აუჩქარდა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო – ვინმესთვის დაეძახა თუ თვითონ დასხმოდა თავს ვიღაც უცნობს, რომელიც, ღმერთმა იცის, რას აკეთებდა რეანიმაციულ პალატაში. დაძახების დრო არ იყო, სანამ ის ვინმეს მოიყვანდა, შეიძლება, უცნობს თავისი ავი ზრახვები აესრულებინა და გაპარულიყო კიდეც. ამიტომ, გადაწყვიტა, თითონ ემოქმედა: პალატის კართან მდგარ ცარიელ შტატივს ღერძი გამოაძრო და ძალიან ფრთხილად და ნელა შეაღო კარი. სასწრაფოდ მოავლო თვალი იქაურობას და დიმიტრის სახესთან დახრილი ახალგაზრდა კაცი დაინახა. პროფესორი ფეხაკრეფით შევიდა პალატაში და, ის იყო, თავს უნდა დასხმოდა უცნობს, რომ, რაღაც ძალამ შეაჩერა, ხელში რკინამომარჯვებული გაჩერდა და ყური მიუგდო უცნობი ვაჟის არცთუ ჩურჩულით წარმოთქმულ ფრაზებს:

– დაგერხა, მამიკო?! მიდიხარ მარილზე?! აკი აქამდეც უნდა წასულიყავი, რატომ აითრიე ფეხი? რაო, შეგეშინდა, ჯიგარო? დაპანიკდი? სიკვდილის ხომ არ შეგეშინდა, იუზგარ? ტკივილები გაწუხებს? რატომ პასუხს არ მცემ, მამიკო, ისე დაგენძრა, რომ ლაპარაკის ტრაკიც აღარ გაქვს? რატომ ახლა არ მაგინებ, არ მემუქრები, რატომ არ იწევ გასართქმელად? იმიტომ ხომ არა, რომ ხელის შებრუნების გეშინია? თანაც, ხომ შეიძლება, შენზე ღონიერიც აღმოვჩნდე? პატარები რომ ვიყავით, მაშინ ასეთ სიფრთხილეს, რატომღაც, არ იჩენდი. იმიტომ ხომ არა, რომ, დარწმუნებული იყავი, მე და დედაჩემი ხელს ვერ შემოგიბრუნებდით და, თანაც, მოგვერეოდი?! რა სასწაული არ ხდება ქვეყანაზე – გინებაც კი დაგვიწყებია, წევხარ საწყალი სახით, თვალებდახუჭული; ყველას ანგელოზად, კარგ ბიჭად აჩვენებ თავს, ის კი არავინ იცის, რამდენ ადამიანს დაუნგრიე ცხოვრება, შე ახვარო!.. რა სიამოვნებით გამოგჭრიდი ყელს, მაგრამ, ვატყობ, უჩემოდაც კარგად გააგნებ ჯოჯოხეთის გზას. მანამდე კი ძალიან ხშირად მოგელანდები და დარჩენილ დღეებს გაგიმწარებ!.. რატომ შეგეჭმუხნა სახე, რამე გეტკინა თუ ჩემი ლაპარაკი გესმის? რამე ხომ არ გჭირდება? მითხარი, ნუ გერიდება, შე არაკაცო! ვერსად გამიმხელია, რომ შენი ბიოლოგიური შვილი ვარ. მეშინია, შენმა გენებმა სადმე არ იჩინოს თავი, თორემ, გვარი და მამის სახელი კარგა ხანია, შევიცვალე... ვაჟმა ღრმად ჩაისუნთქა და უცებ მოეჩვენა, რომ მის ბოლო სიტყვებზე დიმიტრი ჯერ შეკრთა, მერე კი ტუჩის კუთხე და ნიკაპი აუკანკალდა. მან დამცინავად შეხედა ავადმყოფს და განაგრძო: ეხლა კარგად მომისმინე, ახვარო, ერთსაც გეტყვი და წავალ: დედაჩემი ცუდად არის, სერიოზულად ცუდად და, თუ დავადგინე, რომ მისი ცუდად ყოფნა შენი ბრალია, იცოდე, მანამდე რომც მოკვდე, შენს დამპალ სხეულს ამოვთხრი, წვრილად დავკეპავ და ვირთხებს შევაჭმევ, მანამდე კი უნდა იცოცხლო, რომ შურისძიების სურვილი არ გამინელდეს... ხომ ყველაფერი კარგად გაიგონე, მამიკო? ჰოდა, დაიმახსოვრე და, ეცადე, ეგ შენი აყროლებული სული შენს უკანალში გარჭობილ კათეტერში არ გაგეპაროს გაზებთან ერთად!.. ახლა კი წავედი. ნუ დარდობ, ხშირად არ შეგაწუხებ. მაგიდაზე წვენებს გიტოვებ – ნუ გეშინია, მოწამლული არ არის. ჯერ არ მაწყობს შენი სიკვდილი, მერე კი ვნახოთ. აბა, ნახვამდის, მამიკო, იმედია, ერთი კვირის განმავლობაში მაინც არ მიაბარებ შენს აყროლებულ სულს ეშმაკს... ჩაო!.. – ამ სიტყვების შემდეგ ახალგაზრდა გასწორდა, ჩაძინებულ დიმიტრის საშინელი ზიზღით დახედა, მერე მაგიდაზე მაღაზიაში ნაყიდი ორი კოლოფი ხილის წვენი დადგა და კარისკენ დაიძრა. სწორედ ამ დროს დაინახა პროფესორი, რომელსაც შტატივის ღერძი ჰქონდა მომარჯვებული და დაბნეული შეჰყურებდა ახალგაზრდა კაცს. მერე უცებ მოეგო გონს, ისე გააკეთა, ვითომ იმ წუთის შესული იყო პალატაში და მკაცრად ჰკითხა:



– ვინ ბრძანდებით და დაუკითხავად რატომ შემობრძანდით რეანიმაციაში?

– შვილი ვარ, თორნიკე მქვია. ნახვა მინდოდა, მაგრამ, სძინავს. ამაღამ საქართველოდან მივდივარ და, არ ვიცი, როდის ჩამოვალ. სამწუხაროა, რომ ვერ დაველაპარაკე. ბოდიშს ვიხდი შეწუხებისთვის, კარგად ბრძანდებოდეთ! – ყმაწვილი კაცი ისე ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა და ისე სწრაფად გავიდა პალატიდან, ექიმმა გაოცებისგან დაღებული პირის დახურვაც ვერ მოასწრო. გონს რომ მოვიდა, ჯიბიდან მობილური ამოიღო და სასწრაფოდ დაურეკა დიმიტრის ძმას:

– ბატონო გიორგი! ირაკლი ვარ, დიმიტრის ექიმი. ძალიან გთხოვთ, თუ შეგიძლიათ, მობრძანდით საავადმყოფოში! არა, არა, დიმიტრის არაფერი უჭირს, ნორმალურად არის. ახლა სძინავს, თორემ, დაგალაპარაკებდით! ნუ ღელავთ, ბატონო გიორგი, სხვა პრობლემები წარმოიშვა და აუცილებლად მჭირდებით! დიახ, ან ჩემს კაბინეტში ვიქნები, ან – დიმიტრის პალატაში. კი ბატონო, ერთ საათში მობრძანდით, თუნდაც ორ საათში, ოღონდ, აუცილებლად უნდა მოხვიდეთ. აბა, გელოდებით. დროებით, ბატონო გიორგი! – პროფესორმა ოფლით დაცვარული შუბლი ქაღალდის ხელსახოცით შეიმშრალა, მერე გაოცებულმა გახედა ავადმყოფს და თითქმის ხმამაღლა უთხრა საკუთარ თავს: – კაცი დავბერდი და პირველად ვნახე, რომ ასე სძულდეთ შვილებს საკუთარი მამა. თითქოს ცუდი კაცი არ ჩანს, მაგრამ, რას გაიგებ, ვის რა უზის სულში... – მერე დერეფანში გავიდა და მზიას იქიდან დაუძახა – რატომღაც, ვერ გაბედა, რომ დიმიტრი თუნდაც ერთი წუთით დაეტოვებინა მარტო.

...საათზე ცოტა მეტი ხანი იყო გასული, ექიმის კაბინეტის კარი აღელვებულმა გიორგიმ რომ შეაღო.

– რა მოხდა, ბატონო ირაკლი, ხომ არ დავიღუპე? – ჰკითხა აქოშინებულმა და, შემოთავაზებას არ დაელოდა, ისე ჩაეშვა სავარძელში.

– არა, ბატონო გიორგი, დიმიტრის ჯერჯერობით სტაბილური მდგომარეობა აქვს და სძინავს, მაგრამ, ძალიან უცნაური მნახველები ჰყავდა და, ცოტა არ იყოს, შევშინდი.

– ვინ უცნაური მნახველები? – გაუკვირდა გიორგის.

– მისი შვილები – თორნიკე და ნუცა.

– თორნიკე და ნუცა?! – თვალები გაუფართოვდა გიორგის, – იკადრეს მობრძანება?

– რატომ გაგიკვირდათ, ბატონო გიორგი? მართალია, როგორც მითხარით, დიმიტრი გაყრილი ყოფილა ცოლთან, მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ზრდასრულმა შვილებმა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი მამა არ ინახულონ, – თქვა ირაკლიმ და მერე უცებ იუხერხულა, – მაპატიეთ, ისე გამოდის, თითქოს მე პაციენტის პირად ცხოვრებაში ვყოფ ცხვირს, რაც ნამდვილად არ შედის მკურნალი ექიმის ფუნქციებში, მაგრამ, ისეთ ფაქტს შევესწარი, რომ არ გავარკვიო სიტუაცია, შეიძლება, რამე უბედურება მოხდეს, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. თუმცა, ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.

– იმიტომ გამიკვირდა, ირაკლი ექიმო, რომ, მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც დიმიტრი და ნანიტა ერთმანეთს დაშორდნენ, შვილებმა ელემანტარული ურთიერთობაც კი შეწყვიტეს მამასთან. უფრო ზუტად თუ ვიტყვი, თოკო მტრად მოეკიდა მამამისს. ტელეფონით მათი ყველაზე უმტკივნეულო საუბარიც კი, საშინელი ჩხუბით მთავრდებოდა. რაც შეეხება ნუცას, მამას არ ეჩხუბებოდა, მის ზარებსაც ზრდილობიანად პასუხობდა, მაგრამ, თვითონ ძალიან იშვიათად თუ დაურეკავდა, მისვლით ხომ, თითქ-

მის არ მიდიოდა მასთან. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ნანიტამ განაწყო შვილები დიმიტრის წინააღმდეგ. ალბათ, უფრო ის მოხდა, რაც უმრავლეს შემთხვევაში ხდება ხოლმე – შვილებმა დედის მხარე დაიჭირეს და არ აპატიეს მამას ოჯახის მიტოვება. რა ვიცი, შეიძლება, ეს ბუნებრივი რეაქციაა, მაგრამ, დიმიტრი ჩემი ერთადერთი ძმაა და, ხომ იცით, ასეთ დროს ძნელია, ობიექტური იყო. მაინც გული მტკივა და, ვფიქრობ, ცოლქმრის ურთიერთობაში შვილებიც კი არ უნდა ჩაერიონ. შეიძლება, ჩემი ძმა მსოფლიოში საუკეთესო მამა არ ყოფილა, მაგრამ, ალბათ, არც ყველაზე უარესი იყო და ეს შვილებს უნდა ახსოვდეთ. თუმცა, სამწუხაროდ, შვილები, როგორც წესი, ძალიან დაუნდობლები არიან, მიმტევებლობა აკლიათ და ავიწყდებათ, რომ წლების შემდეგ თვითონაც მშობლები გახდებიან, შეიძლება, მსგავსი პრობლემები თვითონაც გაუჩნდეთ თავიანთ შვილებთან და, მხოლოდ მაშინ მიხვდებიან, რომ დაუმსახურებლად აწყენინეს იმ ადამიანებს, ვისაც ისინი ყველაზე ერთგულად უყვართ და ვისაც ყველაზე მეტი ამაგი აქვთ მათზე.

– ჩემო გიორგი, ეს ყველაფერი გასაგებია. არ გეწყინოთ, მაგრამ, თქვენ ახალი არაფერი გითქვამთ. თაობებს შორის კონფლიქტი და უთანხმოება იმ დღიდან მოდის, რაც პირველი ოჯახი შეიქმნა, მაგრამ, აქ რაღაც სხვა ხდება. თქვენ რომ შესწრებოდით თქვენი ძმისშვილების ვიზიტებს, ჩემი სიტყვები აღარ გაგიკვირდებოდათ.

– მაინც, რა ქნეს ასეთი?

– ნუცას, ასე, სათქმელად და მოსაყოლად, არაფერი უქნია, მაგრამ, მის თვალებში ორი რამ ამოვიკითხე: იმედგაცრუება, რომ დიმიტრი ჯერ ისევ ცოცხალია და კმაყოფილება, რომ მამამისს რაღაც სერიოზული დაავადება სჭირს.

– იცის, რომ დიმიტრის კიბო სჭირს?

– მე არ მითქვამს – რატომღაც, სურვილი არ გამიჩნდა, თუმცა, ალბათ, ამის უფლება არც მქონდა. თვითონ კი, მგონი, არ იცის, რადგან, რამდენჯერმე მკითხა, რამე სერიოზული ხომ არ სჭირსო. პალატიდან გამოსვლისას კი რაღაცნაირი ნიშნისმოგებით გახედა მძინარე მამამისს.

– თორნიკემ? თორნიკემ რაღა ქნა?

– ოო, თორნიკესთან საქმე უფრო სერიოზულად არის.

– რას ნიშნავს – უფრო სერიოზულად? – გიორგის სუნთქვა შეეკრა და საყელო შეიხსნა, მერე უნებართვოდ დაისხა გრაფინიდან ჭიქაში წყალი და სულმოუთქმელად გადაკრა.

– ახლავე გეტყვით, ოღონდ, შეეცადეთ, არ აღელდეთ. ყველაფერი გონების თვალით უნდა განსაჯოთ, – და ქებაძემ დაწვრილებით უამბო მომხდარის შესახებ.

– ნასვამი ხომ არ იყო, ან... – გიორგიმ წინადადება აღარ დაასრულა.

– ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ? – დაასრულა ფრაზა ექიმმა, – არა, აბსოლუტურად ფხიზელი იყო. ისე, რა, ეთამაშება წამალს?

– არ ვიცი, არა მგონია. სიმართლე გითხრათ, არც მე მაქვს მათთან მაინცდამაინც ახლო ურთიერთობა, მაგრამ, რამე ისეთი რომ ყოფილიყო, გავიგებდი. მართალია, ციხეშიც იჯდა...

– ციხეში რატომ იჯდა? – დაინტერესდა ირაკლი.

– რატომ და, სკოლას რომ ამთავრებდა, მეზობლის მანქანა გაიტაცა, უფრო სწორად, დაუკითხავად წაიყვანა, შეყვარებული გაასეირნა და მეორე დღეს უკან დააბრუნა, მაგრამ, მანქანის პატრონმა არ აპატია, უჩივლა და დააჭერინა. მართალია, დიდხანს არ მჯდარა, მაგრამ... – გიორგიმ სახე მოისრისა, ამოიოხრა და განაგრძო: – დიმიტრიმ ხელი არ გაანძრია, რომ შვილი ციხიდან დაეხსნა, იმ მეზობელს არც კი დაურეკა, რომ, ვთქვათ, რაღაცას შეჰპირებოდა, ან, უბრალოდ, კაცურად ეთხოვა, შვილს ნუ დამიღუპავო.



– რატომ მოიქცა ასე?

– იმ დროს დიმიტრი ახალი გაყრილი იყო ნანიტასთან, თანაც, მაინცდამაინც მშვიდობიანად არ დაშორებიან ერთმანეთს და შვილებთანაც კონფლიქტი მოუვიდა. ეს ამბავი რომ მოხდა და ნანიტამ დაურეკა, რამე მიშველეო, დიმიტრიმ უპასუხა, ჩემთვის აღარ არსებობთ და აღარც მე ვარსებობ თქვენთვისო.

– თქვენ? თქვენ რა მოიმოქმედეთ? ასეა თუ ისე, ბიძა ხართ, თანაც, როგორც თავად მითხარით, მატერიალურად არ გიჭირთ და არ გაგიძნელდებოდათ იმ მეზობლის გაჩუმება! – აღშფოთდა ირაკლი, მაგრამ, უცებ მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა და დარცხვენილმა მოუბოდიშა: – მაპატიეთ, თუ შეიძლება, მგონი, გადავაჭარბე ჩემს უფლებებს.

– საქმე ისაა, რომ იმ პერიოდში მე უცხოეთში ვიყავი სამუშაოდ წასული. იქიდანაც შევძლებდი რაღაცას, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემთვის არავის დაურეკავს. რომ ჩამოვედი, თოკო ციხიდან გამოსული დამხვდა.

– იქიდან როგორი დაბრუნდა?

– რას გულისხმობთ?

– ყველაფერს: ნარკოტიკს, აგრესიულობას, შურისძიების სურვილს და ასე შემდეგ.

– ცოტათი აგრესიული ყოველთვის იყო. ნარკოტიკი კი არა მგონია, რადგან, ხომ გითხარით, არც შემიმჩნევია და არც გამიგია. შურისძიებაზე კი ხმამაღლა არასდროს არაფერი უთქვამს, გარდა ერთი ფრაზისა: შენი ძმა ჩემ თვალწინ რომ კვდებოდეს და გადარჩენა შემეძლოს, თითს არ გავანძრევო. თუმცა, მაინც მგონია, რომ ასეთი სასტიკი ბიჭი არ არის. რაც შეეხება პირდაპირ შურისძიებას, გამორიცხულია: ან კიბოს როგორ შეჰყრიდა მამამისს, ან ავარიას როგორ მოუწყობდა, დიმიტრი ხომ ბოძს დაეჯახა? თანაც, დადგინდა, რომ გადაჭარბებული სიჩქარით მოდიოდა... – გიორგიმ ჯიბიდან ვალიდოლის ფირფიტა ამოიღო, სამი ცალი ერთად ჩაიყარა პირში, დაღეჭა და მთელი ჭიქა წყალი დააყოლა, – ამის გახსენებაც კი არ შემიძლია... და, საერთოდაც, როგორი გაბრაზებულიც არ უნდა ვიყო, თოკოს მაინც გამოვრიცხავ.

– ნუცას?

– რა – ნუცას? რას ამბობთ, ბატონო ირაკლი, ნუცას – მით უმეტეს. მერწმუნეთ, აქ არაფერია მოწყობილ-ჩაწყობილი; ის, რაც მოხდა, ჩემი აზრით, ერთგვარი კანონზომიერებაა; მართალია, სავალალო, სამწუხარო და შოკის მომგვრელი, მაგრამ, მაინც კანონზომიერება.

– კანონზომიერება რისი? – ჩაეკითხა ექიმი.

– ზოგადად – დიმიტრის ცხოვრების წესის, საქციელის, გარშემო მყოფთა მიმართ დამოკიდებულების...

– შესაძლოა, მართალიც ხართ, მაგრამ, ახლა რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? მეჩვენება, რომ დიმიტრისთან მუდმივად ვიღაც უნდა იყოს. პოლიციაში რომ დავრეკოთ და გარედან დავუყენოთ დაცვა, არ გამოვა – არანაირი სერიოზული არგუმენტი არ გვაქვს. რა უნდა ვუთხრათ პოლიციას, შვილების თვალების გამომეტყველება ან სიბრაზით ნათქვამი სიტყვები არ მოგვეწონა და ორი კაცი მოგვეცით სადღეღამისო მორიგეობისთვისო?! ხომ სასაცილოდ აგვიგდეს! ისე, შეიძლება, ვინმე კერძო პირი დაიქირავოთ, მაგრამ, ჯერ ერთი, ძალიან ძვირი დაგიჯდებათ და, თანაც, რაღაცნაირად, სასაცილო სიტუაცია შეიქმნება – რომელი უფლისწული, ძებნილი ან სახელმწიფო მოღვაწე დიმიტრია, დაცვა რომ დავუყენოთ?

– ალბათ, ყველაზე კარგი ვარიანტია, ექთანსა და სანიტარს ვთხოვო, ერთი წუთითაც კი არ დატოვონ პალატაში მარტო და ორივეს გადავუხდი. თანაც, მიხედავენ კიდეც, – გამოსავალი იპოვა გიორგიმ, – ამაღამ კი მე დავრჩები, თუ ნებას დამრთავთ.

– დიახ, ალბათ, ეგ საუკეთესო გამოსავალია, – დაეთანხმა ექიმი, – მაგრამ, რეანიმაციის პალატაში არავის შეშვების უფლება არ გვაქვს. ერთადერთი, რაც შემიძლია, შემოგთავაზოთ, მოპირდაპირე ოთახია – ეს ჩვეულებრივი პალატაა, ოღონდ, ცოტა მოუწესრიგებელი, თუმცა, საწოლი დგას და სუფთა ლოგინსაც და თეთრეულსაც მოვატანინებ. დერეფანში მორიგე ექთანი სულ ზის, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, თავი რომ დავიზღვიოთ, შეგიძლიათ, თქვენი პალატის კარი ღია დატოვოთ – რეანიმაციის კარის პირდაპირ არის და, თუ იქ ვინმე შევიდა, დაინახავთ.

– სხვა გზა არ მაქვს, უნდა დაგეთანხმდეთ, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარება, რომ ჩემს ძმას მკვლელი უთვალთვალებდეს. შეიძლება, ცუდი ქმარი და მამა იყო, მაგრამ, ამის გამო, დამეთანხმებით, შვილები მამას არ კლავენ; მით უმეტეს, თუ აქ მოაგნეს, ისიც ეცოდინებათ, რომ დიდი დღე აღარ უწერია.

– გეთანხმებით, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, – თქვა ექიმმა და წამოდგა, – წამობრძანდით, პალატას გაჩვენებთ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №12-3(682)**

### ქორწინებაზე და დანარჩენზე...

ამბობენ, რომ წარმატებულობა სექსუალურობას გვძენს. როგორ შეიძლება, იყოს ქალი წარმატებული – კარიერაში მიაღწიოს მაღალ მწვერვალებს? – პრინციპში, ესეც საქმეა. ან, შეუძლია, ადგეს და წარმატებით გათხოვდეს. ზოგიერთებისთვის ეს გაცილებით ადვილი და მისაღები ვარიანტია. თუმცა, შეიძლება, ჯერ საკუთარი ძალებით გახდე წარმატებული და მერე უფრო კარგად აიწყო პირადი ცხოვრება. გააჩნია, ვის როგორ? უიოლდება ფაქტია, რომ მოთხოვნადი პროდუქტი ბაზარზე სწრაფად და კარგ ფასშიც იყიდება.

მამაკაცების დიდი უმრავლესობა ეძებს და იყენებს არა რეალურ ადამიანს, არამედ თავისი წარმოსახვის ნაყოფს, ან კარგად შეფუთულ პროდუქტს. ქალები ამ მხრივ შედარებით რაციონალურები და პრაგმატულები არიან. კაცისთვის ნაკლებად აქვს მნიშვნელობა ქალის ჭკუას, ან ტალანტს. მათთვის, ხშირ შემთხვევაში, მთავარი გარსია და არ აინტერესებთ, რა გადმოდინდება იმ ბროლის კოკიდან, რომლის ხელში ჩაგდების სურვილიც თავს აკარგვინებთ. სტატუსების გათვალისწინებით შერთებული წყვილები ერთად უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე „ბრმა“ სიყვარულით შეკავშირებულები. ერთხელაც იქნება, თვალები აუცილებლად აგეხილება და გვერდით მყოფს სულ სხვა თვალით დაინახავ. ახლებურად დანახული რეალობა კი, შეიძლება, სულაც არ აღმოჩნდეს ისეთი, როგორისაც ელოდი. იდეალების მსხვრევა ყოველთვის მტკივნეულია. მითად იქცა ის, რომ ქალის და კაცის ერთიანობა დიდი და ჯადოსნური საიდუმლოა. სიყვარული უნდა მეფობდეს, თუმცა მისი დიქტატურა გამანადგურებლად მოქმედებს ურთიერთობაზე.

ვახომ ფიქრიანად შეხედა გიგის და ამოიოხრა.

– მდა, ცუდად არის საქმე. რაც ახლა მითხარი, მეტყველებს იმაზე, რომ დიდ შარში შეიძლება, გავეხვიოთ. საქმე მარტო ზუკაში არ არის. ეს ამბავი ძალიან ცუდად დამთავრდება, თუ ზომები არ მივიღეთ.

– მეც მაგას არ ვამბობ?! მაინც რა ჯანდაბაც გადაეკიდა იმ ქალს. დაუჩემებია, მიყვარხარო და მგონი, ეს სიყვარული უკვე იდეაფიქსად ექცა. არაჯანსაღი აზრები აქვს და მეშინია, მოქმედებაში არ მოიყვანოს.

– არ უნდა მივცეთ ამის საშუალება.

– კი, მაგრამ როგორ? მთელი ღამე ვიფიქრე და ვერაფერი მოვიფიქრე. ერთადერთი გამოსავალი მისი აქედან ცოტა ხნით წაყვანაა. თორემ ჭკუა არ დაუშლის ლიზას ქმართან მივიდეს და საქმე გაურჩიოს. მე კიდევ ქამარზე ვერ გამოვიკერებ.

– ახლა სად არის?

– ჩემთანაა, სახლში. წუხელის იმდენი დალია და ისე გამოთვრა, რომ ამ დილით საგონებელში ვერ ჩავაგდე. დედაჩემს დავუბარე – როგორც კი გაიღვიძებს, მაშინვე დამირეკავს.

– ოჰ, ზუკა, ზუკა... ასეთი შტერი თუ იყო, ვერაფრით ვიფიქრებდი.

– შტერი კი არა, გულუბრყვილოა და სულელი. ვინ ეხვეწებოდა, შემიყვარეო.

ქალმა თავიდანვე პირდაპირ უთხრა, რისი მიღება უნდოდა მისგან და მიიღო კიდეც. ეს გაგიჟდა და გადაირია, უნახავივით.

– პატარაა, ბიჭო, გამოცდილება არ ეყო – გაეღიმა ვახოს.

– კარგი რა, პატარა რა შუაშია. რაღა პატარაა ოცდაშვიდი წლის მუტრუკი. სხვათა შორის, ორი წლით ვარ მასზე უფროსი, მაგრამ ქალი ასე, ყურებით ვერ დამიჭერს. სიყვარულიც უცხო არ არის ჩემთვის, მაგრამ გათხოვილ ქალზე ასე ჩაბღაუჭება რომ არ შეიძლება, დიდი ხანია, ვიცი.

– წლების გამოცდილება მაქვს. ეს ასაკის უპირატესობაა, – ბრძენი კაცივით ჩაილაპარაკა ვახომ, – ადრე მეც სხვანაირად მეგონა რაღაც-რაღაცეები. გამოცდილება კარგი მრჩეველიც არის და კარგი დამცველიც. სანამ ახალგაზრდა ვიყავი, სულ რაღაცას ვიძიებდი, ბევრ რამეში და უპირველესად, საკუთარ თავში არ ვიყავი დარწმუნებული. თვითდამკვიდრებას არასწორი საშუალებებით ვცდილობდი და შეცდომაც ბევრი დავუშვი. ხომ ნახე, კინაღამ ოჯახიც დავანგრიე. იცი, გუშინ ვფიქრობდი, მინდა თუ არა, რომ ისევ ოცი წლის ვიყო-მეთქი და ზუსტად ვიცი, – არ მინდა! ჩემი ნავსაყუდელი უკვე ნაპოვნი მაქვს და საკმაოდ ძვირადაც მიღირს. იმიტომაც აღარ დავიწყე იმ ამბის გამოძიება. იცი შენ, რაზეც ვლაპარაკობ.

– ეგ სულ სხვა თემაა, – უხერხულად აიწურა გიგი, – არანაირი კავშირი არ აქვს ზუკას სიტუაციასთან.



– ჰო, მესმის, მაგრამ იმის თქმა მინდოდა, ძალიანაც ნუ განვსჯით-მეთქი.

– საერთოდ არ ვაპირებ მის განსჯას, მაგრამ, რომ ვხედავ, პრობლემებს როგორ იხალიჩებს, თან, ჩვენც მიგვათრევს ამ წუმპეში, რა უნდა ვქნა? სხვა გამოსავალი არ არის. აქაურობას უნდა გავარიდო.

– ბიჭო, ფულს კი მივცემ და მეც დაველაპარაკები, მაგრამ რამდენი ხანი აპირებ მის იზოლაციაში ყოლას. სამუდამოდ?!

– სამუდამოდ რა, შინა პატიმრობას ხომ ვერ მივუსჯი. მე იმის იმედი მაქვს, რომ მარტონი ვიქნებით. თანაც, აქედან შორს, მავნე აზრებს თავიდან გამოვუფერთხავ.

– რა ვიცი, რა ვიცი... ეგრე ადვილად ვერ შეძლებ, – ეჭვით გადააქნია თავი ვახომ, – თანაც შეკვეთებია. მე მარტო ლაშას ამარად ვრჩები. რა გავაკეთო? აჰა, დღეს საერთოდ არ მოვიდა სამსახურში. თოკოსთვის დაურეკავს, ბავშვს მაღალი სიცხე აქვსო. საპატიო მიზეზია – თანაც როგორი. იმ ლევანის ივენთისთვისაც ათასი რამეა გასაკეთებელი. „დაბრენდვა“ სჭირდება. აქსესუარები და ათასი წვრილმანი. მე როგორ მოვიქცე. მარტო რამდენს გავწვდე?

– ჰო, მესმის... ზუკა უსინდისო ეგოისტივით იქცევა, – გაცხარდა გიგი, – ერთი მაცემინა მაგრად და არ მინდა არაფერი, მაგრამ მეგობარს ცხვირ-პირი როგორ დავუმტვრიო.

– ისე, ცემა მართლა მოუხდებოდა – გაეღიმა ვახოს – არა, კაცო, ვხუმრობ. ბარბაროსები ხომ არ ვართ? ისევ ლაპარაკით თუ შევაგნებინებთ რამეს.

– მეეჭვება. სრულიად არაადეკვატურია. მოკლედ, რას ვშვრები, მივდივარ და მიმყავს?

– ჰო, მაგრამ ხუთი დღით. მეტით ვერ გაგიშვებ. მეც ხომ უნდა გამიგოთ. საქმე მიფუჭდება.

– აუჰ, ვითომ ხუთი დღე ეყოფა მაგის ჭკუაზე მოყვანას? – მხრები აიჩეჩა გიგიმ.

– თუ ხუთი დღე არ ეყოფა, მაშინ არც ერთი თვე ეყოფა და არც მთელი წელი. შენ რას შვრები ნინისთან. მორჩი მაგ ამბავს?

– რას მოვრჩი... – გიგიმ ცოტა ხანს იყუყმანა, მერე კი ხელი ჩაიქნია და დანანებით ჩაილაპარაკა, – მგონი ზუკას ვირუსი გადამდებია. ძალიან ბევრს ვფიქრობ ნინიზე. თუმცა, ნინი ჯერ გათხოვილი არ არის და შესაბამისად, შანსი კიდევ მაქვს. მეცინება, ამას რომ ვამბობ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩემი დანახვა აღარ უნდა. ვიღაც მუტრუკი გაიჩინა და სამაგიეროს მიხდის. ჩემი ჯიბრით დაჰყვება აქეთ-იქით.

– იქნებ ის მუტრუკი შეუყვარდა?! რატომ გამორიცხავ? ნინი კარგი გოგოა. ყოველ შემთხვევაში, ძალიან მეეჭვება, შენი ჯიბრით რამეს აკეთებდეს.

– ჰო, მაგრამ ისე ძალიან ვუყვარდი, შეუძლებელია, ასეთი დიდი გრძნობა ასე მალე დაევიწყებინა და სხვა გაეჩინა. რომ გეუბნები მსჯის-მეთქი – ასეა! ვერ მაპატია ღალატი. თუმცა, რატომ იყო ჩემი მაშინდელი საქციელი ღალატი, მომკალი და არ მესმის.

ვახომ თანაგრძნობით შეხედა მღელვარებისგან გაწითლებულ ბიჭს.

– მომისმინე, შენ იმდენჯერ ყოფილხარ შეყვარებული, არ მჯერა, რომ ნინის უარი ძალიან გაწუხებს. უბრალოდ, იმას განიცდი, რომ სიჯიუტეში გაჯობა.

– კარგი რა, არ მიცნობდე მაინც. ჰო, შეყვარებულის მდგომარეობაში ბევრჯერ ვყოფილვარ, თავგადასავლებისა და სიახლის მოყვარული ვარ, რომანტიკოსიც – გარკვეულწილად. ნინისთვის გულის ტკენა არც მიფიქრია. რა სისულელეა. ცოლადაც შევირთავდი, მაგრამ, რომ დამაჩქარა და ულტიმატუმი წამოვიყენა, ეს აღარ მომეწონა. გავბრაზდი და ჩემს თავმოყვარეობაზეც იმოქმედა. რატომ

იწყებენ ადამიანები ერთად ცხოვრებას? – იმიტომ რომ, საჭირო მომენტში, გვერდით ის ადამიანი ჰყავდეთ, ვისაც მათი ესმის. ნინიმ კი, მე ვერ გამიგო.

– მაშინ, რატომ ფიქრობ მასზე?

– გულახდილად გითხრა? – არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა გოგომ, – მაგრამ ვგრძნობ, რომ მჭირდება. მინდა მასთან, ძალიან მინდა.

– ჰო, ადამიანები იდეალურები არ ვართ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტს ვერსად წავუვალთ. სხვათა შორის, ამის გაცნობიერება ძალიან დამეხმარა ქეთისთან ურთიერთობაში.

– ქეთის შენ უყვარხარ, – თქვა გოგომ, – ვახომ ხელი ჩაიქნია.

– არ არსებობს ქალი, რომელსაც ქმრის კაბის კალთაზე გამოკერების სურვილი არ ჰქონდეს. ყველა ერთნაირად ცდილობს ამას. არ ესმით, რომ ეს უსარგებლო ხარჯვაა დროისაც და ნერვებისაც. გაუგებარია, რატომ ეშინიათ, სულ ცოტა თავისუფლება მოგვცენ.

– არ გვენდობიან. რა არის ამაში გაუგებარი, – გოგომ შუბლი მოისრისა, – ჰო, არ გვენდობიან და სწორედ ეს არის პრობლემა, როგორც ჩვენი, ისე მათი.

* * *

ლიზამ ნინის კარი გაუღო და ტუჩებზე თითის მიტანით ანიშნა, ჩუმად იყავი, არაფერი თქვაო.

– ვინ არის? – ოთახიდან გამოსძახა ცოლს ლევანმა, – ლიზა, ვინ გვესტუმრა?

– ნინია, ჩემი თანამშრომელი და მეგობარი. ცოტა ხნით შემოიარა. დღეს სამსახურში რომ არ ვიყავი, იფიქრა, ცუდად ხომ არ არისო და მომაკითხა.

– კარგად მოქცეულა, – ზღურბლზე მომღიმარი ლევანი გამოჩნდა, – გამარჯობა, ნინი. ჩემი ცოლი აქამდე ისე მიმალავდა თავის დაქალებს, რომ არც კი გიცნობთ. მოხარული ვარ, თქვენი სტუმრობის. დაღლილი იქნებით, მშიერიც. ახლავე გაგიმასპინძლდებით.

ნინი გაწითლდა. კაცის გამოწვდილ მარჯვენას თავისი შეაგება და მორიდებით ჩაილაპარაკა:

– ნუ შეწუხდებით. მე მალე უნდა წავიდე.

– არავითარ შემთხვევაში, მალე ნამდვილად ვერ გაგიშვებთ. სწორედ რომ დროულად მოხვედით. სამსახურის საქმეები უყურადღებოდ მივატოვე და გვერდით ვუზივარ ამ ქალბატონს. დილით მართლაც არ იყო კარგად. მანერვიულა. მარტო ვერ ვტოვებ. თუ აქ იქნებით, გავიქცევი და მალევე დავბრუნდები. დღისას ახალი ავეჯი შემოუტანიათ და ვნახავ, რა ხდება.

– კი, ბატონო. ვიქნები ლიზასთან.

ლიზამ გადაიკისკისა.

– აი, ასეთი ფეთიანი ქმარი მყავს. თითქოს შუშის ვიყო. ვეუბნები, არაფერი მჭირსმეთქი, მაგრამ არ მიჯერებს. დილით ცოტა პულსი მქონდა აჩქარებული და გადაირია. ლამის ექიმთანაც წამიყვანა. ძლივს დავარწმუნე, რომ სიმშვიდეში ყოფნა მინდოდა.

– მეც შევშფოთდი, რომ არ გამოჩნდი. ტელეფონიც გამორთული გქონდა.

– სპეციალურად გამოვრთე. არ მინდოდა, ვინმეს შევეწუხებინე. ვინმეს რა – ჩემს აბეზარ კლიენტებს, – ღიმილით თქვა ლიზამ და ნინის ანიშნა, ეს რომ წავა, მერე მოგიყვები ყველაფერსო.

– გოგოებო, მე ახლა თქვენს დაპურებაზე ვიზრუნებ და წავალ, თორემ მართლა გადაუდებელი საქმე მაქვს. მე თუ არ მივხედე, კაცმა არ იცის, რას იზამენ. ვერავის ვენდობი, – აჩქარდა ლევანი.

– იცი, რას გეტყვი? საჭმელი მაცივარშია. მაგიდასთან როგორმე მივიტანთ. ყავასაც მოვიდულებთ. ნინი მომეხმარება. ასე რომ, წადი ძვირფასო, წადი და ნურაფერზე იჯავრებ. მივხედავთ ერთმანეთს. – ლევანი შეყოყმანდა, მერე კი დაეთანხმა ცოლს.

– კარგი, ასე იყოს. ნინი, შენი იმედი მაქვს.

ლიზამ ქმარი კარებამდე მიაცილა. გამომშვიდობებისას აკოცა და შემობრუნდა.

– უფ, ძლივს არ წავიდა?! მთელი დღეა, ვერაფრით მოვიშორე თავიდან, – თქვა და შვებით ამოისუნთქა, – დამღალა შეკითხვებით: რა დაგემართა? ხომ არაფერზე ინერვიულე? ვინმემ ხომ არ გაწყენინა? ამ ბოლო დროს მეტისმეტად ყურადღებიანი გახდა. დამღალა უკვე.

– მართლა ცუდად იყავი? – ჰკითხა ნინიმ და მეგობარს ყურადღებით შეხედა, – რაღაც მოხდა, ხომ?

– ჰო და მინდა, ამაზე დაგელაპარაკო. კარგი ქენი, რომ მოხვედი. გუშინ ისე ვინერვიულე, კინაღამ მუცელი მომეშალა, – ამოიოხრა ლიზამ, – რატომ არიან კაცები ასეთი იდიოტები? თანაც, ყველა ერთნაირად, გამონაკლისის გარეშე.

– შენს ქმარზე ამას ვერ იტყვი. ძალიან კარგი ადამიანი ჩანს. მართლა მომეწონა.

– ჰო. ლევანს აქვს რაღაც ღირსებები. ვერ დაუკარგავ.

– ღირსებები? ფანტასტიკური შთაბეჭდილება დატოვა. გულისხმიერია, თბილი და ძალიან უშუალო.

– წამოდი, სამზარეულოში გავიდეთ. ისეთი „გემრიელობები" მაქვს, უარს ვერ მეტყვი. ლევანი კულინარული შედევრებით მანებივრებს.

– თვითონ ამზადებს? – გაოცებისგან თვალები გაუფართოვდა ნინის.

ლიზას ხმამაღლა გაეცინა.

– რა სასაცილო ხარ და საყვარელი. გოგო, სამი რესტორანი აქვს. თავს რატომ შეიწუხებს კერძების მომზადებით. ეზიდება და ეზიდება.

ნინიმ აღფრთოვანებული მზერა შეავლო ბინის ინტერიერს და კმაყოფილება ვერ დამალა.

– რა კარგი სახლი გაქვს, ყველაფერი ისეთი გემოვნებით არის გაკეთებული...

– ჰო, ლევანმა ძალიან ცნობილი დიზაინერები დაიქირავა. ავეჯი კი იტალიაში შევუკვეთეთ. სპეციალური დიზაინით არის დამზადებული.

– კარგი ქენი, ამ ადამიანს რომ არ აწყენინე, – ნინი სამზარეულოში შეჰყვა ლიზას და მოწნულ სავარძელზე მოკალათდა.

ლიზას თვალები აუციმციმდა.

– მოდი, პირდაპირ ვთქვათ – ყველას გვეშინია მარტო დარჩენის. ყველას, ყველა ადამიანს. მიუხედავად მისი მიღწევებისა და სოციალური სტატუსისა. აქ კი მყავს ადამიანი, რომელთანაც ყველაფერზე შეიძლება დალაპარაკება. შემიძლია, ჩემი ოცნებების, სურვილების შესახებ ვუამბო და იმაშიც დარწმუნებული ვიყო, რომ მათი დიდი ნაწილი ამისრულდება, თუ მთლიანად არა. ჩუმად თუ ვარ,



ისიც ჩუმად არის და ცდილობს, უსიტყვოდ გამიგოს. ანუ, ხომ ხვდები? – არ მჭირდება დავიძაბო და იმაზე ვიფიქრო, რითი ვაამო ლევანს. ის ამას არ მოითხოვს. მთავარია, ახლოს ვყავდე. თვალსაწიერის ფარგლებში. ხვდები, ხომ რაზეც ვლაპარაკობ? მშვიდად ვარ მის გვერდით და ამ ეტაპზე ეს ყველაზე მთავარია.

– თუმცა, როგორც მახსოვს, ბევრ რამეში არ ეთანხმებოდი, – ეშმაკურად მოწკურა თვალები ნინიმ.

– რა თქმა უნდა. ჩვენ განსხვავებულები ვართ და ურთიერთობის ხიბლიც ამაშია. „ტემპერამენტული რეჟიმიც" აშკარად სხვადასხვა გვაქვს. მანქანებიც კი სხვადასხვანაირი მოგვწონს. მე ვგიჟდები სისწრაფეზე, ლევანი დინჯია და სოლიდური. თუმცა, რაზე გელაპარაკები, შენ თავადაც ხომ ნახე.

– მართლა კარგი ადამიანია. ბედნიერებაა ასეთი ქმრის ყოლა.

ლიზამ გამაფრთხილებლად დაუქნია თითი.

– საყვარელო, ყველაფერი შენს ხელშია. რამდენი ხანია, ამას გეუბნები.

– ეგ ვიცი, მაგრამ მე რაღაცნაირად არ გამომდის.

– არ გინდა და იმიტომ. ახლა კი მე თვითონ მაქვს პრობლემა, თუმცა, რამდენად სერიოზული, ჯერ არ ვიცი.

– რა მოხდა?

– ტელეფონი იცი რატომ გამოვრთე? – კითხვითვე უპასუხა ლიზამ, – ერთ, კონკრეტულ ადამიანს ვემალები. ვემალები რა – აღარ მინდა, დაუსრულებლად რეკოს და ნერვები მომიშალოს.

– უი, ესე იგი, რაღაც სერიოზული მომხდარა. ვინ გირეკავს?

– აბა, თუ მიხვდები? ის იდიოტი ზუკა. რეკავს ვინ ჩივის, ისეთი წარმოუდგენელი სისულელე ჩაიდინა, რომ ვიხსენებ, წნევა მიწევს. სულელი, არანორმალური. გადაწყვიტა, რომ ბავშვს მისგან ველოდები და სახლში მომადგა, მამობაზე პრეტენზიის გამოსაცხადებლად.

– რა? ზუკა აქ იყო?

– წარმოიდგინე! უჰ, არ იცი, რა გადავიტანე... ყავა დავლიოთ და თან, მოგიყვები.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ქურდული ცხოვრება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-4(683)

თბილისში გულდამძიმებული დავბრუნდი. მთელი გზა სვეტაზე ვფიქრობდი. იმ მომენტში ამ გოგომ თათიაც კი დამავიწყა. არც ჭამა-სმა მინდოდა და არც სახლიდან გამოსვლა. მით უმეტეს, ბერძენაც სროკზე იყო. თანაც, ქურდების მიმართ მთავრობა რეპრესიებს ატარებდა. ერთი სიტყვით, დეპრესიაში ვიყავი. ტელეფონიც კი გამორთული მქონდა და გარე სამყაროსთან ყველანაირი კონტაქტი გავწყვიტე. ერთი კვირის შემდეგ კარზე ბრახუნმა გამომაღვიძა. ღრმად მეძინა და, როგორც ჩანს, სტუმარი კარგა ხანს აბრახუნებდა. სანამ ჩავიცვი და ავდექი, კარი თვითონ გაიღო და ოთახში ყბედალო შემოვიდა. ცარცვით გაფითრებული იყო. რომ დამინახა, ფერზე მოვიდა, გადამეხვია და მითხრა:

– რა გჭირს, შე ჩემა, სამი თვეა, გირეკავ და ყურმილს არ იღებ. ბოლო ათი დღე კი საერთოდ გამორთული გაქვს ტელეფონი. არადა, ზუსტად ვიცოდი, რომ ორი კვირაა, რაც თბილისში ჩამოხვედი. ვიფიქრე, რამე ხომ არ დაემართა-მეთქი და კარიც იმიტომ გავაღე.

ყბედალოს ხომ არ ვეტყოდი, შეყვარებული ვარ და დეპრესიაში ვიმყოფები-მეთქი, ამიტომ, ვუთხარი:

– გავცივდი, ძვლებში მამტვრევდა და ვიწექი.

– ამ ზაფხულში რამ გაგაცივა. ახლა როგორ ხარ?

– არა მიშავს. შენ როგორ ხარ?

– მეც არა მიშავს. კაროჩე, საქმეზე ვარ ჩამოსული. ლიჩნად ვასია ბრილიანტის ნაკოლია და, თუ იჩალიჩებ?

იმ პერიოდში ვასია ბრილიანტს ჯერ კიდევ არ ვიცნობდი პირადად, თუმცა, კარგად ვიცოდი, ვინც იყო და ძალიან მინდოდა მისი გაცნობა. მაგრამ, ხან მე ვიყავი სროკზე, ხან ის და, ჩვენი შეხვედრა ვერ ხერხდებოდა. ერთმანეთს ვერც სროკზე ვხვდებოდით და, რომ იტყვიან, იმედით ვცოცხლობდი...

– ბაზარი არაა, ბრილიანტის ნაკოლზე, რა თქმა უნდა, ვიჩალიჩებ. ახლა სად არის? როგორც იქნა, გავიცნობ.

– ვერც ამჯერად გაიცნობ, – თავი გააქნია ყბედალომ, – ის ახლა სროკზეა, ციმბირში. ნაკოლიც იქიდან გამოგზავნა – სანდო კაცს გამოატანა, რომელიც ახლა როსტოვშია. საქმე ერთად უნდა გააკეთოთ, მაგრამ, მოსკოვში.

– რა საქმეა?

– რა და, ერთი „ფაშისტი” უნდა დაბომბოთ, უფრო სწორად კი, წამლის ბარიგა. კაროჩე, უფრო დაწვრილებით „პოლიაკი“ გეტყვის ყველაფერს. დღეს ან ხვალ როსტოვში გავემგზავროთ, იქიდან კი მოსკოვში წახვალთ და იჩალიჩებთ.

როსტოვში მეორე დღეს გადავფრინდით და ყბედალომ პოლიაკი გამაცნო, რომელიც ჩემი ხნის იყო, მაღალი კლასის პროფესიონალად ითვლებოდა და მომავალში სახელოვანი ქურდი გახდა. დღეს ის ცოცხალი აღარაა, რადგან არეულობის დროს მოსკოვში ჩაცხრილეს ბესპრეძელშიკებმა.

– აბა, ძმებო, მე დაგტოვებთ, რადგან, საქმეები მაქვს, თქვენ კი ადვილად გამონახავთ საერთო ენას, – გვითხრა ყბედალომ და წავიდა.

– კობრა, ძმაო, ვასია ბრილიანტი დაუსწრებლად გიცნობს და შენზე საუკეთესო წარმოდგენა აქვს, – მითხრა პოლიაკმა, – ჩვენ ერთად ვისხედით ზონაში და ეს ნაკოლი იქიდან გამომატანა. მოსკოვში ერთი ბარიგაა, რომელსაც „მორფინს“ ეძახიან. ეს ბოზი „ძაღლებთანაა” შეკრული. დიდი მაყუთი აქვს, თანაც, ხალხს წამლავს. ჩვენ მას ბაითი უნდა დავუბომბოთ და, რაც კი რამე აქვს, წამოვიღოთ. მათ შორის – ნარკოტიკებიც. ფული გატყდება, ნარკოტიკები განადგურდება, მორფინს კი, იმ ნაბოზარს, ან გასროკავენ და იქ ჩვენები მიხედავენ, ან, სულაც, თავისიანებივე დაბრიდავენ და ერთი ნაბოზარი და ხალხის მომწამვლელი მოაკლდება ქვეყანას.

– გასაგებია. თანახმა ვარ. მოსკოვში გავემგზავროთ და ყველაფერი ადგილზე შევისწავლოთ, – ვუთხარი პოლიაკს.

მოსკოვში ორი დღის მერე ჩავფრინდით. მორფინის ბაითს თვალთვალი დავუწყეთ და ერთ კვირაში უკვე მოქმედების გეგმა გვქონდა შემუშავებული. ბაითის დაბომბვას სულ რაღაც საათ-ნახევარი მოვანდომეთ და, იქიდან რომ გამოვედით, ერთი ჩანთა ნარკოტიკები, ოთხმოცი ათასი მანეთი და ძვირფასეულობა გამოვიტანეთ. ნარკოტიკები მდინარე მოსკვაში გადავყარეთ, ძვირფასეულობა, რა თქმა უნდა, კეშას მივუტანეთ ლენინგრადში და ნახევარი თანხა ავიღეთ, რომელიც მოპარულ ფულს მივუმატეთ და სამართლიანად გავტეხეთ... მორფინის ბაითის გაქურდვამ დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მარტო მოსკოვში და, ძაღლებიც დაფარცურდნენ. ერთი კვირა დღე და ღამე არ გაუმაზავთ, მაგრამ, ქურდობა ვერ გახსნეს და ისევ მორფინს მიადგნენ, რომელსაც კრისობაში დასდეს ბრალი. მილიცია ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი მორფინმა მოაწყო, სინამდვილეში კი, ნარკოტიკები გადამალა, რომ შემდეგ ისინი გაეყიდა და მთელი ფული თვითონ ჩაეჯიბა. ამიტომ, მას ნარკოვაჭრობისთვის წაუყენეს ბრალი და ექვსი წლით გასროკეს. ზონაში მორფინი ჩვენებმა ჩაიბარეს და საქათმეში გაამწესეს. ერთ თვეში კი მან თავი ჩამოიხრჩო და ქვეყანას ერთი ნაძირალა გამოაკლდა... დათა თუთაშხიობას ვერ დავიბრალებ, მაგრამ, მორფინისნაირი ნაძირლების მოსპობა წმიდათაწმიდა საქმედ მიმაჩნია და არ ვნანობ. თუმცა, დღესდღეობით ნახევარი მსოფლიო ნარკობარიგებისაა, მათ ძალიან დიდი ფული და გავლენა აქვთ და მოწინავე პოზიციები უკავიათ ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. სამწუხარო ისაა, რომ მათ ჩვენს სამყაროშიც კი მოიპოვეს ლიდერობა, რაშიც ზოგიერთი ქურდიც იღებს მონაწილეობას. ბოლო სროკის მოხდა რუსეთში დავიწყე და, სანამ საქართველოში გამომიშვებდნენ, ჯერ ციმბირში ვიხდიდი სროკს, შემდეგ ბუტირკის ციხეში, იქიდან კი თბილისში გამომიშვეს. ციმბირში, სტროგაჩებში რომ ჩამასახლეს, ზონაში ექვსი ქურდი იმყოფებოდა. მე მეშვიდე ვიყავი და მხოლოდ ერთი ნაცნობი ქურდი დამხვდა, რომელსაც „შაურა“ ერქვა. დანარჩენი ხუთი კი ახალგაზრდა, უცნობი ქურდები იყვნენ, თუმცა, პალაჟენია ეკავათ. შაურა ცნობილი ჯიბგირი, ნეპმანელი ქურდი იყო და ძველ ტრადიციებს მისდევდა. მას მე ჩავეხუტე, ვითარება გამოვკითხე და ვუთხარი:

– რა მასტები არიან ეს ახალგაზრდა ქურდები!

შაურა კარგად მიცნოდა, მენდობოდა და პირდაპირ მითხრა:

– ნაბოზარი ნარკობარიგები!

ხუთი ქურდის ნარკობარიგობაში დადანაშაულება სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. ან ქურდი ნარკობარიგები უნდა დასჯილიყვნენ, თუკი მათ ბარიგობა დაუმტკიცდებოდათ, ან, მათი ბრალმდებელი უნდა მომკვდარიყო ცილისწამებისთვის. ერთი სიტყვით, ძალიან საჭირო ინფორმაცია იყო, თუმცა, ჩემი ქურდული მოვალეობა იყო ყველაფრის გაიასნება და შაურას ვუთხარი:

– ყველაფერი უნდა გავაიასნოთ და ტიტულები ავყაროთ.

შაურას გაეცინა და მომიგო:

– კი მაგრამ, როგორ?

– როგორ და, ქურდულად. ეს ქვეყანა ჩალით ხომ არაა დახურული, ან, ჩვენ, ქურდები ხომ არ გადავშენდით? – ვუთხარი შაურას, მან კი ირონიულად მომიგო:



– ჯერ არა, მაგრამ, გადაშენების გზაზე ვდგავართ.

– ჰოდა, ასე რომ არ მოხდეს, ამ ნაბოზრებს თავიანთი ადგილი უნდა მივუჩინოთ.

– მაინც, როგორ აპირებ ამის გაკეთებას, რა მოიფიქრე?

– ჯერჯერობით არაფერი, მაგრამ, ერთად მოვიფიქრებთ და ჩვენსას ვიზამთ.

– არ გირჩევ, კობრა, – თავი გააქნია შაურამ და დაამატა: – ბარიგობაზე მაგათ ვერ დაიჭერ – ისეთს არაფერს ჩაიდენენ, რომ სიტყვაზე ან საქციელზე წამოიკიდო და გააფუჭო. ფულით მაგათ ვერ აჯობებ და, აბა, როგორ აპირებ მათ დამარცხებას? ბოლო-ბოლო, მაყუთს გადაიხდიან და თავიდან მოგიშორებენ.

შაურა მართალი აღმოჩნდა: როგორც კი ნარკობარიგა ქურდების საწინააღმდეგო კამპანია წამოვიწყე ზონაში, ერთ კვირაში იქიდან მომაშორეს, მოსკოვში ჩამიყვანეს და ბუტირკის ციხეში ჩამსვეს. მაშინ არაფერი გამომივიდა, მაგრამ, ჯერაც არ დამიკარგავს იმედი, რომ ქურდული სამყარო აუცილებლად დაუბრუნდება ტრადიციებს და ძველ ჩარჩოებში ჩაჯდება.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა და ახალმა ტრადიციებმა მოიკიდა ფეხი, ღრმად ვარ დარწმუნებული, იმაში, რომ ქურდის ადგილი არც ბიზნესშია და არც პოლიტიკაში. არაერთხელ მითქვამს, რომ ქურდის საქმე არაა ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა და ქურდული ჩარჩოების მიღმა გასვლა. ქურდს ქურდული საქმეებიც თავზე საყრელად აქვს და კიდევ არაქურდული საქმეების დამატება მიზანშეუწონელია. ტყუილად კი არ არსებობს გამოთქმა – „რამკიანი ქურდი“. ეს მხოლოდ გამოთქმა კი არაა, ცნებაა და მთელ ქურდულ ფილოსოფიას შეიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ რამკიანი, იგივე კანონიერი ქურდი, ქურდულ ჩარჩოებს არ უნდა გასცდეს და ქურდული კანონების შესაბამისად უნდა იმოქმედოს. ქურდულ კანონებში, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა კანონში, მცირე ცვლილება კიდევ შეიძლება, თუკი ეს ცვლილება კანონის არსს არ ცვლის, მაგრამ, კანონის უგულებელყოფა, მასზე ძალადობა და საკუთარ თავზე მორგება ყოვლად დაუშვებელია და ამის ჩამდენი მკაცრად უნდა ისჯებოდეს. აქაოდა, ტექნოლოგიები განვითარდაო, ზოგიერთი ეგრეთ წოდებული ქურდი ან ქურდების ჯგუფი ისეთ აბსურდულ საქციელს სჩადის, რომ, არ იცი, იტირო თუ იცინო...

ბოლო სროკზე წასვლამდე ცოტა ხნით ადრე, ერთ-ერთ მალინაზე ჩემი ძველი ძმაკაცი და კოლეგა – „კოლია ლისი“ შემხვდა. ერთმანეთის ნახვა ძალიან გაგვიხარდა, ძველი ამბები გავიხსენეთ, წასულების სადღეგრძელო შევსვით და, რა თქმა უნდა, არც ვასია ბრილიანტი დაგვვიწყებია, რადგან, სწორედ მასთან გავიცანი კოლია ლისი.

– ღმერთმა აცხონოს ძია ვასია, – თქვა კოლიამ და არაყი გადაკრა.

– ღმერთმა აცხონოს ბრილიანტი, – ვთქვი მეც და არაყი დავლიე. ლისიმ კი მითხრა:

– რა დრო დადგა?! ბრილიანტი, ალბათ, საფლავში ბრუნავს სიმწრისა და სირცხვილისგან.

– ჰო, ზოგიერთი ჩვენი ძმა ნამეტანი გასცდა ქურდულ ჩარჩოებს, – ვუთხარი კოლიას, მან კი მომიგო:



– რასაც ახლა გეტყვი, დაუჯერებელია და, ალბათ, ჯერ არ გაგიგია.

– ისეთი რა უნდა მითხრა?

კოლია ლისის ჩაეცინა, თავი გააქნია და მითხრა:

– ადრე, თუ ქურდი ციხეში არ იყო მონათლული, მას ალმაცერად უყურებდნენ, ხომ გახსოვს?

– კარგად მახსოვს.

– კაროჩე, ერთი „თავკომბალაა“. ჯერ ერთი, ლაწირაკია და ოცდახუთისაც არ არის, მთავარი კი ისაა, რომ ქურდად აკურთხეს და, თანაც – სკაიპით...

– რაო?! – ვკითხე ლისის, რადგან საკუთარ ყურებს არ დავუჯერე.

– ჰო, ჰო, სკაიპით აკურთხეს. მეც არ მჯეროდა, სანამ ჩანაწერი არ ვნახე, – მითხრა ლისიმ და დაამატა: – ეს უკვე მეტისმეტია და, თუ ასე გაგრძელდა, სრულ გადაშენებამდე მივალთ ქურდები.

სკაიპით ნაკურთხი თავკომბალა, თანაც, ერთი ქურდის მიერ, ქურდად არავის უცნია, მის ნათლიასაც ყურები ავუწიეთ და ტიტული ავყარეთ. მიუხედავად ამისა, დღესდღეობით უკვე არავის უკვირს სკაიპით ქურდად კურთხევა და ამის ჩამდენებს უკვე არც და ვერც ვერავინ სთხოვს პასუხს...

– სკაიპიც კამერაა კობრა-ჯან, – ვითომ მეხუმრა ერთი ახლად გამოჩეკილი ქურდი, რომელიც ჩემს პაბეგამდე ცოტა ხნით ადრე შემხვდა და ვილაპარაკეთ. კამერა, ანუ, სკაიპის ვიდეოთვალი მან ორაზროვნად ახსენა და „კამერაში” „საკანს” გულისხმობდა. ეს კი იმიტომ მითხრა, რომ ერთი ქურდის სკაიპით კურთხევის ამბავზე ველაპარაკებოდი, რომელშიც თვითონაც ჰქონდა მიღებული მონაწილეობა.

– რა კამერა, ბიჭო, რის კამერა. ღადაობის დროა? კამერა ციხეშია და, ადრე ქურდს კამერაში თუ არ აკურთხებდნენ ქურდები, მათ თვალში მას ავტორიტეტი არ ჰქონდა. რა უბედურებაა ეს ვიდეოთვალითა და სკაიპით კურთხევა, სულ გაგიჟდით?

– პროგრესია, კობრა, პროგრესი, მაშინ არც ტელეფონით უნდა ისარგებლო და არც ტელევიზორს უყურო, – ნიშნისმოგებით მითხრა ჩემმა ოპონენტმა, მე კი მას სიტყვა გავაწყვეტინე და მივუგე:

– არ იცი, რომ ყველა ტელეფონს ისმენენ და ტელეფონით გაკეთებული საქმე დამწვარი და ტუფტაა?

– ტელეფონი სხვა არის, სკაიპი კი – სულ სხვა, – თავის მართლება სცადა ოპონენტმა, მე კი ვუთხარი:

– რა სულ სხვა, რას მიედ-მოედები! სკაიპიც ისეთივე დამწვარი პონტია, როგორიც ტელეფონი და სხვა ტექნოლოგიები. ქურდად კურთხევა კი, ძმაო, დახურული პონტია, რომელიც გარეთ არ უნდა გავიდეს და, კაცს რომ სიდნეიდან პარიზში ქურდად აკურთხებ, ზრდილობიანად რომ ვთქვათ, უწესობაა და არანაირ ქურდულ ჩარჩოებში არ ჯდება. არა, ძმაო, არა, არ სცემთ პატივს ქურდულ ტრადიციებს ახალგაზრდები და თქვენი წესები გაქვთ შემოღებული. ასე კი არ ივარგებს და, თუ დროზე არ მოვნახეთ გამოსავალი, კარგი არაფერი მოხდება.

– რას გულისხმობ, კობრა?

– იმას, ძმაო, რომ ქურდები ერთმანეთის დავეტაკებით, რაც კარგი საქმე არაა.

ჩემი ახალგაზრდა კოლეგა ერთ-ერთი კლანის წევრი იყო, ამიტომ, ძალას გრძნობდა და რაც შეეძლო, დაჯერებულად მითხრა:

– სადაც ვიწროა, იქ გაწყდეს, ძმაო.

– შენ გამთელება თქვი, თორემ, გაწყვეტაზე ადვილი არაფერია. არ უნდა გაწყდეს და, რომ არ გაწყდეს, წესიერი, ნაღდი ქურდული მოქცევაა საჭირო. ომი არ გვინდა, ძმაო, მაგრამ, არც ომის შეგვეშინდება სტარიკებს.

ჩემს ახალგაზრდა კოლეგას უხმოდ დავშორდი და რამდენიმე დღეში პაბეგში მომიწია წასვლა. ჩემმა ოპონენტმა და მისმა კლანმა კი დაპირისპირებულ ქურდულ კლანთან ნამდვილი ომი გააჩაღეს, რომელიც ახლაც გრძელდება, ზღვა სისხლი იღვრე-


**მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი**

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**



ბა და ამას ბოლო არ უჩანს.

რა თქმა უნდა, ქურდებს შორის შეტაკებები ახალი ხილი არ არის და ასეთი რამ ყოველთვის ხდებოდა, თუმცა, ამით ქურდული საძმო არ დაზარალებულა. ახლა კი ქურდული ომები ქურდულ სამყაროს აზარალებს და, ვიმეორებ, თუკი ეს პროცესი დროზე არ შევაჩერეთ, მაშინ ყველაფერი ცუდად დასრულდება ჩვენთვის. სამწუხაროა, რომ, თითო-ოროლას გამოკლებით, თანამედროვე ქურდები ძველ ავტორიტეტებს თითქმის არ ცნობენ, ხშირ შემთხვევაში კი დასცინიან კიდეც მათ და აბუჩადაც იგდებენ. არადა, ქურდული სამყაროს ავტორიტეტი სწორედ მისი წევრების სწორი და თავგანწირული საქციელის შედეგად იქმნებოდა და, სწორედ იმიტომ ცდილობენ ავტორიტეტების დანგრევას, რომ შემდეგ მთელი ჩვენი სამყარო დაანგრიონ. ბოლო სროკზე ყოფნისას ერთი მოხუცი მეცნიერი გავიცანი, რომელსაც რვაწლიანი სროკი ჰქონდა აკიდებული და მასთან ურთიერთობამ მრავალ რამეზე ამიხილა თვალი. მოხუცი მეცნიერი 75 წლის იყო და, იმიტომ დააპატიმრეს, რომ თავისი შვილიშვილის გაუპატიურების მცდელობისთვის, უბნის ინსპექტორი მოკლა სანადირო თოფით. მილიციის მთვრალი კაპიტანი მის ბინაში მივიდა, ვითომდა საქმეზე. მას მოხუცი სახლში არ ეგულებოდა და მის შვილიშვილს ეძგერა. ხმაურზე კი მოხუცი თოფით გამოვიდა, ინსპექტორს თავზე მიადო ორლულიანი იარაღი და ნახევარი თავი წააცალა. მოხუცი ისტორიკოსი იყო, ივან პეტროვიჩი ერქვა და ძალიან ჭკვიანურ რაღაცეებს ამბობდა. ასაკის მიუხედავად, აბსოლუტურად საღი გონება და ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა და უბადლო ანალიზს აკეთებდა. მას ყოველთვის ისეთი არგუმენტები მოჰყავდა ხოლმე ნებისმიერ თემაზე კამათის დროს, რომ ვერაფერს დაუპირისპირებდი. ერთხელ, ჩვეულებრივად ვსაუბრობდით. შემდეგ ლაპარაკი პოლიტიკას შეეხო და გლობალურ საკითხებს გადავწვდით. თემა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებს შეეხო და მე ივან პეტროვიჩს ვუთხარი:

– ვერა, ძმაო, ველარ ქაჩავს რუსეთი! არადა, ამერიკას რას უშვრებოდა საბჭოთა კავშირი?!

– სწორედ საბჭოთა კავშირის დროს დაიწყო ამერიკის აღზევება, – მითხრა ივან პეტროვიჩმა.

– ეგ ბოლოს. მანამდე?

პროფესორმა თავი გააქნია და მითხრა:

– გინდა, გითხრა, რატომ ხდება ასე?

– როგორ – ასე?

– ამერიკა რომ რუსეთს ჯობნის.

– ბრძანეთ.

– იმიტომ, რომ ამერიკამ საბჭოთა კავშირს იდეური ფუნდამენტი შეურყია და დაშალა. იმავეს იმეორებს ახლაც და, თუ ეს მთავრობამ კიდევ ჭამა, რუსეთიც დაიშლება.

– რას გულისხმობთ?

– უმარტივეს რაღაცას.

– მაინც?

– რას და, რასაც სტალინის კულტის დანგრევას უწოდებენ. სინამდვილეში ისინი ქვეყნის უდიდეს ავტორიტეტს ანადგურებენ, სანაცვლოდ კი ცრუ ღირებულებებს გვაჩეჩებენ და, სანამ გაირკვევა, რა და როგორ, ქვეყანა თავზე ჩამოგვემხობა. იგივე ხდება ქურდულ სამყაროშიც.

– ჩვენთან?

– დიახ, თქვენთან.

– კონკრეტულად რას გულისხმობთ, ივან პეტროვიჩ?

– ჩემო კობრა, ისტორიკოსი ვარ და, ყველაფერთან ერთად, ქურდული სამყაროს ისტორიაც მაქვს შესწავლილი. უნდა გითხრა, რომ აქაც იგივე სცენარი ვითარდება.

– რა სცენარი?

– რა და, ქურდული სამყაროს დაშლა-განადგურგების სცენარი და, იცი, როგორ ხდება ეს?

– როგორ?

– უმარტივესად. ახალი თაობის ქურდებს ძველ ავტორიტეტებს მასხრად აგდებინებენ და შენ წარმოიდგინე, ცალხელა ვასია ბრილიანტი და თქვენი სხვა ძმები მათთვის არანაირ ფასეულობას არ წარმოადგენენ. იცი, ერთი ღლაპი ვითომ ქურდი რას ამბობდა?

– რას?

– რას და, ცალხელას რომ ჭკუა ჰქონოდა, ხელს არ მოიჭრიდა პავიაზკის გამო, ვასია ბრილიანტი კი „ბელი ლებედში" წასვლას თავს აარიდებდაო. შენ წარმოგიდგენია, ასეთი ფილოსოფიით მცხოვრები ქურდი, თანაც, ნარკომანი, რა საფრთხეა ქურდული სამყაროსთვის? აი, სწორედ აქაა დამარხული ძაღლის თავი და, თუკი ასეთები მომრავლდნენ, შენნაირები კი გაწყდნენ, ყველფერი ამით დასრულდება და, ერთ მშვენიერ დღეს, ქურდული სამყაროდან მხოლოდ სახელწოდება დარჩეს და, შეიძლება, ისიც კი შეცვალონ. ახლა ხვდები, რა საშინელების წინაშე დგახართ ქურდები? უფრო სწორად – ნამდვილი ქურდები?

– კი, ვხვდები, – მივუგე ივან პეტროვიჩს.

– ჰოდა, ჩემო კარგო, რამე უნდა ილონოთ, თორემ, ისედაც უმცირესობაში ხართ და, თუ თავს არ უშველეთ, გადაშენდებით.

– ეს არც ისე ადვილია, – ვუთხარი მოხუც პროფესორს, ნარკობარიგა ქურდების ამბავი მოვუყევი და დავამატე: – სწორედ მაგათმა მომიშორეს თავიდან და აქ გადმომიყვანეს.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | პ | | მ | | ე | ლ | ა | დ | ა |
| | | | | | | ტ | ი | ტ | ე | | ლ | | ნ | | ლ |
| | | | | | | | რ | ო | ს | ტ | ე | ვ | ა | ნ | ი |
| | | | | | | | ო | | ე | | ნ | | პ | | ზ |
| | | | | | | | გ | ა | რ | ს | ე | ვ | ა | ნ | ი |
| | | | | | | დ | ა | ნ | ი | ა | | ა | | ე | |
| მ | | ჯ | | ი | | ე | | ი | | ი | დ | ი | ლ | ი | ა |
| ო | | ა | | ლ | ა | მ | ბ | ო | რ | გ | ი | ნ | ი | | ბ |
| რ | ო | მ | ა | ე | ლ | ი | | ნ | | ო | ნ | ე | გ | | რ |
| ი | | ი | რ | ი | გ | | ა | ი | ა | ნ | | რ | ა | დ | ა |
| | ს | | მ | | ე | | ლ | | | ი | ს | ი | | ა | |
| ფ | ი | ლ | ა | ნ | თ | რ | ო | პ | ი | | უ | | ე | რ | ფ |
| | მ | ე | ნ | დ | ი | ე | ტ | ა | | ე | მ | ა | ლ | ი | |
| | ე | ნ | ი | ო | | ნ | ი | ვ | | ვ | ო | ლ | ა | ნ | ი |
| ნ | ო | ტ | ა | ბ | | ტ | | ი | ა | რ | | ა | ვ | ა | დ |
| ი | ნ | ი | კ | ა | | ა | ი | ა | რ | ო | ლ | ო | თ | | ე |
| მ | ე | ნ | ი | | ა | | მ | | ა | | | | ა | ი | ნ |
| უ | | ო | | ა | ლ | ფ | ო | ნ | ს | ი | | ა | ს | ლ | ი |
| შ | | | ი | ზ | მ | ი | რ | ი | | ნ | | რ | | ი | |
| ი | ნ | ა | დ | რ | ა | | | კ | | ტ | ი | მ | ა | ნ | ი |
| | ა | | ი | ა | გ | ე | ლ | ო | ნ | ი | | ი | მ | ო | |
| ა | რ | გ | ო | | ე | | ე | ლ | ა | მ | | ე | რ | ი | ტ |
| | ვ | | ტ | ი | ლ | | ი | ა | რ | ა | | ლ | ა | ს | ო |
| ბ | ა | თ | ი | ლ | ი | | ლ | ე | ი | | ჯ | ი | პ | ი | |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 4 | 7 | 1 | 2 | 3 | 8 | 5 |
| 1 | 7 | 8 | 5 | 6 | 3 | 2 | 9 | 4 |
| 2 | 3 | 5 | 8 | 9 | 4 | 1 | 6 | 7 |
| 6 | 4 | 2 | 9 | 7 | 8 | 5 | 1 | 3 |
| 3 | 5 | 9 | 1 | 4 | 6 | 7 | 2 | 8 |
| 7 | 8 | 1 | 3 | 2 | 5 | 9 | 4 | 6 |
| 5 | 9 | 3 | 6 | 8 | 1 | 4 | 7 | 2 |
| 8 | 2 | 7 | 4 | 3 | 9 | 6 | 5 | 1 |
| 4 | 1 | 6 | 2 | 5 | 7 | 8 | 3 | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 8 | 2 | 1 | 4 | 7 | 3 | 6 |
| 1 | 2 | 3 | 6 | 8 | 7 | 9 | 5 | 4 |
| 7 | 6 | 4 | 3 | 5 | 9 | 8 | 2 | 1 |
| 3 | 5 | 1 | 7 | 6 | 8 | 4 | 9 | 2 |
| 9 | 4 | 2 | 5 | 3 | 1 | 6 | 7 | 8 |
| 6 | 8 | 7 | 4 | 9 | 2 | 5 | 1 | 3 |
| 4 | 7 | 6 | 9 | 2 | 3 | 1 | 8 | 5 |
| 2 | 1 | 9 | 8 | 4 | 5 | 3 | 6 | 7 |
| 8 | 3 | 5 | 1 | 7 | 6 | 2 | 4 | 9 |

„თუ გამოიცნობთ" რუბრიკის პასუხები: **1. ყრუ-მუნჯთა ენა ჟესტებით. 2. ჩხირები, რომლითაც საჭმელს მიირთმევენ. 3. კეგლი. 4. ლიმონით – აქედან წარმოიშვა გამოთქმა „ლიმონი" – მილიონი. 5. ჰოსპიტალი. 6. ის კუნძულ მილოსზე შეიქმნა – ვენერა მილოსელი. 7. ქარის წისქვილებს. 8. შვედი შინდლერი. 9. ბრუტუსის მიერ კეისრის სიკვდილი. 10. ობამას დღეს – დღესასწაული ბარაქ ობამას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ დაარსდა.**

ივან პეტროვიჩის ანალიზმა და კომპეტენტურმა დასკვნამ კიდევ უფრო მეტად ამიხილა თვალი და, იქვე, ბუტირკის ციხეში ვცადე ძველი ქურდების ორგანიზება, მაგრამ, იქიდანაც მალე მომიშორეს, თბილისში გამომგზავნეს და მეშვიდე იზოლატორში გამომკეტეს. იქიდან ქურდული ცხოვრების ორგანიზება ისეთივე შეუძლებელია, როგორც ოკეანის გადაცურვა გემის გარეშე. არადა, საქართველოში ყველაზე ხელსაყრელი ქურდული ატმოსფერო იყო, მაგრამ, ერთმა კანონცვლილებამ და ახალი მთავრობის ნებამ ისე რადიკალურად შეცვალა ყველაფერი, რომ ახლა აქ ყველაზე არაქურდული პალაჟენიაა და, საეჭვოა, რომ ძველი სიტუაცია მალე დაბრუნდეს, თუკი ასეთი რამ ოდესმე მოხდება.

მე თავს ვერ გამოვიდებ იმის მტკიცებით, რომ საქართველოში იდეალური სიმშვიდეა – ეს მხოლოდ ზედაპირულად ჩანს ასე. სინამდვილეში კი, თუ ქურდული სამყარო არ ჩანს, სამაგიეროდ, მაფიოზური კლანები ბოგინობენ, რომლებიც გაცილებით მეტ ზარალს აყენებენ ხალხსა და სახელმწიფოს, ვიდრე კანონიერი ქურდები და მათი საქმიანობა. მეტსაც ვიტყვი, სწორედ ჩვენ, ქურდები ვაბალანსებდით ადამიანურ ურთიერთობებს და საშუალებას არ ვაძლევდით მაფიოზურ კლანებს, რომ ღრმად გაედგათ ფესვი საზოგადოებაში, ხალხი გაეწეწათ და დაეშინებინათ. მაშინ ასეთ ხალხს „ფაშისტებს" უწოდებდნენ და სწორედ ისინი თამაშობენ ამჟამად ერთ-ერთ მთავარ როლს იმ საქმეში, რასაც ნაღდი ქურდული ტრადიციების გადაშენება და ახლის დანგრევა ეწოდება. დღევანდელ ფაშისტებს ანუ – ბიზნესმენებს, ახლა საკუთარი ქურდული კანტორები აქვთ და სწორედ ამით გვიპირისპირდებიან ჩვენ, ნაღდ ქურდებს.

ვარდების რევოლუცია ახალი მომხდარი იყო და ქურდებს ჯერ კიდევ არ გვავიწროებდნენ, თუმცა, მაფიოზური დაჯგუფებები საკმაოდ მყარად გრძნობდნენ თავს, როდესაც ერთმა ძველმა ნაცნობმა დახმარება მთხოვა. ის პატიოსანი ფოტოგრაფი იყო, ქალაქის ცენტრში პატარა ატელიე ჰქონდა და მისი მუქთად წართმევა უნდოდათ.

– კობრა, ძმაო, შენ ხომ მაინც კარგად იცი, რამდენი ოფლი მაქვს ჩაღვრილი იქ და, ახლა ერთ ახვარს ის ადგილი მუქთად უნდა. იცნობ შენ მას, თუ გახსოვს, პლეხანოვზე დარბოდა ყუთით და პრიანიკებს ყიდდა. „თხილა" არ გახსოვს? წვრილი თავი რომ ჰქონდა.

– როგორ არ მახსოვს, – გამეცინა მე და თხილა გამახსენდა, რომელიც მთელი დღე პლეხანოვზე დადიოდა და პრიანიკებს ყიდდა.

– ახლა ის თხილა კი აღარ არის, არამედ, ბიზნესმენია. თავისი მაღაზიების ქსელი აქვს და ჩემი ატელიე იმისთვის უნდა, რომ იქაც მაღაზია გახსნას. იცი, რა მითხრა?

– რა?

– რა და, ათას დოლარს გადაგიხდი და ეგ ადგილი დამითმეო. არადა, მხოლოდ კვადრატულით რომ ვიანგარიშოთ, ჩემი ადგილი, სულ ცოტა, ასჯერ ძვირი ღირს და მალე ეს ფასი გაორმაგდება კიდეც.

– მოიცა, მოიცა, ასიათასიანი ადგილის დათრევა ათას დოლარად უნდა?

– ჰო.

– მერე, შენ რა უთხარი?

– რა და, ერთ ადგილზე გავგზავნე რუსულად. მან კი ვიღაც „ჩიორა" გამომიგზავნა და პრავის კაჩაობა დამიწყო.

– აბა, ჩიორა?

– ვიღაც ლაწირაკი ბიჭია, ამბობს, ქურდი ვარო.

– ქურდი ჩიორა? არ ვიცნობ. ჩემზე არაფერი უთხარი?

– როგორ არა, ვუთხარი, ჩემი ახლობელია-მეთქი, მან კი მითხრა, ასეთ ქურდს არ ვიცნობო.

– არ ვიცნობო?

– არაო.



– კარგი. ხვალისთვის დაიბარე და, ვნახოთ, რა ხილია.

მე და ფოტოგრაფი მეორე დღეს შევხვდით ჩიორას, რომელიც საკმაოდ გონორით ლაპარაკობდა და იმ ეგრეთ წოდებული „სკაიპით მონათლულთა" პლეადას ეკუთვნოდა, ვინც ახალ ფაშისტებს ჰყავდათ ნაყიდი. მე მას ცოტა ხანს ვუსმინე, ბოლოს კი დავუნაყიმე, გავაჩერე და ვუთხარი:

– ახლა წადი, იმ ნაბიჭვარ თხილას გადაეცი, რომ ის ადგილი ასე იაფად არ იყიდება და, თუ მისი დათრევა უნდა, მაშინ, მილიონი დოლარი მოჯვას. შენ კი გირჩევ, რომ ვაჭრუკანებს თავი დაანებო, თუ ქურდი ხარ, ქურდულ საქმეში ჩაება და, რაც მთავარია, ქურდები გაიცნო. ჩემზე გითქვამს, ასეთ ქურდს არ ვიცნობო. ამჯერად გპატიობ ამ იაღლიშს, სხვა დროს კი პასუხს მოგთხოვ.

ჩიორა კუდამოძუებული წავიდა და ჩემი ახლობელი მას და თხილას აღარ შეუწუხებიათ. თუმცა, სამი თვის მერე, როდესაც ახალმა ხელისუფლებამ ანტიქურდული რეპრესიები დაიწყო, ჩემს ახლობელს თავისი კუთვნილი ატელიე მუქთად წაართვეს, თვითონ კი ექვსი თვით ციხეში ჩასვეს და მხოლოდ საკმაოდ დიდი თანხის გადახდის შემდეგ გამოუშვეს, სულ მალე იმ ადგილას თხილას მაღაზია გახსნეს, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს, მაგრამ, თხილას აღარ ეკუთვნის. თხილა ახლა უცხოეთშია გახიზნული და მტრებს ემალება. ჩიორა კი უფრო ადრე გაიქცა, თუმცა, შურისძიებას ვერ გადაურჩა და ლისაბონის ერთ-ერთ სასტუმროში თავმოკვეთილი იპოვეს... ასე ხდება, როცა ბესპრედელშჩიკურად ცხოვრებას მოინდომებს ის ადამიანი, რომელიც სამართლიანობას უნდა ემსახურებოდეს. ქურდებს შეცდომები ადრეც მოსდიოდათ და ზოგჯერ მიუტევებელ საქციელსაც კი სჩადიოდნენ. მაგრამ ასე მასობრივად არ იყიდებოდნენ, თავიანთ ღირსებას უფრთხილდებოდნენ და ცუდს არავის ათქმევინებდნენ.

თუ ადრე ქურდი სასიკვდილო დანაშაულს ჩაიდენდა, ის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თვითონვე იკლავდა თავს და, ამით, ასე თუ ისე, მაინც ინარჩუნებდა ღირსებას. დღეს კი პირიქითაა და ისე იოლად არღვევენ ქურდულ კანონებს და ისე იოლად ილახავენ ღირსებას, თითქოს მზესუმზირას ჭამდნენ სტადიონზე...

მახსოვს, ერთხელ, მეზობლის პატარა ბავშვს მანქანას შევპირდი საჩუქრად, მაგრამ, ისე მოხდა, რომ მილიციამ დამაკავა, მხოლოდ ორი დღის შემდეგ გამომიშვეს და ბავშვს ცოტა მოგვიანებით შევუსრულე დანაპირები. ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვინერვიულე და რა ცუდ დღეში ჩავვარდი, როდესაც პატარა ბავშვს დროულად ვერ შევუსრულე დანაპირები. არავინ იფიქროს, რომ ვმეტიჩრობ. მართლა ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი და ეს იმიტომ, რომ ჩვენ სხვა ღირებულებებზე ვიყავით გაზრდილები და ბავშვთან სიტყვის გატეხაც კი ულირს საქციელად მიგვაჩნდა. მეტსაც ვიტყვი: მილიცია რომ მილიციაა, თუკი ქურდი მილიციელს პატიოსან სიტყვას მისცემდა, შანსი არ იყო, რომ ის გაეტეხა.

ერთი ცნობილი ქართველი ქურდი იყო, ვანო ჯიქია, მეტსახელად, „ჯიქი". გასული საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში მას ძალიან დიდი ავტორიტეტი ჰქონდა თავის კოლეგებში და მტრებიც კი პატივს სცემდნენ. მოხდა ისე, რომ, სრულიად შემთხვევით, ჯიქს ადამიანი შემოაკვდა. უფრო სწორად კი, მას ორი გაფუჭებული ქურდი დაესხა თავს მოსაკლავად. ვანომ კი ისინი მოიგერია და მათსავე დანებზე წამოაგო. ჯიქი ააგდეს და ძალიან მძიმე ბრალდება წაუყენეს. დახვრეტა თუ არა, თხუთმეტწლიანი პატიმრობა გარანტირებული ჰქონდა. როგორც საშიში დამნაშავე, ჯიქია შინაგან ციხეში გამოამწყვდიეს. იმ პერიოდში საქართველოში ძალიან მაღალჩინოსანი მოსკოველი პარტიულის ცოლი იყო ჩამოსული დასასვენებლად და მას ბრილიანტის ბეჭედი მოჰპარეს სოხუმში. ფეხზე დადგა მთელი ქართული მილიცია, მაგრამ ვერც ქურდი იპოვეს და ვერც მოპარული ბეჭედი. დაზარალებულს ბევრად უფრო ძვირფასი ბეჭედი და სხვა სამკაულები შესთავაზეს საკომპენსაციოდ, მაგრამ, ის უარზე იდგა და თავის ბეჭედს მოითხოვდა. ძალიან მძიმე სიტუაცია შეიქმნა და, ამ ქურდობას, შესაძლოა, ქართველი ბობოლა ძალოვნებისა და პარტიულების კარიერა შესწირვოდა. ამიტომ, ქართველი ფუნქციონერები დაფაცურდნენ და ერთ-ერთმა მათგანმა ამ საქმეში ჯიქის გამოყენება სცადა. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ მინისტრს უთხრა:

– ამხანაგო გენერალო, ერთი შანსი დაგვრჩა – ჯიქი თუ გვიშველის.

– ჯიქი?!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# როგორ ხვრეტდნენ სიკვდილმისჯილ პატიმრებს საბჭოთა კავშირში

**სამედიცინო კომისიის მიერ გაცემული ცნობის მიხედვით, 75 წლის ალექსანდრ ზუნტაბეროვი, მეტსახელად „საშა ბეზლიკი“ შრომის პირველი ჯგუფის ინვალიდია და ქმედითუნარიანობა საწარმოო ტრავმის შედეგად დაკარგა. პროფესიით ის ციხის შემსრულებელია, რაც უბრალო ენაზე ჯალათს ნიშნავს. მას ამ სფეროში 35-წლიანი სტაჟი აქვს. თავისი კარიერის განმავლობაში, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ციხეში მას 216 სასიკვდილო განაჩენი აქვს სისრულეში მოყვანილი, მათგან ერთ-ერთი კი მისი საკუთარი ძმა იყო. „საწარმოო ტრავმა“ მან 1990 წელს, მას შემდეგ მიიღო, რაც ერთ-ერთი დახვრეტილის ჭირისუფალმა სახეში გოგირდმჟავა შეასხა. მეტსახელი „ბეზლიკი“ მას შემდეგ შეარქვეს და სწორედ იმ დღეს დაესვა წერტილი მის ჯალათურ „კარიერას”. საშკა ბეზლიკი უცოლშვილოა, დღესდღეობით საკუთარ დასთან, თბილისში ცხოვრობს და პენსიონერია.**



**– როგორ გახდით ჯალათი? თავიდან რომ იწყებდეთ ცხოვრებას, იმავე გზას დაადგებოდით?**

– შრომის წიგნაკში მე „ციხის შემსრულებელი მიწერია” და არა „ჯალათი”. ეს სიტყვები ცუდად ხვდება ყურს და ადამიანები იფიქრებენ, რომ თითქოს რამე არაკანონიერს ვაკეთებდი. პირიქით, მე დამნაშავეს ვსჯიდი და, მიმაჩნია, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ვეწეოდი. ვიღაცას ხომ უნდა შეესრულებინა ასეთი სამუშაო, ჰოდა, ეს ფუნქცია მე ნებაყოფლობით ვიკისრე. ყველაფერი კი 1957 წელს დაიწყო. მაშინ მე ქალაქ პერმში შინაგანი ჯარის ნაწილებში ვმსახურობდი. იქვე სამხედრო ტრიბუნალი და სამხედრო მოსამსახურეების ციხე იყო, სადაც სიკვდილმისჯილ სამხედროებს ხვრეტდნენ. ერთ საღამოს, ციხის შემსრულებელი გარდაიცვალა, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი უნდა აღესრულებინა. უფროსობამ, შესაბამისი ანაზღაურებისა და დამატებითი „პაიოკის“ საფასურად, მე შემომთვაზა ამ მისიის შესრულება. ბევრი არ მიფიქრია, მალევე დავთანხმდი და მეორე დღეს ჩემი პირველი სიკვდილმისჯილი დავხვრიტე ციხის სარდაფში. მას შემდეგ სპეციალური კურსები გამატარეს, რამდენიმე თვეში ჯარში სამსახურიც დამიმთავრდა და ციხის შემსრულებლის ოფიციალურ შტატში ჩამსვეს. ჩემი აზრით, ყველა პროფესია საპატიოა და კვლავ ამ გზას ავირჩევდი...

**– თუ შეგიძლიათ, ზუსტად აგვიწერეთ დახვრეტის პროცესი, ანუ, ის გზა, რომელსაც სიკვდილმისჯილი ადამიანი საიქიოში მისვლამდე გადის.**

– სიამოვნებით მოგიყვებით, მაგრამ, მანამდე ერთი შესწორება უნდა შევიტანო: სიკვდილმისჯილის ბოლო გზა დასახვრეტად გაყვანით კი არ იწყება, არამედ, მაშინ, როდესაც მას ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი შეწყალებაზე უარს ეუბნება. როდესაც ყველა „პადრასტრელნის“ ბოლო იმედი გადაიწურება, სიკვდილისკენ მისი სვლაც სწორედ იმ წამიდან იწყება. მაქსიმუმ, ეს პერიოდი ერთი თვე გაგრძელდეს, ბოლოს მაინც „სტენკით“ მთავრდება. ეს ერთი თვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მთელი ეპოქაა ადამიანის ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში სიკვდილმისჯილს თითქმის არ სძინავს და განუწყვეტლივ ფიქრობს. დახვრეტა კი ამ გზის დაბოლოებაა და მეტი არაფერი. ყველა დასახვრეტი ოთახი ციხის ძირითადი კორპუსებისგან იზოლირებულია და იქამდე მიწისქვეშა გვირაბია გაყვანილი. ხელბორკილდადებული სიკვდილმისჯილი ამ გვირაბის „ნადზორებთან“ ერთად გავლის მერე ხვდება დასახვრეტთა ოთახთან. იქ მას განაჩენს უკითხავს პროკურორი, ციხის უფროსი კი ეუბნება, რომ სიკვდილმისჯილთა ახალ საკანში – „ადინოჩკაში“ ათავსებენ და ოთახში შესვლას სთავაზობს, მანამდე კი ხელბორკილებს ხსნიან. დასახვრეტთა ოთახი, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ საკანს ჰგავს და სიკვდილმისჯილის მოსატყუებლად კარიც კი აქვს. ოთახი 12 კვადრატული მეტრია. მის შესასვლელში, რუსული ასო გ-ს მსგავსი, ვიწრო დერეფანია. როდესაც სიკვდილმისჯილი პირველ დერეფანს გაივლის და მოუხვევს, სწორედ მაშინ ხდება გასროლა. იქვე, კედელში, პატარა სარკმელია, რომელიც საშუალო სიმაღლის კაცის ზომაზეა გამოჭრილი (დაახლოებით 170 სანტიმეტრი იატაკიდან), ისე, რომ, იქიდან გასროლილი ტყვია მას კეფაში მოხვდეს. კედლის უკან სულ 2 კვადრატული მეტრი ფართობია და სწორედ იქიდან ისვრიან. მეორე დერეფნის ბოლოს 6 კვადრატული მეტრი ოთახია, სადაც საკანალიზაციო ჭაა. დახვრეტის შემდეგ იმ ოთახში შედიან პროკურორი, ექიმი, ციხის უფროსი და დახვრეტის ოქმს ადგენენ. შემდეგ, დახვრეტილთან ციხის სანიტარი შედის, აშიშვლებს მას და ტანსაცმელს ცალკე აწყობს, ხოლო მკვდარს კი ჯერ შლანგით რეცხავს, შემდეგ კი ბორბლებიანი საკაცით ციხის მორგში გადააქვს. დახვრეტილს იმავე დღეს სპეციალურ სასაფლაოზე ასაფლავებენ, ტანსაცმელსა და ტყვიის ჰილზას კი მის ოჯახს უგზავნიან. დახვრეტის პროცესი ყოველთვის გამთენიისას, დილის 5 საათზე ხდებოდა. პატიმრებს ან ორშაბათს ხვრეტდნენ, ან ოთხშაბათს. დახვრეტის წინა ღამეს პატიმრის ვინაობას ციხის უფროსი მე მაცნობებდა. ვიყენებდი ჯერ „ტეტეს“, შემდეგ კი „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტს.

## რომ დამევალებინათ, შვილსაც დავხვრეტდი, რადგან, ასეთი პროფესია მქონდა და რა უნდა მექნა

**– რამდენი კაცი გყავთ დახვრეტილი და რა გრძნობა გეუფლებოდათ სასიკვდილო განაჩენის აღსრულების შემდეგ?**

– 35 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის 8 ციხეში ვიმუშავე და 216 სასიკვდილო განაჩენი აღვასრულე. განსაკუთრებული არაფერი მიგრძნია – ეს ჩემი ჩვეულებრივი სამუშაო იყო და მეტი არაფერი. უბრალოდ, ძალიან მშივდებოდა ხოლმე და, სამუშაოს რომ დავასრულებდი, თან წაღებულ კატლეტებსა და პურს შევექცეოდი ძლომაზე. შემდეგ კი ჩემს ოთახში შევდიოდი და ვიძინებდი. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი.

**– კაცის მოკვლის შემდეგ ასე მშვიდად როგორ იძინებდით? ნუთუ, ოდნავ მაინც არ გქენჯნიდათ სინდისი?**

– მე კაცს კი არ ვკლავდი, კანონს ვასრულებდი. სინდისს რატომ უნდა შევეწუხებინე, მე ხომ დამნაშავეებს ვსპობდი?!

**– მაგრამ, მათ ხომ პირადად თქვენთვის არაფერი დაუშავებიათ?**

– მე თუ არა, სხვებს ხომ დაუშავეს და, საერთოდ, ვიღაცამ ხომ უნდა შეასრულოს შავი სამუშაო?

**– ნაცნობს თუ დახვრეტდით?**

– ნაცნობს კი არა, ჩემი ღვიძლი ძმა მყავს დახვრეტილი ნოვოჩერკასკის ციხეში.

**– იცოდით და მაინც დახვრიტეთ?**

– რა თქმა უნდა, ვიცოდი, მაგრამ, ხომ გითხარით, რომ ეს ჩემი სამუშაო იყო და, რა უნდა მექნა? მე რომ უარი მეთქვა, მაშინ სხვა დახვრეტდა. როცა ციხის უფროსმა წინა საღამოს დამიბარა და დასახვრეტის გვარი გამომიცხადა, მითხრა: ხვალ შენი მოგვარე უნდა გაამგზავრო საიქიოში და ხელი ხომ არ აგიკანკალდებაო? მან არ იცოდა, რომ ჟენია ზუნტაბეროვი ჩემი უფროსი ძმა იყო და მხოლოდ მოგვარე ეგონა. რას ბრძანებთ, ხელს რა ამიკანკალებს-მეთქი, ვუპასუხე და ჩემი ვალდებულება პირნათლად შევასრულე. ციხის უფროსმა მოგვიანებით მაინც გაიგო, რომ საკუთარი ძმა დავხვრიტე და თავიდან მომიშორა. არ ვიცი, ის რამ შეაშინა, მაგრამ მე პატიოსნად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას.

**– ძმის დახვრეტის შემდეგაც მადიანად გამოძეხით და ასევე, მშვიდად დაიძინეთ?**

– რა თქმა უნდა. სამსახური სამსახურია და თუ კი პროფესიონალი ხარ, ასე უნდა მოიქცე.

**– რომ ეთქვათ, შვილსაც დახვრეტდით?**

– თუკი მიუსჯიდნენ, რა თქმა უნდა, კი... ხომ გითხარი, რომ ეს პროფესიაა და მეტი არაფერი.

**– პროფესიის გარდა, მორალიც ხომ არსებობს?**

– მორალი სუსტების მოგონილია და თავის გამართლებისთვის სჭირდებათ.

**– ღმერთი არ გწამთ?**

– არა.

**– რამე თუ გწამთ, საერთოდ?**

– კანონი, რომელსაც, თუ დაარღვევ, დაისჯები.

**– თუ საიდუმლო არ არის, რამდენს გიხდიდნენ სამუშაოში?**

– ბოლოს, როგორც მაღალი კვალიფიკაციის მქონე შემსრულებელს 450 მანეთი მქონდა ყოველთვიურად, პლუს 50 მანეთი თითოეულ დახვრეტილზე. გარდა ამისა, ყოველ კვარტალში 300 მანეთ პრემიას გვაძლევდნენ და ყოველი წლის ბოლოს მეცამეტე ხელფასსაც გვიხდიდნენ.

ერთხელ, ქალაქ ვლადიმირის ციხეში ერთი რეციდივისტი უნდა დამეხვრიტა. როდესაც მან პირველი დერეფანი გაიარა და „ფორთოჩკასთან“ კეფით დადგა, მას მე „ტეტედან“ ვესროლე. ტყვიამ ის ვერ წააქცია, შემობრუნდა და, რომ დამინახა, ხელის შემოყოფა და იარაღის წართმევა მოინდომა. მე მეორედაც ვესროლე თვალში და ტვინი გავასხმევინე.

**– რატომ შეგარქვეს „ბეზლიკი“ და როგორ დასრულდა თქვენი „კარიერა”?**

– 1989 წელს, აგვისტოში, ისევ ნოვოჩერკასკის ციხეში დამაბრუნეს სამუშაოდ. ორი კვირის შემდეგ ვინმე ვიტალი კარპოვი დავხვრიტე, რომელიც სამი ადამიანის მკვლელობისთვის იყო გასამართლებული. მოგვიანებით კარპოვის უდანაშაულობა დამტკიცდა და ნამდვილი მკვლელიც დაიჭირეს, მაგრამ, რა ჩემი ბრალი იყო?! მე ხომ არ გამომიტანია განაჩენი, მე მხოლოდ აღვასრულე. ერთი სიტყვით, ამ ამბავს მკვლელობების სერია მოჰყვა და კარპოვის ნათესავებმა ყველა მოკლეს, ვინც კი მის დახვრეტაში მონაწილეობდა. ბოლოს მეც მომადგნენ, ქუჩაში დამიდარაჯდნენ, ჯერ ტყვია მესროლეს, ბოლოს კი გოგირდმჟავა შემასხეს სახეში, ჭრილობას გადავურჩი, მაგრამ გოგირდმჟავამ დამაბრმავა, სახე წამიშალა და „ბეზლიკიც“ ამიტომ შემარქვეს. ახლა მათხოვრულ პენსიაზე ვზივარ და ჩემს დასთან ვცხოვრობ. კომუნისტების დროს კი პენსია 250 მანეთი მქონდა...

**ნიკა ლაშაური**

**ცნობილ პარაფსიქოლოგ დალი ავაგუმაშვილს უამრავი ადამიანი ემადლიერება. მასთან დახმარების სათხოვნელად ხალხი უცხოეთიდანაც ჩამოდის. ლოცვით ის ნამდვილ სასწაულებს ახდენს. ქალბატონ დალისთან ხშირად მიდიან ცნობილი ადამიანები და ბიზნესმენები, რათა მოპოვებული წარმატება შეინარჩუნონ. ზოგიერთები, ვისაც მისი დახმარება სჭირდება, სიზმარში ნახულობენ ამ ღვთისნიერ ადამიანს. პოპულარული ქართველი მომღერლის, გია ავაგუმაშვილის (ანსამბლი „ოთხი გია") და ეხმარება დეპრესიაში ჩავარდნილებს, ოჯახური კონფლიქტებით თავმობეზრებულებს, ნევროზიანებს; ხსნის სტრესს, შიშს, ასუფთავებს დაბინძურებულ აურას და ანეიტრალებს ნეგატიური პროგრამების ზემოქმედებას.**

# წარმატებული ადამიანის აურას შურის ნეგატიური ენერგია იოლად არღვევს

**– ქალბატონო დალი, როგორ გამოგყავთ ადამიანი სტრესული მდგომარეობიდან?**

– სტრესი აურას ნეგატიური ინფორმაციით აბინძურებს, რაც ადამიანზე დამთრგუნველად მოქმედებს. ბიოველის გასუფთავება სასურველ შედეგს იძლევა. ჩემთან უამრავი ადამიანი მოდის დაკარგული სიმშვიდის დასაბრუნებლად. სტრესული მდგომარეობიდან მათი გამოყვანა ხდება ენერგეტიკული მეთოდით, წამლების გარეშე.

**– ნევროზსაც კურნავთ?**

– დაბინძურებული აურის განმენდით დაუჯერებელ შედეგებს ვაღწევ. ენერგეტიკული მეთოდით ნევროზის მძიმე ფორმასაც ვუმკლავდები. მკურნალობა გაცილებით ეფექტურია, როცა პაციენტზე ქიმიური პრეპარატები არ მოქმედებს და, პირიქით, კიდევ უფრო ამძიმებს მის მდგომარეობას.

**– დეპრესიას თუ შველით?**

– ურთულესი შემთხვევები მქონია პრაქტიკაში. ჩემთან მოჰყავთ ღრმა დეპრესიაში ჩავარდნილები, რომლებმაც რამდენჯერმე სცადეს სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება.

**– შედეგი როგორია?**

– უკმაყოფილო არავინ წასულა. თვითმკვლელობამდე მისულებს სულიერი ჰარმონია და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდათ. ჩვეულებრივად მუშაობენ, ნორმალური ცხოვრება აქვთ, შავ-ბნელი ფიქრები აღარ აწუხებთ.

**– შეგიძლიათ, ახლობლის თხოვნით დაეხმაროთ ადამიანს, მისი თანხმობის გარეშე?**

– გამორიცხულია! ვისაც სურს, უფალი შეეწიოს და ღვთიურ მადლს ეზიაროს, თავად უნდა მოვიდეს ჩემამდე, რათა რწმენაში გაძლიერდეს. სასურველ შედეგს ცოდვებით დამძიმებული, ანუ უარყოფითი მუხტით დაბინძურებული აურის გასუფთავება იძლევა.

**– როგორ ახერხებთ ოჯახური კონფლიქტების მოგვარებას?**

– ოჯახური კონფლიქტიც ლოცვის ძალით გვარდება, ოღონდ, ამ შემთხვევაში, ოჯახის ყველა წევრისა და სახლის ენერგეტიკული ველიც უნდა გასუფთავდეს, სხვაგვარად სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ.

**– თქვენთან ცნობილი ადამიანებიც დადიან და ბიზნესმენებიც, უცხოეთიდანაც ხშირაც გაკითხავენ. თუ საიდუმლო არ არის, გაგვიმხილეთ, რაში ეხმარებით?**

– სხვათა შორის, წარმატებული ადამიანის აურას იოლად არღვევს შურის ნეგატიური ენერგია. საყოველთაო გაჭირვების ფონზე, უზრუნველყოფილი პიროვნებები ცხოვრებით უკმაყოფილოთა ყურადღების ცენტრში ხვდებიან და ხშირად, იღებენ „ენერგეტიკულ დარტყმებს", ანუ, ითარსებიან და საქმე ცუდად მისდით. დამიჯერეთ, წარმატების მოპოვება უფრო იოლია, ვიდრე მისი შენარჩუნება. ასე რომ, ჩემნაირი ადამიანის დახმარება ცნობილ, წარმატებულ პიროვნებებსაც სჭირდებათ. აურის დაბინძურება უამრავ წინააღმდეგობას ქმნის ცხოვრებაში. წარუმატებლობა, ხშირ შემთხვევაში, ნეგატიური პროგრამების ზემოქმედების შედეგია, რამაც, შესაძლოა, კარგად აწყობილ ბიზნესშიც კი რეალური ზეგავლენა იქონიოს.

**– ორგანულ დაავადებებსაც კურნავთ?**

– თუ პაციენტის ჩივილები ორგანული პა-



თოლოგიითაა გამოწვეული, უთუოდ ექიმს უნდა მიაკითხოს, ამ შემთხვევაში მე უძლური ვარ და ვერაფერს ვუშველი. მაგრამ, როცა ავადმყოფი პრაქტიკულად ჯანმრთელია და ჩივილები აურის დაბინძურებითაა გამოწვეული, შემიძლია, პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღო. პაციენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვმკურნალობ, თუ ექიმის დიაგნოზს მომიტანს, რომლის თანახმადაც ორგანული დაავადება არ აღენიშნება.

***დალი ავაგუმაშვილის ყოფილი პაციენტები:***

**ალექსანდრე კ-ძე**: სამსახურიდან რომ დამითხოვეს, საკუთარი საქმე წამოვიწყე. გულმოდგინე შრომის შედეგად მიზანს მივაღწიე. დამხმარე არავინ მყავდა, საკუთარი ოფლით ვიშოვე ფული. კმაყოფილი ვიყავი, ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა – ქალამნად. წარმატება თავში ამივარდა. გაჭირვებულ ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობას გავურბოდი, მათ ზარებს აღარ ვპასუხობდი.

**– რატომ?**

– დახმარებას მთხოვდნენ, ყველას ფული უნდოდა ჩემგან, რაც ძალიან მაღიზიანებდა. უკვე სხვა წრეში ვტრიალებდი, შეძლებულ ხალხთან მქონდა საქმე. მოკლედ, ფულმა სხვა ადამიანად მაქცია. ბიზნესს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი, დროსტარებაზე გადავედი. კაზინოების ხშირი სტუმარი გავხდი. საუკეთესო რესტორნებში ვქეიფობდი, რაც სავალალოდ დამთავრდა ჩემთვის – ვალები დამედო და კინაღამ გავკოტრდი.

**– ქალბატონ დალისთან როგორ მოხვდით?**

– გია ავაგუმაშვილი, პოპულარული ქართველი მომღერალი, ჩემი მეგობარია და, ვთხოვე, შენს დასთან მიმიყვანე, საქმე ცუდად მაქვს-მეთქი.

ქალბატონი დალის წყალობით, გონს მოვეგე, გაჭირვებულთა დახმარება ვისწავლე. მისი ლოცვის ძალამ კვლავ ფეხზე დამაყენა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი. ამ ღვთისნიერმა ადამიანმა ჭეშმარიტებისკენ მიმავალი გზა დამანახვა.

**ია ნ-შვილი**: ავადმყოფობამ მხოლოდ ჯანმრთელობა კი არა, ნერვული სისტემაც შემირყია. ოპერაციის შემდეგ დეპრესიაში ჩავვარდი, ცხოვრებამ ჩემთვის აზრი დაკარგა.

**– რა დაგემართათ?**

– წლების განმავლობაში მიომა ისე გაიზარდა, რომ ექიმები იძულებულნი გახდნენ, საშვილოსნო მთლიანად ამოეკვეთათ. მითხრეს, შვილს ვეღარ გააჩენო. 30 წლის ქალისთვის ამხელა სტრესი, დამეთანხმებით, ძნელი გადასატანია.

**– გათხოვილი ხართ?**

– არა, მაგრამ, იმედი მქონდა, რომ მეც შევქმნიდი ოჯახს. ოპერაციის შემდეგ კი სასოწარკვეთილებამ შემიპყრო. გათხოვება და შვილის გაჩენა ჩემთვის აუხდენელ ოცნებად იქცა. თავის მოკვლაც კი ვცადე, მაგრამ, გადამარჩინეს.

**– ვინ მიგიყვანათ ქალბატონ დალისთან?**

– ბავშვობის მეგობარმა. ძალით წამათრია, არ მივყვებოდი. ახლა ისეთი მადლობელი ვარ, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ. ქალბატონმა დალიმ სიცოცხლისკენ შემომაბრუნა, რისთვისაც გულით ვლოცავ და დიდ მადლობას ვუხდი.

**ლეილა ქ-ძე**: ქალბატონ დალისთან დახმარების სათხოვნელად საბერძნეთიდან ჩამოვედი.

**– ვისგან გაიგეთ მის შესახებ?**

– ქართულ ჟურნალ-გაზეთებს სისტემატურად ვეცნობი საბერძნეთში. მისი ინტერვიუები წავიკითხე. გარდა ამისა, თბილისში დავრეკე ნათესავებთან და ყველამ ძალიან მიქო.

**– რა გჭირდათ?**

– კოშმარები მესიზმრებოდა. ვიღაც ჩამძახოდა ყურში, თავი მოიკალიო. ქალბატონმა დალიმ სასწაული მოახდინა: ავსულმა, რომელიც ძილში მაწვალებდა, ხუთი სეანსის შემდეგ დამტოვა. სიხარულისგან მუხლებში ჩავუვარდი და ხელები დავუკოცნე, რადგან მხსნელად მომევლინა.

სხვათა შორის, ქალბატონ დალის ჩემი ძმისშვილიც მივუყვანე – ფუქსავატი, დროსტარებაზე გადასული 21 წლის ახალგაზრდა კაცი. აუტანელი ხასიათი ჩამოუყალიბდა, გუნება-განწყობა უმიზეზოდ ეცვლებოდა, მშობლებს ძაღლადაც აღარ აგდებდა. ვერ გეტყვით, რა გაუკეთა ამ საოცარმა ადამიანმა, მაგრამ, ფაქტია, რომ ცხოველივით მოათვინიერა, რწმენაში გააძლიერა და ღმერთისკენ შემოაბრუნა.

***P.S. გაითვალისწინეთ: ქალბატონი დალი ჩაწერის გარეშე, არავის იღებს. შეგიძლიათ, ჩასაწერად დარეკოთ ყოველდღე, დილის 9 საათიდან 16 საათამდე (უფრო გვიან ნუ დარეკავთ), კვირის გარდა.***

***საკონტაქტო ტელეფონები: 599 10-73-06; 599 05-75-00; 790 96-79-00; 593 17-51-17; 551 40-20-80; 296-79-00.***

# რატომ ჩაშალა კანის ფესტივალზე დაგეგმილი ჩვენება ფატუნა ბუშიჰედმა და როგორი იყო მისი ტელეკარიერა 5 წლის ასაკში

**დიზაინერმა ფატუნა ბუშიჰედმა უკვე რამდენიმე წელია, საქართველოს საზღვრებს გარეთ დაიმკვიდრა თავი და მის შექმნილ კოლექციებზე საკმაოდ დიდი მოთხოვნა და ინტერესია. მართალია, ჩვენი რესპონდენტი ნაკლებად მუშაობს ქართული ბაზრისთვის, მაგრამ, მისი ყველა კოლექცია თბილისშია შექმნილი. ფატუნა ცოტა ხნის წინ ამერიკიდან დაბრუნდა და ამ ეტაპზე ოთხი ქვეყნის კოლექციაზე ერთდროულად მუშაობს. მის გეგმებთან ერთად, ინტერვიუში ბევრ უცნობ ინფორმაციასაც ამოიკითხავთ, რომლებიც იმ წლებს უკავშირდება, სანამ ჩვენი რესპონდენტი დიზაინერის პროფესიას აირჩევდა.**

**– არაერთხელ გვისაურია ინტერვიუებში შენი წარმატებების შესახებ, მაგრამ, არასდროს მიკითხავს, რა ხდებოდა შენს ცხოვრებაში დიზაინერის პროფესიის არჩევამდე. ერთადერთი, რაც ვიცით, განათლებით სტომატოლოგი ხარ, შემთხვევით კი ისიც გავიგე, რომ კამერასთან ურთიერთობა 5 წლის ასაკიდან გქონია. მოგვიყევი ამის შესახებ, რომ ფატუნა ბუშიჰედი სრულიად განსხვავებული მხრიდან გაიცნოს მკითხველმა.**

– ეს ჩემი ბავშვობის ზღაპრული სამყარო იყო. ეს იყო ჩემი ზღაპრული ქვეყანა, სადაც გავიზარდე და ჩამოვყალიბდი. იმ პერიოდში, ალბათ, უფრო ზღაპარში ვცხოვრობდი, ვიდრე რეალურ სამყაროში. მაშინ დავიწყე ლექსების სწავლა და სცენაზე დგომა, როცა წერა-კითხვაც კი არ ვიცოდი. ვთამაშობდი საბავშვო სპექტაკლებში, სადაც თითქმის სულ დედოფალი ვიყავი. „ჭინჭრაქაში" მეფის ასულის, მზიას როლს ვთამაშობდი, „მერი პოპინსში" – ჯეინის როლს და ასე შემდეგ. ვგიჟდებოდი კულისების სუნზე, პარკეტზე, რომელიც ზოგან გატეხილი იყო და სიარულის დროს ფეხებს გვტკენდა. პრემიერები მქონდა მოზარდ მაყურებელთა თეატრში, ასევე რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში. ერთ-ერთ აფიშაზე მსახიობ ლელა ალიბეგაშვილს ჩემთვის ასეთი რამ აქვს დაწერილი: „გილოცავ, ფატუნა, შენ ნამდვილად ატმის ყვავილივით ამოხვედი სცენაზე." მოკლედ, ძალიან საინტერესო პერიოდები მქონდა და ეს სილამაზე საოცრად ვირტუალური იყო. ძალიან მინდოდა, ცნობილი მსახიობი ვყოფილიყავი, რაც არ გამომივიდა, რადგან ამ საქმეს დროზე ადრე შევეშვი, თუმცა, პოტენცია იყო ჩემში. პიესებს დედა მაზეპირებინებდა, რადგან, კითხვა არ ვიცოდი. მართლა ძალიან საინტერესო იყო ეს პერიოდი. მოგვიანებით ტელევიზიაში გადავინაცვლე. ქალბატონი დოდო ლორთქიფანიძე და ბატონი მერაბ გოდერძიშვილი, რომლებიც ჩემი რეჟისორები იყვნენ პირველ არხზე და ასე ვთქვათ გამზარდეს მე. ჩემს ტელეცხოვრებაში პირველად იყო „თეატრალური აფიშა," რომელიც ნათელა ბოლქვაძესთან ერთად მიმყავდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა შუქი არ არსებობდა საქართველოში. როცა მოვიდოდა, გადაღებაც მაშინ იწყებოდა. მახსოვს, ერთხელ, დედას დილის 5 საათზე დაურეკეს – შუქი მოვიდა, ფატუნა მოიყვანე ჩაწერაზეო. 5-6 წლის ვიქნებოდი დაახლოებით, მაგრამ, ის ემოცია დღესაც მახსოვს. ცოტა რომ წამოვიზარდე, მერე მიმყავდა, „ორშაბათი მძიმე დღეა," 1995 წელს კი – შემეცნებით-გასართობი პროგრამა „ლაფსუსი," ბატონ თენგიზ კოშკაძესთან ერთად, რომლითაც დავასრულე კიდეც ტელეწამყვანის კარიერა. ამის მერე ჩემს ცხოვრებაში სხვა ეტაპი დაიწყო. ძალიან პატარა ასაკში გავხდი დედა, მერე კი გადავწყვიტე ექიმის პროფესია ამერჩია. ჯერ გინეკოლოგობა მინდოდა, მერე გადაწყვეტილება შევცვალე და სტომატოლოგი გავხდი. ალბათ, ესეც ჩემი ხასიათიდან გამომდინარე იყო, რადგან, ყველაფერი მაინტერესებდა. ამის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში წერის პერიოდი დაიწყო. ვწერდი ძალიან ბევრ ლექსს, ვაკეთებდი ჩანახატებს. ესეც რომ ამოვწურე, მერე ხატვა დავიწყე. ზეთის საღებავებით ვმუშაობდი და პირველად ტინტორენტოს პორტრეტი დავხატე. ეს ეტაპიც რომ დავასრულე, უკვე მერე დავიწყე დიზაინერობა და ჩემი კოლექციების შექმნა. ალბათ, ეს ჩემი ბავშვობის „გადმონაშთი" იყო, ყველაფერი ერთად დაგროვდა და ამ ყველაფერმა ერთად შექმნა ის ფატუნა, რაც ვარ ახლა.



ამ ეტაპზე მოწვევა მაქვს ამერიკიდან, ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდან. უნდა გადავწყვიტო, სად მინდა და რომელი მხარე უფრო დამაინტერესებს. იმ ეტაპამდე ვარ მისული, როცა მე უნდა გადავწყვიტო, რომელი წინადადება მივიღო

**– მივადექით აწმყოს და, ისიც გვითხარი, რის გამო იყავი ამერიკაში, საიდანაც სულ ცოტა ხნის წინ დაბრუნდი?**

– ამერიკაში ჩემი ოჯახის წევრები ვიყავით წასული ბებიას სანახავად. იქ შევხვდით შობასაც და ახალ წელსაც. გვესტუმრენ ასევე, ჩვენი ამერიკელი ნათესავები. მართალია, ის პერიოდი ძალიან ოჯახურ გარემოში გავატარეთ, მაგრამ, მქონდა ბიზნესშეხვედრებიც. ლოს-ანჯელესში გამოქვეყნდა ჩემი ძალიან კარგი ინტერვიუ, რომელმაც ძალიან დადებითად იმოქმედა მკითხველზე. საუბარი მაქვს ერთ-ერთ მაღალი დონის ჟურნალზე, რომელშიც, მეტრ დიზაინერებთან ერთად, ჩემი ინტერვიუც დაიბეჭდა. რაც ძალიან სასიამოვნოა. ასევე, სასიამოვნოა, როცა არ ელოდები და გირეკავენ: „თქვენი კაბის ფოტო დაბეჭდილია ამა და ამ ჟურნალში," ან, „თქვენი კაბა აცვია ამა და ამ მსახიობს, რომელიც ჟურნალის ყდაზეა"... და ასე შემდეგ. ეს, რა თქმა უნდა, დიზაინერისთვის სასიამოვნო შეგრძნებაა.

**– ამ ეტაპზე რისთვის ემზადები?**

– სხვათა შორის, რამდენიმე ჩვენება ჩავაგდე და არ წავედი. გადავწყვიტე, ეს პერიოდი ჩემი შვილებისთვის დამეთმო, რომლებიც დიდ ენერგიას მაძლევენ. პარალელურად, განვაგრძობ სხვადასხვა კოლექციაზე მუშაობას. ჩემს ხელნაკეთ კაბებთან ერთად, მაქვს მოსაცმელები, პიჯაკები, შარვლები და სხვა ძალიან ბევრი დეტალი, რომლებიც მასობრივი კოლექციისთვის იქნება მზად და ევროპასა და ამერიკაში გაიყიდება.

**– კანის ფესტივალზე უნდა გქონოდა ჩვენება, თუმცა, გეგმები თავად შეცვალე. რატომ?**

– ჩემმა იქაურმა მენეჯერმა არასწორად წაიყვანა ჩემი მიმართულება, რის გამოც ძალიან გავბრაზდი და, ჩვენებაზე, რომელიც დაგეგმილი იყო, უარი ვთქვი. მას ჰქონდა სუფთა მარკეტინგული გათვლა, რამაც მე არ დამაკმაყოფილა. თუმცა, უარი იმ ხალხისთვის არ მითქვამს, ვინც კანში ჩემ გამო იყო ჩამოსული. სწორედ მათთვის დახურული ჩვენება მაინც გავმართე.

**– ფატუნა, პირადად შენ, მხოლოდ საკუთარი დიზაინით შექმნილ სამოსს ანიჭებ უპირატესობას თუ მაღაზიებში ყიდულობ?**

– კარგი ხარისხის სამოსს, რა თქმა უნდა, ვაფასებ და ვყიდულობდი კიდეც, თუმცა, ბოლო რამდენიმე წელია, თითქმის არაფერი აღარ შემიძენია – არაფერი აღარ მომწონს. ალბათ, ისე განვითარდა ჩემი გემოვნება და ხედვა, ძალიან უნდა მომეწონოს ტანსაცმელი, რომ ჩავიცვა. შეიძლება, ვიზუალურად მომეწონოს, მაგრამ, მე ვერ მოვირგო. სამოსის შერჩევის მიმართ ყოველთვის ძალიან კრიტიკული ვიყავი. ამიტომ, ყველაფერი ჩემი მაცვია; ერთადერთი, რასაც ამ ეტაპზე ვყიდულობ, არის ფეხსაცმელი, სათვალე და ჩანთა. სამოსი მხოლოდ იმის გამო არასდროს შემიძენია, რომ ის რომელიმე ცნობილი ბრენდის იყო.

**– ოთხი ქვეყნის კოლექციაზე ერთდროულად მუშაობ. შვილებს რომ შეუქმნა საკუთარი დიზაინით სამოსი, ამისთვის თუ გრჩება დრო?**

– ანდრიანას ვუქმნი ხოლმე საინტერესო პატარ-პატარა კაბებს, ქელი კი ჩემი მოდელია და მისთვის ძალიან ბევრი რამ მაქვს შექმნილი. უყვარს ყოველდღიური სამოსის შეძენა, მაგრამ, როცა მიღება გვაქვს ან თავად მივდივართ სტუმრად, ყოველთვის ჩემი დიზაინით შეკერილი კაბა აცვია. ქელის ბავშვობიდან ვასწავლი, სად რა უნდა ჩაიცვას, როგორ მოიქცეს, როგორი სუნამო უნდა დაისხას მისი ასაკის გოგონამ და ასე შემდეგ.

**– რამდენი წლისანი არიან ბავშვები?**

– სანდრო 17-ის გახდება მალე, ქელი 7 წლისაა, ანდრიანა კი – 1-ის. სანდრო ანდრიანაზე იმდენივე წლით არის უფროსი, რამდენითაც მე – სანდროზე.

**– საუბრის ბოლოს, გვითხარი, რომელიმე კონკრეტული ჩვენებისთვის თუ ემზადები ამჟამად?**

– ამ ეტაპზე მოწვევა მაქვს ამერიკიდან, ბრიტანეთიდან და საფრანგეთიდან. უნდა გადავწყვიტო, სად მინდა და რომელი მხარე უფრო დამაინტერესებს. იმ ეტაპამდე ვარ მისული, როცა მე უნდა გადავწყვიტო, რომელი წინადადება მივიღო. თუმცა, იმხელა კოლექცია მაქვს შექმნილი ამჯერად, რომ, არ არის გამორიცხული რამდენიმე დღის შუალედით სხვადასხვა ჩვენებაშიც მივიღო მონაწილეობა.

**– როგორ ფიქრობ, რა არის ის, რის გამოც ამერიკასა და ევროპაში ფატუნა ბუშიჰედის კოლექცია ყოველთვის დიდ მოწონებას იმსახურებს?**

– პასუხი ძალიან მარტივია: ინდივიდუალიზმი. როგორც ისინი ამბობენ, ჩემი კოლექცია არავის არ ჰგავს.

**მარიკა ხიდურელი**

**მომღერალი და მსახიობი, 35 წლის გიორგი მელიქიშვილი უკვე თორმეტი წელია, რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში ცხოვრობს და მოღვაწეობს. იქ ის საკმაოდ პოპულარულია. თუმცა, ქართველმა მსმენელმა, გიორგი რუსეთის „ვოისის" კონკურსის წყალობით გაიცნო. როგორც თავად ამბობს, ის იღბლიანია და მისი ცხოვრება დიდ რუსეთში საკმაოდ წარმატებულია. თუ რა გეგმები აქვს სამომავლოდ, როდის აპირებს „გრემით" ხელში მშობლიურ თელავში ჩასვლას და ვისი წყალობით მოხვდა რუსულ „ვოისში", ამაზე თავად გვესაუბრება.**

# ვინ ეპატიჟება გიორგი მელიქიშვილს ამერიკაში ქართული ხალხური სიმღერების გასარეპად და როგორ უხსნიან მას რუსი ფანი გოგონები „სიყვარულებს"

**გიროგი მელიქიშვილი**: თელავში დავიბადე და ეს ქალაქი ჩემთვის ძალიან საყვარელია. ცხრა კლასის დამთავრების შემდეგ, მუსიკალურ ტექნიკუმში ჩავაბარე და მთელი ოთხი წელი ვსწავლობდი. რაც თავი მახსოვს, ვმღერი. ვაღიარებ, მე ბედმა გამიღიმა, რადგან პატარა თელავიდან დიდ რუსეთში მოვხვდი და ცხოვრებაც ავიწყვე. ახლა მოსკოვში, თეატრალურ აკადემიაში ვსწავლობ, სამსახიობო ფაკულტეტზე, მესამე კურსზე ვარ. სპექტაკლებშიც ვთამაშობ, კინოშიც გადამიღეს და უამრავ კონცერტზეც გამოვდივარ. რა ვიცი, რეჟისორები დიდ იმედებს ამყარებენ ჩემზე, ამბობენ დრამატული ტიპი ხარო ***(იცინის).*** ჩემი გარეგნობით ინტერესდებიან – მე განსხვავებული ტიპაჟი ვარ. ამბობენ, ახალი სახე ხარო ***(იცინის).*** ერთ-ერთ რუსულ ფილმში, სტანისლავ სადარსკიმ მიმიწვია, სადაც ქართული ხალხური სიმღერა, დიდ, შავ, კავკასიურ ულვაშებში შევასრულე.

**– სიმღერის ნიჭი გენეტიკურად დაგყვა?**

– მთელი ჩემი წინაპარი და შთამომავალი, ანუ მთელი მელიქიშვილები – პაპა, მამა, ბიძა და ბიძაშვილები, ყველანი ვმღერით. მე საქართველოში, საესტრადო სიმღერა არ მიმღერია, სულ ხალხურებს ვმღეროდი. ჩემი პირველი მასწავლებელი კი გახლდათ ქალბატონი ლია ნიკოლოზიშვილი, რომელმაც მუსიკალური გემოვნება ჩამომიყალიბა და დიდი როლი ითამაშა ჩემს წარმატებაში. მისი უზომოდ მადლიერი ვარ.

**– წარმომიდგენია, თქვენს ოჯახში ქეიფი რა მაგარი იქნება.**



ერთ-ერთ რუსულ ფილმში, სტანისლავ სადარსკიმ მიმიწვია, სადაც ქართული ხალხური სიმღერა დიდ, შავ, კავკასიურ ულვაშებში შევასრულე

– აბა, რა! წელიწადში ერთხელ ჩამოვდივარ საქართველოში და ჩემს სახლში მაგიდა არ ლაგდება – სულ გაშლილია და ჩვენი პირი კი – სულ დაღებული ***(იცინის).*** სულ სიმღერა ისმის და მიდის ქეიფი. აქ, ოჯახის მერე, ყველაზე მეტად ალაზნის ხმა მენატრება. მასში ჩაციებული კახური ღვინო, გამაბრუებელი ბუნება და ჰაერი.

**– ამბობენ, ჯუმბერ პატიაშვილი, თავის დროზე, შენ გარეშე ნაბიჯს არ დგამდაო. ეს სიმართლეა?**

– დიახ, მართალია. პატარა ვიყავი და საქართველოში, თუკი რაიმე ღონისძიება ტარდებოდა, სამთავრებო დონეზე, ყველგან მე მამღერებდნენ. ჯუმბერ პატიაშვილი სადაც იდგა, მის გვერდით ვიდექი მეც ***(იცინის).*** პირველ კლასში ვიყავი კრემლში რომ მიმიწვიეს და ვიმღერე. არ დამავიწყდება, ამ ვიზიტს ემთხვეოდა, ვაჟაობა ჩარგალში. გადაირია პატიაშვილი: არ გაგიშვებთ მოსკოვში, ჯერ ვაჟაობაზე უნდა იმღეროთ და მერე, კი ბატონო, გაფრინდითო. ასეც მოვიქეცით, ვიმღერე ჩარგალში და კრემლში კი – დავაგვიანე. კულტურის უნივერსიტეტში სწავლის დროს პატრიარქთანაც ვგალობდი.

**– შენ ძირითადად ქართულ, ხალხურ სიმღერებს ასრულებდი და ამ რეპერტუარით დიდი რუსეთის დაპყრობა, სარისკო არ იყო შენი მხრიდან?**




პირველ კლასში ვიყავი, კრემლში რომ მიმიწვიეს და ვიმღერე

– ერთი პერიოდი „ორერაშიც" ვმღეროდი და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში უამრავი კონცერტი გვქონდა ჩატარებული. მოკლედ, ერთ დღესაც, ჩემმა მეგობრებმა შემომთავაზეს, მოსკოვში სამთვიანი კონტრაქტი მზადდება, რესტორანში და კორპორატიულ სარამოებზე უნდა ვიმრეროთ და თუ წამოხვალო. ორ დღეში გადავწყვიტე წამოსვლა. თან, არავინ მყავდა აქ და არც ენა ვიცოდი. ეს „მეჟდუ პროჩემ" სამთვიანი ჩამოსვლა, აგერ უკვე, თორმეტი წელია, გრძელდება. სახლიც მაქვს, ცოლიც მყავს და მოსკოვში უფრო მეტ წარმატებებს ველი. ამიტომ, ეს ქალაქი ჩემთვის იღბლიანი აღმოჩნდა. სულ ვამბობ, დიდმა რუსეთმა პატარა თელაველი ბიჭი ტბილად მიმიღო-მეთქი. ხომ გაგიგიათ: „მასკვა სლეზამ ნე ვერიტ" – ამიტომ, მე ამ ქალაქში, დეპრესიისა და ტირილის უფლება არ მაქვს ***(იცინის).*** მიზანი დასახულია და ამ მიზნისთვის ყველაფერს ვაკეთებ. ჯერჯერობით მიმართლებს. აბა, წარმოიდგინეთ, თორმეტი წელია, ვიბრძვი იქ, სადაც არავის აინტერესებს ვინ ხარ და ყველა გებრძვის. კარგად იცით, რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება პოლიტიკურ ჭრილში, მაგრამ დამიჯერეთ, თუ დაინახეს, რომ იბრძვი, არ ნებდები და მაგარი ხარ, ვერავინ დაგჩაგრავს. ვფიქრობ, შეუძლებელი შევძელი და ეს მიხარია. მე ჩემი გზა არჩეული მაქვს და მჯერა, სადაც მინდა, იქ აუცილებლად მივალ. ოცნებად მქონდა, დიდ სცენაზე საესტრადო სიმღერა მემღერა და ეს ოცნება ავიხდინე. დღეს მყარად ვდგავარ სცენაზე და თუ პუბლიკის რეაქციით ვიმსჯელებთ, ამაყი უნდა ვიყო.

**– რუსეთის „ვოისში" როგორ მოხვდი?**

– შარშან მოვსინჯე ძალები და მითხრეს, განსხვავებული და ორიგინალური ხარო. ანუ, მოსკოვში ინდივიდუალურობას აფასებენ მომღერალში. თუმცა, პირველი ცდა უშედეგოდ დასრულდა. გამოსვლის წინ, ვინერვიულე კიდეც და თან, ცუდი სიმღერა შევასრულე. წელს კი თვითონ დამირეკეს, მაგრამ უარი ვუთხარი. მითხრეს, ძალიან ინდივიდუალური მომღერალი ხარ, ჩვენ შეგამჩნიეთ, სწორად შეარჩიე რეპერტუარი და იცოდე, უკვე სიაში ხარო. მოკლედ, მეოთხე დარეკვაზე, გადავწყვიტე წასვლა და იტალიური, ომახიანი სიმღერის შესრულებით, გამიმართლა კიდეც. ამაში, ქართული ტემპერამენტიც დამეხმარა. სხვათა შორის, კონკურსზე რომ მივედი, უამრავი ქართველი მომღერალი დამხვდა, მათ შორის, ცნობილიც. თუმცა, ისინი, სამწუხაროდ, ვერ გავიდნენ. არ დამავიწყდება, ჟიურიში ისხდნენ პელაგია, დიმა ბილანი, გრადსკი და აგუტინი. მე პელაგია შემომიბრუნდა. თუმცა, ჟიურის დანარჩენმა წევრებმა მითხრეს: შენ რომ სხვა სიმღერა გემღერა, ყველა შემოგიბრუნდებოდითო. მოკლედ, სამივე ტური წარმატებით გავიარე და ბოლოს, ისევ ქართველ კონკურსანტს, ეთერ ბერიაშვილს დავუთმე რინგი ***(იცინის).*** მეორე ტურში, ქართველ კონკურსანტთან, ნოდარ რევიასთან მომიწია დუეტის შესრულება. პელაგიამ ნოდარი აირჩია და მე აგუტინმა გადამარჩინა, თავის გუნდში წამიყვანა. ასე რომ, ვერც ერთი ვერ დაგვთმეს. ჩემთვის გამარჯვებას დიდი აზრი არ ჰქონდა. მთავარია, ხალხმა გამიცნო, მილიონობით ადამიანი მწერს და მეფერება, სცენაზე გამოსულს ოვაციას არ მაკლებს და მეტი რა მინდა? რუსულმა „ვოისმა" პოპულარული გამხადა, კონცერტებზე ხშირად მიწვევენ, ცნობილი კომპოზიტორ-შემსრულებლების გულიც დავიპყარი და ჩემი ფან-კლუბიც მყავს. ეს ძალიან ბევრს ნიშნავს დიდ რუსეთში ჩამოსული ადამიანისთვის. ჩემი და ნოდარის შესრულებული სიმღერა კი რუსული რადიოს ოცეულში შევიდა.

**– ამბობენ, პელაგია, ქართველი მამაკაცების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულებით გამოირჩევა და კონკურსანტებში, მიუხედავად იმისა, რომ ზურგით ზის, ზუსტად ხვდება კავკასიურ ხმის ტემბრსო. ეს ასეა?**

– პელაგია ძალიან თბილი ადამიანია, ჩემს მიმართაც ვგრძნობ მის ამ დამოკიდებულებას. გიჟდება ქართულ სიმღერებზე. ჩვენ ერთობლივი კონცერტებიც გვქონდა და ამ ბოლო დროს, პიტერში დიდ სცენაზე ქართულადაც იმღერა ჩემთან ერთად დუეტში. დიდი ოვაცია დაიმსახურა. მეუბნება, ველარ წარმომიდგენია სცენაზე დგომა შენს გარეშეო. ლეონიდ აგუტინიც სულ მიწვევს კონცერტებზე და ერთად გამოვდივართ. სხვათა შორის, პელაგიამ დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. სულ მეუბნება, არანორმალური ქართველი ხარო ***(იცინის).*** თქვენ, რუსი ფანი გოგონები უნდა ნახოთ, მწერენ, გვიყვარხარ და არ გვაინტერესებს შენი ცოლიო. ვეუბნები, რაც არ უნდა იყოს, ქართველი ვარ და ჩემი ცოლი ყველას მირჩევნია. ქართველებში ასე არ მოსულა-მეთქი ***(იცინის).*** ისე ორიგინალურად მიხსნიან სიყვარულს, მეცინება.

**– გავიგე, რომ ამერიკიდან სერიოზული შემოთავაზება გაქვს ერთ-ერთი ცნობილი რეპერისგან, რომელთან ერთადაც ქართული ხალხური სიმღერა უნდა ჩაწერო დუეტში. ეს როგორ მოხერხდება და რეალურია ეს პროექტი?**

– შემოთავაზება ნამდვილად მაქვს, მაგრამ როგორ მოხერხდება არ ვიცი, ჯერ იდეის დონეზეა. წარმოიდგინეთ, ამერიკელი რეპერი თავის „სტიქიაში" რეპავს და მე, უცებ, ქართულ ხალხურ მელიზმას შევუშვებ. თუმცა, მე სტივ უანდერთან მინდა დუეტის ჩაწერა. რა ჯობია, ჩვენს მოსმენას, სტივი რომ დაიწყებს და მე „ჩაკრულოს" შევუშვებ, მაგარია ***(იცინის)!*** წარმოვიდგენ ხოლმე, მერე როგორ ჩავდივარ „გრემით" ხელში თელავში და მეცინება ***(იცინის).*** ისე, არ მეგონა, თუ ხალხური სიმღერა ასეთი პოპულარული იქნებოდა უცხო ქვეყნებში. სადაც არ მივდივარ, ყველგან მთხოვენ მის შესრულებას. ამერიკიდან მწერენ რუსი ემიგრანტები – ჩამოდი და კონცერტი მიეციო. მელიზმებზე გიჟდებიან.

**ნონა დათეშიძე**

# როგორ „მოკლა“ აბიბოს ნეკრესელმა მაზდეანთა ღმერთი

მეექვსე საუკუნეში სპარსელებს ძალიან უნდოდათ ქართლში მეფობის გაუქმება. მეფის გარშემო დარაზმული, თუნდაც მცირერიცხოვანი იბერები ყოველთვის საშიში იყვნენ, რადგან ყველანაირად ხელს უშლიდნენ რეგიონში სპარსთა გაბატონებას. სპარსეთს კი სურდა სამხრეთ კავკასიის მთლიანად ხელში ჩაგდება, შავი ზღვის სავაჭრო გზების დასაკუთრება...

შავ ზღვაზე გასასვლელად სპარსეთისთვის აუცილებელი იყო ქართლისა და ლაზეთის დამორჩილება. ამ რეგიონში გაბატონებისთვის იბრძოდა აღმოსავლეთ რომი – ბიზანტიაც, სპარსეთის უდიდესი მტერი და მეტოქე. ბიზანტიელები, ისევე როგორც ქართველები (იბერიისა და ლაზეთის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი), ქრისტიანები იყვნენ. ამიტომ, სპარსეთის ხელისუფლება აქტიურ ქმედებაზე გადავიდა. ქართლს შემოუტია არა მარტო ხმლით, არამედ სარწმუნოებითაც – მაზდეანობით.



523 წელს ქართლი გურგენ მეფის მეთაურობით აუჯანყდა სპარსეთის შაჰს, კავადს.

სპარსელებმა გაიმარჯვეს. მეფე გურგენი იძულებული იყო, გადასულიყო დასავლეთ საქართველოში, ლაზეთში. მერე კი კონსტანტინეპოლში მოუწია წასვლა ლაზეთის მეფე წათე პირველთან ერთად.

გურგენის მერე ტახტზე ავიდა მეფე ძამანარსე. მოკავშირის გარეშე უზარმაზარ სპარსეთთან გამკლავება ურთულესი იყო. სპარსელებმა ძალიან შეავიწროეს ქართველი გვირგვინოსანი. ისიც კონსტანტინეპოლს ჩავიდა და ბიზანტიის კეისარს, იუსტინიანეს სპარსთა წინააღმდეგ კავშირი შესთავაზა. იმპერატორს ძალიან გაუხარდა, საჩუქრებით და დაპირებებით გამოისტუმრა იბერიის მეფე სამშობლოში... მაგრამ დახმარება და თავისი ინტერესების გატარება იბერიაში ვეღარ შეძლო.

523 წელს გურგენ ქართლის მეფეს დადევნებულმა სპარსთა ჯარმა ლაზებს შორაპანი და სკანდა წაართვა. 528 წელს ლაზებს ბიზანტიელთა მაშველი ჯარი შეუერთდათ. მათ შეძლეს სკანდასა და შორაპნის ციხეთა დაბრუნება. მეტი ბიზანტიას არ შეეძლო.

მალე ქრისტიანებისთვის კიდევ უფრო გართულდა ვითარება. 531 წელს სპარსეთის ტახტზე ავიდა ძლიერი შაჰი ხოსრო პირველი ანუშირვანი.

532 წელს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის „საუკუნო ზავი“ დაიდო, რომლის მიხედვით სპარსეთმა უარი განაცხადა ლაზეთ-ეგრისზე, ქართლი კი სათარეშოდ მას დარჩა.

ბიზანტიასთან დადებული ზავით ისარგებლა ხოსრო შაჰმა და 535 წელს ქართლში მეფობა გააუქმა.

იუსტინიანე კეისარმა ვერ შეძლო მოკავშირის ტახტის გადარჩენა იბერიაში, მას ლაზეთშიც ძალიან უჭირდა, მესოპოტამიაშიც და სხვაგანაც.

სპარსეთის შაჰმა ქართლის გამგებლად საკუთარი მოხელე – მარზპანი გამოაგზავნა. მარზპანი სპარსულად ოლქის მმართველს ნიშნავს. ქართლის მარზპანს ძალიან დიდი უფლებები ჰქონდა. მას შეეძლო ნებისმიერი მცხოვრების გასამართლება და სიკვდილით დასჯაც, იქნებოდა ის გლეხი, დიდაზნაური თუ მღვდელმთავარი.

თბილისში, მცხეთაში და სხვა ქალაქებსა თუ ციხეებში, სპარსელთა ჯარი იდგა. სპარსელებმა ქართველებს ხარკი და სამხედრო ბეგარა დააკისრეს.

ქართველი ხალხი არ ურიგდებოდა უცხოელთა ბატონობას. რომაელები (ბიზანტიელები) ამბობდნენ: „იბერები ნებაყოფლობით არ ემორჩილებიან სპარსელებს... ცხადია, რომ იბერებს ილაჯი გაწყვეტილი აქვთ და ისინი აპირებენ აჯანყებას უახლოეს მომავალში, თუ მოხერხებულ დროს შეურჩევენ“...

სპარსელები ცდილობდნენ ქართველთა რწმენის შერყევას და ქართლში ცეცხლთაყვანისმცემლობის გავრცელებას. მაზდეანობა, ცეცხლთაყვანისმცემლობა, ზოროასტრიზმი – ამ სახელებითაა ეს რელიგია ცნობილი. ის უძველესი რელიგიაა – ქადაგებს ბოროტზე კეთილის გამარჯვებას, ბოროტი აჰრიმანის ცეცხლით განწმენდას, ღმერთ აჰურამაზდას გამარჯვებას და ასე შემდეგ.

ქართველებისთვის, რასაკვირველია, ცეცხლის თაყვანისცემით განწმენდა სისულელედ ჩანს, რამეთუ ქრისტიანობის მიხედვით, ცოდვათაგან განწმედა სინანულს შეუძლია და არა ცეცხლს. ამიტომ, იბერები გააფთრებით ეწინააღმდეგებოდნენ ცეცხლთაყვანისმცემელ სპარსელებს.

დამპყრობლებმა ქართლში მრავლად აღმართეს ცეცხლის სათაყვანო ადგილები. სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდნენ ადგილობრივთა ცდუნებას.

მრავალი ქართველი საერო და სასულიერო მოღვაწე ილვწოდა სარწმუნოებისა და ეროვნების შენარჩუნებისთვის. ამას დაემატა ღვთის უდიდესი საჩუქარი. იბერიაში სამოღვაწეოდ ჩამოვიდნენ წმიდა ასურელი მამები. ისინი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში დამკვიდრდნენ, შეუდგნენ მსახურებას და ქრისტიანობის განმტკიცებას. მათი წინამძღოლი იყო იოანე ზედაზნელი.

იოანე ზედაზნელი და მისი სულიერი ძმები: აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მესვეტე მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, ისე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმპოელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ხირსელი და შიო მღვიმელი წარმოშობით ქართველები არ იყვნენ, მაგრამ ღმერთმა მათ საქართველოს გადარჩენასა და განმტკიცებაში დიდი მისია შეასრულებინა.

**ერთხელ წმიდა მღვდელმთავარი მივიდა ცეცხლთაყვანისმცემელთა ერთ-ერთ სატფურებასთან, - სადაც ცეცხლი ენთო და წარმართნი თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს. მან დაასხა წყალი ცეცხლს და ჩააქრო**

კახეთში, უძველეს ქალაქ ნეკრესში საეპისკოპოსო კათედრას განაგებდა ასურელი წმიდა მამა – აბიბოს ნეკრესელი. მან დიდი წვლილი შეიტანა მთიელების გაქრისტიანებაში.

ერთხელ წმიდა მღვდელმთავარი მივიდა ცეცხლთაყვანისმცემელთა ერთ-ერთ სატფურებასთან, სადაც ცეცხლი ენთო და წარმართნი თაყვანს სცემდნენ, როგორც ღმერთს. მან დაასხა წყალი ცეცხლს და ჩააქრო.

სპარსელებმა შეიპყრეს ნეტარი და ისე სცემეს, მკვდარი ეგონებოდა კაცს. შემდეგ საპყრობილეში ჩააგდეს და მარზპანს შეუთვალეს მომხდარის შესახებ.

მარზპანმა ბრძანა ეპისკოპოსის მასთან მიყვანა.

ნეტარ მეუფეს ჰყავდა მეგობარი სვიმეონ მესვეტე, ანტიოქიელი წმიდანი. როდესაც წმიდა აბიბოსი შეპყრობილი მოჰყავდათ, სოფელ იალდოში მას მიეახლა სვიმიონ საკვირველთმოქმედის მიერ გამოგზავნილი მოციქული და გადასცა წმიდა სვიმეონის კვერთხი, წმიდა ნაწილი – ევლოგია და წერილი. ნეტარი დიდად გაახარა და განამტკიცა საჩუქრებმა.

ქართველებს ეპისკოპოსის იარაღის ძალით გამოხსნა უნდოდათ, მაგრამ მეუფემ არ ინება, რამეთუ სურდა მარტვილობა ქრისტესთვის.

გზაში ნეტარმა სპარსელებს სთხოვა, რომ ცოტა ხნით გაეშვათ შიო მღვიმელის სანახავად. სპარსელები დათანხმდნენ. ეპისკოპოსმა და ბერმა ილოცეს ერთად და აბიბოს ნეკრესელი სიხარულით გაუდგა გზას.

სოფელ რეხში მარზპანმა სასამართლო მოაწყო. სპარსელებთან ერთად, მას დაესწრნენ ქართველი ეპისკოპოსები, მღვდლები და ერისთავები.

მარზპანმა ჰკითხა ნეტარს: რად უარყავი ჩვენი მეფეთა მეფის ძალაუფლება და რად მოკალი ჩვენი ღმერთი?

წმიდანმა მიუგო: ღმერთი მხოლოდ უფალი იესო ქრისტეა, ხოლო ცეცხლი, რომელიც დავშრიტე, ეშმაკის საცდურია. გლოცავთ, რათა განუდგეთ ეშმაკს და მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთს მსახურებდეთ.

მარზპანმა ჰკითხა: რისთვის მოკალი ღმერთი ჩვენი, რომ შენს ღმერთს ვემსახუროთ?

ნეტარმა უპასუხა: იცოდე, რომ ღმერთი არ მომიკლავს, ცეცხლი ჩავაქრე. ცეცხლი ღმერთი არ არის. ის ერთი მოვლენაა ბუნებათაგანი. ღმერთმა სამყარო შექმნა წყლით, ჰაერით, მიწითა და ცეცხლით. ცეცხლი მხოლოდ ერთი ელემენტთაგანია. ეს ელემენტები თანასწორია, თანაბარია. თუ ერთ-ერთი აღმატებულ იქნა, სხვა სუსტდება. თქვენი ცეცხლი შეშის მეშვეობით იწვის. წყალი დავასხი და ჩაქრა. მიკვირს თქვენი გაბრაზება, როგორ არ გცხვენიათ მისი ღმერთად მიჩნევა. თქვენი ცეცხლი ხომ თქვენი დანთებულია. როგორ არის ის ღმერთი?

ამ სიტყვებმა ძალიან გააცოფა სპარსთა შაჰის მარზპანი. მისი ბრძანებით აწამეს ნეტარი და მერე ქვებით ჩაქოლეს.

წმიდანის ცხედარი ქალაქგარეთ გაიტანეს, დაუყენეს მცველები, რათა მხეცებსა და ფრინველებს შეეჭამათ. სპარსელებს ეშინოდათ, ქრისტიანებმა დიდებითა და პატივით არ დაკრძალონო.

ნეტარის წმიდა სხეულს ვერც ერთი მხეცი და ფრინველი ვერ შეეხო. სპარსელები მიხვდნენ, რომ ტყუილად ელოდნენ წმიდანის შეურაცხყოფას მხეცთა მიერ და წავიდნენ.

მაშინ მოვიდნენ ქრისტიანები და პატივით წააბრძანეს ნეტარის წმიდა ნაწილები, რომლებიც ახლა მცხეთაში, სამთავროს მონასტერშია დაკრძალული.

წმიდა აბიბოს ნეკრესელის წამებამ შედეგი გამოიღო. ქართველნი განმტკიცდნენ სარწმუნოებაში. მეექვსე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ომი განახლდა. კავკასიელი ხალხები აუჯანყდნენ მაზდეანებს. ამასობაში სპარსეთში შინაომი ატყდა. 591 წელს სპარსელები განდევნეს ქართლის უდიდესი ნაწილიდან. ისინი მხოლოდ თბილისის ციხეში და ახლო-მახლოლა იყვნენ გამაგრებულნი.

იბერიაში აღდგა სახელმწიფოებრიობა.

**გიორგი მახოზეშვილი**

# „ფონდი ნატახტარის“ აქცია – ქართველი მხატვრები მზრუნველობამოკლებული მოზარდების დასახმარებლად

## საქველმოქმედო აუქციონი წარმატებით დასრულდა – „ფონდი ნატახტარის“ ანგარიშზე 11 500 ლარი ჩაირიცხა

**30 იანვარს „გამრეკელი გალერიში“ ცნობილი თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევრების საქველმოქმედო აუქციონი გაიმართა. ღონისძიებას ჟურნალისტები და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სანახაობრივად საინტერესო საღამოზე წარმოდგენილი ყველა ფერწერული ტილო გაიყიდა და მთლიანად 11 500 ლარი შეგროვდა. შემოსული თანხა „ფონდი ნატახტარის“ ანგარიშზე ჩაირიცხება.**

**შემოწირულობა მოხმარდება ფონდის პროექტს – „იზრუნე მომავალზე“, რომელიც მზრუნველობამოკლებული მოზარდების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას შეუწყობს ხელს. ღონისძიება, თანამედროვე ქართული მხატვრობის პოპულარიზაციასთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განლაგებული მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების აღსაზრდელების დახმარებას ისახავს მიზნად.**

**„ფონდი ნატახტარის“ აქციაში მონაწილე თანამედროვე ქართველი მხატვრების სია ასე გამოიყურებოდა: ოლეგ ტიმჩენკო, გია გუგუშვილი, მიშა შენგელია, მამუკა ცეცხლაძე, ვახო ბუღაძე, კოკა ცხვედიანი, უშანგი ხუმარაშვილი, ლია შველიძე.**

**ნინო სურმავა (კომპანია „ნატახტარის” საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი):** „ფონდი ნატახტარი” უკვე მესამე წელია, რაც საქმიანობს. ამ პროექტის ფარგლებში არაერთი ღონისძიება განვახორციელეთ. თანხის მოზიდვა, ძირითადად, გაყიდული პროდუქციიდან ხდება, მაგრამ, ამჯერად გადავწყვიტეთ, რომ ხელოვანებთან ერთად მოგვეწყო ღონისძიება, სადაც მათ საშუალება ექნებოდათ, ამ კეთილ საქმეში თავიანთი წვლილი შეეტანათ. ასევე, გადავწყვიტეთ, ამ აუქციონზე მოგვეწვია ბიზნესსექტორის ის წარმომადგენლებიც, რომლებსაც კონტრიბუციის საშუალებას მივცემდით. აუქციონის მიზანი იყო ცნობილი თანამედროვე მხატვრების ნახატების გაყიდვა და შემოსული თანხის „ფონდი ნატახტარის” ბენეფიციარებისთვის მოხმარება. საუბარია, მთელი საქართველოს მასშტაბით, მცირე ბავშვთა სახლების 15-დან 18 წლამდე ასაკის 200-მდე მოზარდზე...



**ხათუნა მელიქიშვილი** ***(„გალერეა გემრეკელის” დამფუძნებელი):*** ძალიან კმაყოფილი ვარ ჩვენს გალერეაში ჩატარებული საქველმოქმედო აუქციონით. ეს ღონისძიება მზრუნველობამოკლებული ბავშვების დახმარებას ისახავს მიზნად და ჩვენი სტუმრების აქტიურობამ ძალიან კარგი შედეგი მოგვცა. სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ უაღრესად, კარგი საქმე გაკეთდა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ორგანიზატორებსა და ბიზნესმენებს, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებს, ვინც ჩვენს გალერეაში გამოფენილი ნამუშევრები შეიძინა. ამით მათ, ფაქტობრივად, ორმაგად კარგი საქმე გააკეთეს: ჩვენი მხატვრების მიერ შესრულებული ფერწერული ტილოებიც დარჩებათ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსაც დაეხმარნენ.

**ირაკლი ზუბიტაშვილი** ***(ღონისძიების სტუმარი):*** ძალიან მაინტერესებს ქართული თანამედროვე მხატვრობა და, შესაძლებლობის ფარგლებში, თვალყურს ვადევნებ ყველა სიახლეს. ძალიან მომწონს გია გუგუშვილის შემოქმედება და, გადავწყვიტე, აქციონზე გამოტანილი მისი ორივე ნახატი მეყიდა. ყოველთვის მინდოდა, მისი ნამუშევრები მქონოდა, თუმცა, აქამდე მისი შეძენის შესაძლებლობა არ მქონია. ახლა კი ეს შანსი ხელიდან არ გავუშვი. ზოგადად, ყველა საქველმოქმედო ღონისძიებას მივესალმები და ვგულშემატკივრობ. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო კომპანია „ნატახტარს,” რადგან, ასეთი ტიპის ღონისძიებები მის მაღალ სოციალურ პასუხისმგებლობაზე მეტყველებს.



**ოლეგ ტიმჩენკო** ***(მხატვარი):*** ამ საღამომ და „ფონდმა ნატახტარმა” საშუალება მოგვცა, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დავხმარებოდით, რაც, პირადად ჩემთვის, ძალიან დიდი სტიმულია. ადრეც მქონია ამდაგვარ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი, მაგრამ, ამ სახით ნამდვილად პირველად წარვდექი საზოგადოების წინაშე და ძალიან ბედნიერი ვარ. ჩემთვის, როგორც მხატვრისთვის, დიდი სტიმულია, როდესაც ასეთი საქმე კეთდება და, მიხარია, რომ ამ დიად საქმეში პატარა წვლილი მეც შევიტანე.

„2001 წელს დაიშალა „სახე" და 2012 წელს დაიწყო „ვოისი", მაგრამ ეს პაუზა ღირდა იმის ფასად, რომ საზოგადოებას ჩემგან დაესვენა და მერე ისევ დავბრუნებულიყავი. ნუ ელოდება ქართველი ერი, რომ ყოველ 5 წელიწადში დაიბადება ახალი ჰამლეტ გონაშვილი, ან თბილისის „დინამო" მოიგებს თასების თასს, სამგზის „ვოისის" ჩემპიონის გამოჩენაც არ იქნება ადვილი... რაც მთავარია საზოგადოება დღემდე ჩემი მთავარი მსაჯულია და იმ შემთხვევაშიც, თუ ვხედავ, რომ ის ცდება, მე მაინც მზად ვარ მასთან საკამათოდ, ოღონდ როგორც ჩემიანთან. ყველას დავანახვებ, რომ ჩვენ ვკამათობთ როგორც ერთი მხარე, რათა მივიღოთ ერთი საერთო პროდუქტი," – ეს არის ამონარიდი **დათო ფორჩხიძის** ინტერვიუდან, რომელსაც კიდევ ერთხელ ვულოცავ „ახალი ხმის" სამგზის მოგებას.

# ვის გამო წაართვა ოჯახსა და მეგობრებს საკუთარი ცხოვრების 99 პროცენტი დათო ფორჩხიძემ და რას არ უპროტესტებს მას მეუღლე

**დათო ფორჩხიძე:** რადგან რიგით მესამე შოუ იყო, ამიტომ მესამედ ჩემი გუნდის წევრის გამარჯვებაში ცოტათი ეჭვი მეპარებოდა. თუმცა, ეს ეჭვი ნაწილობრივ გამიქრა „ბრმა ქასთინგებზე", როდესაც ჩემი და სხვა მწრვთნელების მოწონებული ბავშვების უმეტესობა ჩემთან წამოვიდა. როცა ვჯდებოდი, მაშინ უკვე ვიცოდი: რომც წამეგო, თავის გამართლების მთელი საშუალებები მქონდა მოფიქრებული. აქედად გამომდინარე, თავიდან არ მქონდა დიდი ამბიციები. მაგრამ, მერე, როცა ეს ბავშვები წამოვიდნენ ჩემთან, მივხვდი: რომ არ მებრძოლა, ბევრ ბავშვს გულს დავწყვეტდი. ვფიქრობ: არა მხოლოდ გამარჯვებული მარი ჩაჩხიანი, არამედ რამდენიმე კონკურსანტიც კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ ჩემთან ერთად გიარა ეს გზა. ეს ეხება შოთა ადამაშვილს, გიორგი მახარაშვილს, რომელიც გავიმეტე და სანახევროდ გავუყავი მაია დარსმელიძეს. მე და მაიამ თავიდან ცოტა „ისე" დავიწყეთ ეს შოუ, მაგრამ ბოლოს ყველას ვანახვეთ, რომ ჩვენ მეგობრები ვართ.

**– ეს დაპირისპირება რეალური იყო?**

– დამცინოდნენ: მსხვერპლის როლი მოირგოო. რეჟისორს, მართლა რომ გაენაწილებინა როლები, რატომ აილებდნენ სხვა მწვრთნელები ამ როლებს, ანუ ანტიგმირების როლში რატომ გამოვიდოდნენ?! თან, არც მაიასთვის და არც სხვა მწვრთნელებისთვის იმდენი ფული არ გადაუხდიათ, ეს როლი მოერგოთ. ასე მოხდა, ბუნებრივად. რა თქმა უნდა, არ დავიწყებ იმაზე ლაპარაკს, ეს მათი შეცდომა იყო თუ არა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ჩვენ როგორც ახალ თაობას, ასევე საზოგადოებას ვაჩვენეთ, რომ ცივილიზებული ხალხი ვართ. რა თქმა უნდა, მათაც უნდოდათ გამარჯვება, რაღაც მომენტში ფიქრობდნენ, რომ მე ცოტა ცუდად ვიქცეოდი, მაგრამ ეს უკვე ჩავლილი თემაა და ვფიქრობ, ჩემიდან დაწყებული, დანარჩენი სამი მწვრთნელით დამთავრებული, ბავშვებმა ყველას დიდი მადლობა უნდა გადაუხადონ. ჩემი აზრით, ამ სამი შოუდან გამოჩნდა, რომ ჩვენ შეგვიძლია, მთლიანად გავაკეთოთ რესტარტი და თუ მივხედავთ ამ ახალ თაობას, რა თქმა უნდა, ძველების წინააღმდეგი არ ვარ, სავსებით სხვა რაღაცა შეგვიძლია, გავაკეთოთ. თუ რა თქმა, უნდა, ჩვენ არ გვინდა, მხოლოდ კონკურსები, შოუები და ამ ბავშვების დასავიწყებლად გამეტება. ეს ადვილი არ არის, მაგრამ მე მაქვს ამბიცია, რომ როგორც ბევრ რამეში ვიყავი პირველი, ამასაც გავაკეთებ.

**– წელან თქვი, შეიძლება რაღაც მომენტში, ფიქრობდნენ: დათო ცუდად იქცეოდაო. შენ, როგორ ფიქრობ – იქცეოდი ცუდად?**

– ისე ცუდადაც არ ვიქცეოდი, რომ ეთქვათ ჩემზე: მიზანი ამართლებს ყველა საშუალებასო. ცუდად იმ თვალსაზრისით ვიქცეოდი, რომ ძალიან ვიყავი ამ შოუზე კონცენტრირებული. ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს გვერდით უნიჭიერესი მწვრთნელები ისხდნენ და ისინი თავის მაქსიმუმს ავლენდნენ, ამის მიზეზი მეტწილად მე ვიყავი, რადგან ვცდილობდი, ისეთი რამ გამეკეთებინა, რომ დამეტკიცებინა: მე ძალიან მაგარი ვარ! ეს ავტომატურად იწვევდა მათი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენას. მარიამი ძალიან კარგი მომღერალია, თუმცა ვფიქრობ, რომ პირადად მეც დამიმსიჯა ხალხმა. ეს იყო ჩემი და მარიამის გამარჯვება. მარიამი ძალიან მაგრად მღეროდა, მაგრამ ყველა ხვდებოდა, ის უნდა დაჩაგრულიყო იმის გამო, რომ დათო ფორჩხიძეს მესამედ არ მოეგო. ჩემი აზრით, ხალხი დაეხმარა დათო ფორჩხიძეს, რომ მას არ დაელუპა მარიამი. რაც მთავარია, ოთხივემ ბევრი კარგი რამ ვასწავლეთ ამ ადამიანებს. ეს ჩვენი პირადი ინტერესიც იყო, ჩვენს კარიერაზე, ბიოგრაფიაზეც კარგად მუშაობდა, მაგრამ ზოგჯერ ზედმეტად ვზრუნავდით. მაიას ჰქონდა ასეთი სიტუაცია, მაგრამ მას ზრუნვა გუნდის ერთ-ერთი წევრის კარგად გამოსვლის გამო, სამწუხაროდ, არ დაუფასდა. მე ამას ნამდვილად ვუთანაგრძნობდი. მაიამაც, ალბათ, იგრძნო ეს და იქიდან გაჩაღდა ჩვენი მეგობრობა, რომელიც დიდხანს გაგრძელდება, ისევე როგორ ჩვენი თანამშრომლობა. სტეფანეს პირველი ნაბიჯები ბავშვობიდან მახსოვს, უნიჭიერესი ადამიანია. ლელა და მე კი დინოზავრების ეპოქიდან მოვდივართ, უძლიერესი პიროვნებაა და უცებ აუღო ალღო. ბევრი კარგი ბავშვი ავიყვანე, თორემ ლელა წურწუმიას მოგება ძალიან რთულია – აზარტული ქალია, ბოლომდე იხარჯება. ხან ლელა მოიგებს, ხან – სტეფანე და ხან – მაია.

**– მარიამმა ჩემთან საუბარში თქვა, როგორ უტარებდი შენი გუნდის წევრებს ლექციებს, ასწავლიდი: ყურადღება არ მიექციათ ჭორებისთვის, უარყოფითი კომენტარებისთვის.**

– ამიტომაც მეძახიან „ყოზე მაურინიოს". გოჩა თანდღარაშვილი მირეკავდა და მეუბნებოდა: ჰეთრიკი, ტრიპლეტი.. ყოზე ყოველთვის სკანდალებში იყო გახვეული. როდესაც მას ჰკითხეს: ამას რატომ აკეთებო, უპასუხა: მირჩევნია ჩემმა ფეხბურთელებმა ფეხბურთზე იფიქრონ და ეს ჭორები ჩემზე გადმოვიდესო. ასე რომ, მეც მინდოდა, ბავშვებს მუსიკაზე, სიმღერაზე, ჯანმრთელობაზე უფრო მეტი ეფიქრათ. ყველას ვეუბნებოდი, უმეტესობა გამოეთიშება პროექტს, მაგრამ შეინარჩუნეთ ღირსება, რადგან თქვენ მაინც გამოჩნდებოდით პატარა ამბიციურ არსებად, ჯერ არაფრისთვის რომ არ მიუღწევია. მერე კი ადამიანები თქვენთან ურთიერთობას, თანამშრომლობას მოერიდებიან. ვილაცეები დამცინოდნენ: მოხუცი ფორჩხიძე მათ ლექციებს უკითხავსო, თუმცა ეს კარგად გაითვალისწინეს. ვიცი დროთა განმავლობაში, ჩვენ შორის დისტანცია გაიზრდება, რადგან მე ბევრი საქმე მექნება, მათ – თავიანთი. მაგრამ, მინდა იცოდნენ, რომ სანამ მე იმის გავლენა და შესაძლებლობა მექნება, რომ მათ დავეხმარო, თუ მანამდე სამი ინსტანციის გავლა დასჭირდებოდათ, ერთ ინსტანციაში მოუტყავარებ, რადგან ამ ბავშვების ვალი მაქვს. მათაც უნდა გაითვალისწინონ, რომ მე ჩემი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდის მთელი 99 პროცენტი მათ მივეცი და ეს პროცენტები ოჯახს, სამეგობროს წავართვი.

**– შენი ოჯახი არ აპროტესტებს მათთვის წართმეულ საუკეთესო ეპიზოდებსა და პროცენტებს?**

– მიჩვეულები არიან – ჩემი ცხოვრების სტილს. სამი შვილი მყავს, სადაც ვცხოვრებას გავითავისებ სხვადასხვა პროფესიაში, რომ წავიდნენ. მზად ვარ, ვიყო მათი მრჩეველი, ასისტენტი და ექსპერტი. თუ ჩემს სფეროში წამოვლენ, ძალიან მომთხოვნი ვიქნები. უფროს გოგონას ვეუბნები: სადმე კონკურსში რომ გამოხვიდე, ეს შენი დაღუპვა იქნება. სულ ბიონსესავით რომ იმღერო, მაინც იტყვიან: დათო ფორჩხიძის შვილია, ამიტომ სხვა კუთხით დავიწყოთ ფიქრი-მეთქი.

**– არც მეუღლე აპროტესტებს შენი ცხოვრების სტილს?**

– მეუღლე არის ჩემი თილისმა, ისეთი მაგარი გოგოა, მის გარეშე, ვერაფერს გავაკეთებდი. მას მერე, რაც ის ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა, ყველაფერი კიდევ უფრო კარგად წავიდა. ბევრი ფიქრობს, რომ მის ქუსლზე დავდივარ, რაც ძალიანაც მაწყობს. ჩემი მეუღლე ჩემთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასთან მუდმივად გავდიოდი კონსულტაციებს, ყველა ვერსიას ვალაგებდი. თუმცა, ბოლოს მეუბნებოდა: შენ თვითონ მიხვდები და იმას გააკეთებ, რაც საჭიროაო.

**– დარწმუნებული ვარ, შენს ოჯახში ნამდვილად იქნება გენდერული თანასწორობა.**

– ახლა, როცა ადამიანის ერთ სახეობაში გადიან ქალები და კაცები, ჩემს ოჯახშიც ეს ხდება. მაგრამ, ამით არ ვარ მე ინოვატორი და პიონერი. ცხოვრების რიტმი ისე აჩქარდა, რომ ქალის ფუნქციები გაიზარდა, მარტო კაცი ვეღარ ერევა. ამიტომ, უშვებს ქალს ოჯახიდან და ეუბნება: ცოტა რაღაც შენც გააკეთო. აქედან გამომდინარე, ქართული, მავნე ტრადიციები, რომელიც ქალის ოჯახში გამოკეტვაზე იყო აგებული, გადავიდა ნდობაზე, ერთგულების პრინციპზე და იმაზე, რომ ერთი გუნდი ვართ, ერთ საქმეს ვაკეთებთ. ჩემი ოჯახი ჩვენი საერთო ბიზნესია და ადრე რომ დავბადებულიყავი, მზად ვიქნებოდი, ეს მოძრაობა დამეწყო, მაგრამ დრომ მოიტანა, დრო კი ყველას უგებს.

**– მითხარი: მე და ლელა დინოზავრების ეპოქიდან მოვდივართო. იმედია, არავინ მიიღებს შეურაცხყოფად, თუ ვიტყვი, რომ ბევრი დინოზავრი გადაშენდა, დღემდე ვერ მოვიდა, შენ კი დღემდე მოხვედი, თან კარგად: პოზიტიურად, საზოგადოების სიყვარულით.**

– გამიმართლა. მე შევარდნაძის ეპოქის მომღერალი ვარ. მერე ისე მოხდა, რომ კულისებს მიღმა აღმოვჩნდი, აღარ ვიყავი აქტიური, ვერიდებოდი პოლიტიკასთან ურთიერთობას. ჩემი აზრით, პოლიტიკასთან ასოცირება ხშირად უფუჭებს მომღერალს სახელს და დაუმსახურებლადაც. ჩემ თვალწინ ძალიან ბევრს თვალსა და ხელს შუა გაუქრა წლების განმავლობაში

(გაგრძელება 78-ე გვერდზე)



მარიამი ძალიან მაგრად მღეროდა, მაგრამ ყველა ხვდებოდა, ის უნდა დაჩაგრულიყო იმის გამო, რომ დათო ფორჩხიძეს მესამედ არ მოეგო. ჩემი აზრით, ხალხი დაეხმარა დათო ფორჩხიძეს, რომ მას არ დაელუპა მარიამი

# წლის მთავარი საავტომობილო მოვლენა რუსთავის ავტოდრომში

30 იანვარს რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომი სრულიად ქართულ საავტომობილო სამყაროს მასპინძლობდა. ჟურნალ „აუტობილდ საქართველოს" და საქართველოს საავტომობილო სპორტის ასოციაციის ორგანიზებითა და კომპანია „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" პარტნიორობით, შედგა საავტომობილო „ოსკარის" დაჯილდოების ცერემონია – „ოქროს საჭე 2013". ჟურნალი „აუტობილდი" ყველა ქვეყანაში ავლენს იმ წლის საუკეთესო ავტომობილებს სხვადასხვა კლასში, წელს გამოკითხვაში საქართველოც ჩაერთო და ქართველმა ხალხმა აირჩია საყვარელი ავტომობილები ექვს სხვადასხვა კლასში. პარალელურად, საავტომობილო სპორტის ასოციაციამ დააჯილდოვა ის მრბოლელები, რომლებმაც 2013 წელს წრიული რბოლის ჩემპიონატში ქულათა ჯამის მიხედვით დაიკავეს საპატიო ადგილები. გამარჯვებულები გამოვლინდნენ ექვს სხვადასხვა კლასში, მათ შორის: მოტოციკლეტები - ნიკა გოგოლი; ტურინგ ლაითი - დავით მენთეშაშვილი; ტურინგ 2.0 - არჩილ ბიძინაშვილი; GT unlimited - სანდრო ცხადაძე; ლეგენდს ქარსი - დათა ქაჯაია; ფორმულა ალფა – ლაშა ნადირაშვილი. წელს პირველად დასახელდა წლის საუკეთესო მრბოლელი და, ეს ტიტული, „ოქროს საჭესთან" ერთად, მიიღო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ევროპის ორგზის ჩემპიონმა დათა ქაჯაიამ. დათას „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას" დირექტორისგან, ბატონი ვასილ ხორავასგან პრიზად „ვისოლის" საწვავი გადასცა.




**მევლუდ მელაძე** *(რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის დირექტორი):* 2013 წელი საკმაოდ პროდუქტიული იყო რუსთავის ავტოდრომისთვის და, ზოგადად, ქართული ავტოსპორტისთვის. სწორედ გასულ წელს ჩაიყარა ის საფუძველი, რომლის მოსავალსაც 2014 წლის სეზონზე ავიღებთ. რაც დაზუსტებით შემიძლია ვთქვა, ეს არის „ფორმულა ალფას" 24 ბოლიდი სტარტზე – იმდენივე, რამდენიც „ფორმულა 1-ის" ჩემპიონატზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ წრიული რბოლის ყველა ეტაპი ძალიან დაძაბული და სანახაობრივი იქნება. გარდა ამისა, წარმატებები გვაქვს სხვა კლასებში; იზრდება, როგორც მონაწილეების რაოდენობა, ისე მათი ოსტატობის დონეც. წელს ჩვენი პილოტები სხვადასხვა საერთაშორისო ეტაპზეც მოსინჯავენ ძალებს და, დარწმუნებული ვარ, წინ დიდი წარმატება გველის. რუსთავის ავტოდრომი კი მზადაა, არა მხოლოდ წმინდა სპორტული ივენთების არამედ, მსგავსი ღონისძიებების სამასპინძლოდაც.



„ჟურნალმა „აუტობილდმა," კომპანია „ვისოლთან" ერთად, დღეს გააერთიანა მთელი საავტომობილო საქართველო და შედგა გალა-დაჯილდოება იმ ხანგრძლივი აქციისა, რომელიც 4 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ვგულისხმობ „ოქროს საჭის" გამოკითხვას, რომელიც საუკეთესო ავტომობილების გამოვლენას გულისხმობდა. გამოვლინდნენ გამარჯვებულები. ჩვენ დავაჯილდოვეთ ყველა კლასის გამარჯვებულის წარმომადგენლობა საქართველოში. „რენჯ როვერი," „მერსედესი," „ბეემვე", „ტოიოტა", „აუდი," „მაზდა" – ეს ის ავტომარკებია, რომლებმაც დღეს გამარჯვება მოიპოვეს. ვფიქრობ, ღონისძიებით ყველა კმაყოფილია", – განაცხადა ჟურნალ „აუტობილდის" მთავარმა რედაქტორმა შალვა ბუაჩიძემ.




„კომპანია „ვისოლი" მთელი ამ ხნის განმავლობაში მხარში ედგა ამ ღონისძიებას. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მოხდეს საუკეთესო მოდელის შერჩევა, რადგან, დღევანდელი ავტოინდუსტრია აწარმოებს მაღალი კლასის უამრავ ავტომობილს, რაც, თავისთავად, მოითხოვს მაღალი კლასის საწვავს", - განაცხადა ღონისძიებაზე „ვისოლის" გენერალურმა დირექტორმა ვასილ ხორავამ.

„ოქროს საჭე 2013" ფოიერვერკით დასრულდა .

# რა გეგმები აქვს ორგანიზაციას „მომავლის ახალგაზრდული პოზიცია" და ვისი ამბიციების რეალიზაცია სურს მას

***რამდენიმე თვეა, ინტერნეტ-გამოცემებში აქტიურად ჩანს ორგანიზაცია „მომავლის ახალგაზრდული პოზიციის" სტატიები და შეფასებები სხვადასხვა საკითხზე. ასეა თუ ისე, გავერკვიეთ ამ ორგანიზაციის მიზნებში, მოღვაწეობასა და ვალდებულებებში, მაგრამ არავინ იცის, ვინ დააფუძნა ის. მხოლოდ ამონაწერით ვკითხულობთ, რომ დამფუძნებლები არიან: თეიმურაზ მაჩიტიძე, მერაბ მანაგაძე და თეო გოგსაძე. გადავწყვიტეთ, რომ ცოტა რამ მაინც გაგვეგო ორგანიზაციის დამფუძნებლების შესახებ და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ვესაუბრეთ ორგანიზაციის თავმჯდომარეს, თეიმურაზ მაჩიტიძეს.***

**– როდის გადადგით პირველი ნაბიჯები პოლიტიკაში?**

– პირველად 2007 წელს ვიდექი „სახალხო კრებასთან" ერთად. მახსოვს 7 ნოემბრის დღე, რა დღეში იყვნენ ქართველები იმ საღამოს. სულ შემთხვევით მოვხვდი იმ დღეს რუსთაველის გამზირზე და მას შემდეგ ნაციონალურ მოძრაობას ვებრძვი. ვერ გავუძელი ჩვენი ქვეყნის ნგრევის ყურებას. მას შემდეგ, 2013 წლის 27 ოქტომბრამდე პარტიაში ვიყავი.

**– რატომ გადაწყვიტეთ, პარტიიდან სამოქალაქო სექტორში გადასულიყავით?**

– პოლიტიკაში უარყოფით თემებს შევხედე, რაღაც-რაღაცეები არ მომეწონა ახლანდელი მთავრობისაც და ამიტომ, გადავწყვიტეთ, ჩამოგვეყალიბებინა ახალგაზრდული ორგანიზაცია „მომავლის ახალგაზრდული პოზიცია," რომელიც მონიტორინგს გაუწევს მთავრობის აქტივობას და თან, კარგ საქმესაც გააკეთებს. არანაირ მიკერძოებას ჩვენს საქმიანობაში ადგილი არ აქვს და არც მომავალში ექნება.



**– ვინ არიან თქვენი თანაგუნდელები? ისინიც პარტიულები იყვნენ?**

– დიახ, უმრავლესობა „ქართულ ოცნებაში" გავიცანი. ერთ საღამოს მე და მერაბმა გადავწყვიტეთ, ახალგაზრდული ორგანიზაცია ჩამოგვეყალიბებინა. ჩვენს მეგობრებსაც შევთავაზეთ, იდეა მოეწონათ და შემოგვიერთდნენ.

**– რაც შეეხება პირად ცხოვრებას. როგორც ვიცით, სტიქაროსანი ბრძანდებით.**

– 2008 წლიდან ქალაქ ქუთაისში, ივერიის ღვთისშობლის ტაძარში ვმსახურობ. ძალიან კარგი მოძღვარი მყავს – დეკანოზი ალექსი სინაურიძე, რომლისგანაც ხშირად ვიღებ რჩევა-დარიგებას.

**– ისევ თქვენს საქმიანობას დავუბრუნდები. რა გეგმები აქვს თქვენს ორგანიზაციას?**

– საქართველოში ახალგაზრდობას ამბიცია აქვს და საკუთარი თავის რეალიზებას ვერ ახდენენ. ჩვენ კი ძალიან გვინდა, ახალგაზრდები გვერდში დავუდგეთ ერთმანეთს. რაც შეეხება ჩვენს წესდებას, ალბათ, გადახედეთ და მიზნებიც კარგად გეცოდინებათ ამ თემასთან დაკავშირებით.

**– წარმატებას გისურვებთ და მადლობა იმისთვის, რომ დრო დაგვითმეთ!**

**მარიკა ხიდურელი**

# ბრძნული აზრები

**ნორდაუ**: ჭეშმარიტებისკენ სწრაფვისას დედაარსი მდგომარეობს არა იმაში, რომ ის იპოვო, არამედ იმაში, რომ ის ეძებო. საკმარისია, როდესაც ვინმე პატიოსნად ეძებს მას.

**სენეკა**: ვინც გადაწყვეტს გაწყენინოს, იმან უკვე გაწყენინა.

**მანდელა**: უკეთესია, სხვები შენ წინ დააყენო და ისე მართო, განსაკუთრებით თუ წარმატებას ზეიმობ. მოწინავე ხაზი მხოლოდ მაშინ უნდა დაიკავო, როდესაც საფრთხეს მოელი. მარტო ამ დროს დააფასებენ ადამიანები შენს ლიდერობას.

**ლაუბე**: ყოველგვარი ხელისუფლება ხალხისგან მოდის, მაგრამ მას არასოდეს უბრუნდება.

**გოეთე**: არაფერი არაა ისე სახიფათო ახალი ჭეშმარიტებისთვის, როგორც ძველი მცდელობა.

**ლაროფშუკო**: ხშირად ჩვენი ყველაზე კეთილშობილური საქციელისაც კი შეგვრცხვებოდა, ხალხისთვის დაფარული რომ იყოს ჩვენი მიზანი.

**ლაოძი**: ღირსეულთა კანონია: სიკეთე აკეთოს და არ იდავოს.

**ვინკლერი**: სხვისი არასრულფასოვნების ატანა პიადი ღირსების ნიშანია.

**სალუსტიუსი**: სადაც ქონებას აფასებენ, იქ ყოველივე წმინდა სძულთ.

**უაილდი**: ლოცვა უპასუხოდ უნდა დარჩეს, სხვანაირად ის ლოცვაც არ იქნებოდა და მიმოწერას დაემსგავსებოდა.

**შელი**: მეტისმეტი თავაზიანობა – დაფარული ქედმაღლობაა.

**ჯონსონი**: ადამიანის ძირითადი ღირსებაა საკუთარ თავსაც კი გაუწიოს წინააღმდეგობა.

**მონტენი**: ჭეშმარიტი ღირსება მდინარეს ემსგავსება: რაც უფრო ღრმაა, ნაკლებ ხმაურობს.

**იბსენი**: შიში, როდესაც საშიშია, ყველას ერევა.

**ბომარშე**: ჩვევა ხშირად ბოროტებად გვევლინება.

**ედისონი**: ცივილიზაციის აუცილებელი ამოცანაა აზროვნება შეასწავლოს ადამიანს.

**ბალზაკი**: ცოდვის რამდენჯერმე აღიარება დიდ ფარისევლობად მიიჩნევა.

**დოსტოევსკი**: გაამართლეთ, არ დასაჯოთ, მაგრამ ბოროტებას ბოროტების სახელი დაარქვით.

**დეფო**: ჩვენი წუხილი გაჭირვებასთან დაკავშირებით წარმოიშობა იქიდან, რომ ჩვენ თავად გვაკლია მადლიერების გრძნობა იმაზე, რაც გვაქვს.

**ლერმონტოვი**: ყველაზე ცარიელი ადამიანია ის, ვინც სავსეა საკუთარი თავის სიყვარულით.

**დრეიდენი**: უბედურებს მეგობრები არ ჰყავთ.

**ბერტონი**: მარტოობაში ადამიანი ან წმინდანია ან ეშმაკი.

**პუბლიუსი**: კეთილშობილი წყენას არ ანგარიშობს.

**პელვეციუსი**: ჩვენ ვართ მხოლოდ ისეთნი, როგორრადაც გარემო პირობები გვხდიან.

**სვიფტი**: ცხენებზე ამბობენ, რომ მათ ძალა პირში და კუდში აქვთო, იგივე შეიძლება ითქვას ქალებზეც.

**სოკრატე**: ქალის სიყვარულის უფრო უნდა გეშინოდეს, ვიდრე კაცის სიძულვილის.

# თუ გამოიცნობთ

1. ვინც ამას იყენებდა, დიდი ხნის განმავლობაში, არანორმალურებად მიაჩნდათ. ისინი სხვებისგან იზოლაციაში ამყოფებდნენ და მკურნალობასაც კი უნიშნავდნენ. მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნეში, იტალიელმა ექიმმა ჯერომ კარდანმა ოფიციალურად შექმნა ის, რის გარეშეც ამ კატეგორიის ადამიანებისთვის წარმოუდგენელი იქნებოდა ნორმალური ცხოვრება. **რა შექმნა კარდანმა?**

2. ლეგენდის მიხედვით ის ოთხი ათასი წლის წინ დიდმა იუიმ გამოიგონა, როცა მას წინ ჯამით ცხელი ბულიონი დაუდგეს. მიღებულია, რომ ის ახალგაზრდა წყვილს აჩუქონ, მალე ვაჟის გაჩენის სურვილით. მას სახელიც ასე ჰქვია „კუაი ცზი“ – „ჩქარა“. **დაასახელეთ, რა არის?**

3. ეს თამაში 700 წლის წინათ ევროპის მონასტრებში წარმოიშვა. მონაზვნები დებდნენ საგნებს და ხალხს ეუბნებოდნენ, რომ ეს იყო ბოროტება, ცდუნებები და ვნებები. მათ კი ქვით ან დიდი ბურთით უნდა „გაენადგურებინათ“, წაექციათ ისინი. **რა თამაში გაჩნდა მონასტრებში?**

4. სიცილიელი მაფიის მილიონების ისტორია მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო. **დაასახელეთ, რით ვაჭრობდნენ თავდაპირველად ისინი.**

5. ახლა ისინი სამკურნალო დაწესებულებებია და აუცილებლად სამხედროსთან ასოცირდება. ძველად კი ასე ერქვა პატარა სასტუმროებს, რომლებშიც მგზავრობის დროს შეჩერდებოდნენ, დაისვენებდნენ, დანაყრდებოდნენ, ღამეს გაათევდნენ და შემდეგ გზას განაგრძობდნენ. ასეთი სასტუმროები მონასტრებთანაც კი იხსნებოდა. **რა ერქვათ მათ?**

6. მას მთელი მსოფლიო ასეთად იცნობს, თუმცა „დაბადებიდანვე“ ინვალიდი არ ყოფილა, ის ასეთი ფრანგებისა და თურქების ომის შემდეგ გახდა. **დაასახელეთ, რომელი კუნძულიდანაა ის წარმოშობით.**

7. მისი ფრთების სიგრძე ზოგჯერ 12 მეტრს აღწევს. მათთან ბრძოლა მხოლოდ ერთმა რაინდმა შესძლო და მხატვრულად მსოფლიოს ერთ-ერთმა კლასიკოსმა გადმოგვცა. **რას შეებრძოლა რაინდი?**

8. შვედმა დიპლომატმა რაულ ვალენბერგმა 1945 წელს ბუდაპეშტის გეტოს განადგურება ააცილა თავიდან. ის გერმანელ მრეწველს შეადარეს, რომელმაც ჰოლოკოსტის დროს 1 200 ებრაელის სიცოცხლე გადაარჩინა. **რა უწოდეს რაულ ვალენბერგს?**

9. პავლე პირველის მმართველობის დროს ერთხელ, მისმა შვილმა ალექსანდრემ მამას მაგიდაზე გადაშლილი წიგნი დაუტოვა, სადაც გარკვეული ისტორიული სცენა იყო აღწერილი. მამამ სამაგიერო გადაუხადა და იგივე გაუმეორა, მხოლოდ ამჯერად სხვა წიგნი დაუდო. სადაც აღწერილი იყო ერთი საუკუნის წინ რუსეთში მომხდარი ისტორიული ფაქტის ამსახველი სცენა – პეტრე პირველის მიერ უფლისწულ ალექსეის დასჯა. **რა სცენა იყო აღწერილი ალექსანდრეს შერჩეულ სურათზე?**

10. რამდენიმე წელია, რაც ალაბამას შტატის საგრაფო პერიში, სადაც მოსახლეობის ორ მესამედს აფროამერიკელები შეადგენენ, ყოველი წლის ნოემბრის მეორე ორშაბათს ზეიმით აღნიშნავენ იმას, რასაც 6 ნოემბერს კენიაში ეროვნულ დღესასწაულად მიიჩნევენ. **რას?**

***პასუხები იხილეთ მე-66 გვერდზე***

# მხოლოდ ფაქტები

* მეთვრამეტე საუკუნეში გერმანულ არისტოკრატიულ წრეებში მიღებული იყო, ეგრეთ წოდებული, „ხის ბიბლიოთეკები“. ბარონები და გრაფები ამზადებინებდნენ და სახლში ინახავდნენ სხვადასხვა ხის მერქნის ყუთებს, რომლებიც დაფარული იყო ამავე ხის ქერქით. მათში კი, შესაბამისად, მოთავსებული იყო ნაყოფი, თესლი, ფესვები, ფოთლები და ხის სრული აღწერილობა.

* მსოფლიოში ოცდაათამდე ჩანჩქერია სახელით – ფატა. ფართო თეთრი, გამჭვირვალე წყალვარდნილი ფატას მართლა ჰგავს.

* ყველაზე პირველი და უმარტივესი სეისმოგრაფი, რომელიც 132 წელს ჩინელმა ასტრონომმა ჩჟენ ხენმა გამოიგონა, 8 დრაკონის, ბურთულებისა და გომბეშოებისგან შედგებოდა. ის გრძნობდა მიწის ქანების რყევას, მაშინაც კი, როცა ეპიცენტრიდან 600 კილომეტრით იყო დაშორებული.

* ბრატისლავა სლოვაკიის დედაქალაქია, პიტსბურგი – ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დიდი ქალაქი, ანტვერპენი კი – ბელგიის; ხოლო ბრატისლავია, პიტსბურგია და ანტვერპენია ასტეროიდებია მარსისა და იუპიტერის ორბიტებს შორის.

* მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთში მოდების ჟურნალის „წინაპარი“ მუყაოს თოჯინები გამოდიოდა და მთელ ევროპაში ვრცელდებოდა.

* რუსეთში ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა 1865 წლამდე მკაცრად იყო აკრძალული.

* ბიცეპსი ლათინურად ორთავას ნიშნავს.

* ქრისტეფორე კოლუმბის მეზღვაურებს ზღვაში მომრავლებული უცნაური წყალმცენარეები ხმელეთად მოეჩვენათ. ამ წყალმცენარეებს სარგასები ჰქვიათ, ზღვას კი სწორედ მათ გამო დაერქვა სარგასის ზღვა.

* ბრმა ჰომეროსის ნაწარმოებები პირველად რუსულად კუზიანმა გნედიჩმა თარგმნა.

* საბერძნეთში თეატრში საცეკვაო მოედანს ორკესტრი ეწოდებოდა.

*1922 წელს შეიქმნა პოლონური საფეხბურთო კლუბი – „ლეხ“, 1919 წელს შექმნილ ესპანურ გუნდს კი „ვალენსია“ ჰქვია.

* მეცხრამეტე საუკუნის რუსეთში სახანძრო რაზმის მეთაური, იმავდროულად, პოლიციის უფროსი იყო.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**

**1. ეh5-h7!**

**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




მივიდა მთვრალი დრაკონი სახლში. შესასვლელ კარში გაბრაზებული ცოლი ჩაუდგა:




– აბა, ამოისუნთქე!

მოკლედ, უბრალოდ, უაზრო სიკვდილი...

***

მეზობლები ჩხუბობენ:

– მე შენგან ამას არ ვიმსახურებ, არ გახსოვს, ავად რომ იყავი ბულიონიც კი მოგიმზადე?!

– შენ რაღაცას ურევ, ჯერ ბულიონი მომიმზადე და მერე გავხდი ავად.

***

– სად იშოვე ფული ასეთი ძვირიანი ბილეთის საყიდლად.

– მამამ იყიდა...

– თვითონ სადაა?

– სახლში, ბილეთს ეძებს.

***

ახალგაზრდა წყვილი ბარში. გოგომ კოქტეილი და ეგზოტიკური მისაყოლებლები შეუკვეთა... ბიჭმა გონებაში იანგარიშა გადასახდელი თანხა და კმაყოფილმა გაიფიქრა, რომ დღევანდელი ვახშამი სექსით ნამდვილად დაგვირგვინდებოდა.

– ეტყობა, ზღვის პროდუქტები გიყვარს...

– არა, საერთოდ, კოქტეილს არაფერს ვაყოლებ, მაგრამ მენსტრუაციის დროს მემატება მადა...

***

ამერიკაში ემიგრირებული 15 წლის ებრაელი ბიჭი ერთ-ერთ კანტორაში შევიდა, იქნებ ჩემთვის რამე სამსახური გქონდეთო.

– თქვენი განათლება, რა გაქვთ დამთავრებული?

– არაფერი...

– თქვენთვის არანაირი სამსახური არ გვაქვს...

გაბრაზებული ბიჭი გამოვიდა, იყიდა ორი ფორთოხალი, ქიქაში ჩაწურა, გამვლელს მიჰყიდა, შემდეგ ოთხი ფორთოხალი იყიდა, კვლავ გამოწურა წვენი, ისიც გაყიდა... შემდეგ წვენსაწური იყიდა, შემდეგ პატარა წვენგამოსახდელი საწარმო ააგო... გახდა მილიონერი და მასთან ინტერვიუს ასაღებად ჟურნალისტი მივიდა:

– ასეთ წარმატებას მიაღწიეთ, ასეთი ქონების პატრონი გახდით, ალბათ უაღრესად განათლებული ხართ, რა დაამთავრეთ?

– არაფერი, გაუნათლებელი ვარ.

– ღმერთო ჩემო, ვერც წარმომიდგენია, თქვენ რომ რაიმე განათლება გქონოდათ, რას მიაღწევდით...

– მე გეტყვით: რიგით თანამშრომლად ვიმუშავებდი – ჯერ კანტორაში, შემდეგ ოფისში.

***

ლექციაზე პროფესორი:

– ახალგაზრდებო, უკანა რიგში, იქნებ ისე წყნარად იყოთ, როგორც კარტის მოთამაშეები შუა რიგებში, წინა რიგებში მსხდომებს კი ვთხოვ, ცოტა ხმადაბლა იძინონ.

***




რაინდმა სასახლესთან ჩაიარა. ხედავს, აივანზე ზის მზეთუნახავი და ტირის. რა გატირებსო, ჰკითხა.

– ხვალ გველეშაპს უნდა მიმგვარონ, როგორც ყველაზე ლამაზი ქალწული...

– მე გადაგარჩენ!

– გველეშაპს მოკლავ?

– არა, უფრო იოლი მეთოდებიც არსებობს – სახეს მიგინგრევ და შენც აღარ იქნები ყველაზე ლამაზი ქალწული...

***

„შური უნდა ვიძიო, მწარედ... დავალევინებ რაღაც საზიზღრობას, გავთიშავ, მივათრევ საწოლამდე, გავხდი, დავაწვენ... მაგიდაზე კი წერილს დავუდებ: „ძალიან მაგარი იყავი... გკოცნი, გივი".

## ცნობილი ადამიანთა ენამახვილური გამონათქვამები

ერთხელ გრიგოლ დადიანმა მოიწვია სადილად აკაკი და სხვათა შორის, თავის




მამულის ღვინო „კოლოში" დაალევინა და ჰკითხა: როგორ მოგწონს ეს „კოლოშიო"?

– ახლა, კახური მირჩევნია, მაგრამ ზამთარში კი კალოში სჯობიაო, – უპასუხა პოეტმა.

***

ერთმა მელოტმა თქვა:

– ერთ ლამაზ ქალს წიგნი მივწერე, ისე შეგინახავ, როგორც ჩემს თავს-მეთქი. მაგრამ, წარმოიდგინეთ, მაინც უარი შემომითვალა.

– სწორედ მაგ მიწერით დაგიფრთხია: რა სასიამოვნოა, მუდამ შიშვლად და ცარიელად დარჩენაო? – მიუგო აკაკიმ.

***

აკაკი დალაქთან შევიდა თავის გასაკრეჭად. დალაქი ერთ მელოტს თავს დასტრიალებდა და ორი აბაზი გამოართვა. აკაკიმ ქუდი დაიხურა და გარეთ გამოსვლა დააპირა.

– სად მიბრძანდებით, ბატონო, – შეეკითხა დალაქი.

– თუ მელოტს ორი აბაზი გამოართვი, მე მთელი საცხოვრებელი უნდა მოგცე ჩემი თმის გაკრეჭვაშიო, – უპასუხა დიდთმიანმა პოეტმა.

***

ნოდარ დუმბაძემ რამდენჯერმე გადაიტანა ინფარქტი, მაგრამ ვერც სულიერი და ვერც ხორციელი ტკივილი ვერ უკარგავდა ღიმილის უნარს. მეორე ინფარქტის შემდეგ, როცა რეანიმაციიდან გამოჰყავდათ, მნახველებისთვის გადაუხედია და უთქვამს: ბალნებო, ხომ დავშალე ერთი დამკრძალავი კომისიაო!

***

ერთხელ ნიაზ დიასამიძემ თავისი მეგობრის, ალეკო ტატიშვილის დედას დაურეკა:

– „ატეესიდან" გაწუხებთ, სარეაბილიტაციო სამუშაოებს ვატარებთ, ძაბვა მოიმატებს და ტელეფონები რომ არ გადაგეწვათ, სანამ მოვრჩებით, აპარატები წყლიან ვედროში ჩადეთო...

# გაიოზისა და ძაბულის გასაჭირი და სექსოპათოლოგის „ჯადოსნური" ნემსი

ჩემს მეგობარ სექსოპათოლოგ გია ბეროშვილთან („ოთხი გიადან" მარცხნიდან მეორე რომაა) საუბრის ჩემ მიერ ოდნავ გაშარჟებულ-ინტერპრირებულ ამბავს მოგახსენებთ ამჯერად (წაკითხვა – ბოლომდე!)

... ვზივარ მოწყენილი ერთ დღეს კაბინეტში და კარში საშუალოზე ოდნავ მაღალი, შავგვრემანი და თმახუჭუჭა, მილიციის ფორმაში გამოწყობილი სუბიექტი შემოვიდა მორიდებით. იოფლება პაპანაქება ზაფხულში.

– გისმენთ... – სკამი შევთავაზე შემოსულს.

– ხოხ... პირდაპირ?

– რა თქმა უნდა, – გავამხნევე და ვიგრძენი, რომ სტუმრად „კოლხი" მყავს.

– სამეგრელოს რეგიონის მილიციის განყოფილების „უსტარშესი ლეიტენანტი" გაიოზ (იგივე გივი) ლაგვილავა გახლავართ მე და, თქვენ სექსოლოგი ბრძანდებით, ნამდვილად ვიცი ეს – საიდუმლო „ისტოჩნიკებით", რა თქმა უნდა.

– რამ შეგაწუხათ, გივი-გაიოზ ბატონო?

– ჩემი შეწუხება ასე ადვილია?! – გამიყარა თვალი თვალში, – შემაწუხა ჩემმა საკუთარმა თავმა და, კიდო, მეუღლესთან უხერხულობის ამბის ამბავშია ამბავი.

– კერძოდ? მოკლედ ამიხსენით.

– კერძოდ, ჩემი მდგომარეობაა შემდეგი... ცოლი მოვიყვანე ამასწინეებზე მე სიყვარულის ნიადაგზე – ძაბული კირკიტია. ქორწილი გადავიხადე 1 800-კაციანი, მეტი რომ არ შეიძლება, იმაზე უკეთესი კიდო. მოგეხსენებათ, ცოლს იმიზა ირთავს კაცი, რომე, გვარისა და ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებელი უნდა მაგას, ხომაა სწორი?

– რა თქმა უნდა.

– მოკლედ, – დაიწყო გაიოზმა, – თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ ბაღნები მართლა წეროებს კი არ მოყავენ, ცოლთან ურთიერთობა უნდა მაგას – საბანქვეშ! მიმიხვდით, ხომ?

– მერე?

– რა – მერე? მოთავდა შუაღამეს ქორწილი, წავედით მე და ძაბული ბაღანის ამქვეყნად მოვლენის (რბილად ვლაპარაკობ ახლა!) საფუძვლის ჩასაყრელად სპალნაში. ვებღვენით ერთმანეთს მე და ძაბუ (ველარ ვითმენთ, უკაცრავად პასუხია) და გავგორდით სპალნის ლოგინზე. ვაჯობე, როგორც გამოცდილმა ოპერმუშაკმა და მოვექეცი ზემოდან, რა თქმა უნდა.

რომ უნდა დაიწყოს „პროცედურა" და... – რახ, რახ რახ!!! ატყდა გარეთ ფისტოლეტების სროლილობის ხმა (თურმე, ჩემი დაგვიანებული ოპერ-ძმაკაცები მოსულან) და ეს გამზადებული „ის"... რა ჰქვია... კი იცით თქვენ... დარჩა ხახამშრალი... გადმოვვარდი ძაბულიდან გამაძღარი წურბელასავით და ჩაიშალა ის, თქვენ რომ გეცოდინებათ და აღარ გავიმეორებ. ამის მერე, როგორ არ (თან როგორ, კაცო) მოვინდომე – აღარ გამოვიდა არაფერი. შიშს სცოდნია ეგ, შიშს, აპა!

– ესე იგი, სექსუალური უძლურება, – ჩავილაპარაკე ჩემთვის, მაგრამ, „ოპერს" არ გამოეპარა.




– ხოხ, უძლურება და მერე როგორი! აბა, რისთვის ვარ აქ ახლა მე?!

– მეუღლე ძაბული სად არის?

– დილის მატარებლით ჩამოვედით და გასტინიცაში დავტოვე ის... საჭიროა?

– არა, არ არის საჭირო, ყველაფერი „იასნია". ახლა მე შენ ერთ ნემსს გაგიკეთებ, ოღონდ ორი საათის მანძილზე მოქმედებს და უნდა მოასწრო.

– ტაქსით წავალ გასტინიცამდე, – რაზეა ბაზარი! – გასვეტდა იმედმოცემული პაციენტი. გავუკეთე და წავიდა. მაგრამ, მეორე დილით პირველი დამხვდა რიგში ჩემი კაბინეტის კართან.

– პატივცემული „იმის" ექიმო, უნდა მაპატიოთ და მეორე ნეფსი უნდა მდღლიზოთ აბეზატელნა.

– რაშია საქმე? არ იმოქმედა? – შემეშინდასავით.

– როგორ არ იმოქმედა... იმოქმედა კი არა, აქედან გავედი თუ არა, ტაქსში რომ ვერ შევეტიე უკულმა დავჯექი და მერე შევატენე ფეხები, – უხ, ხუხ (აიფარა ტუჩზე ხელი დარცხვენილმა).

– აბა?

– რა, მერე? შევედი თუ არა ჩემს ძაბუსთან სასტუმროს ნომერში, მაშინვე ვუყვირე: ჩქარა, დაწექი, ბავშვის ამბავია საქმე, თვარა, შენ კი არ შეგაწუხებდი-თქვა და ისიც გაიშოტა გულაღმა. ის საწყალი და უბედურ დღეზე გაჩენილი, ჩემი არ იყოს.

– მერე? – მელევა მოთმინება.

– რო წამოვახტი (ზემოდან, რაზუმეეტსია), არ აკაკუნებენ კარებზე? ჩამოვვარდი ისევ გამაძღარი წურბელასვავით და ჩაიშალა... გავაღე კარი და – თქვენ სადილი შეგიკვეთიათო (ჩემს მეტიჩარას შეუკვეთია – გოიმი მაგი) და, ა, ასე ვარ...

გავუკეთე ისევ ის ინიექცია, რასაც საუკეთესო შემთხვევაში, პატარა ლეიტენანტი გაიოზიჩი უნდა გასჩენოდა ჩვენს ტანჯულ საქართველოს და წავიდა გახარებული, მაგრამ, რად გინდა... მესამე დღეს ისევ კაბინეტთან დგას.

– ახლა რა მოხდა, კაცო? – გამოვედი მოთმინებიდან.

– ჩათლახი მელიციელები ყოფილან აქ, თბილისში, კაცო... ძაბულის რომ წამოვახტი და ჰაა... კიდო არ დარეკეს, კაცო?! გავაღე და, ჩემი კოლეგა მილიციელები არ დამეჩითენ?! ვინაა ეს ქალი, სასტუმროში რა გინდათო? ავუხსენი ყველაფერი, თქვენი ვარ, თანამშრომელი ვარ-მეთქი და ქე დაბრუნდნენ უკან, მარა, ჩვენ რო ვიცით, ის ქე დარჩა ისთე!... კიდო ერთი ნეფსი, გია ბატონო... კიდო ერთი, რა!

სამშობლოს ღალატი არ შეიძლება – გამრავლება ერის სიძლიერეა და ვდღლიზე მესამე. გგონია, რამე გამოვიდა? – მეოთხე დღეს ისევ...

– აღარ შეიძლება ასე, მე ამის დედაც!.. აღარ შეიძლება, ჩემო გია... მეოთხედ უნდა მგლიჯოთ!

– ახლა რაღა მოხდა? – უკვე მეც დავინტერესდი.

– რა და, ხომ მადღლიზე გუშინ... მეც, ავდექი და, ახლა რომ ჩემს ძაბულის უნდა ვდღლიზო (რა თქმა უნდა, კეთილი განზრახვით), ისევ არ მიკაკუნებენ?!

გავაღე და... – კრანი რომ გაფუჭებულია თქვენთან, იმისთვის მოვედით, სანტეხნიკები ვართ ჩვენო... ღმერთი სწამთ მაგნებს? არა, გია ბატონო, მე ერთი რამე მაინტერესებს, მომავალი არ აინტერესებენ ამ ჩემისებს, იმ ჩემისების არ იყოს?!

ვდღლიზე მორიგი ნემსი... წავიდა და აღარ დაბრუნებულა. მაინტერესებს, მომავალი „შექმნა" თუ ცოცხალია?! აბა, რა მოკლავდა... პატალა, „უსტალსესი" ლეიტენანტი გაჩნდა, ალბათ.

**მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

(74-ე გვერდიდან)

## ვის გამო წაართვა ოჯახსა და მეგობრებს საკუთარი ცხოვრების 99 პროცენტი დათო ფორჩხიძემ და რას არ უპროტესტებს მას მეუღლე

მოპოვებული რეპუტაცია და ბევრი შრომა. ამ თვალსაზრისით ხალხი სასტიკია. ამბობენ: რატომ დაუჭირა მხარი და ვერ აუხსნი, რომ მომღერალს უწევს ამის გაკეთება. ეს არის მისი ერთადერთი მატერიალური შემოსავალი და ხშირად ის თავისი ნების საწინააღმდეგოდ მიდის. ჩემი ძმაკაცები: დათო ხუჯაძე, გოგა ხაჩიძე, შალვა რამიშვილი და მე – ეს იყო ჯგუფი „სახე". რაღაც პროექტები კი მიკეთებია, მაგრამ იქაც მუსიკოსის რანგში ვიყავი. გოგას მოჰქონდა პროექტები, რომლის ავტორიც თვითონ იყო და სტუდიაში ვუკეთებდი. შალვასაც მოქონდა პარალელურ რეჟიმში, მაგრამ ორივეს ვეუბნებოდი: ეს ჰიმნი შენია, ეს საპროტესტო სიმღერა – შენია, მაგრამ ჩემი სახელი არ ახსენოთ-მეთქი. იმიტომ კი რა, რომ მეშინოდა, არ მინდოდა, ჩემი სახელი გაჟღერებულიყო. ამაზე გაცილებით კარგი სიმღერები მაქვს დაწერილი და დათო ფორჩხიძის სახელი, როგორც ბრედის, მირჩევნია, ისეთი სიმღერების ქვეშ ეწეროს, როგორიცაა: „როგორ მინდა, მოგეფერო", „ახლა შენი დროა", „თოვლი მოსულა". ალბათ, იმიტომ გამიმართლა, რომ იმ ეპოქაში აქტიური სასცენო საქმიანობით არ ვიყავი დაკავებული. გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როდესაც ჯგუფი „სახე" დავშალე, თან მაშინ როცა ზენიტში ვიყავი. ეს ყველაზე რთული გადაწყვეტილება იყო და მგონია ამას ვერავინ ვერ იზამდა. ახლა მინდა „ვოისშიც" აღარ დამიძახონ. თუმცა, ვინც ამ პროექტს აკეთებს, მათთვის მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მაგრამ, თუ მაინცდამაინც უნდათ, რომ დამსვან და წამაგებინონ, არც ეს არის პრობლემა. უბრალოდ, არ მინდა, საზოგადოებას მოვაბეზრო ამ კუთხით თავი. ძალიან კარგად ვიცი, საზოგადოების ფასი, რადგან სახალხო ტიპი ვიყავი. ამიტომაც, ვცდილობდი, საზოგადოებისთვის დამენახვებინა: ხალხო, დედა, შვილები, მეუღლე უფრო მეტად მიყვარს, ვიდრე თქვენ, მაგრამ, სამაგიეროდ, მე თქვენი ფასი ვიცი. თქვენ ჩემთვის არ ხართ სტატისიკა, ვიღაც გოიმების მასა, რაც ბევრი მომღერლისგან მომისმენია. ამ საწყლებმა მოისმინონ ხალხი რას ლაპარაკობს მათზე... საბოლოო ჯამში, მე ხალხთან შევდივარ პოლემიკაში. ის, როცა პრეტენზიას მიყენებს, მე თავს ვიმართლებ, ვსაუბრობ მასთან და როცა ვიღაცასთან საუბრობ, ის მიიჩნევს, რომ შენ მას აფასებ. ამიტომ, ის ვინც ჩემს გვერდით დადგება, გარკვეულ დროს გაატარებს, უპირველს ყოვლისა, ისწავლის: ხალხის და მათი სიყვარულის ფასს.

**ნათია უტიაშვილი**

# მის საქართველო Miss Georgia

2013

www.missgeorgia.ge


ანა
გარიბაშვილი


ანა
ზუბაშვილი


ანი
ლეთოდიანი


ანი
ზარიძე


დარო
მურუსიძე


ელენა
მარიამიძე


ელენე
წიკლაური


ელენე
გაგნიძე


ელენე
გამყრელიძე


ქეთი
ნოზაძე


ქეთი
სვანიშვილი


ლიკა
რობუავა


მაკა
გიგაური


მარი
არზამაზოვა


მარიამ
ბოჭორიშვილი


მარიამ
ილურიძე


მარიამ
მათიაშვილი


მარიამ
შარმაზანაშვილი


მარიამ
ცაგარეიშვილი


ნატა
დემეტრაშვილი


ნათია
როზომაშვილი


ნიცა
აბაშვილი


ნინი
ბიბილაშვილი


თაკო
ნასყიდაშვილი


თამარ
უგრეხელიძე


თეა
ქარცივაძე


თამთა
რუხაძე


თიკა
ჯაჯანაშვილი

www.missgeorgia.ge

# რაში „იჭრებიან“ მამაკაცები ეკო ფანგანითან და რატომ ვერ ატყუებენ მას ვერასდროს

გვ. 23



ISSN 1987-569X

საქარ... ილისი – შიგ ჩასმული ბადახში

...ლები®

...ლის ორშაბათობით • №5 (684) • 3–9 თებერვალი • ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge